ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА имени Ив. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

329

290
1999 /3

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
ECONOMICS

თბილისი Тбилиси Tbilisi
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА ИМЕНИ Ив. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI
STATE UNIVERSITY

329

ЭКОНОМИКА

ECONOMICS

ТБИЛИСИ 1999 TBILISI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომები

329

ეკონომიკა

თბილისი 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

დოც. გ. ბერკაცაშვილი, პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. ლ. ყორღანაშვილი (მთავარი რედაქტორი), პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. თ. ჭიაბრიშვილი, დოც. ფ. წოწკოლაური (პასუხისმგებელი მდივანი)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доц. Г. Беркацашвили, проф. Э. Меквабишвили, проф. Н. Пайчадзе, проф. Л. Корганашвили (главный редактор), проф. Д. Дзнеладзе, проф. Т. Чиабришвили, доц. П. Цоцколаури (ответственный секретарь)

EDITORIAL BOARD

Assist. Prof. G. Berkatsashvili, Prof. E. Mekvabishvili, Prof. N. Paichadze, Prof. L. Korganashvili (editor-in-chief), Prof D. Dzneladze, Prof. T. Chiabrishvili, Assist. Prof. P. Tsotskolauri (managing secretary).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგიისაგან

15 წლის შესვენების შემდეგ კვლავ გამოდის თბილისის უნივერსიტეტის შრომების სერია „ეკონომიკა". თავისი შინაარსით იგი განსხვავდება ადრინდელი გამოცემებისაგან და ეს სრულიად ბუნებრივია: დღეს ხომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და საბაზრო ეკონომიკის გზით მიდის. საბაზრო ეკონომიკა კი აღიარებს იმ ეკონომიკურ კატეგორიებსა და ცნებებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო; დაკნინებული იყო თვით ეკონომიკის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობა.

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში იცვლება ეკონომიკური აზროვნება და ეკონომიკისადმი დამოკიდებულება. ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, თანდათან თავის კუთვნილ ადგილს იკავებს. იმედია, სამეცნიერო შრომების სერია „ეკონომიკა" ხელს შეუწყობს ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და სწავლულ-ეკონომისტთა სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციას.

ᲗᲐᲡᲘ/61

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

329, 1999

გ. შუბლაძე

ეკონომიკური თეორიის მეცნიერული დეფინიციის საკითხისათვის: „ეკონომიკსი", პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია?

ნებისმიერი მეცნიერება, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგი, განიცდის განვითარებას და მის სფეროში ახალი იდეების წარმოშობისა და აღმოჩენების შესაბამისად იცვლება გაბატონებული პარადიგმები. ეს განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკა, ცხოვრებისეული მოვლენები საჭიროებენ სათანადო რეაგირებას და შესატყვისი კონცეფციების ჩამოყალიბებას.

სამეურნეო ცხოვრებაც, მასში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და მოვლენები მოითხოვენ ჯეროვან მეცნიერულ ანალიზსა და განზოგადებას. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ეკონომიკის სფეროში მსოფლიო ცივილიზაციის თეორიისა და პრაქტიკის მიღწევების გონივრული გათვალისწინება. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუღებელია ორი უკიდურესობის პრინციპით მიდგომა, რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ჯერ ერთი, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ჩვენთან 90-იან წლებამდე ეკონომიკური აზრის (მოძღვრების) უკანასკნელ მიღწევად იყო მიჩნეული მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის მიხედვით პოლიტიკური ეკონომია (მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) მიეკუთვნებოდა პარტიულ, კლასობრივ მეცნიერებათა ჯგუფს. ამასთან დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები მონათლული იყო როგორც ბურჟუაზიული თეორია, რომელიც ეწეოდა იქ არსებული ეკონომიკური სისტემის აპოლოგეტიკას. სინამდვილეში კი ასეთი რამ ხდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, სადაც პოლიტიკური ეკონომიის მეტისმეტმა იდეოლოგიზაციამ გამოიწვია მისი მოწყვეტა პრაქტიკული პრობლემებისაგან და აქ არსებული სისტემის (ე. წ. განვითარებული სოციალიზმის) იდეალიზაცია.

მეორე, შემდგომ პერიოდში, როდესაც საქართველოში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე (ზოგიერთების აზრით — კაპიტალიზმზე) გადასვლა, ეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა) საჭიროდ თვლის დასავლეთის პრაქტიკული გამოცდილებისა და ეკონომიკური თეორიის პირდაპირ გადმოღებას, აგრეთვე ქართული ეკონომიკური ლიტერატურიდან მარქსიზმის საერთოდ ამოძირკვას. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში «ეკონომიკსის" დამკვიდრების ცდები (ქართულ ენაზე გამოიცა წიგნი სახელწოდებით — „ეკონომიკსი", რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება, ზოგჯერ ეკონომიკურ თეორიასთან (პოლიტიკურ ეკონომიასთან) ერთად, მაშინ როდესაც, ადრე ტერმინი „ეკონომიკსი" განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მოცულობის ამ სტატიაში ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ „ეკონომიკის“ ქართულში უცვლელად გადმოტანის უსაფუძვლობა. ამისათვის საჭიროა გავაკეთოთ ერთგვარი (არასიღრმისეული) ისტორიული ექსკურსი ეკონომიკური თეორიის განვითარების მიმართულებით, სახელდობრ, იმ მთავარი ეტაპების აღნიშვნით, რომლებიც უშუალოდ კავშირშია ეკონომიკური თეორიის მეცნიერულ დეფინიციასთან.

ეკონომიკური თეორია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა და თავიდანვე მის დანიშნულებას შეადგენდა სამეურნეო საქმიანობაში ადამიანთა ქცევის მოტივების და მეურნეობრიობის კანონზომიერებათა შეცნობა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია დიდი ბერძენი მოაზროვნეების ქსენოფონტისა და არისტოტელეს სახელებთან, როდესაც შემოტანილ იქნა მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინი „ეკონომია“. ბერძნულიდან წარმოებული ეს სიტყვა, რომელიც ნიშნავდა საოჯახო მეურნეობის გაძღოლის ხელოვნებას, შეიცვალა ტერმინით „ეკონომიკა“. ცნება „ეკონომია“ დღეს ნიშნავს დანახარჯების შემცირებას, სხვადასხვა რესურსების ყაირათიანად (მომჭირნედ) ხარჯვას. ტერმინი „ეკონომიკა“ (ინგლისურად „ეკონომიკსი“) თანამედროვე პირობებში გამოიყენება ძირითადად ორი მნიშვნელობით: 1) ქვეყნის (რაიონის, რეგიონის, საწარმოს) ან მთელი მსოფლიოს მეურნეობა (მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა და სხვ.) და 2) მეცნიერება, რომელიც სწავლობს მთლიანად ეროვნულ ეკონომიკას (მეურნეობის) ან მისი ცალკეული დარგების (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ.) ეკონომიკას. ანალოგიურადაა გადმოცემული „ეკონომიკსის“ მნიშვნელობა ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონში (ინგლისურიდან თარგმანი, მოსკოვი, 1995) და სხვა ლექსიკონებში.

ეკონომიკური თეორიის, როგორც სამეურნეო საქმიანობის (ეკონომიკური სისტემის) არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ სისტემატიზებული ცოდნის (მეცნიერების) წარმოშობა იწყება XVI საუკუნეში. ეს იყო მანუფაქტურის აღმოცენების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, საშინაო და საგარეო ბაზრების გაფართოების, ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაციის პერიოდი, რაც ეკონომიკური თეორიის განვითარებაში ცნობილია მერკანტილიზმის სახელწოდებით. ანტუან მონკრეტიენი, როგორც მერკანტილიზმის წარმომადგენელი, შევიდა ისტორიაში იმით, რომ მეცნიერულ ბრუნვაში შემოიღო ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ (1615 წელს გამოვიდა მისი წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“). ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, ეკონომიკური თეორია ვითარდება როგორც პოლიტიკური ეკონომია. „პოლიტეია“ ბერძნული სიტყვიდან წარმოშობილი, ნიშნავს სახელმწიფო მოწყობას (წყობილებას). ამრიგად, პოლიტიკური ეკონომია პირდაპირი მნიშვნელობით სახელმწიფოში მეურნეობრიობის კანონების სისტემაა.

ეკონომიკურმა თეორიამ, როგორც მეცნიერებამ, შემდგომი განვითარება ჰპოვა უილიამ პეტის, ადამ სმითისა და დავით რიკარდოს შრომებში. ა. სმითი ეკონომიკური აზრის ისტორიაში ცნობილია როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი. მან თავისი ნაშრომით „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ დასაბამი მისცა თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას ანუ პოლიტიკურ ეკონომიას. ა. სმითის მოძღვრებაში ძირითადი იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის, თავისუფალი ფასების საფუძველზე საბაზრო თვითრეგულირების იდეა, რომელიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის მიხედვით, ე. წ. „უხილავი ხელის“ იდეა. აღსანიშნავია ახალი საზოგადოების შექმნის იდეაც, რომელიც წამოაყენეს სოციალუტოპისტებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანრი სენ-სიმონმა, შარლ ფურიემ და რობერტ ოუენმა. ისინი გამოვიდნენ კაპიტალიზმის კრიტიკით, მოითხოვდნენ კერძო საკუთრების გაუქმებას და სამართლიანი სოციალური საზოგადოების დამკვიდრებას. ასეთ საზოგადოებას სენ-სიმონმა უწოდა ინდუსტრიული, ფურიემ — ჰარმონიული, ხოლო უოენმა — კომუნიზმი.

კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიღწევებზე დაყრდნობით, შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის (კომუნიზმის) თეორია, როგორც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება. მართალია მარქსისტული ეკონომიკური თეორიის ზოგიერთი დებულება (კაპიტალიზმის პირობებში პროლეტარიატის აბსოლუტური გაღატაკების, კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც უაღრესად ექსპლოატატორული საზოგადოების შესახებ) მცდარი აღმოჩნდა, მაგრამ მარქსიზმი აღიარებულია ეკონომიკური თეორიის არსებით ეტაპად. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პოლ სამუელსონი ეკონომიკური აზრის ისტორიაში გამოყოფს მხოლოდ სამ გამოჩენილ მოაზროვნეს: ა. სმითს, კ. მარქსს, ჯ. კეინსს, რომლებმაც განმსაზღვრელი გავლენა მოახდინეს ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ კ. მარქსს არც ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ შემოუღია და არც „სოციალიზმი“ და „კომუნიზმი“.

რაც შეეხება ლენინურ ეკონომიკურ თეორიას იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის, აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარების შესახებ, საეჭვოდ მიგვაჩნდა ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტობის წლებში შემდეგი მარტივი მიზეზის გამო: მაშინდელი რუსეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მთლიანად ეკონომიკის განვითარების დონე მარქსისეული გაგებით არავითარ პირობებს არ ქმნიდა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი შედეგებით დამთავრდა ე. წ. 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის * საფუძველზე დაწყებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ყოფილ საბჭოთა რუსეთსა და მთლიანად სსრ კავშირში.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში აღსანიშნავია კეინსიანური მიმართულება საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ, რაც გულისხმობს გავლენის მოხდენას ინფლაციაზე, დასაქმებაზე, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაზე, ეკონომიკურ კრიზისებზე. ჯ. კეინსის თეორია აღიარებული იქნა „კეინსიანურ რევოლუციად პოლიტიკურ ეკონომიაში“. სხვათა შორის, მისი რიგი თეორიული დებულებებისა აღებულია ა. სმითის და დ. რიკარდოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არსენალიდან, აგრეთვე მარქსისტული ეკონომიკური თეორიიდან (სახელდობრ, კვლავწარმოების თეორიიდან).

თანამედროვე ზოგადი ეკონომიკური თეორია აერთიანებს ყველა თეორიას, რომლებიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლო პერიოდიდან დღემდე. ისინი წარმოადგენენ პოზიციების, მიდგომების და კონცეფციების ფართო სპექტრს. მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურასთან გაცნობით ადვილად შეიძლება დავინახოთ აზრთა სხვადასხვაობა საერთოდ ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) საგნის განმარტებაში. მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის პირველი სკოლის წარმომადგენლების — მერკანტილისტების მეცნიერული კვლევის საგანი იყო სიმდიდრე, რომლის წყაროდ გამოცხადებული იყო ვაჭრობა. თვითონ სიმდიდრე

---

* მსოფლიო ისტორიაში იგი შეფასებულია როგორც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება, რომელიც მოახდინეს ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გაიგივებული იყო უფრო ხშირად ფულთან. ფიზიოკრატების სკოლამ პოლიტიკური ეკონომიის საგნად აღიარა ეროვნული სიმდიდრე, რომელიც იქმნება წარმოების სფეროში (და არა მიმოქცევის სფეროში). ეს იყო ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი მიღწევა, თუმცა ისინი სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობას, რაც არ იყო მართებული. ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის შემქმნელებმა გააფართოეს ეკონომიკური თეორიის საგანი მატერიალური წარმოების ყველა დარგში (მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, სატყეო მეურნეობაში და სხვ.) წარმოებისა და დაგროვების, აგრეთვე განაწილების პირობების გამოკვლევამდე. ანალოგიურ შეხედულებას პოლიტიკური ეკონომიის საგნის შესახებ იზიარებენ დასავლეთის ცალკეული თანამედროვე ეკონომისტები, როდესაც იხილავენ პოლიტიკურ ეკონომიას როგორც მეცნიერებას ეროვნული სიმდიდრის წარმოების, განაწილების და მოხმარების შესახებ. მაგრამ იცვლებოდა ეროვნული სიმდიდრის ცნების შინაარსიც. პირველად მასში იგულისხმებოდა სიმდიდრე ფულის სახით, შემდეგ — წარმოების შედეგის სახით, ხოლო დღეს ეროვნული სიმდიდრის ცნებაში იგულისხმება თვით ადამიანიც, მისი ინტელექტი როგორც საზოგადოების განვითარების წყარო.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკური თეორიის საგნად ხშირად მიჩნეულია შეზღუდული რესურსების პრობლემის შესწავლა. მაგალითად, პ. სამუელსონი ეკონომიკური თეორიის ხუთი გავრცელებული დეფინიციიდან უპირატესობას ანიჭებს შემდეგს: ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ადამიანების მიერ იშვიათი ან შეზღუდული მწარმოებლური რესურსების (მიწა, შრომა, საწარმოო დანიშნულების საქონელი, მაგალითად, მანქანები და ტექნიკური ცოდნა) გამოყენების შესახებ სხვადასხვა საქონლის (მარცვლეული, საქონლის ხორცი, პალტო და სხვ.) წარმოებისა და საზოგადოების წევრებს შორის მათი განაწილებისათვის მოხმარების მიზნით [1,6—7].

ეკონომიკური თეორიების წარმოშობის, საერთო ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე გამოიყენებოდა სხვადასხვა ტერმინი: „ეკონომია“, „ეკონომიკა“, „პოლიტიკური ეკონომია“ და „ზოგადი ეკონომიკური თეორია“. ტერმინების ევოლუცია გამოწვეულია ისტორიული მიზეზებით, მაგრამ ჩამოთვლილი ტერმინები, პირველის გამოკლებით, არსებითად ერთი და იგივე მუდმივად განვითარებადი მეცნიერების სახელწოდებაა, რომელიც იკვლევს მეურნეობრიობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, მოვლენებს, პროცესებს მათს ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. იცვლება კონცეფციები, მიდგომები, კეთდება აქცენტები ეკონომიკური სისტემის ამა თუ იმ მხარეზე, მაგრამ მეცნიერება რჩება ცალკეული ადამიანების, ჯგუფების და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მეცნიერებად.

მაშასადამე, ეკონომიკური თეორია (პოლიტეკონომია) არის მეცნიერება შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესახებ ადამიანურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მსოფლიოს თანამედროვე ეკონომისტთა უმრავლესობა აღიარებს ეკონომიკურ თეორიას უნივერსალურ მეცნიერებად რესურსების გამოყენებისა და ადამიანის ეკონომიკური ქცევის შესახებ, ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებული „ეკონომიკისის“ ქართულში დანერგვა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. არაინგლისურენოვან ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი და სხვ.) „ეკონომიკისი“ არ იხმარება.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში „ეკონომიკისის“ შემოჭრა მოხდა შემდეგ გარემოებათა გამო: 1) ზოგიერთმა რუსულმა გამომცემლობამ ინგლისური

ენიდან თარგმნისას დატოვა „ეკონომიკსი“, 2) ზოგიერთ ქართველ ეკონომისტს რატომღაც მიაჩნია, რომ „ეკონომიკსი“ პოლიტიკური ეკონომიისაგან, რომელიც სწავლობს წარმოებით ურთიერთობებს, განსხვავდება იმით, რომ იგი შემოიფარგლება შეზღუდული რესურსების პრობლემებით, 3) ეკონომისტთა ნაწილი „ეკონომიკს“-ს თვლის საბაზრო ეკონომიკის თეორიად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთაოდ ცნობილი პ. სამუელსონის სახელმძღვანელო ინგლისურიდან თარგმნილი რუსულ ენაზე ხელახლა გამოიცა ქ. მოსკოვში 1992 წელს ორ ტომად სახელწოდებით «Экономика» (და არა «Экономикс» როგორც ადრე). ამ სახელმძღვანელოში მისი ავტორი ეკონომიკური თეორიის საგნის განხილვასთან დაკავშირებით წერს: **ეკონომიკური თეორია ანუ პოლიტიკური ეკონომია, როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ (ხაზგასმა ჩვენია** — გ. შ.), მჭიდრო კავშირშია საუნივერსიტეტო საგნებთან, სოციალურ მეცნიერებებთან, რომელთა შესწავლის საგანი ნაწილობრივ ემთხვევა ეკონომიკური თეორიის საგანს [1,8]. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ალფრედ მარშალის 1890 წელს გამოსული წიგნი „ეკონომიკსის პრინციპები“ ინგლისურიდან რუსულად ითარგმნა და გამოიცა ქ. მოსკოვში 1983 წელს სახელწოდებით — „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, ხოლო 1993 წელს — „ეკონომიკური თეორიის პრინციპები“. ტერმინები „ეკონომიკური თეორია“, „პოლიტიკური ეკონომია“ და „ეკონომიკა“ (ინგლისური „ეკონომიკსიდან“ პირდაპირ თარგმნილი) რომ ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება, ნათლად ჩანს რუსი ავტორების მიერ ბოლო დროს გამოცემულ ისეთ სახელმძღვანელოებში, როგორიცაა: Общая экономическая теория (политэкономия). Учебник. Под общей редакцией акад. В. И. Видяпина, акад. Г. П. Журавлевой. М., 1995; Камаев В. Д. и колл. авторов. Учебник по основам экономической теории (экономика), М., 1995. პირველ წიგნში ეკონომიკური თეორიის სინონიმად ფრჩხილებში ჩასმულია პოლიტიკური ეკონომია, ხოლო მეორეში — ეკონომიკა ინგლისური „ეკონომიკსის“ მნიშვნელობით.

მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში შესწავლის საგნად წარმოებითი ურთიერთობების, ხოლო „ეკონომიკსისა“ — შეზღუდული რესურსების პრობლემის გამოცხადება, ვერ გამოდგება არგუმენტად „ეკონომიკსის“ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფისათვის იმიტომ, რომ საერთოდ ეკონომიკური რესურსები შეზღუდულია და ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) როგორც აღინიშნა, სწორედ ასეთი რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემებს იკვლევს საზოგადოების (მომხმარებელთა) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მსჯელობა იმის თაობაზე, რომ „ეკონომიკსი“ თითქოს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თეორიას, უსაფუძვლოა. ასეთი მიდგომა მოგვაგონებს ახლო წარსულში პოლიტიკური ეკონომიის დაყოფას ორ ნაწილად: „კაპიტალიზმი“ და „სოციალიზმი“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ჯ. გელბრეითის აზრი: ეკონომიკსი, რჩება რა საბაზრო მიკრო- და მაკროანალიზის ვიწრო ფარგლებში, წყვეტს არსებობას როგორც მეცნიერება და იქცევა კონსერვატიულად გამოყენებულ სისტემად, რომელიც აცხადებს პრეტენზიას, იწოდებოდეს მეცნიერებად [2,6].

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) ერთიანი უნივერსალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური მოვლენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, პროცესების და კანონების სისტემას, როგორც მაკრო-, ისე მიკროეკონომიკურ პრობლემებს მიუხედავად ქვეყანაში არსებული საბაზრო თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სექტორებისა (შერეული ეკონომიკისა). წმინდა სახით საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში და არც იარსებებს მომავალში.

მაშასადამე, „ეკონომიკის" დამკვიდრება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ყოვლად დაუშვებელია იმიტომ, რომ ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. რა ვუყოთ მაშინ ინგლისურ „მიკროეკონომიკს"-ს, „მაკროეკონომიკს"-ს და სხვა ტერმინებს? იქნებ ჩვენს ჟურნალს „ეკონომიკას", უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს და ა. შ. შევუცვალოთ სახელი ინგლისურ ყაიდაზე? ყოველივე ამის თაობაზე ჩვენ მიერ დაყენებულ იქნა საკითხი დაახლოებით ერთი წლის წინათ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე, პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტმა სწორად შეაფასა ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, მართებული არ არის აგრეთვე ეკონომიკური თეორიის ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი „თეორიული ეკონომიკა". არგუმენტად „თეორიული მექანიკის", „თეორიული ფიზიკის" მოტანა არ გამოდგება იმიტომ, რომ მექანიკის, ფიზიკისა და სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგებში არის ისეთი დებულებები, კონცეფციები, რომელთა რეალურ ცხოვრებაში აპროზირება, ექსპერიმენტირება შეუძლებელია, ეკონომიკა კი გამოხატავს ადამიანთა ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობათა (ბიზნესის) ერთობლიობას. რაც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიას, ვერავინ ვერ უარყოფს მას როგორც მეცნიერებას. პოლიტიკური ეკონომია ისწავლება ევროპის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად, ბელორუსიაში გრძელდება დისერტაციების დაცვა პოლიტეკონომიის შიფრით. მაგრამ მარქსისტულ-ლენინურმა ინტერპრეტაციამ მას, ცოტა არ იყოს, შეულახა სახელი. ამიტომ ბოლო დროს მის ნაცვლად უფრო გამოიყენება „ზოგადი ეკონომიკური თეორია" ან უბრალოდ „ეკონომიკური თეორია". ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ზოგად ეკონომიკურ თეორიას როგორც ეკონომიკურ დისციპლინათა მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ზოგადი ეკონომიკური თეორია მეცნიერებათა მთელი კომპლექსის მეთოდოლოგიური საფუძველია. ესენია: დარგობრივი (მრეწველობის, მშენებლობის, სავაჭრო საქმის ეკონომიკა და სხვა.)[1], ფუნქციური (ფინანსები, კრედიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ.) და დარგთაშორისი (დემოგრაფია, სტატისტიკა, ეკონომიკური გეოგრაფია და სხვ.) მეცნიერებები.

ამრიგად, არსებული ეკონომიკური თეორია არის უძველესი, უნივერსალური ერთიანი მეცნიერება, რომელიც განიცდის ევოლუციას ახალი ეკონომიკური მოვლენების, კონცეფციების შესაბამისად მემკვიდრეობითობის პრინციპით და არა მისი შეცვლით ახალი ეკონომიკური თეორიით.

ლიტერატურა

1. П. Самуэльсон. Экономика, I, М., 1992.
2. Общая экономическая теория (политэкономия). Под общей ред. акад. В. И. Видяпина, акад. Г. П. Журавлевой. М., 1995.

Г. ШУБЛАДЗЕ

К ВОПРОСУ НАУЧНОЙ ДЕФИНИЦИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕОРИИ: «ЭКОНОМИКС», ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ ИЛИ ОБЩАЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ?

Резюме

Любая наука развивается, соответственно уточняются ее парадигмы и название. Для обозначения экономической теории — одной из старейших наук—наряду с традиционным названием в грузинской литературе применяются термины «экономикс», «теоретическая экономика». Экономическая теория—универсальная целостная наука, которая развивается по принципу преемственности, поэтому предпочтение надо отдать названию «Общая экономическая теория».

G. SHUBLADZE

TOWARDS THE SCIENTIFIC DEFINITION OF ECONOMIC THEORY: "ECONOMICS", POLITICAL ECONOMY OR GENERAL ECONOMIC THEORY?

Summary

Any science develops, with attending specification of its paradigms and designation. In Georgian specialist literature—along with traditional designations—the terms "economics and theoretical economics" are used to designate economic theory—one of the oldest sciences. Economic theory is a universal integral science that develops according to the principle of continuity. Therefore preference should be given to the designation: "general economic theory".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ე. მექვაბიშვილი

საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხისათვის

საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის დანერგვის კვალობაზე ანაქრონიზმად გადაიქცა წარმოდგენა ამ ფენომენზე, რომელსაც თითქოს სტიქიური ძალები და ანარქია განკარგავს. პირიქით, განვითარებული საბაზრო ეკონომიკა უმეტესწილად საათის მექანიზმივით მწყობრად „მომუშავე" სისტემას წარმოადგენს, რომელიც შესაბამის ინსტიტუციურ-სამართლებრივ სტრუქტურებს ემყარება და ამ უკანასკნელში პოულობს გამოხატულებას გაბატონებული ეკონომიკური კანონები და კანონზომიერებანი.

გარდამავალ ეკონომიკაში ადგილი აქვს ძველი ინსტიტუციური სისტემის დაშლას, რომლის ერთი ნაწილი ტრანსფორმირდება კორპორაციულ-ბიუროკრატიულ სტრუქტურებად („სახელმწიფო სოციალიზმი" ტრანსფორმირდება „ნომენკლატურულ-ბიუროკრატიულ კაპიტალიზმად"), ხოლო მეორე ნაწილი კი ექვემდებარება დემოკრატიზაციის პროცესს.

ბაზარი, მართალია, ეკონომიკის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა, მაგრამ ამასთანავე იგი თავად საჭიროებს ინსტიტუციურ გაფორმებას. ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი და ევოლუციური პროცესია, რომელშიც ერთმანეთთანაა შერწყმული როგორც სტიქიური მომენტები, ისე სუბიექტის მიზანსწრაფული მოქმედების აუცილებლობა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. მ. ბიუკენენი აღნიშნავს: „ეკონომიკა წააგავს თამაშს გარკვეული წესების დაცვით. მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტილება მიიღება კანონებით ზუსტად განსაზღვრულ ჩარჩოებში [1, 32]. სწორედ „თამაშის წესების" დამცველი სტრუქტურებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა წარმოქმნის ეკონომიკის ინსტიტუციურ სტრუქტურას. ეკონომიკის ყოველ ისტორიულად განსაზღვრულ ტიპს ადეკვატური ინსტიტუციური სტრუქტურა ახასიათებს. „ინსტიტუტებში" იგულისხმება იმ თავისებური „თამაშის წესების" ნებელობითი, ორგანიზაციული და ტრადიციული გაფორმების მექანიზმების სისტემა, რომლებიც ახორციელებენ ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის სტრუქტურიზებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინსტიტუტები წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური (უფრო ფართოდ კი საზოგადოებრივი) ურთიერთობების სუბიექტთა გაუცხოებულ გარეგან (ბიუროკრატიულ), ნივთობრივ, ტრადიციულ ფორმებს" — წერს რუსი ეკონომისტი ა. ვ. ბუზგილინი [2, 379].

საბაზრო ეკონომიკისათვის ადეკვატური ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნის ძირითად მიმართულებას გარდამავალი ეკონომიკის ჩარჩოებში წარმოადგენს მეწარმეობისათვის (ბიზნესისათვის) ხელსაყრელი გარემოს ფორმირება. გარემო და მეწარმეობა (ბიზნესი) საბაზრო ეკონომიკის ორი სხვადასხვა მხარეა, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ერთმანეთზე, ასტიმულირებენ ერთმანეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებას. მეწარმე ზემოქმედებს რა გარემოზე, რომელიც მისი საქმიანი აქტიურობის ობიექტს წარმოადგენს, ამით აყალიბებს მას. ეს ზემოქმედება ხორციელდება ობიექტურ ეკონომიკურ რეალობაში წარმოშობილი (ჩასახული) ტენდენციების რეალიზების კონტექსტში და თუ იგი ამ კონტექსტიდანაა ამოვარდნილი, მაშინ მისი (ე. ი. მეწარმის) ნებისმიერი წამოწყება ჩასაფუშადაა განწირული. მეწარმეობის ეკონომიკური გარემო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოს შემადგენელი ნაწილია. ამერიკელი მკვლევარი ა. ჰოსკინგი გამოჰყოფს მეწარმეობის გარემოს შვიდ ელემენტს. ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაცია, სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ-კულტურული გარემო, ტექნოლოგიური გარემო, ფიზიკური ანუ გეოგრაფიული გარემო და ინსტიტუციურ-ორგანიზაციული გარემო [3, 73].

თანამედროვე პირობებში ახალი ინსტიტუტები, რომლებიც წარმოიშობიან საბაზრო ეკონომიკის (უწინარეს ყოვლისა, მისი სამეწარმო სეგმენტის) სფეროში, ძლიერ ზეწოლას განიცდიან სახელმწიფო ბიუროკრატიზებული სტრუქტურების მხრიდან. ამიტომ უპირველეს ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ამგვარი ზემოქმედების მაქსიმალური შეზღუდვა, რასაც ზოგადი აზრით, სახელმწიფო აპარატის დებიუროკრატიზაცია განაპირობებს.

საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას გააჩნია დეცენტრალიზებული ხასიათი და ეს განპირობებულია თავად ამ ტიპის ეკონომიკის ატომისტური აგებულებით. აქ არ არსებობს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე რაღაც გარედან განხორციელებული საერთო კონტროლი. შესაბამისად, არ არსებობენ მაკონტროლებელი სტრუქტურები. ყოველი სამეურნეო სუბიექტი საბაზრო ეკონომიკაში თავადვე წყვეტს რა აწარმოოს, როგორ და რა მოიხმაროს. „აპრიორი" არავინ ფიქრობს ისეთ კატეგორიაზე, როგორიცაა „საზოგადოებრივი სარგებლიანობა" და ყველას საკუთარი კერძო ინტერესი ამოძრავებს, საბაზრო ეკონომიკის სისტემის წინაშე არ დგას რაიმე საერთო უზენაესი მიზანი და საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილეს საკუთარი ლოკალური მიზნები ამოძრავებთ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტები კოორდინაციაში (და არა სუბორდინაციაში) მყოფი ეკონომიკური ურთიერთობების (კავშირების) ორგანიზაციული გაფორმებაა. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური სტრუქტურა ელემენტთა ფართო სპექტრს მოიცავს. კომერციულ ბანკებს; საფინანსო ინსტიტუტებს; სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულების (მაგ. საპენსიო, სადაზღვევო, მცირე ბიზნესის წახალისების და ა. შ.) ფონდებს; საკონსულტაციო მარკეტინგულ, სააუდიტო, ლიზინგურ ფორმებს, ბირჟებს, სააქციო საზოგადოებებს, ინჟინერინგს, ფრანჩაიზინგს, ფაქტორინგს, ვენჩურულ ფირმებს და ა. შ.

ფართო გაგებით ინსტიტუციური სისტემის შემადგენელი ნაწილია სამართლებრივი ინსტიტუტები. თანამედროვე პირობებში საქართველოში ამ უკანასკნელთა განვითარების კანონზომიერებანი განხილული უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკაზე, დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობის კონტექსტში. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების თავისუფლების დაცვა და მისი როგორც მოქალაქის უფლებამოვალეობათა რეალიზება. თუ რა ორიენტაციით უნდა წარიმართოს საქართველოში ახალი საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება — ეს მწვავე დისკუსიის საგანია სპეციალისტთა შორის. ზოგიერთი იურისტი და პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ უპრიანი იქნებოდა ამერიკული სამართლის ინსტიტუტის გადმოღება, სადაც მთავარ როლს მოსამართლე ასრულებს და სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს. ზოგიერთი კი თვლის, რომ საქართველოსათვის უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაღებია გერმანული სამართლის ინსტიტუტი, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაწერილ სამართალს, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მოქალაქის უფლება-მოვალეობას. ამგვარ დისკუსიაში ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ჩავერევით და არც გაგვაჩნია სათანადო კომპეტენცია. ამიტომ აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ საქართველოში ამჟამად ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი უზრუნველყოფა ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე, რაც მეტად ართულებს რეფორმირების პროცესს და წარმოშობს დიდ დანაკარგებს. ასე მაგალითად, არ არსებობს იურიდიული კანონები და აქტები საბაზრო ეკონომიკის ისეთ საკვანძო ელემენტებთან მიმართებაში, როგორიცაა: სააუდიტო საქმიანობა, საინვესტიციო ინსტიტუტების ფუნქციონირება, მცირე მეწარმეობისათვის (ბიზნესისათვის) მხარდაჭერა, ქონების გირავნობა და ა. შ. ამ კონტექსტში მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ „ჩვენ კანონები გვჭირდება. კანონები, რომლებიც იმუშავებენ და გაცნობიერდება საზოგადოებისა და ადამიანის გენეტიკაში... ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან უნდა განისაზღვროს საზოგადოებაში ცხოვრებისა და მუშაობის ნორმები“ [4].

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირება ობიექტური აუცილებლობაა. ამის შესახებ თავის დროზე ჯერ კიდევ ა. სმითი მიუთითებდა. სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების პრინციპში იგი გულისხმობდა თავისუფლებას კანონიერების ჩარჩოებში და სწორედ ამიტომ კანონის უზენაესობის დაცვას სახელმწიფო ვალდებულებად მიიჩნევდა. დასავლეთში ფართო წრის ლიტერატურა არსებობს, რომელიც ახასიათებს საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის რთული ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტებს [5, 6, 7]. ამ ლიტერატურის განხილვის საფუძველზე შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამართლებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენთან საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პერსპექტივის თვალსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ კანონმდებლობით უნდა უზრუნველყოს კერძო ქონებრივი უფლებების მტკიცე დაცვა. სამართალი, ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ფ. ა. ფონ ჰაიეკის განმარტებით, წარმოადგენს იმ აბსტრაქტული ნორმების ერთობლიობას, რომელიც ყოველთვის ზუსტად განსაზღვრავს იმას, თუ კონკრეტული საგანი (ნივთი) რომელი კონკრეტული ინდივიდის განკარგვაშია, ანუ განსაზღვრავს თავად საკუთრების უფლებას. „სადაც არ არის საკუთრება, იქ არ არის სამართალი“ — დასძენს იგი [8, 61]. საკუთრების დაცვა გულისხმობს სამართლებრივი ნორმატივებით იმ არეალის შემოსაზღვრას („სამართლებრივი სივრცის“ განსაზღვრას), რომელთა შიგნით ინდივიდებს შეუძლიათ თავისუფალი მოქმედება და გამორიცხულია ამ სფეროში გარედან რაიმე ჩარევა, ყოველი ინდივიდი, რომელიც „სამართლებრივ სივრცეში“ მოქმედებს, თავად აგებს პასუხს თავისი საქმიანობის შედეგებზე. ასე მაგალითად, მეწარმე, რომელიც იმთავითვე მესაკუთრეცაა, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა აწარმოოს, წარმოების რა ფაქტორები გამოიყენოს და მათი როგორი კომბინაცია განახორციელოს, ვისთან დაამყაროს სამეურნეო კავშირები და ა. შ. ყოველივე ამას შედეგად უნდა მოჰყვეს ფირმის მიერ მოგების მიღება. თუ ფირმები მიიღებენ არაოპტიმალურ გადაწყვეტილებას, ისინი ზარალში ჩავარდებიან და ადვილი შესაძლებელია — გაკოტრდნენ კიდეც. ამგვარად, სამართლებრივი სივრცე შეიძლება განხილულ იქნეს თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორია ამ თავისუფლების ხასიათი და ზომა? მაქსიმალური თავისუფლება ყველასათვის იმავდროულად ნიშნავს კანონით თითოეულის თავისუფლების (ინდივიდუალური თავისუფლების) თანაბრად შეზღუდვას, ა. ფერგიუსონს თავის დროზე გამოთქმული აქვს მოსაზრება: „თავისუფლება არ გულისხმობს ყოველგვარი შეზღუდვისაგან განთავისუფლებას, როგორც ეს ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს. იგი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს თავისუფალი საზოგადოების ყველა წევრის მიმართ სამართლიანი შეზღუდვის გამოყენებას". თავისუფლებაზე საღ წარმოდგენას ხშირად აბუნდოვნებს მოსაზრება, რომელსაც ვოლტერს მიაწერენ: „თავისუფლება არის ის, როცა ვაკეთებ იმას, რაც მსურს". ამ გამოთქმას ეხმიანება ი. ბენტამის — „ყველა კანონი ბოროტებაა" და ბ. რასელის „თავისუფლება არის ხელშემშლელ პირობათა არარსებობა ჩვენი სურვილების შესრულებაში" — მაქსიმები. ამ აზრით გაგებული თავისუფლება, ე. ი. შეუზღუდავი თავისუფლება ბუნებაში არ არსებობს და რომ არსებულიყო, ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ შეიზღუდებოდა ყველა „სხვისი" თავისუფლება. სწორედ ამიტომ საკითხი ვფიქრობთ, უნდა დაისვას ასეთ კონტექსტში: როგორ უზრუნველვყოთ მაქსიმალური თავისუფლება „ყველასთვის". ეს შესაძლებელია მხოლოდ „ყველას" თავისუფლების თანაბარი შეზღუდვით ერთიანი აბსტრაქტული წესებით (ნორმებით) — ე. ი. იურიდიული კანონებით, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის პირადი თავისუფლების სფეროში ნებისმიერ ჩარევას, ძალადობას პიროვნების მიმართ, ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციას. ხელისუფლება ვალდებულია ფხიზლად ადევნოს თვალი ამ კანონების დაცვას.

ამრიგად, თავისუფლება, პასუხისმგებლობასთან ერთად არის წესრიგი, ხოლო „თავისუფლებას პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე გადაგვარებამდე და ქაოსამდე მივყავართ" [9, 204].

როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ურთიერთობები თავიანთი ბუნებით წარმოადგენენ კოორდინაციის, ე. ი. საკონტრაქტო ანუ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში ამ ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვის უზრუნველყოფა ყველა მონაწილის მხრიდან. დემოკრატიულ საზოგადოებრივ სისტემაში, რომელიც საბაზრო ეკონომიკას ემყარება, ყოველი ხელშეკრულების უკან დგას დამოუკიდებელი, გავლენიანი და მიუკერძოებელი სასამართლო, რომელიც მკაცრ ეკონომიკურ სანქციებს მიმართავს კონტრაქტის დამრღვევი მხარის მიმართ. ნორმალურ საბაზრო ეკონომიკაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (დაუცველობა) ყოველთვის წამგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით დამრღვევი მხარისათვის. სახელმწიფო ასეთ შემთხვევაში არბიტრის როლში უნდა გამოვიდეს კონტრაგენტებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მაგრამ ამასთანავე, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიოს კერძო მესაკუთრეთა (მეწარმეთა) საქმიანობაში.

საკანონმდებლო სისტემამ უნდა განსაზღვროს ავრეთვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანსაღი კონკურენციის ჩარჩოები და პრინციპები. ურთიერთობის ნებისმიერ კონტრაგენტს, ბაზარზე გამოსულ გამყიდველსა და მყიდველს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ საქონელი გაყიდოს და იყიდოს იმ ფასად და იმ რაოდენობით, რასაც ისინი მიიჩნევენ მიზანშეწონილად. კანონის ძალით, ნებისმიერი დარგი თავისუფალი უნდა იყოს კაპიტალის დასაბანდებლად და ასევე კანონი უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნებისმიერი სუბიექტის (სტრუქტურის) აშკარა თუ ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ მისწრაფებას, მიმართულს ბაზრის რომელიმე სეგმენტის მონოპოლიზაციისაკენ, მათ მიერ ბაზარზე ახალი სუბიექტების შეღწევისადმი ბარიერების შექმნის მცდელობებს. სწორედ ამ აზრით ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა საბაზრო ეკონომიკისათვის ადეკვატური სამართლებრივი სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტად გვევლინება.

საბაზრო ეკონომიკის მარეგულირებელმა საკანონმდებლო სისტემამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების მიერ ინფორმაციის მიღება-გაცემის თავისუფლების მიღწევა და დაცვა. ეს მოთხოვნა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებითაა ნაკარნახევი. საბაზრო ეკონომიკაში შეზღუდული რესურსების განაწილება ხორციელდება თავისუფალი სამეურნეო აგენტების ურთიერთზემოქმედების პირობებში, რომელთაგან თითოეული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი მიზნის რეალიზებას ესწრაფვის და ორიენტაციას იღებს თავისუფალ ბაზარზე ფასწარმოქმნის მექანიზმზე. აქედან გამომდინარე, საბაზრო ფასი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია. ფასები ორიენტირს წარმოადგენენ არა მხოლოდ მთელი საბაზრო სისტემისათვის, არამედ მისი ცალკეული სუბიექტებისთვისაც და ამდენად ჩვენ აქ საქმე გვაქვს პარალელურ ინფორმაციებთან, რომლებიც ერთ ცენტრში კი არ იყრიან თავს, არამედ იქსაქსებიან და მიედინებიან ცალკეულ სუბიექტებთან. მიღებული ინფორმაცია თითოეული მათგანის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საფუძველია. მათი მოქმედების კოორდინაცია კი მიიღწევა მინიმალურად საკმარისი ინფორმაციის ურთიერთმიწოდების (გაცვლის) გზით.

საბაზრო ეკონომიკისათვის შესატყვისი საკანონმდებლო სისტემის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ზუსტი განსაზღვრა (დაფიქსირება) და მიღებული კანონების, სამართლებრივი აქტებისა და იურიდიული ნორმატივების სტაბილურობის დაცვა. სახელმწიფოს არ უნდა ექნეს შესაძლებლობა თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს კანონები. ამ უკანასკნელთა აღსრულება თანამიმდევრულად უნდა ხდებოდეს და მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს მიღებული კანონებისა და ნორმების ურყეობაში.

92576

კანონის სტაბილურობა და მათი მოქმედების სავალდებულო გავრცელება საზოგადოების ყველა წევრზე (ჯგუფზე, ფენაზე, კლასზე) წარმოქმნის ეკონომიკური კანონიერების ცნებას, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მხოლოდ ეკონომიკური კანონიერების ფარგლებშია შესაძლებელი ქონებრივი უფლების დაცვა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა.

დაბოლოს, დასკვნის სახით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტის შესახებ. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სტრუქტურა არ წარმოიშობა თავისთავად და სტიქიურად. მისი წარმოშობა ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფოს საქმიანობასთან აღნიშნულ სფეროებში. ამიტომ სახელმწიფოს როლი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში განიხილება ორ იპოსტასში როგორც მაკროეკონომიკური რეგულირების სუბიექტი და სისტემური გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი განმხორციელებელი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Э. МЕКВАБИШВИЛИ

К ВОПРОСУ СОЗДАНИЯ ИНСТИТУЦИОНАЛЬНО-ПРАВОВОЙ ИНФРАСТРУКТУРЫ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ

Резюме

Важное значение с точки зрения формирования рыночной экономики и обеспечения макроэкономической стабилизации приобретает выработка правильной институционально-правовой политики и ее претворение в жизнь. Основной задачей этой политики является создание благоприятной внешней среды для развития предпринимательства (бизнеса).

E. MEKVABISHVILI.

TOWARDS THE CREATION OF AN INSTITUTIONAL—LEGAL INFRASTRUCTURE OF MARKET ECONOMY

Summary

The development of a correct institutional-legal policy and its implementation are of major importance from the viewpoint of creating a market economy and ensuring macroeconomic stabilization. The creation of a favourable environment for the development of entrepreneurship (business) is the principal task of this policy.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

დ. ძ ნ ე ლ ა ძ ე

სოციალური დაცვა და დაზღვევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

1. სოციალური დაზღვევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

კარგად ორგანიზებულ საზოგადოებაში სოლიდარობის პირობებში ხორციელდება: პენსიონერების, ინვალიდების, მრავალშვილიანი ოჯახების, იმ პირთა, რომლებმაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ადრე დაკარგა შრომისუნარიანობა, ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა. ამაშია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთელი არსი.

სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში უნდა გაერთიანდეს პიროვნების ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წევრთა სოლიდარობის პრინციპები. ამისათვის ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი ძალისხმევა უნდა წარმართონ ცალკეული სოციალური ჯგუფების მხარდაჭერისაკენ, რომლებსაც უნარი შესწევთ შექმნან სოციალური დაზღვევის, ურთიერთდახმარებისა და დაცვის შესაბამისი სტრუქტურები, ასეთი ორგანიზაციები შეიძლება ჩამოყალიბდნენ, როგორც პროფესიული სტრუქტურების, ისე ადგილობრივი ორგანოების, სამეურნეო სტრუქტურების, კოოპერატივების, რელიგიური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებების სახით და სხვ.

სოციალური დაცვა, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშრომელებია, რომელთა ძირითად შემოსავალს ხელფასი წარმოადგენს და ამის გამო ისინი ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან და სახელმწიფო ხელისუფლების გარდა სხვა დასაყრდენი არა აქვთ. ამის გარდა ნებისმიერ სახელმწიფოში მეტ-ნაკლები რაოდენობით არიან შრომისუნარდაკარგული ან დაქვეითებული შრომისუნარიანი პირები, რომლებიც სახელმწიფოსაგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

საერთაშორისო გამოცდილებითა და პრაქტიკით უკვე შემუშავებულია მშრომელთა სოციალური დაცვის რიგი პრინციპები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ განვითარებულ ქვეყნებში. ამ პრინციპებიდან შეიძლება გამოიყოს უმნიშვნელოვანესი:

1. **სახელმწიფოსა და საზოგადოების სოციალური პასუხისმგებლობა.** პიროვნებისადმი კეთილი დამოკიდებულების, მისი ღირსების და უფლებების დაცვის, პროფესიის, სწავლისა და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, შრომისათვის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფის, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის და სხვა პრივილეგიების უზრუნველყოფა, რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლარაციის მოთხოვნებიდან გაერთიანებული ერების, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური პაქტებისა და სხვა სახის ნორმატიული დოკუმენტებით.

2. **შრომითი ურთიერთობის დარგში სოციალური სამართლიანობა.** შრომისა და შრომის დაცვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა შრომის უნარისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის მაღალი დონის უზრუნველყოფა, მშრომელთა სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;

3. **მომუშავეთა სოციალური და პროფესიული რისკებიდან საყოველთაო და აუცილებელი დაცვა.** ადამიანის სოციალური დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფა, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ორიენტირისა, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო ნორმებში და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში;

4. **სოციალური და პროფესიული რისკების მინიმალურად დასაშვები დონის ძიღწევა და შენარჩუნება.** ამ დარგში არსებული ინფორმაციის საჯაროობისა და თავისუფალი გავრცელების უზრუნველყოფა, რათა მიღწეულ იქნეს საზოგადოებაში სოციალური თანხმობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პირობები;

5. **სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფა,** რაც დაკავშირებულია სოციალური დაცვის არასახელმწიფოებრივი სისტემებისა და პროგრამების რეალიზაციასთან მათი დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის პირობებში;

6. **სოციალური დაცვის ყველა სუბიექტის დაინტერესება** დაცვის სხვადასხვა ფორმებისა და სისტემების ფორმირებისა და სრულყოფის მიმართულებით (სახელმწიფო, მწარმოებლები, სოციალური დაცვის ორგანოები და ამხანაგობები, მშრომელთა პროფორგანიზაციები და სხვ.);

7. **სოციალური დაცვის ყველა სუბიექტის სოლიდარობა** „სოციალური ხელშეკრულებების" საფუძველზე. იმ ფინანსური რესურსებისათვის, რომელიც განკუთვნილია სოციალური და პროფესიული რისკების კომპენსაციისათვის;

8. **მშრომელთა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლება შრომის დარგში,** რაც დაკავშირებულია პროფესიის არჩევასთან, პროფესიული განათლების მიღებასთან, სამუშაო ადგილის არჩევასთან, სხვადასხვა პროფასოციაციებსა და პროფესიულ კავშირებში მონაწილეობასთან საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით.

9. **მომუშავეთა პირადი პასუხისმგებლობა,** საკუთარი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის დაცვის, აგრეთვე პროფესიის და სამუშაო ადგილის არჩევის თვალსაზრისით პროფესიული და სოციალური რისკის გარკვეული დონის პირობებში.

10. **სოციალური დაცვის მრავალსაფეხურიანობა და ნაირფეროვნება,** რაც დაკავშირებულია ყველა მშრომელისათვის სახელმწიფო გარანტიებთან, მათ შორის ვიწრო უწყებრივი ღონისძიებებით, რომელიც დაკავშირებულია მშრომელთა ცალკეულ კატეგორიებთან და პროფესიულ ჯგუფებთან;

11. **სოციალური დაცვის მრავალსუბიექტიანობა.** სოციალური დაცვის სუბიექტებად უნდა გამოდიოდეს: სახელმწიფო (უწყებებისა და სამინისტროების საშუალებით), სამუშაოს გამცემები, პროფესიული ასოციაციები და გაერთიანებები (მათ შორის დაზღვევის ამხანაგობანი), მართვის რეგიონული ორგანოები;

12. **სოციალური დაცვის ღონისძიებათა მრავალსპექტრულობა და ნაირფეროვნება.** აქ იგულისხმება ყურადღებისა და მზრუნველობის ის ფართო წრე, რაც მოიცავს მომუშავეთა შრომისა და ანაზღაურების პირობებს, მათ პროფესიულ მომზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას, სამედიცინო მომსახურებას, შრომის უნარის დაკარგვის ან დაქვეითების კომპენსაციას და სარეაბილიტაციო მომსახურებას;

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული საბაზრო ურთიერთობის ლიბერალურ ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის სოციალური დაცვის პირობები მკვეთრად გაუარესდა. კერძოდ, ცუდად არიან დაცული მშრომელები ექსპლოატაციიდან სამუშაოს გამცემთა მხრიდან (ეს თანაბრად ეხება არა მარტო საბაზრო სტრუქტურებს, არამედ ჯერ კიდევ იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც ფუნქციონირებენ გარდამავალ პერიოდში). მშრომელთა უმრავლესობის შრომის ანაზღაურების დონე უკიდურესად დაბალია (უმეტეს შემთხვევაში — საცხოვრისი მინიმუმის დაბლა). დაბალია პენსიების, სტიპენდიებისა და სხვადასხვა სახის შემწეობის სიდიდე, რაც მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებს პენსიონერთა, სტუდენტთა და უმუშევართა არსებობისათვის, ხშირია შრომისათვის არანორმალური, ჯანმრთელობისათვის მავნე და სახიფათო პირობები, რაც იწვევს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის გაჯანსაღების სისტემის რღვევასა და დეფორმაციას. ასეთია დაახლოებით სოციალური პრობლემების მდგომარეობა და ამოცანები ჩვენს ქვეყანაში.

მოსახლეობის სოციალური დაცვის დარგში სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით დაგროვდა და იმ პრინციპების სრულად განხორციელებისათვის აუცილებელია სათანადო მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება და სახელმწიფო პოლიტიკის ორიენტაცია სრულიად ახალი ორიენტირებით, რომელიც პირველ რიგში უზრუნველყოფს შრომასა და სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციის დაძლევას. ამისათვის უპირველეს ყოვლისა მთლიანად უარყოფილ უნდა იქნეს საზოგადოების განვითარებაში სახელმწიფოს როლის მარქსისტული იდეოლოგია. სახელმწიფოს სოციალურ ფუნქციებში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს ადამიანის უფლებების დაცვამ, პიროვნების ეკონომიკურმა თავისუფლებამ და მოსახლეობის დაუცველი ფენების სოციალურმა დახმარებამ და გარანტიებმა.

სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაში უნდა გაძლიერდეს არა კონტროლისა და შეზღუდვების უფლებამოსილების გამკაცრებით, არამედ სახელმწიფოს მიერ ნორმატიული შემოქმედებითი მუშაობით და სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებით, რომლებიც მშრომელთა პროფესიული და სოციალური ჯგუფების თვითმმართველობას, ურთიერთდახმარებას და სოლიდარულ მხარდაჭერას ეყრდნობა. ასეთია: სოციალური დაზღვევის ამხანაგობანი, პროფესიული რისკიდან დამცავი ორგანიზაციები, თვითმმართველობის ადგილობრივი და რეგიონული შრომითი ორგანოები და სხვ.

ქვეყნის ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს სოციალური დაცვის ეროვნულ ცნებებს, საკუთარი ოჯახის სიმტკიცისა და კეთილდღეობის ინტერესებს, ახლობლისადმი დახმარებისა და სოლიდარობის გრძნობებს, ურთიერთმიმტევებლობის, შეწყნარებისა და პატიების ამაღლებულ ზნეობრივ გრძნობებს, ურთიერთკავშირისა და თანამეგობრობის, ანტისეპარატულ, ზოგადეროვნულ და პატრიოტულ თვისებებს. სანამ ამ მიმართულებით არ შექმნილა საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი ნორმატიული აქტები, ფართოდ უნდა დავეყრდნოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საბაზო კონვენციებს. ამ მიმართულებით სოციალური დაზღვევის განვითარებისათვის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა განხილულ უნდა იქნეს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის კონტექსტში, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს კოორდინირებული და მიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული მოქმედება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებისაკენ, სამართლიანი და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირებისაკენ, ფიზიოლოგიური მინიმუმის კალათაში შემავალ პროდუქტებზე ფასების კონტროლის ან მათი შეძენისათვის სათანადო სუბსიდიების გაცემის გზით. ეს ღონისძიებანი წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის არცთუ მნიშვნელოვანი პროგრესიც კი საგრძნობლად განამტკიცებს საგადამხდელო სისტემას, ადიდებს სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანების მოცულობას, ამცირებს უმუშევრობის დონეს, აფართოებს სოციალური დაცვის შესაძლებლობებს. სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარება თავის მხრივ დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და მშრომელთა სოციალურ მდგომარეობაზე შემოსავლების გადანაწილების ფუნქციის რეალიზაციის გზით, მოსახლეობის დანაზოგების ზრდითა და მყიდველობითი უნარიანობის ამაღლებით.

2. სოციალური დაზღვევა და სოციალური დახმარება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გამოიწვევს საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შეცვლას, რეალობად იქცევა სრულიად ახალი მოვლენები. მათ შორის ისეთი, როგორიცაა სოციალური რისკი — ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობის დაკარგვის გამო მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის წყაროს დაკარგვა.

სოციალური რისკის გამომწვევი მიზეზები ბევრია, მათი უმრავლესობა ობიექტურია და მასობრივ ხასიათს ატარებს, მათ შორის ძირითადია: უმუშევრობა, შრომის უნარის დაკარგვა სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების და სხვა, ბავშვის დაბადება და მისი მოვლა, მოხუცებულობა და ბოლოს — გარდაცვალება. ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური რისკის ნაირსახეობა წარმოადგენს სოციალური დაზღვევის ობიექტს. ამდენად, სოციალური დაზღვევის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაზღვეული მუშაკების უზრუნველყოფა სოციალური რისკის გამომწვევი რომელიმე შემთხვევის პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სოციალური დაცვის ეროვნული სისტემის საფუძველი ხდება პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი, რომ ყოველი ადამიანი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში და თუ როგორ მოაწყობს პირად და თავისი ოჯახის ცხოვრებას. ამრიგად, ცხოვრების თავისუფლება საკუთარი წარმოდგენით დაკავშირებულია ინდივიდუალური გადაწყვეტილების პასუხისმგებლობასთან და მისგან გამომდინარე, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ შედეგებთან. ამრიგად, გადაწყვეტილების მიღებაში პირადი თავისუფლება განაპირობებს პირად პასუხისმგებლობასაც.

ამავე დროს, ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურ რისკთან დაკავშირებული მოვლენები უშუალოდ არ არის დამოკიდებული ცალკეული პირის მოქმედებასთან, არამედ იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდება, მაგალითად, ტექნოლოგიური ხასიათის კატასტროფები, მოვლენები და სხვა ასეთი რისკების ბუნება განპირობებულია ტექნიკური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზების კომპლექსით. ამიტომ ასეთი რისკებისათვის პასუხისმგებლობა მთელმა საზოგადოებამ (სახელმწიფო, დამქირავებლები, შრომისუნარიანი მოსახლეობა და სხვ.) უნდა იკისროს, ხოლო რაც შეეხება პროფესიულ რისკებს, პასუხისმგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა უშუალოდ დამქირავებლებზე გადადის. ადამიანი საზოგადოებაში შრომობს არა მარტო თავისთვის და თავისთავად, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისათვისაც და მათთან ერთად. მართალია მოტივაციის მიხედვით ადამიანი პირველ რიგში თავისთვის და თავისი ოჯახისათვის შრომობს, აგრეთვე დამქირავებლისათვის, მთელი შრომითი კოლექტივისათვის და, საბოლოო ჯამში, მთელი საზოგადოებისათვის. ეს ეხება ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემას, განსაკუთრებით კი საბაზრო ეკონომიკას, სადაც შრომაზე უფლება გულისხმობს შრომის პროცესში მის დაცვაზე უფლებასაც. აქედან გამომდინარე, ინდივიდის პირადი პასუხისმგებლობის გარდა ცხოვრებისა და მატერიალური უზრუნველყოფის პროცესზე მოქმედებს სამეურნეო სტრუქტურების, დამქირავებლების, სახელმწიფოს და აგრეთვე საზოგადოების მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სოლიდარული პასუხისმგებლობაც. სოციალური დაცვის სფეროში ეს დებულება რეალიზებულია სოციალური დაზღვევის სხვადასხვა სისტემის პარალელური მოქმედებით: სოციალური დაცვის აუცილებელი (იძულებითი) და ნებაყოფლობითი ხასიათის სხვადასხვა ტიპები, კერძო და სახელმწიფოებრივი დაზღვევის სისტემები, სახელმწიფო დახმარების სისტემა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის რისკი დაკავშირებულია სამივე სუბიექტის, როგორც თვით მუშაკის, ასევე დამქირავებლის და სახელმწიფოს მოქმედებასთან. რისკის გარკვეული დონე დამოკიდებულია თვით მუშაკზე, რადგან მას აქვს გარკვეული კვალიფიკაცია, იგი ირჩევს როგორც სამუშაო ადგილს, ასევე პროფესიას და სხვ. დამქირავებლის (მეწარმის) რისკი კი დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებასა, რეალიზაციასა და მის გასაღებასთან, სახელმწიფო კი თავის მხრივ გარკვეულ რისკს ინაწილებს არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემისათვის და იმ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისათვის, რომელსაც იგი ატარებს.

უმუშევრობის დონე ერთმანეთთან აკავშირებს მუშაკის მიერ პროფესიის არჩევაში არაშორსმჭვრეტელობას ან მისი პროფესიული მომზადების დაბალ დონეს, წარმოების განვითარების არასწორ სტრატეგიასთან და სახელმწიფოს მიერ გატარებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ნაკლოვანებებთან. ამავე დროს, მუშაკის, დამქირავებლის და სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ სახის გადაწყვეტილების მიღებისას რისკის ხარისხის განაწილება პრაქტიკულად შეუძლებელია, რამდენადაც ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეული ზომით შეზღუდულია, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია, რომ გაწეული რისკისათვის პასუხისმგებლობა (დაზღვევა) განაწილდეს ყველა მონაწილეზე ერთდროულად.

სოციალური რისკის მიმართულებით აღნიშნული დახასიათებების ანალიზის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულებანი: სოციალური რისკი არის მუშაკისათვის მატერიალური სივიწროვისა და სიდუხჭირის მოსალოდნელი სიტუაცია შრომის უნარის დაკარგვის შედეგად შემოსავლის წყაროს გაქრობის გამო (მოხუცებულობა, პროფესიული ან საერთო დაავადების, უბედური შემთხვევების ან კიდევ საერთოდ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების შემცირება (უმუშევრობა) და სხვ.).

სოციალური რისკი შეიძლება გაიზომოს შემდეგ მაჩვენებლებში:

— სარისკო სიტუაციების დადგომის სიხშირე;

— შრომის უნარის დაკარგვის ან სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დაცემის გამო მატერიალური უზრუნველყოფის დონე;

— სარისკო სიტუაციების დადგომის დროს სოციალური გარანტიების დონე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სარისკო სიტუაციების ხანგრძლივობა, ე. ი. მისი დადგომის პერიოდიდან ცხოველმოქმედების პერიოდზე გადასვლამდე.

მაგალითად, სამედიცინო დაზღვევის დროს სოციალური რისკი იზომება დაზღვეულის სამედიცინო მომსახურების დანახარჯებით და შრომისუნარიანობის დაკარგვის პერიოდში შემოსავლის დანაკარგების ჯამით. ავადმყოფობა ამ შემთხვევაში განიხილება როგორც რისკის ფაქტორი. საერთოდ, რისკს აქვს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლები, რომელთა სრული გათვალისწინება იძლევა საშუალებას სწორად განვსაზღვროთ დაზღვევის ფორმები და მეთოდები. ამ სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ:

— მოსალოდნელი რისკის წინასწარი გამოვლინება და აღრიცხვა;

— ინდივიდუალური რისკისათვის კოლექტიური მატერიალური პასუხისმგებლობა.

თუ რისკის წინასწარი გამოვლენა და აღრიცხვა ახასიათებს დაზღვევის ტექნიკურ მხარეს, მაშინ რისკისათვის პასუხისმგებლობას და მისგან დაცვას აკონკრეტებს სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობანი, რომელიც საფუძვლად უდევს თვით დაზღვევას. ამასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას რიგი საკითხები, რომლებიც დაზუსტებას მოითხოვენ: მაგალითად, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სადაზღვევო შენატანების მოცულობა, როგორ უნდა განისაზღვროს და განაწილდეს სადაზღვევო დატვირთვა მომუშავეებს, დამქირავებლებსა და სახელმწიფოს შორის, საჭიროა თუ არა ეს დატვირთვა გადანაწილდეს სუბიექტებს შორის დიფერენცირებულად და სხვ.

სოციალური დაზღვევა პრინციპში წარმოადგენს სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ნორმების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს სოციალური რისკის ცალკეული სახეების კომპენსაციების და მინიმიზაციის ღონისძიებებს.

სოციალური რისკის ცალკეული სახეების მიხედვით დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით საწყისებზე, მაგრამ ზოგიერთ სახეზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულებითი ზემოქმედებაც, თუ ეს სათანადოდ ასახული იქნება სახელმწიფო კანონმდებლობაში. ამ შემთხვევაში დაზღვევას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე გარდამავალი ფორმაც, რომელსაც შეიძლება ეწოდოს პირობით-იძულებითი. სოციალური დაზღვევის რომელიმე სახე შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს სახელმწიფო დაზღვევის სისტემასთან, ხოლო თუ მას ადგილობრივი ორგანოები ახორციელებს, მაშინ საქმე მუნიციპალური დაზღვევის სისტემასთან გვექნება.

სოციალური დაზღვევის სახეები განსხვავდება მოქმედების წრისა და გავრცელების სფეროს მიხედვითაც. ადგილობრივი და კერძო დაზღვევა ვრცელდება ქვეყნის მხოლოდ გარკვეულ ნაწილში ან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით. საყოველთაო დაზღვევა კი ვრცელდება მთელი ქვეყნის მიხედვით და მოსახლეობის ძირითად მასას მოიცავს; საერთაშორისო დაზღვევა ხორციელდება რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ამ ქვეყნების გარკვეულ ტერიტორიებსა და მოსახლეობაზე.

ამრიგად, სოციალური დაზღვევის ცალკეული სახეების მიხედვით კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს: I. **სოციალური რისკის სახეების მიხედვით დაზღვევა:** ავადმყოფობის, წარმოებაში უბედური შემთხვევის, ინვალიდობის, მოხუცებულობის, ორსულობისა და მცირეწლოვანთა დედობა, გარდაცვალების გამო (ქვრივების და უდედმამოთა დაზღვევა, დაკრძალვის ხარჯები) და უმუშევრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. **დაზღვევის ორგანიზაციის ხასიათი:** ნებაყოფლობითი და აუცილებელი (იძულებითი); III. **დამზღვევი დაწესებულებების სახეები:** პროფესიული, მუნიციპალური, სახელმწიფო, საერთაშორისო.

ეკონომიკური და სოციალური პირობების გარდა, სოციალური დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია აღრიცხვის საიმედო სისტემა, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაციული ბაზა. თავისი შინაარსის მიხედვით სოციალური დაზღვევა გულისხმობს არა მარტო ფულად დახმარებასა და კომპენსაციებს, არამედ მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პროფილაქტიკური მომსახურების ფორმებს. სოციალურ დაცვას შრომის საერთაშორისო ბიურო მიაკუთვნებს: **სოციალურ დაზღვევას და სოციალურ დახმარებას.** პირველს მიეკუთვნება ისეთი დაფინანსება, რომელიც დამქირავებლებისა და მშრომელთა ხარჯზე ხორციელდება სახელმწიფოს გარკვეული მონაწილეობით. რომელიმე ფორმაში მონაწილეობა აუცილებელია. დაზღვევის თანხების გაცემა ხორციელდება სპეციალური ფონდებიდან, რომლებიც შენატანების საფუძველზე ყალიბდება. სადაზღვევო ფონდების გამოყენება შეიძლება კრედიტების გაცემისა და სხვა კომერციული დანიშნულებით მოგების მიღების მიზნით. სადაზღვევო შემწეობის გაცემა ხდება დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით. სოციალური დახმარება კი ხორციელდება: სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე. შემწეობის მიღება ხდება კანონმდებლობის საფუძველზე. შემწეობის გაცემის დროს მხედველობაში მიიღება შემოსავლები და საკუთრების მოცულობა. შემწეობის სიდიდეზე გავლენას არ ახდენს წინმავალ პერიოდში ხელფასის სიდიდე ან პიროვნების ცხოვრების დონე. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებაში უბედური შემთხვევის გამო შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში სადაზღვევო ხარჯების დაფინანსება ხდება მთლიანად დამქირავებლის მიერ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, როდესაც გარკვეული ზომით ამ ხარჯებს შესაძლოა სახელმწიფო ანაზღაურებდეს.

3. სოციალური დაზღვევის მოდელები

სოციალური დაცვისა და პირველ რიგში სოციალური დაზღვევის დარგში რეფორმების გატარება დაკავშირებულია არა მარტო იმ ნაკლოვანებებთან, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს ქვეყანაში, არამედ იმ გამოცდილებასთან, რომელიც ამ დარგში დაგროვდა მსოფლიო მასშტაბით. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავაანალიზოთ სოციალური დაზღვევის მოდელები განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში და შევუდაროთ იგი ჩვენს კონკრეტულ პირობებს, ამის საფუძველზე უნდა დამუშავდეს მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და იგი საფუძვლად დაუდოთ სოციალური დაზღვევის პროგრესული სისტემის ჩამოყალიბებას და მისი შემდგომი სრულყოფის პროცესს. ანალიზისათვის განვიხილოთ რამდენიმე პრინციპული მომენტი:

— ფინანსური უზრუნველყოფა და საფინანსო დატვირთვის განაწილება დაზღვევის ძირითადი სუბიექტების მიხედვით;

— „სოციალური რისკების“ სისტემის გამოყენების მიზანშეწონილობა;

— სოციალური დაზღვევის ორგანიზაციული ფორმების შერჩევა.

სოციალური დაზღვევის სახელმწიფოებრივი სისტემის შენარჩუნების ტენდენციას (რასაც ადგილი აქვს ჩვენს პირობებში) არავითარი ეკონომიკური საფუძველი არ აქვს, რადგან მესაკუთრისა და დამქირავებლის ფუნქციები უკვე თანდათანობით გადადის სოციალურ-შრომითი ურთიერთობის სუბიექტზე (მართალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სუსტად და ნაკლებორგანიზებულად, მაგრამ იგი შეეხო საზოგადოების აქტიურ და დინამიკურ ნაწილს და მომავალში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს). ახლა მთავარი პრობლემაა სოციალურ-შრომითი ურთიერთობის ყველა სუბიექტის ინტერესების შეთანხმება და ამისათვის ახალი ფორმებისა და მექანიზმების ძიება, რომლებიც შეესაბამება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესს. არსებითად საკითხი ეხება სოციალური დაზღვევისათვის ნამდვილი შინაარსის აღდგენას საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაკთა სოციალური დაცვის ძირითადი მექანიზმის სახით. სოციალური დაზღვევის ყველა მონაწილის თვითორგანიზაციის გზით სოციალური დაზღვევა შეიძლება იქცეს ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის ბაზად და სოციალური პარტნიორების ურთიერთშეთანხმებული დიალოგის საფუძვლად.

დაზღვევის პრინციპების თანამიმდევრული დაცვისა და მისთვის საფინანსო რესურსების ადეკვატური წყაროების უზრუნველყოფის მიზნით თანამედროვე პირობებში შეიძლება სოციალური დაზღვევის სამი მოდელი ჩამოყალიბდეს:

პირველი მოდელის პირობებში სადაზღვევო საწყისები შედარებით ნაკლებგანვითარებულია. სოციალური დახმარებისა და პენსიების სიდიდე რიგ მეორეხარისხოვან გარეშე ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაგალითად, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში დასაქმების დონეზე, სამსახურებრივ მდგომარეობაზე (პერსონალური პენსიებისათვის) და სხვ. საფინანსო რესურსების უკმარისობის დაფარვა დამფუძნებლების მიერ ხდება. ფინანსური კრიზისი არ ემუქრება ამა თუ იმ ორგანიზაციულ ფორმას მანამდე, სანამ დამფუძნებლები უარს იტყვიან აღებულ ვალდებულებებზე. ეს სისტემა იწვევს ადამიანთა მოტივაციური მექანიზმის დეფორმაციას, აჩვევს მათ იმ აზრთან, რომ სახელმწიფომ მათი დაზღვევის პროცესში პირადი მონაწილეობის მიუხედავად უნდა უზრუნველყოს მათი მომავალი, ე. ი. სახეზე გვაქვს სოციალურ კმაყოფაზე ყოფნის ფსიქოლოგია. ასეთმა სისტემამ შეიძლება უზრუნველყოს სოციალური დაცვის მხოლოდ დაბალი დონე და იარსებოს მხოლოდ უდეფიციტო ბიუჯეტის პირობებში. საბაზრო ეკონომიკისათვის კი (განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში) საერთოდ დამახასიათებელია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ მიმართულებით აღებული ვალდებულების შესრულებას.

მეორე მოდელი გამოირჩევა იმით, რომ დაზღვეულები და დამზღვევები ორივე მონაწილეობს სადაზღვევო შენატანებში, მაგრამ ანგარიშსწორება არ ითვალისწინებს სადაზღვევო მოვლენის, ე. ი. სოციალური **რისკის** დადგომის ალბათობის ხარისხს და დაზღვევა ფაქტობრივად მესამე პირის სასარგებლოდ ხორციელდება. ამასთან, საფინანსო რესურსების დაგროვება არაფრით არ არის დაკავშირებული ვალდებულების ზრდასთან. დაახლოებით ამ სახით არის ორგანიზებული მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფა ჩვენთან თანამედროვე ეტაპზე. ეს სისტემა მართალია სადაზღვევო შენატანების აკრეფას ეყრდნობა, მაგრამ ორიენტირებულია საპენსიო უზრუნველყოფის მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დაფარვაზე და არ ითვალისწინებს მომავალში მოსალოდნელ ხარჯებს ამ მიმართულებით, რაც იწვევს იმას, რომ საჭირო ფულადი სახსრების გამოძებნა ფაქტობრივად პენსიების მომატების შემდეგ ან კიდევ ახლო წარსულში ხორციელდება, რაც გარკვეულ ფინანსურ დაძაბულობას ქმნის. ანალოგიურად ხდება სხვადასხვა სახის სოციალური უზრუნველყოფის შემწეობების და დახმარებების გაცემაც.

მესამე მოდელი ძირითადად სოციალური რისკებიდან გამომდინარეობს. დაგროვილი თანხების სიდიდე დროის ყოველ კონკრეტულ მომენტში შეესაბამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზღვევთა მიერ აღებულ ვალდებულებებს. ამდენად გასაცემმა თანხამ არ შეიძლება გადააჭარბოს იმ შეფარდებას, რაც დადგენილია შემოსული გადასახდელების მოცულობასთან. სოციალური რისკების დაზღვევის თეორია და ამის საფუძველზე დადგენილი სადაზღვევო ტექნიკის წესი შესაძლებლობას იძლევა საკმაო სიზუსტით განისაზღვროს, თუ რომელი ერთდროული დახმარება ან პერიოდული ხასიათის შემწეობები იქნეს განხორციელებული. სოციალური დაზღვევის ეს მოდელი ჩვეულებრივ ითვალისწინებს სახსრების დეფიციტის გადაფარვის წესებს სარეზერვო ფონდების შექმნის გზით. სოციალური დაზღვევის ორგანიზაციის ეს ფორმა საკმარისად მოქნილია, კერძოდ, არ იქმნება რაიმე ტექნიკური ხასიათის სიძნელეები როგორც დაზღვევის რამდენიმე სახის გაერთიანების, ისე პირიქით, მათი დაყოფის დროს ამ სადაზღვევო ფონდიდან მონაწილეთა გასვლის ან კიდევ ახლებით შევსების დროს. მესამე მოდელი ყველაზე უკეთ ასახავს როგორც დაზღვეულის, ისე დამზღვევის ინტერესებს, რის გამოც იგი მომუშავეთა სოციალური დაცვის საიმედო და სტაბილურ მექანიზმს ქმნის, გამოირჩევა ფინანსური სიმტკიცით. შეიძლება მისი შემდგომი სრულყოფაც, მაგალითად მოხუცებულობის პენსიის პირადი (პერსონალური) ანგარიშების გახსნა, როდესაც ყოველმა დაზღვეულმა ზუსტად იცის, თუ რა თანხა დაგროვდა მის პირად ანგარიშზე და ყოველთვის დაინტერესებულია ამ თანხის გადიდებით, რადგან წინასწარ იცის, რომ იგი მის მომავალს მოხმარდება. დაზღვევის ეს სისტემა გაათავისუფლებს დაზღვეულებს სახელმწიფოს იმ უსაზღვრო შესაძლებლობის ილუზიიდან, რომელსაც პირველი ან მეორე მოდელი გულისხმობს. საბოლოოდ მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ „უფასო" სოციალური მომსახურება და სოციალური დაცვა ბუნებაში არ არსებობს და მისი დაფინანსებისათვის სათანადო ფულადი სახსრები ვინმემ წინასწარ უნდა გადაიხადოს. ამ პრინციპული ჭეშმარიტების დაუზუსტებლობის გამო ბევრი სიძნელე წარმოიშობა სოციალური დაცვის სფეროში და მთავრობის მიერ დასახული ბევრი პროგრამა არასრულყოფილი ფინანსური უზრუნველყოფის გამო პრაქტიკულად არ სრულდება.

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: სხვა თანაბარ პირობებში რაც უფრო მეტია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებული შრომით ცხოვრობს, მით უფრო მეტია სოციალური დაზღვევისათვის შემოსავლები, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხელფასების დონე. გარკვეულ როლს ასრულებს ეროვნული და კულტურული თავისებურებანი, ბუნებრივ-კლიმატური და ეკოლოგიური პირობები. მაგრამ სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნისა და ნორმალურად ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ზუსტად გაანგარიშებული სადაზღვევო შენატანების სისტემატური და მოწესრიგებული გადახდა.

სოციალური დაზღვევა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითადი და განმსაზღვრელი ელემენტია, იგი მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის ძირითად და სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებს, მეორე ელემენტია სოციალური დახმარება, რომელიც სოციალურ დაზღვევასთან შედარებით უფრო დამხმარე როლს ასრულებს სოციალური დაცვის სისტემაში, მისი გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ სოციალური დაზღვევის სისტემა ყველა ფუნქციას ვერ ასრულებს.

სოციალური დაზღვევა, სოციალური დაცვის განსაკუთრებული ორგანიზაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ-სამართლებრივი ფორმაა განვითარებულ ქვეყნებში და გამოიყენება ფულადი სახსრების აკუმულაციისათვის, როგორც ავტონომიური და დამოუკიდებელი მექანიზმი. ამ სახსრების გამოყენება მიზნობრივ ხასიათს ატარებს და ძირითადად განკუთვნილია საპენსიო უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ისეთი ფუნქციების რეალიზაციისათვის, როგორიცაა სოციალურ-გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო მომსახურება, პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი, შრომის დაცვისა და ჰუმანიზაციის ღონისძიებანი და სხვ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან მოქმედი სოციალური დაზღვევის საფინანსო მექანიზმი არ გულისხმობს გადამხდელთა ინტერესებს, ისინი საერთოდ ჩამოცილებულნი არიან სადაზღვევო ფონდების მართვის პროცესიდან. სადაზღვევო გადასახდელების სიდიდე უშუალოდ არ უკავშირდება პროფესიულ და სოციალურ რისკებს, აგრეთვე იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებსაც უნდა ფლობდნენ როგორც დაზღვეულები, ისე მათი დამზღვევები. სოციალური დაზღვევის სისტემაში კვლავ შენარჩუნებულია სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის სტანდარტები, რომელიც იწვევს მშრომელთა ცალკეული ფენების დისკრიმინაციას. უფრო მეტიც, სოციალური დაცვის სხვადასხვა ნორმები უშუალოდ დაკავშირებული არ არის შესაბამის ფონდებში გადასახდელთა მოცულობასთან, მაგალითად, პროფესიულ (შეღავათიან) პენსიებთან, სანიტარიულ-სამედიცინო მომსახურებასთან, დროებით შრომისუნარდაკარგულთათვის დახმარების სიდიდესთან და სხვ. ამის შედეგად სოციალური დაზღვევისათვის შენატანების თანაბარ პირობებში, მომუშავეთა ზოგიერთი კატეგორიის სოციალური დაზღვევის დონე მნიშვნელოვანი განსხვავებით ხორციელდება.

დაზღვევის სისტემის დეცენტრალიზაციას და ავტონომიური სისტემების ორგანიზაციულ საკითხებს ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა, არ არის მოწესრიგებული შრომის უნარის დაკარგვის დროს ფინანსური დახმარებისა და საერთოდ სოციალური მომსახურებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის ფორმირების პროცესი. ეს ძირითადად სამედიცინო მომსახურებას, უმუშევართა და იმ პირებისათვის დახმარების სამსახურებს ეხება, რომლებმაც წარმოების პროცესში მიღებული ტრავმების შედეგად დაკარგეს შრომის უნარი და სხვა. იმის გამო, რომ ჩვენთან ფაქტიურად არ არსებობს სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის სისტემები, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქვეყანაში სოციალური დაზღვევის მართვისა და რეგულირების სამართლებრივი მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. მოსახლეობის სოციალური დაცვის საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა საკმაოდ მოძველებულია, მაგრამ მათი შეცვლა და დაზუსტება ჯერ კიდევ არასაკმარისი ტემპებითა და მასშტაბებით ხდება. აღნიშნული ნაკლოვანებანი არა მარტო დასაზღვევი კონტინგენტის, არამედ სადაზღვევო ფონდში გადამხდელების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ხშირია შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო ფონდის გარკვეული ნაწილი გამოიყენება არადანიშნულების მიხედვით და სხვ. ეს და ბევრი სხვა ნაკლოვანების გასწორება გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს, მათი დაჩქარებით ხელს შევუწყობთ ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზებული და ეფექტიანი სისტემის ფორმირებას, ეს კი მნიშვნელოვნად აამაღლებს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და შრომის ნაყოფიერების დონეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Д. ДЗНЕЛАДЗЕ

СОЦИАЛЬНАЯ ЗАЩИТА И СТРАХОВАНИЕ В ПЕРИОД ПЕРЕХОДА НА РЫНОЧНУЮ ЭКОНОМИКУ

Резюме

На этапе экономических реформ Грузии результаты социальной политики показывают необходимость реформирования социальной сферы с учетом предлагаемых моделей социального страхования и социальной помощи населению.

D. DZNELADZE

SOCIAL SECURITY AND ENSURANCE IN THE PERIOD OF TRANSITION TO MARKET ECONOMY

Summary

The results of the social policy followed at the stage of economic reforms in Georgia point to the necessity of reforming the social sphere, with account of the proposed models of social insurance and social benefits for the population.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ე. ჩოხელი

ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სოციალური ორიენტაცია

საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმა მიმდინარეობს. ეროვნულმა დამოუკიდებლობამ, ერთიანი საკავშირო სახალხო სამეურნეო კომპლექსიდან გამოყოფამ, იგი ახალი პერსპექტივების წინაშე დააყენა. საქართველომ საყოველთაოდ უარყო ეკონომიკის განვითარების სოციალისტური მოდელი და დაიწყო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა.

დღეს, ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა მოდელის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ისტორიული პასუხისმგებლობის ამოცანას წარმოადგენს. მთავარია, საბაზრო გარემოს ფორმირების, ეკონომიკის განვითარების ტემპების, პროპორციების, საკუთრებითი ურთიერთობების, უშუალოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ახალი სოციალური ორგანიზაციის, ეროვნული ბაზრის, საფინანსო მეურნეობის, საინვესტიციო წყაროების ფორმირების პრინციპების სწორად განსაზღვრა. ამასთან, უზრუნველყოფა არა მარტო საქართველოს საკუთარი კეთილდღეობის, არამედ რაც შეიძლება მცირე პერიოდში სისტემური რეფორმის განხორციელება და ღირსეული წვლილის შეტანა ზოგადკაცობრიული იდეალების განვითარებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაგან მისიას ეროვნული ეკონომიკის, მოსახლეობის თვითგანვითარებისათვის სამეურნეო ცხოვრების განუწყვეტელი აღწარმოებისა და პროგრესის გზა უნდა წარმოადგენდეს, ხოლო საგარეო მისიას — საკაცობრიო ეკონომიკურ კულტურაში საკუთარი წვლილის მუდმივი გადიდება, მისი ტრადიციული დარგების ყოველმხრივი სრულყოფისა და უახლესი ტექნოლოგიის შექმნის საფუძველზე.

ამ მიზნების რეალიზაცია გარდამავალ პერიოდში მოითხოვს ეკონომიკური რეფორმების, ეკონომიკის ლიბერალიზაციის ღონისძიებების განსაზღვრას, რომელთა სწრაფი რეალიზაციით თუ გახდება შესაძლებელი არსებული ღრმა ეკონომიკური მოშლილობისა და კრიზისის რაც შეიძლება სწრაფი დაძლევა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება აუცილებელი ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნის გზით, ეკონომიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროების ენერგოუზრუნველყოფა საკუთარი ენერგოწარმოების გადიდების, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის დანერგვის გზით; ექსპორტ-იმპორტის წონასწორობის მიღწევა და სხვა.

ეკონომიკის ლიბერალიზაცია ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს, თუ არ მოხდა: კონკურენციის დაცვა და ხელშეწყობა, ფულადი ერთეულის სტაბილურობის უზრუნველყოფა; საკუთრების უფლების სამართლებრივი უზრუნველყოფა და დაცვა; მეწარმეობის სტიმულირება და თავისუფლება, მოხმარების ფასების თავისუფლება, საბაზრო მექანიზმის შეუზღუდავი ფუნქციონირება.

აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია ფასების ლიბერალიზაციას, რაც გულისხმობს ფასების კონტროლზე, პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის სისტემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სუბსიდიებზე უარის თქმას. არსებობს არგუმენტი, რომ თითქოს ფასების განთავისუფლებას ადრეულ ეტაპზე, კონკურენციის არარსებობის გამო, მოსდევს ფასების გაუმართლებელი ზრდა, ინფლაციის განვითარება.

პოლონეთისა და უნგრეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფასების ეტაპობრივი განთავისუფლება ყოველთვის ვერ აგვაცილებს ინფლაციას. ინფლაციის მკაცრი საფინანსო პოლიტიკის გატარება კი თითქმის შეუძლებელია სუბსიდიებზე უარის თქმისა და ფასების თავისუფლების გარეშე, გარდა ამისა, სანამ შენარჩუნებული იქნება მტკიცე ფასები, შეუძლებელია კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი წარმოების განვითარება, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, აუცილებელია საბაზრო და ფასწარმოქმნის მექანიზმის ფუნქციონირებისათვის.

ფასების ლიბერალიზაციით უნდა მოხდეს მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმის რეალური ამოქმედება და შესაბამისი მეთოდებით მაკროეკონომიკურ დონეზე ფასწარმოქმნის მართვადობის უზრუნველყოფა სათანადო ეკონომიკური და სტრუქტურული პირობების შექმნის კვალობაზე.

ამისათვის ფასების ლიბერალიზაცია უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით:

— მოიხსნას ფასების პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება ყველა სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე გარდა იმ სახეობისა (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, საბინაო კომუნალური მომსახურება, სამგზავრო ტრანსპორტი), რომელთა წარმოება და რეალიზაცია ბუნებრივად არის მონოპოლიზებული, ამ დარგებში ფასების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპობრივი) ლიბერალიზაცია განხორციელდეს კონკრეტული გარემოს შექმნის კვალობაზე.

— ფასების ეკონომიკურად გაუმართლებელი და უკონტროლო ზრდის, მონოპოლიურად მაღალი (დაბალი) ფასების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ფასწარმოქმნის მაკროეკონომიკური პირობების რეგულირება ეკონომიკური მეთოდებით — შესაბამისი საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო და საბაჟო პოლიტიკის გამოყენებით.

— ამ პირობების გათვალისწინებით მონოპოლისტ საწარმოებს უნდა მოეხსნათ ფასების სახელმწიფო რეგულირების ისეთი მეთოდები, როგორიც არის ზღვრული ფასების, რენტაბელობის ზღვრული დონეების დაწესება, შემოსავლების პროგრესირებადი დაბეგვრა და შეიცვალოს ამ საწარმოების პროდუქციაზე შემდგომი კონტროლი.

— აღმოიფხვრას ხელოვნურად დაბალი ფასების გამოყენების პრაქტიკა. აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო სახსრები წარიმართოს უშუალოდ მომხმარებელთა კომპენსაციებისთვის.

ფასების ლიბერალიზაციამ დასაბამი უნდა მისცეს ვალუტის კონვენტირებადობის განმტკიცებას და დაცვას.

ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო და კოლექტიური საკუთრების დამკვიდრებას და ხელშეწყობას, რადგან იგი წარმოადგენს მეწარმეობის შექმნისა და განვითარების აუცილებელ პირობას.

ძირითადი ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა ცალკეული მეწარმეების შეთანხმებული მოქმედება, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის იურიდიული საკანონმდებლო ბაზის შექმნას. მან უნდა დაიცვას თითოეული ადამიანის თავისუფლება, რადგან იგი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მთავარ ფიგურას, ის არის არა მარტო მწარმოებელი და გამყიდველი საქონლისა ან კონკურენტი, როგორც მიმწოდებელი და მყიდველი, რომელიც კონკურენციას აძლიერებს, არამედ ის უპირველესად არის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამოუკიდებელი, ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც საკუთარ ბედს თავის ხელში იღებს, თუკი მას ამის საშუალებას მისცემენ;

— სამუშაოს შემქმნელი, რომელიც თავისი მეწარმეობრივი იდეებით ქმნის სამუშაო ადგილებს.

ამისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

1. ხელშეკრულების თავისუფლება, ე. ი. ყველას უნდა ჰქონდეს მისი დადების უფლება და სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ არსებული მოთხოვნების შესრულებაში.

2. მეწარმეობის თავისუფლება, იგი ვერ განხორციელდება, თუ სახელმწიფო დაიტოვებს უფლებას, საწარმოს დაარსებისას შეამოწმოს არის თუ არა მოთხოვნა მასზე.

3. სამუშაო ადგილის შერჩევის თავისუფლება;

4. წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლება.

ამასთან, ეკონომიკის ლიბერალიზაცია წარმოუდგენელია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის გარეშე. საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს საქართველოს ღია ეკონომიკის ფორმირებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო ბაზარში მის შემდგომ ინტეგრაციას და მეურნეობის რადიკალურ სტრუქტურულ გარდაქმნას. მან უნდა დაამყაროს კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, შეინარჩუნოს ლიბერალური პირობები, რათა ამ ქვეყნების ბაზარი და ნედლეულის რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კაპიტალისათვის. ამისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია:

საექსპერტო საბაჟო ტარიფების თანამიმდევრული შემცირება და დიფერენცირებული საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების შემოღება ნაცვლად არსებული უნიფიცირებული ტარიფებისა;

— შიდა საბაზრო და მსოფლიო ფასების თანდათანობით დაახლოება;

— ექსპორტის ხელშეწყობა და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა;

— მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;

— ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა, დასავლეთის კაპიტალის მონაწილეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რადგან ჩვენი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით საჭიროებს მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებას, დასავლეთის მარკეტინგისა და მენეჯმენტის დანერგვას.

მართალია, სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის ხელი უნდა შეუწყოს საბაზრო ინფრანსტრუქტურის ჩამოყალიბებას, რეგულირების ელემენტების ნაკლებ გამოყენებას, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა მიაქციოს. მან, ერთი მხრივ, უნდა მიაღწიოს ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებას, მეორე მხრივ კი განახორციელოს მოსახლეობის სოციალური დაცვა, განსაზღვროს სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

განვითარებული ქვეყნების მსგავსად, სოციალურ პოლიტიკას წინ უნდა უძღოდეს ორი წინა პირობა: პირველი, მოსახლეობის თითოეულ სულზე მაღალი შემოსავლების მიღწევა; მეორე, შემოსავლების გადანაწილება სოციალურად ძლიერ და სუსტ ჯგუფებს შორის.

გარდა ზემოთქმულისა, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო დაკავებულია აგრეთვე კონიუნქტურული და დასაქმების პოლიტიკით. ასეთ ქვეყნებში სახელმწიფოს ამოცანებს შეადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შემოსავლების კორექტირება, თუკი შედეგი არასოციალურია (შემოსავლების პოლიტიკა);

2. კონკურენციის ხელშეწყობა და დაცვა (კონკურენციის პოლიტიკა);

3. შრომისა და დასაქმების მაღალი ხარისხის მიღწევა (კონიუნქტურული და დასაქმების პოლიტიკა).

თანამედროვე პირობებში, ჩვენთან, სოციალურ სფეროში მრავალი პრობლემა დგას, მათი დაძლევა გარკვეულ დროსა და გააზრებულ პოლიტიკას მოითხოვს.

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალურ სფეროში რთული ვითარებაა. მინიმალურად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნები სურსათზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, საკუთარი წარმოების მასშტაბების მნიშვნელოვანი შემცირებით და, მეორე მხრივ, შემოტანილ სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების განუხრელი ზრდით. პროდუქციაზე ფასების განუხრელმა ზრდამ, მოსახლეობის ხელფასის ზრდის ჩამორჩენამ, ცხოვრების დონე სულ უფრო დაბლა დასწია; წარმოების დაქვეითებამ და ინვესტიციების შეზღუდვამ წარმოშვა საქართველოსათვის მწვავე სოციალური პრობლემა — უმუშევრობა, დღეისათვის ოფიციალურად რეგისტრირებულია მილიონზე მეტი უმუშევარი, სინამდვილეში მათი რიცხვი გაცილებით მეტია, რადგან ადგილი აქვს ფარულ უმუშევრობას, რომელსაც ვხვდებით მრეწველობის და მშენებლობის ბევრ საწარმოში.

ზემოთ განხილული ყველა ფაქტორი მოითხოვს სოციალური სფეროს შემდგომ სრულყოფას. ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას. მათი ცალკეული პრიორიტეტებისა და ფორმების მიხედვით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

— შრომითი რესურსების დასაქმება და უმუშევართა სოციალური დაცვა. საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდა ბევრად იქნება დამოკიდებული შრომითი რესურსების დასაქმების დონის ამაღლებაზე, მათი სტრუქტურის სრულყოფასა და ეფექტიან გამოყენებაზე;

შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემის გადაჭრა უნდა განხორციელდეს სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების გზით. ამ მიზნით აუცილებელია: შრომის ბაზრის რეგულირების ეფექტიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმებაში კერძო სექტორის როლის ამაღლება; კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის სისტემის ძირეული გარდაქმნა. უმუშევრობის რეგულარული პროგნოზირება, დასაქმების თანამედროვე სამსახურებისა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

უმუშევართა სოციალური დაცვისა და შრომითი მოწყობის საკითხების გადაწყვეტისათვის: საკუთრების ყველა ფორმისა და საწარმოთა ტიპების მიხედვით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, ე. წ. თავისუფალი სამეწარმო ზონების შექმნა; შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების გაცემა, შეღავათიანი გადასახადების დაწესება; უმუშევართა კერძო მეწარმეობაში ჩაბმის მიზნით, უმუშევრებისათვის ხელფასის მინიმუმთან შემწეობის მიახლოება; უმუშევართა დახმარების ფონდის ფორმირების პროცესის სრულყოფისათვის ღონისძიებების გატარება; უმუშევართა სოციალური დაცვის ფონდის შევსება სოციალური დაზღვევის საერთო შენატანების ხარჯზე; დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების შესახებ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოსახლეობის შემოსავლების რეგულირება. მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებას საფუძვლად უნდა დაედოს მათი არაინფლაციური ზრდის აუცილებლობა, სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის მინიმალური გარანტიების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის უღარიბესი, სიღატაკის ზღვარს მიღმა დარჩენილი ფენებისათვის მინიმალური ხელფასისა და მინიმალური პენსიის დაწესების მეშვეობით, ე. წ. საარსებო მინიმუმის საფუძველზე. ამისათვის აუცილებელია:

მოსახლეობის შრომითი შემოსავლების გადიდებისათვის ეკონომიკური პირობების შექმნა, მათი წყაროების მრავალფეროვნება; მომუშავეთა ხელფასის რეგულირება არასაბიუჯეტო სექტორში საგადასახადო მექანიზმების მეშვეობით, ხოლო დაქირავებულ მუშებსა და დამქირავებლებს შორის ურთიერთობის განსაზღვრა დადებული შეთანხმების საფუძველზე; პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ერთდროული გადიდების შემთხვევაში, კომპენსაციების გაცემის მექანიზმის სრულყოფა, მისი დიფერენციაცია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კვალდაკვალ ხელფასის სიდიდის განსაზღვრა და მისი დიფერენციაცია შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, საშუალო ხელფასსა და შრომის ნაყოფიერების დონეთა შორის არსებული დისპროპორციების თანდათანობითი დაძლევა, მინიმალური ხელფასისა და სხვა სოციალური გადასახდელების დაკავშირება მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტთან.

— მომსახურების სფეროს გაფართოება და სრულყოფა, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგების ჩამოყალიბება და დანერგვა. დღევანდელ პირობებში, როცა გაუქმებულია ცენტრალიზებული წესით სასაქონლო რესურსების ფორმირება და განაწილება, ხოლო საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმი ჯერ ახლა იწყებს ამოქმედებას, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებას, რისთვისაც აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცება და ნედლეულისა და პროდუქციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა სამრეწველო საწარმოების ამოქმედებისათვის. სახელმწიფომ ფულად-საკრედიტო საშუალებები უნდა გამოყოს და მოახმაროს უპირველესად ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფას და მოსახლეობის სურსათის მომარაგებასთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საწარმოებში სამომხმარებლო საქონლის წარმოებას.

— საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს: მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის სრულყოფას, არსებული დემოგრაფიული სისტემის გაუმჯობესებას; განათლების სისტემის განვითარებას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის უზრუნველყოფას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებითა და კადრებით; მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციას და აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის შემოღებას ფასიანი ჯანმრთელობის დაცვაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით და სხვა.

ყველა ამ ღონისძიების გატარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. დღეს შექმნილი მდგომარეობა შედეგია ეკონომიკის მრავალათწლეული ცენტრალიზებული მართვისა და დირექტიული დაგეგმვისა. საქართველო ფაქტიურად იყო საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მისი ინტერესის შესაბამისი ადგილი და ფუნქცია ჰქონდა. საქართველოს სახალხო მეურნეობა ორიენტირებული იყო სხვა რესპუბლიკებისა და განსაკუთრებით რუსეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, იგნორირებული იყო მისი რეგიონული და ეროვნული ინტერესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ცენტრალიზებულად ახორციელებდა მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების არარაციონალურ განაწილებას. ადგილი ჰქონდა ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის საზიანო ინვესტიციურ და სტრუქტურულ პოლიტიკას, იგი ძირითადად მიმართული იყო ინდუსტრიული დარგების განვითარებისაკენ, სამხედრო სიძლიერისა და გლობალური ხასიათის პროგრამების რეალიზაციისაკენ, ხალხი და მათი ინტერესები ნაკლებ ყურადღებას იქცევდა, რის გამოც ცხოვრების დონე მრავალი სოციალური მაჩვენებლების მიხედვით წლების განმავლობაში უცვლელი იყო ან მცირდებოდა კიდეც. მსოფლიოში ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანა, სადაც სოციალური სფერო ისეთ დაბალ დონეზე იყოს, როგორც ჩვენთან.

ცენტრალიზებული მართვის დროს სახელმწიფო, როგორც წარმოების საშუალებების ერთადერთი მესაკუთრე, ახორციელებდა ეკონომიკურ დიქტატს, წარმოქმნიდა ძირითადად ვერტიკალურ და არსებითად გამორიცხავდა ჰორიზონტალურ ეკონომიკურ ურთიერთობებს. მწარმოებელთა გათიშვამ, მშრომელთა გაუცხოებამ წარმოების საშუალებებისაგან გამოიწვია წარმოების მუშაკთა ეკონომიკური აქტიურობის მკვეთრი დაცემა, შრომითი დემობილიზაციის საყოველთაო პროცესი და საქონლის წარმოების განვითარების დონის მნიშვნელოვანი შემცირება, რის გამოც დაიწყო ეკონომიკის რღვევის საყოველთაო პროცესი, ქვეყანა კრიზისმა მოიცვა, სახალხო მეურნეობა თითქმის უმართავი გახდა, მბრძანებლურმა სისტემამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ეკონომიკურმა კრიზისმა დასაბამი მისცა პოლიტიკურ კრიზისს. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა დაიწყეს ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნულმა დამოუკიდებლობამ შესაძლებლობა მისცა საქართველოს თვითონ შეერჩია ეკონომიკის შემდგომი განვითარების მოდელი, რაც აუცილებელია ეკონომიკის ლიბერალიზაციით დაიწყოს და ორიენტაცია აიღოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისკენ. ამრიგად, საქართველოს საბაზრო ეკონომიკის მოდელს, სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური ჰუმანიზმის პრინციპებისა და ქართული სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინებით, საზოგადოების ყველა ფენის, ჯგუფის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური საფუძველი უნდა ჰქონდეს. შერეული ეკონომიკის პირობებში, მრავალწყობიანი (საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დამყარებული), სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობების შექმნა უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის მომავალი.

Е. ЧОХЕЛИ

ЛИБЕРАЛИЗАЦИЯ И СОЦИАЛЬНАЯ ОРИЕНТАЦИЯ ЭКОНОМИКИ

Резюме

В период перехода на рыночные отношения в либерализации экономики Грузии основное место занимают: либерализация цен и внешнеэкономических отношений, установление частной и коллективной собственности. Одновременно особое внимание надо обратить на социальные проблемы.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

E. CHOKHELI

LIBERALIZATION AND SOCIAL ORIENTATION OF ECONOMICS

Summary

In the period of transition to market relations and the liberalization of Georgian economy priority is given to the liberalization of prices and foreign-economic relations and to the establishment of private and collective ownership. Simultaneously, special attention should be given to social problems.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ნ. ლაცაბიძე

დასაქმების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა რთულ პირობებში მიმდინარეობს. ამჟამად სახეზეა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, არამედ სისტემური კრიზისი, როცა კრიტიკულ მდგომარეობაშია ყოველი საზოგადოებრივი ქვესისტემა: ეკონომიკიდან და პოლიტიკიდან დაწყებული, იდეოლოგიით და მორალით დამთავრებული.

არსებულ ვითარებაშიც კი უაღრესად მწვავეა დასაქმების პრობლემა. მასში აისახება საზოგადოების თითოეული ქვესისტემის სოციალური შედეგები, რადგან შრომითი, შემოქმედებითი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების სისტემაწარმომქმნელი პროცესია. შრომითი საქმიანობა არა მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, არამედ სოციალურ ორგანიზმში აერთიანებს ცალკეულ ინდივიდებს და იმავდროულად კულტურის გადაცემის და მისი განვითარების აუცილებელი პირობაა. ამიტომაც დასაქმების (შრომის) პრობლემა, რომელიც შრომისადმი, შემოქმედებითი საქმიანობისადმი უინტერესობაში ვლინდება, მთელი საზოგადოებრივი სისტემის ღრმა კრიზისის დამადასტურებელია.

დასაქმების პრობლემის სიღრმისა და სპეციფიკის შეფასება ჩვენს ქვეყანაში შეიძლება იმით, თუ რამდენად შეუძლია შრომით საქმიანობას მომუშავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დღევანდელ პირობებში მოქალაქეთა ძირითადი მასისათვის შრომითი საქმიანობა არაა მათივე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ეფექტიანი საშუალება (მხედველობაში გვაქვს ფიზიკური და სოციალური არსებობა, ინტელექტუალური მოთხოვნილებები).

ადამიანის ფიზიკური არსებობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება საწარმოო და სოციალურ-ყოფითი პირობებით. ამ მოთხოვნილების რეალიზაციის ინტეგრალური მაჩვენებელი კი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაა. საქართველოში არსებული შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბარი დღესდღეობით საფუძველს მოკლებულია. ხელფასი ჩვენს პირობებში, საუკეთესო შემთხვევაში, უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მხოლოდ მარტივ კვლავწარმოებას. დასაქმებულთა დიდ ნაწილს (არაფერს ვამბობთ უმუშევრებზე) არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები რაციონალურად დასაბუთებული ნორმების მიხედვით. ოჯახთა დიდი ნაწილი ცხოვრობს „ხელფასიდან — ხელფასამდე" და ფულს ხარჯავს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელზე. გამოდის, რომ შრომითი საქმიანობა მომუშავეთა დიდ ნაწილს არათუ ფიზიკური არსებობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას არ აძლევს, არამედ უარყოფითად მოქმედებს მათსავე ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე.

შრომის არადამაკმაყოფილებელი პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების, ფაქტობრივად უხელფასოდ მუშაობის შედეგად (როცა ხელფასი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს კვლავწარმოებითი ფუნქციის რეალიზაციას) მივიღეთ სამუშაო ძალის გამოფიტვა (დაუძლურება). ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა შრომისუნარიან ასაკში მოსახლეობის მოკვდაობა. გამოფიტვა შეეხო გენოფონდსაც, რასაც მოწმობს დაავადებულ ბავშვთა დაბადების გადიდების შემთხვევები.

შრომითი საქმიანობის მეშვეობით დაკმაყოფილებული სოციალური არსებობის მოთხოვნილებები, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება იმის აუცილებლობას, რომ ადამიანი იყოს ამა თუ იმ გაერთიანებაში დასაქმებული და ჰქონდეს ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული სტატუსი.

შრომის მეშვეობით ბოლო პერიოდამდე ადამიანი გარკვეული შრომითი კოლექტივის წევრად ითვლებოდა, მაგრამ მასობრივი უმუშევრობის შედეგად ვერც ერთი სოციალური მოთხოვნილება ვერ ხორციელდება. ეკონომიკის სტრუქტურულმა დაუბალანსებლობამ განაპირობა სამომხმარებლო ბაზრის სიმწირე, დახარჯული შრომა არ იძლევა მისი ეკვივალენტური კეთილდღეობის მიღწევის დონეს. გარდა ამისა, უპასუხისმგებლობამ, უყაირათობამ, მძარცველობამ აზრი დაუკარგა აქტიურ შრომით საქმიანობას.

უკეთესი მდგომარეობა არც შრომით სტატუსთან მიმართებაშია, რომლის რეალიზაციაც განაწილებითი ურთიერთობების მეშვეობით ხდება. როგორც წესი, რაც უფრო შედეგიანია მომუშავის შრომა, მით უფრო მაღალია მისი შრომითი სტატუსი და, შესაბამისად, ანაზღაურებაც. რეალურად მოქმედი ხელფასის სისტემა კი იმგვარადაა აგებული, რომ ვერ უზრუნველყოფს მომუშავის შრომითი წვლილისა და შრომის სირთულის სათანადოდ გათვალისწინებას.

ინტელექტუალური მოთხოვნილებები, რომელთა რიცხვში შედის შემოქმედებითი შრომის მოთხოვნილება, წარმატებით რეალიზდება, თუ სამუშაომ მოითხოვა მასში აქტიურად ჩართვა, მისით გატაცება. ამასთან, აუცილებელია შრომის ორგანიზაციის ისეთი დონის და პირობების შექმნა, რომელიც მომუშავეს თავისი შესაძლებლობებისა და შინაგანი პოტენციის გამოვლენის საშუალებას მისცემს. ამის მიღწევა მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მანქანა-მოწყობილობების, შრომის ორგანიზაციის დაბალი დონის, არახელსაყრელი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისა და შრომისადმი გულგრილი დამოკიდებულების ვითარებაში, ცხადია, შეუძლებელი ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელ პირობებში საქმე გვაქვს ფიზიკურად დასუსტებულ ადამიანებთან. მათთვის დამახასიათებელია სოციალური დაღლილობის მაღალი დონე, დაბალი პროფესიონალიზმი, დეფორმირებული ზნეობა, გულგატეხილობა. ყოველივე ეს აძნელებს კრიზისიდან გამოსვლას. ანტიკრიზისულ პროგრამებში დასაქმების პრობლემის გადაჭრის ღონისძიებები მხოლოდ დეკლარირებულია, გათვალისწინებული არ არის მისი ყველა მხარე. პროგრამის შემდგენლები უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციაზე და მოსახლეობის დასაქმებაზე. ეკონომიკის გაძლიერებისათვის მათი მნიშვნელობის მიუხედავად, ისინი პირდაპირ და უშუალო ზემოქმედებას ვერ ახდენენ შრომითი საქმიანობის მოტივაციურ მექანიზმზე.

საკუთრების პრივატიზაცია სამუშაო ადგილებზე სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას ახდენს, რითაც ხელს უწყობს დასაქმების კრიზისის ძირითადი წანამძღვარის დაძლევას, მაგრამ წარმოების საშუალებების უბრალოდ ერთი მესაკუთრიდან მეორეს ხელში გადაცემა, მოქალაქეს ეფექტიანად მუშაობის სურვილს ვერ გაუღვიძებს. დღევანდელ პირობებში მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ყოველი მომუშავე გავხადოთ წარმოების საშუალებების მესაკუთრე, არამედ ის, რომ თითოეული მათგანი გახდეს თავისი სამუშაო ძალის რეალური მფლობელი, დაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესებული მის ეფექტიანად გამოყენებაში და სრულყოფაში. საზოგადოების ცნობიერებაში უნდა აღდგეს შრომასა და კეთილდღეობას შორის დაკარგული კავშირი. სწორედ ამის გაცნობიერება გადააქცევს შრომისადმი ადმინისტრაციული იძულებისაგან თავისუფალ ადამიანს თავისი სამუშაო ძალის რეალურ მფლობელად. ამ შემთხვევაში ჩნდება მაღალპროდუქტიული შრომის მოტივაციის ფორმირების შესაძლებლობა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ორი აუცილებელი წანამძღვრის გამოყოფა: მშრომელთა ნორმალური შრომისუნარიანობის აღდგენა და სოციალურ ფასეულობათა საერთო სტრუქტურაში შრომის ადგილის ამაღლება.

აღნიშნულ ამოცანათა მომენტალურად გადაწყვეტა შეუძლებელია. იგი მოითხოვს ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებას და მნიშვნელოვან სახსრებს ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი საზოგადოების აღსადგენად. ცხადია, რომ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას დიდი დრო დასჭირდება. ამასთან, დასაქმების კრიზისის დასაძლევად საჭიროა ყველა სოციალურ სუბიექტთან აქტიური თანამშრომლობა. სათანადო ეფექტს მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა ერთიანი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. ეს უკანასკნელი უნდა დაეფუძნოს მდგომარეობის გონივრულად შეფასებას და დასაქმების კრიზისის სპეციფიკური როლის გაცნობიერებას საზოგადოებრივი ურთიერთობების საერთო კრიზისში.

ქვეყნის შრომითი პოტენციალის ამჟამინდელი მდგომარეობის განმაპირობებელია სამუშაო ძალის დაბალი სოციალური და ეკონომიკური ფასი. შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილმა სახსრებმა უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ნორმალური შრომისუნარიანობის კვლავწარმოება, არამედ კვალიფიკაციის ამაღლება (გამოკვლევები მოწმობს, რომ თუ კვებაზე იხარჯება მომუშავის ბიუჯეტის 70%-ზე მეტი, მაშინ კვალიფიკაციის ამაღლება არ ხდება).

ეკონომიკის სტაბილიზაციას ავტორთა ნაწილი უკავშირებს წარმოების მოდერნიზაციას, მიაჩნიათ, რომ იგი ავტომატურად ცვლის შრომის პირობებს და აძლიერებს მატერიალურ დაინტერესებას. ეს მოსაზრება მისაღებად მიგვაჩნია ასეთი შესწორებით: წარმოების მოდერნიზაცია და შრომის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები გააძლიერებენ მხოლოდ იმ მომუშავეების მოტივაციას, რომლებიც მოწყვეტილნი არ არიან შრომით საქმიანობას. მაგრამ ჩვენ ხომ უპირატესად საქმე გვაქვს შრომისაგან გაუცხოებულ ადამიანებთან, რომელთათვისაც შრომის შინაარსიანობას და საზოგადოებრივ სარგებლიანობას რაიმე არსებითი ღირებულება არ გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, მათთან მუშაობა უნდა წარიმართოს იმის გათვალისწინებით, რომ აღდგეს შრომისადმი, როგორც ადამიანის უპირველესი სასიცოცხლო მოთხოვნილების და მისი განვითარების აუცილებელი პირობისადმი, დამოკიდებულების პრინციპი.

სახელმწიფოს პოლიტიკას შრომის სფეროში უნდა ჰქონდეს ორმხრივი მიმართულება:

— სახელმწიფომ უნდა დაიცვას იმ მომუშავეთა უფლებები, რომელთაც აქვთ მაღალი შრომითი უკუგებით მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა; დაეხმაროს იმ პირებს, რომლებსაც სამუშაოსა და შრომითი საქმიანობის სფეროს შეცვლის სურვილი აქვთ;

— მკაცრი კონტროლის საფუძველზე დაიცვას კანონმდებლობა (მართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით), აკრძალოს არაკანონიერი შემოსავლის ნებისმიერი ფორმით მიღება;

ამრიგად, დასაქმების პრობლემა რთული და მრავალმხრივი საკითხია, მისი გადაჭრისას თითოეული სოციალური ჯგუფი თავისი ინტერესების რაც შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულად რეალიზებას ცდილობს. ხშირად ეს ხდება არა მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესების საზიანოდაც. საზოგადოება კი მთლიანობაში ის სოციალური სუბიექტია, ვინც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული მაღალპროდუქტიული შრომის მოტივაციის ფორმირებით და განვითარებით. საზოგადოების ინტერესები უნდა დაიცვას სახელმწიფომ. მან უნდა შეიმუშაოს დასაქმების პრობლემის გადაჭრის კომპლექსური ღონისძიებები და დააწესოს კონტროლი მათ შესრულებაზე.

Н. ЛАЦАБИДЗЕ

ПРОБЛЕМА ЗАНЯТОСТИ И ПУТИ ЕЕ РЕШЕНИЯ

Резюме

При переходе от административно-командной системы к рыночным отношениям преодоление кризиса занятости—сложная и многогранная проблема, с которой сталкиваются различные социальные группы. Государство должно взять инициативу и организацию разработки коллективной программы преодоления кризиса занятости, контроль за ее реализацией.

N. LATSABIDZE

THE PROBLEM OF EMPLOYMENT AND WAYS OF SOLVING IT

Summary

In the transition from the administrative-command system to market relations the overcoming of the employment crisis is a complex and many-sided problem, faced by various social groups. The state must take the initiative in developing a collective programme of overcoming the employment crisis and in supervising its implementation.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

შ. ნათენაძე

ფასები საბაზრო სისტემაში

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკისაკენ მოძრაობა შედარებით მძიმე ტვირთია იმ ხალხებისათვის, რომლებმაც მეურნეობრიობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები უარყვეს და ეკონომიკური ფორმები აირჩიეს. ჩვენი ქვეყნისათვის ამ გზით მოძრაობას ჯერ კიდევ დადებითი შედეგები არ მოუტანია და თვით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და თავისებურებანი შედარებით გაურკვეველია.

ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ადამიანთა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რა ედო საფუძვლად ადამიანებს შორის პროდუქტების გაცვლას (ვაჭრობას). ის ბატალიები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში აწუხებდა და ამოძრავებდა კაცობრიობას, დღესაც არ დამცხრალა და კვლავ აქტუალურად ითვლება. კერძოდ, ფასები და ფასწარმოქმნა თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულებითა და მორალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ეკონომიკური კვლევის ეპიცენტრშია მოქცეული, ვინაიდან ფასები, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარის ამსახველი ეკონომიკური მაჩვენებელია, ხოლო ფასწარმოქმნაში კი ნათლად გამოსჭვივის თვით საზოგადოების ყოველმხრივი და განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების დონე. პირდაპირი მნიშვნელობით, ფასი არის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ასახვის ობიექტური მოვლენა, ფასწარმოქმნა კი — ამ უკანასკნელის სუბიექტური წარმოსახვის პროცესი.

გვაქვს რა ყოველივე ეს მხედველობაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ საკითხების კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული მეცნიერული დისკუსიები შედეგობრივად იმ საფეხურის შესაბამისია, რომელზეც იმყოფება საკვლევი ობიექტი ისტორიულად მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, მკვლევართა გარკვეული ნაწილი ვერ დაკმაყოფილდა საკუთარი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური (ყოფადობის) ზედაპირული ახსნა-განმარტებით და ამ ობიექტებს აანალიზებს. კერძოდ, ფასწარმოქმნის სფეროში უამრავი შრომაა, რომლებშიც მოცემულია აღნიშნული საკითხების მეტ-ნაკლები დონით დასაბუთების ცდები. ამასთან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ მიმართულებით თეორიული დასკვნები და სამოქმედო რეკომენდაციები ნაკლებად შეესაბამება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებიც იმდენად სწრაფად ცვალებადია, რომ მათი შესაბამისი დონით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ასეთ პირობებში თეორიული დასაბუთების მეცნიერული ღირსება იმდენადაა შედარებით ფასდებული, რამდენადაც ქვეყნის მატერიალური მდგომარეობა ჯერ კიდევ კრიზისული მარწუხებითაა შებოჭილი, რომელთა მსხვრევის პროცესიც არცთუ ისე შედეგიანია.

ფასწარმოქმნის საკითხების თეორიული დამუშავების მეცნიერული ღირსება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებულია აგრეთვე აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიების მიზანთან. მართალია, ამჟამად მსოფლიო მასშტაბით მეურნეობა სრული 180 გრადუსით საბაზრო ეკონომიკისაკენ შემობრუნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ალტერნატივა არ გააჩნია. სამწუხაროდ, საბჭოთა ქვეყანამ და მსოფლიო სოციალისტურმა სისტემამ ორთა ბრძოლაში ვერ შეძლეს მოძრაობის საკუთარი მიმართულებისადმი შესაფერისი გზების გამონახვა და მეურნეობის გეგმაზომიერმა მართვამ, როგორც ობიექტურის (გეგმაზომიერების) გასუბიექტებამ (მართვამ), სასიკვდილო მარცხი განიცადა (მისი მიზეზი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა უვიცობაში უნდა ვეძიოთ). რასაკვირველია, ყოველივე ამის ნიადაგზე ისტორიას ჩაბარდა ეკონომიკური მეცნიერების 70-წლიანი კვლევა-ძიების შედეგები თავიანთი ნაკლოვანი და დადებითი მხარეებით. რა თქმა უნდა, ასეთივე მარცხი განიცადა სოციალისტურმა ფასწარმოქმნამაც, რომელმაც თავისი უგერგილობის გამო თავი ვერ დააღწია კაპიტალისტური ფასწარმოქმნის ტყვეობას.

ფასწარმოქმნის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული კრიტიკის საგნად გადაიქცა ფასების ეკონომიკური საფუძველი — საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა გამოვლინების საკუთარი ფორმით — ღირებულებით. როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ამ მიმართულებით მოძრაობა მცდარია იმიტომ, რომ ფასების საფუძვლად საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის გამოცხადება მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების დამსახურებად არ შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული დებულება შესაბამისი დონით დასაბუთდა ჯერ კიდევ მარქსამდე ორასი წლით ადრე. მარქსმა იგი გააშალაშინა, დახვეწა და სისტემაში მოიყვანა. იმ უბრალო ფაქტმა, რომ ვ. პეტის აზრით შრომა საზღვრავს საქონლის ღირებულებას, დაადასტურა თვით შრომის საზოგადოებრივად სასარგებლო განზომილებით შეფასების აუცილებლობა, რომლის შესახებაც თეორიული დასკვნები და სარეკომენდაციო დებულებები თაობიდან თაობამდე მდიდრდებოდა და ღრმავდებოდა.

მიუხედავად ამისა, ღირებულების თეორიამ თავისი სრულყოფის არც ერთ ეტაპზე არ უარყო ფასწარმოქმნაში ისეთი ფაქტორების ჩართვა, რომლებიც მოქმედებენ წარმოების მიღმა (გარეთ). ეკონომისტთა გარკვეული ნაწილისათვის გაუგებრობა წარმოიშვა მხოლოდ იმის გამო, რომ ღირებულება, როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ზოგადი ფორმა, მხოლოდ წარმოების სფეროში მოქმედი ფაქტორების ამსახველი კატეგორიაა, ფასი კი, როგორც იგივე შრომის შედარებით კონკრეტული ფორმა-განსაზღვრულობა, ასახავს არა მარტო წარმოების შიგნით, არამედ მის გარეთ მოქმედ ფაქტორებს. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს, რომ ფასი ღირებულებასთან შედარებით უფრო მდიდარი, უფრო ფართო და უფრო სრულყოფილი კატეგორიაა.

სწორედ ფასსა და ღირებულებას შორის მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება იმის მიზეზია, რომ თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ორი, ბუნებრივად ერთიმეორესთან დაკავშირებული, ურთიერთგანპირობებადი და ურთიერთშეღწევადი მოვლენა ერთიმეორისაგან ისეა მოწყვეტილი, რომ თითქოს მათ შორის შინაგანად მოქმედი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არათუ არ მოქმედებს, არამედ საერთოდ არც არსებობს. ასეთი აზრის გავრცელება და მისი გარკვეული მიმართულებით გაღრმავება უგულებელყოფს ბუნებრივად არსებულ იმ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც ცხადდება, რომ ყოველი სახის პროდუქტი, როგორც სახმარი ღირებულება, არის მხოლოდ შრომის პროდუქტი. ეს უკანასკნელი (შრომა) კი ღირებულების ფორმირების აუცილებელი პირობაა, ამიტომ პოლიტეკონომიაში ცნობილია მხოლოდ ერთი ღირებულება — საქონლის ღირებულება. სამწუხაროდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდოლოგიური ასპექტი თანამედროვე ეკონომიკურმა მეცნიერებამ მიივიწყა და წინა პლანზე წამოსწია ფასებში იმ ფაქტორთა ასახვის აუცილებლობა, რომელთა მოქმედების არეც კვლავწარმოებითი პარამეტრებით არ განისაზღვრება.

ვსაუბრობთ რა საზოგადოებრივად აუცილებელ შრომაზე, როგორც ფასწარმოქმნის ეკონომიკურ საფუძველზე, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ კრიტიკული სიტუაციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და თავისებურებანი, რომელთა ზემოქმედებითაც საერთოდ შრომა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომად გარდაიქმნება. ეკონომიკური თეორიის ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი სახის გარდაქმნა მიიჩნია როგორც ერთხელ და სამუდამოდ ბოძებული, ამიტომ მას მხედველობიდან გამორჩა ის, რომ საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება და მასთან ერთად საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა მოძრაობის საკუთარი მიმართულებით შინაგანად გარდაქმნითი ძალებით წარიმართება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირება ისტორიულად შესაბამისი თავისებურებებით მიმდინარეობს, რომლის ნიადაგზეც თვით საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა სრულიად ახალი ნიშან-თვისებებით ივსება. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ ღირებულების ფორმები, როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმების საფეხურები.

ვაანალიზებთ რა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების ფორმირების პროცესს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ უკანასკნელის მექანიზმი საგრძნობლადაა მოწყვეტილი საკუთარ საფუძველს — საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას, ვინაიდან ფასებზე იმდენად მოქმედებენ წარმოების გარეთ არსებული ფაქტორები, რომ მათი მოცილება უკვე შეუძლებელია. აღნიშნული იმითაც რთულდება, რომ საბაზრო ეკონომიკა შინაგანად მოწოდებულია თანამიმდევრულად შექმნას დეფიციტური მდგომარეობა, ვინაიდან მიწოდებაში პროდუქტთა სიუხვე იწვევს ფასების დაცემას (და არა შემცირებას), დეფიციტი კი — მოთხოვნის (და არა მყიდველობითი უნარიანობის) ზრდას. თავისი მოძრაობის ისტორიაში საბაზრო ეკონომიკას არ ახსოვს ფასების თანამიმდევრული შემცირება. მისთვის დამახასიათებელია მხოლოდ მათი დროებითი სტაბილურობა და მუდმივი ზრდა, ვინაიდან მატერიალური წარმოება მტკიცედ დაეფუძნა ძვირადღირებულ ტექნოლოგიას, რომლის ათვისება და მწარმოებლურ მოძრაობაში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ მაღალკვალიფიციური მუშახელის გამოყენებით. ფასების შეუმცირებლობის ეს უტყუარი ფაქტორი თავისთავად შინაგანად უკვე გვევლინება როგორც თვით ფასების ფორმირების მატერიალური საფუძველი, რომელიც თავისებურად ზემოქმედებს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირების სპეციფიკაზე. ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ფასების შემცირების ტენდენცია პირობითია, ვინაიდან შემცირებას ექვემდებარება ფასები ისეთ პროდუქციაზე, რომლის სამომხმარებლო თვისებებიც არ (ან ნაკლებად) შეესაბამება მომხმარებლის მოთხოვნებს.

აქვს რა ყოველივე ეს მხედველობაში, ბურჟუაზიული სამყაროს ეკონომისტები ფასების შეუმცირებლობის მიზეზს ხედავენ არა ახალი დონით საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირებაში, არამედ თვით ფასებში, რომელთა ფორმირებაშიც მონაწილეობს მომხმარებელი საკუთარი მყიდველობითი უნარიანობით. ხოლო, როდესაც ანალიზი შედარებით ვიწრო ხასიათს იღებს (სამომხმარებლო სფერო), მსგავსი მოსაზრება იჩრდილება ან უშინაარსო ხდება. ვინაიდან მომხმარებლის მყიდველობითი უნარიანობა იმდენად დაბალია, რომ მოხმარების საგნების გაუსაღებლობა ეგრეთ წოდებულ სიუხვის ილუზიას ქმნის.

ვიზუალური დაკვირვებაც კი მიგვანიშნებს, რომ საქონელთა ყიდვა-გაყიდვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესში მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორია მწარმოებლის მიერ გაწეული ხარჯები, რომელთა ანაზღაურებაც ყოველი მეწარმის ნორმალური ფუნქციონირების საწინდარია. ცხადია, ამ პირობის უარყოფა ან უგულებელყოფა ართულებს და ამწვავებს სარეალიზაციო პროცესებს. რასაკვირველია, ამ მიმართულებით ფასების ფორმირება ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ თავად ფასები უშუალოდაა დაკავშირებული შრომით ხარჯებთან. სამწუხაროდ, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, 1990 წელს მსოფლიო მასშტაბით საწარმოო ხარჯების დონე პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით 2,3—2,5-ჯერ აღემატებოდა 1965 წლის დონეს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ფასების საერთო დონეზე, რომლის უპირველესი დანიშნულებაც არა მარტო ხარჯების აღდგენა, არამედ გარკვეული ოდენობით მოგების უზრუნველყოფაცაა. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელში ნათლად მოჩანს მეწარმეთა ფუნქციონირების მიზანი და მოტივი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა იმდენად გაჭიანურდა, რომ მისი სათანადო დონეზე თეორიული დასაბუთება და, შესაბამისად, პრაქტიკული გზების გამონახვა ჯერ კიდევ შეუღწევადი ბურუსითაა მოსილი. ამის გამო შეუძლებელია ფასწარმოქმნის შესახებ საკითხების მეცნიერულ დონეზე ანალიზი. მაგრამ ის უბრალო ფაქტი, რომ ჩვენთანაც ფასები უფრო მეტად წარმოების გარეთ მოქმედი ფაქტორებით იმოსება, ვიზუალური დაკვირვებითაც ნათლად ჩანს.

კერძოდ, თბილისის ბაზრები სავსეა სამომხმარებლო პროდუქტებით, რომელთა სამშობლოც დედამიწის თითქმის ყველა კუთხე და კუნჭულია. ის უბრალო ფაქტი, რომ ვაჭარს ფქვილის შემოტანა კანადიდან უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე რუსეთიდან ან თურქეთიდან, ამას დამატებითი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. პრაქტიკულად ბაზარი ანიველირებს ფქვილის ფასს და დაახლოებით თანაბარ ფასებში ჰყიდის სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილ ფქვილს. ამ შემთხვევაში ფქვილის ფასი განისაზღვრება შედარებით უარესი (მაღალი) ხარჯებით, რომლის აუცილებლობაც განაპირობა თვით ფქვილის დეფიციტმა.

როგორც ჩვენ გვესმის, ფასების წარმოების გარეთ მოქმედი ფაქტორებით გადატვირთვა (გაბერვა) მიმდინარეობს არა მარტო იმით, რომ შორეული კუთხეებიდან შემოგვაქვს ჩვენთვის საჭირო პროდუქტები, არამედ იმითაც, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია რეალიზაციის გარკვეულ სფეროებში მონოპოლიური სიტუაციების შექმნა, რომელთა ზემოქმედებითაც ფერხდება საზოგადოებრივი კვლავწარმოებითი პროცესების ნორმალური ფუნქციონირება. მართალია, სახელმწიფო ცდილობს ანტიმონოპოლიური კანონების ზემოქმედებით აღნიშნული სიტუაციები შეარბილოს, მაგრამ იგი უძლურია მსგავსი მოვლენები საერთოდ თავიდან აიცილოს. გარდა ამისა, მოსახლეობამ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით გამოსავალი ვაჭრობაში მონახა; იგი ერთ ადგილზე ყიდულობს და მეორე ადგილზე ჰყიდის სავაჭროდ ხელსაყრელ პროდუქტებს. ცხადია, ასეთ პირობებში საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირება არა მარტო სპეციფიკურია, არამედ განსაკუთრებულიცაა, ხოლო მისი ფორმირების პროცესი იმდენადაა მოწყვეტილი მატერიალურ წარმოებას, რომ შეუიარაღებელი თვალითაც იგი მხოლოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის კავშირ-ურთიერთობის შედეგად გვევლინება. სწორედ ვიზუალური დაკვირვების შედეგად ეკონომისტთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფასების დაწესების ეკონომიკური კანონზომიერება ჩადებულია არა საზოგადოებრივად აუცილებელ შრომაში, არამედ მომხმარებელთა და მიმწოდებელთა ურთიერთდამოკიდებულებაში. ე. ი. რამდენადაც მაღალია მომხმარებელთა მიერ მზა პროდუქციის შთანთქმის (ათვისების) მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიალური შესაძლებლობა, იმდენად მაღალია მეწარმეთა დაინტერესება მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი პროდუქციის წარმოებით.

ისტორიულად საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირების ეს განსაკუთრებულობა დამახასიათებელია ისეთი ეკონომიკისათვის, რომლის მომწიფების დონეც ჯერ კიდევ საწყის მდგომარეობაშია. მართალია, მსოფლიო ეკონომიკამ დიდი ხანია უკან მოიტოვა ეს მდგომარეობა, მაგრამ მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო თანაფარდობამ სულაც არ დაკარგა ფასწარმოქმნის პროცესზე ზემოქმედების საკუთარი შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რამდენადაც საქართველოს ეკონომიკის აღორძინების ეტაპი ჯერჯერობით გამოცოცხლების პროცესშია, იმდენად მის სისტემაში ფასების დაწესების წესი და ამიტომ ფასწარმოქმნა განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდება. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეთ სიტუაციაში ფასების ფორმირება მოწყვეტილია საზოგადოებრივად აუცილებელი შრომისაგან, ვინაიდან როგორც ფასების, ისე ამ უკანასკნელის ფორმირება პრაქტიკულად იდენტური პროცესია. მიუხედავად ამისა, ფასების ფორმირების დღევანდელი პროცესი დროისა და სივრცის შესაბამისად არ ემთხვევა ღირებულების ფორმირების პროცესს. ამის გამო ფასებისა და ღირებულების ფორმირების პროცესები ერთიმეორისაგან მოწყვეტილია, თუმცა ღირებულება მტკიცედ ზის ფასში როგორც ამ უკანასკნელის ეკონომიკური საფუძველი. მაგალითად, მედიკამენტებისა და სპირტიანი სასმელების ფასებში ღირებულება რაოდენობრივად თითქმის არ მოჩანს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პროდუქტების აქ დასახელებული სახეობები ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი საშუალებაა, მაშინ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის მთავარია არა ადამიანის ჯანმრთელობა როგორც ასეთი, არამედ მეწარმის მოგება, რომელიც მაშინ მიიღება, როდესაც ინდივიდუალურ ხარჯებთან შედარებით ფასები მნიშვნელოვნად მაღალია.

მაშასადამე, სიღრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფასების დაწესება მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით სრულიადაც არ უარყოფს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ირგვლივ ფასების მოძრაობას, ვინაიდან მსყიდველობით უნარიანობაში (ფულში) ბუნებრივადაა ჩაქსოვილი იმ შრომის საზოგადოებრივი სარგებლიანობა, რომელიც მომხმარებელმა გაიღო და რომელიც ფულში შემოსავლების სახით განივთდა. ე. ი. მზა პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის პროცესში ერთიმეორეს უპირისპირდება განივთებული (წარსული) შრომა საკუთარი შედეგებით და ფული, როგორც იგივე შრომის ღირებულებითი ფორმა. ქართული ეროვნული ფულის ხმარებაში გაშვებამ დაამტკიცა, რომ შრომის შედეგებით ყიდვა-გაყიდვის პროცესი უკვე მტკიცედაა დაფუძნებული საზოგადოებრივად აუცილებელ (სასარგებლო) შრომაზე. ლარი თავის თავში უკვე განასახიერებს ასეთ შრომას იმ რაოდენობით (ზომით), რომელიც თვით ლარის ნომინალური ღირებულებით განისაზღვრება.

როგორც წესი, საბაზრო ეკონომიკა ვერ ითვისებს შედარებით სტაბილურ ფასებს, ვინაიდან მისი სისტემის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები იმდენად სწრაფად ცვალებადია, რომ აუცილებელია მათი შესაბამისი დონით ფასებში ასახვა. კერძოდ, საბჭოეთისათვის უცნობი იყო შედარებით სწრაფი ტემპებით შემოსავლების (პირველ რიგში, ხელფასების) ზრდა. საქართველოს მასშტაბით კი ეს უკანასკნელი ისე სწრაფად იცვლება, რომ ფასებზე მათი შესაბამისი ზემოქმედება უკვე კანონზომიერებად გადაიქცა, ის სოციალური თვალსაზრისით საგანგაშოა, რადგან ფასები შედეგობრივად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოსავლები. ამიტომ „დაწევისა და გაქცევის" პოლიტიკა მუდმივმოქმედი და მუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივცვალებადი მოვლენაა, რომლის უარყოფაც საბაზრო ეკონომიკასა და სახელმწიფოს არ შეუძლიათ. უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფო არეგულირებს ფასების ისეთ დონეს, რომელიც არბილებს (მაგრამ ვერ ხსნის) საზოგადოების შიგნით უკვე არსებულ სოციალურ კონფლიქტებს. ეკონომიკაში ასეთი დონის ფასები ცნობილია როგორც ზღვრული ფასები. სამწუხაროდ, როგორც დასავლეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, მეწარმეთა უმრავლესობა თითქმის არ (ან სრულიად არ) სარგებლობს ამ ფასებით, ვინაიდან ზღვრული ფასების ხანგრძლივი მოქმედება უკვე კეტავს შედარებით პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას წარმოებაში. ეს კი, თავის მხრივ, ზღვრული ფასების მუდმივ ცვალებადობაზე (ოღონდ მზარდი მიმართულებით) მიგვანიშნებს.

მაშასადამე, საბაზრო სისტემაში ფასების სტაბილურობა პირობითია, ვინაიდან იგი უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების მოვლენებზე და განსაკუთრებით მქონებელთა შემოსავლებზე იმიტომ, რომ მქონებელსა და არმქონებელს შორის სოციალურად დასაშვები ზღვარი პრაქტიკულად ქრება. ცხადია, ეს პროცესი სრულიად (ან ნაკლებად) შეუსაბამოა მქონებელთა სურვილებთან, ვინაიდან იგი არ იძლევა მათი ქონების ხელშეუხებლობის საზოგადოებრივ გარანტიას.

ყოველივე ზემოთქმული მიგვანიშნებს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასების დაწესების პრაქტიკა არ უნდა გამორიცხავდეს და ნამდვილად ვერც გამორიცხავს საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას. მასშია ჩაქსოვილი თვით ფასების მოძრაობის ეკონომიკური კანონზომიერება, რომლის უშუალო ზემოქმედებითაც მიმდინარეობს არა მარტო ფასების (ზედაპირულად მოძრავი მოვლენის), არამედ თვით საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის (სიღრმისეულად არსებადი სუბსტანციის) ფორმირება. ამ უკანასკნელის სპეციფიკა და თავისებურებანი კი უშუალოდაა დაკავშირებული ისტორიულ პერიოდებთან. მაგალითად, ამჟამად საბაზრო ეკონომიკის წინა პლანზე წამოწევამ კი არ უარყო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირება, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ, არამედ მან განსაკუთრებულად ყურადღება გაამახვილა მისი ფორმირების იმ ფაქტორებზე, რომლებიც უფრო მეტად წარმოების მიღმა მოქმედებენ. ცხადია, ამ ფაქტორების გააქტიურება და ფასწარმოქმნაში მათი ფუნქციონირების თავისებურებათა გათვალისწინება სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ფორმირების შესახებ საკითხების გააზრებას, ვინაიდან ყოველი შემთხვევისათვის ფასების ყველაზე კონკრეტული ფორმა (ფული) გვევლინება როგორც მზა პროდუქციაზე დახარჯული შრომის საზოგადოებრივი საზომი.

Ш. НАТЕНАДЗЕ

ЦЕНЫ В РЫНОЧНОЙ СИСТЕМЕ

Резюме

В условиях рыночной экономики вопросы ценообразования рассматриваются в разрезе сопоставления спроса и предложения. При этом необходимо учитывать стоимостную основу самих цен, которая в системе рыночных связей служит в качестве выражения и оценки тех затрат, которые идут на производство и реализацию продукции. Обмен товарами посредством денег уже доказывает общественную обусловленность этих затрат, ибо в деньгах узаконена та мера рыночной оценки результатов затрат, которая считается формой выражения общественно необходимого труда в каждом конкретном случае купли и продажи.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SH. NATENADZE

PRICES IN THE MARKET SYSTEM

Summary

In conditions of market economy questions of price formation are considered in connection with a comparison of demand and supply. At the same time account should be taken of the value basis of the prices themselves which, in the system of market relations serves as the expression and estimation of the costs of the production and sale of commodities.Commodity exchange through money already proves the social determination of these costs, for money embodies the measure of the market evaluation of the results of expenditure which is considered to be the form of expression of the socially necessary labour in each concrete case of purchase and sale.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ა. სახვაძე

აბსოლუტური და შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის შესახებ, ანუ ხალხთმოსახლეობის შესახებ თეორიების ხელახალი გააზრებისათვის

სტატიის სათაურში გამოტანილი ეს ორი ცნება წარმოადგენს დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების ფუნდამენტურ კატეგორიებს. თავიანთი შემეცნებითი მნიშვნელობით ისინი ზოგადმეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებენ, რის გამოც სცილდებიან მხოლოდ დემოგრაფიისათვის განკუთვნილ ჩარჩოებს და მჭიდროდ უკავშირდებიან მსოფლმხედველობრივ, ანუ იდეოლოგიურ საკითხებსაც. ამის გამო, ეს ორი კატეგორია არის დემოგრაფიული მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი, რომელთა აღიარებაზეც არის დამოკიდებული ხალხთმოსახლეობის განვითარების შესახებ სწორი თეორიის შექმნა და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი შემადგენლობის პროგნოზირების საკითხების შესწავლა და მათი პრაქტიკული გამოყენება.

საბჭოთა კავშირის ზემოდან დაშლის შემდგომ ავტომატურად იქნა დემონტირებული მარქსისტული იდეოლოგია, მათ შორის, ხალხთმოსახლეობის განვითარების საკითხშიც.

ამასთან, ეს დემონტაჟი ფაქტობრივად მეცნიერული თეორიებისა და კონცეფციების უკრიტიკო ლანძღვის გზით წარიმართა.

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ იდეოლოგიამ (თუკი იგი მართლა უარსაყოფია), გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ არ გამოიწვიოს საზოგადოების განვითარების მაგისტრალური ხაზიდან გადახვევა, აუცილებელია აღნიშნული თეორიების მეცნიერულად არგუმენტირებული კრიტიკა (რაც, ვფიქრობთ, სრულებითაც არ ნიშნავს იმაზე უარის თქმას, რაც მათში მისაღები და რაციონალურია). ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების კონცეფციის საკითხთან დაკავშირებითაც, სადაც, სამწუხაროდ, ჯანსაღ მეცნიერულ ანალიზს ჯერ კიდევ პატრიოტულ ემოციებზე დამყარებული შეხედულებები სჭარბობენ.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის განვითარებასთან დაკავშირებულ, დღემდე ჩვენამდე მოღწეულ უამრავ შეხედულებათა შორის, მხოლოდ ორი — მარქსისა და მალთუსის — მოძღვრება იყო ძირითადი, რომლებზედაც ფაქტობრივად დაიყვანება ყველა სხვა დანარჩენი, მათ შორის თანამედროვე კონცეფციებიც.

დღემდე თ. მალთუსისა და კ. მარქსის ხალხთმოსახლეობის განვითარების თეორიები ანტაგონისტურად განწყობილი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის — მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თითქმის არავის მოსვლია აზრად, ამ თეორიების გაანალიზება ნეიტრალური, წმინდა მეცნიერული და არაკლასობრივი პოზიციებიდან და მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ურთიერთშევსებისა და მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი თეორიის ჩამოყალიბება. ჩვენი აზრით, ეს შესაძლებელი და საშური საქმეა, რადგან მათ შორის არსებულ „ანტაგონიზმს", უმეტესწილად ხელოვნური, წმინდა იდეოლოგიური და არამეცნიერული საფუძველი აქვს.

ამ სტატიის მიზანს არ შეადგენს ხსენებული თეორიების შედარებითი ანალიზი. მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ ამ ეტაპზე თუნდაც იმის ჩვენებით, რომ მარქსისა და მალთუსის თეორიები, თავიანთი შინაარსითა და მიზნებით არ არიან ანტაგონისტურნი, შესაძლებელია კვლევის გაღრმავება და მათში საერთო და რაციონალური იდეების გამოვლენა.

ჩვენი აზრით, ორივე თეორიის მიზანია საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილის, მშრომელთა ფენის, მდგომარეობის გაუმჯობესება. ის, რომ თავისთავად კ. მარქსი მთელი თავისი იდეოლოგიით პროლეტარიატის ინტერესების დამცველი იყო, ვფიქრობთ, უდავოა, მაგრამ შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ამ მხრივ თ. მალთუსის გამონათქვამი: „უნდა ვაღიაროთ, რომ პრაქტიკული მიზანი, რომელიც ძირითადად მხედველობაში ჰქონდა ავტორს, — როგორი შეცდომებიც არ უნდა დაეშვა მას, — მდგომარეობდა საზოგადოების უმდაბლესი კლასების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ბედნიერების მომატებაში" [1, 412].

ვიდრე აღნიშნული თეორიების არსისა და მათი „ანტაგონიზმის" მიზეზებს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ისტორიულად საზოგადოებაში მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხთა შორის სწორედ ჭარბმოსახლეობის პრობლემა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც უძველესი დროიდანვე იქცევდა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის ყურადღებას და იწვევდა მათ შესაბამის რეაქციებს, რომლებიც საბოლოოდ, ასახვას პოულობდნენ იმდროინდელი დემოგრაფიული პოლიტიკის ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელებაში. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებანი მოსახლეობის რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც სავსებით ბუნებრივი და გასაგები მოვლენა იყო იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპებზე „ჭარბმოსახლეობა", როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია ძირითადად ვლინდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სწრაფად მზარდი მოსახლეობისათვის არსებობის საშუალებათა უკმარისობისას, რაც, ნეგატიური სოციალური შედეგების გამო, ყოველთვის იწვევდა ამ მოვლენისადმი საზოგადოების გაბატონებული ფენების უარყოფით დამოკიდებულებას.

არსებობის საშუალებათა უკმარისობა კი, თავის მხრივ, თითქმის განუყრელადაა დაკავშირებული სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფასთან. ამრიგად, „ჭარბმოსახლეობის" კლასიკურ ნიშნებად ოდითგანვე ჩამოყალიბდა სურსათისა და სამუშაო ადგილების უკმარისობა. მართალია, მხოლოდ ეს ორი ნიშანი ვერ ამოწურავს მთელ მის შინაარსს, მაგრამ დანარჩენებზე არ შევჩერდებით. ამასთან დაკავშირებით, სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ცნობილი ფრანგი დემოგრაფის, პროფესორ ა. სოვის მოსაზრება: „ჭარბმოსახლეობა", რომელიც თავისთავად შეფარდებით ცნებას წარმოადგენს ყოველთვის იძლევა საშუალებას აღვნიშნოთ, რომ ადგილი აქვს ან ხალხის სიჭარბეს, ან იმ ელემენტის უკმარისობას, რომლის მიმართაც არის გამოვლენილი ეს სიჭარბე". [2, 423].

„ჭარბმოსახლეობა, როგორც წესი, წარმოიშობა რაიმე განსაზღვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილების მიმართ მოსახლეობის სიჭარბის შემთხვევაში. მაგალითად, თუ 11 ადამიანისათვის გათვალისწინებულ ავტობუსში იმყოფება 20 ადამიანი, მაშინ ამბობენ, რომ ავტობუსი გადაჭედილია, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ როგორც ადამიანთა სიჭარბეზე, ასევე ავტობუსის ძალიან მცირე ზომებზე. ორივე ეს მოსაზრება, რომლებიც ფაქტობრივად ერთსა და იმავეს გამოხატავენ, იწვევენ სრულიად განსხვავებულ დასკვნებს — ან ხალხთა რიცხვის შემცირების ან არასაკმარისი ელემენტების გაზრდის აუცილებლობას.

აქ მიზანშეწონილი იქნებოდა გაგვემიჯნა „ჭარბმოსახლეობის" ე. წ. „ვიწრო" და „ფართო" გაგება, რომელთაგან პირველში ვიგულისხმებდით მხოლოდ და მხოლოდ სურსათისა და სამუშაო ადგილების უკმარისობას მოსახლეობის რიცხვთან შედარებით, ხოლო მეორეში კი გავაერთიანებდით მოსახლეობის რიცხოვნობის სიჭარბეს ადამიანთა სხვა რომელიმე მოთხოვნილებასთან შედარებით. მაგალითად, ტანსაცმლის, აშენებული სახლების, მანქანების ან სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ მოთხოვნილებასთან შედარებით.

ჩვენი აზრით, აუცილებლობა მოითხოვს, რომ „ჭარბმოსახლეობის" ისტორიულ ასპექტებზე საუბრისას ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ ეს მოვლენა მისი ე. წ. „ვიწრო" გაგებით პრაქტიკულად არ არსებობდა ჩვენი უახლესი წარსულის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1930-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე), რაც ერთი შეხედვით მიუთითებს, რომ თავისთავად „ჭარბმოსახლეობა" არაა მუდმივი მოვლენა და იგი მხოლოდ საზოგადოებაში მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციის არსებობის პირობებშია შესაძლებელი. მაგრამ, თუკი იმავე პერიოდის „ჭარბმოსახლეობას" ე. წ. „ფართო" გაგებით განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამა თუ იმ მატერიალური მოთხოვნილებების ქრონიკულად დაუკმაყოფილებლობის პირობებში, იგი რეალურად თითქმის ყოველთვის არსებობდა, ეს კი მისი არსებობის, ასე ვთქვათ, ბუნებრივ, ანუ საყოველთაო და მუდმივ ხასიათზე მიუთითებს.

ასეთი მსჯელობისა და ჩვენი დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, როდესაც აშკარაა სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით ყველაზე საშიში „ჭარბმოსახლეობის" არსებობა ე. წ. „ვიწრო" გაგებით, მით უმეტეს, რომ ქვეყნის განვითარების პერსპექტივა მეტ-ნაკლები ზომითა და სხვადასხვაგვარი ფორმით „ჭარბმოსახლეობის" არსებობას კვლავაც გვპირდება, საჭირო და საშურ საქმედ მიგვაჩნია ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა. უკანასკნელ პერიოდამდე ჩვენს ქვეყანაში ამ მოვლენას არ მიუღია მწვავე და აშკარად გამოხატული სახე, განსაკუთრებით მისი „ვიწრო" გაგებიდან გამომდინარე, ეს, ერთი მხრივ, ადუნებდა მისდამი საზოგადოებრივ ყურადღებას და, მეორე მხრივ, როგორც იდეოლოგიურად დაპირისპირებული ბანაკის ერთ-ერთი მხარე, ჩვენი ქვეყნის ყურადღება ამ პრობლემისადმი გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ უცხო კაპიტალისტური ქვეყნების, ბურჟუაზიული ცხოვრების წესისა და საზოგადოების განვითარების შესახებ არსებული თეორიების მარქსისტული პოზიციებიდან კრიტიკაში, მაგრამ დღეს, როცა კაპიტალისტური ცხოვრების წესი ჩვენთანაც აქტიურად ინერგება, საჭიროდ მიგვაჩნია ამ პრობლემის მთელი სიგრძე-სიგანით გათავისება, და აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი ყოველმხრივ შესწავლაც.

როგორც ცნობილია, მარქსისტული მოძღვრების თანახმად, არ არსებობს მოსახლეობის განვითარების უნივერსალური კანონი და ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხალხთმოსახლეობის კანონი გააჩნია. ამასთან, კ. მარქსმა განსაკუთრებით დაწვრილებით განიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და ჩამოაყალიბა მოსახლეობის ეკონომიკური კანონი კაპიტალისტური წესის პირობებისათვის. აი, რას წერდა ამის თაობაზე თავად კ. მარქსი: „მაშასადამე, მუშა-მოსახლეობა იმით, რომ იგი კაპიტალის დაგროვებას აწარმოებს, თვითონვე აწარმოებს მზარდი მოცულობით იმ საშუალებებს, რომელნიც თვით მას შეფარდებით ჭარბმოსახლეობად აქცევენ. ეს არის კაპიტალისტური წარმოების წესის დამახასიათებელი კანონი მოსახლეობისა, ისევე როგორც წარმოების ყოველ განსაკუთრებულ ისტორიულ წესს სინამდვილეში აქვს თავისი განსაკუთრებული ისტორიული ხასიათის კანონი მოსახლეობისა. მოსახლეობის აბსტრაქტული კანონი მხოლოდ მცენარეთა და ცხოველთათვის არსებობს, ვიდრე ამ სფეროში ადამიანი ისტორიულად არ ჩაერევა.

მაგრამ თუ ჭარბი მუშა-მოსახლეობა აუცილებელი პროდუქციაა დაგროვებისა ანუ სიმდიდრის განვითარებისა კაპიტალისტურ საფუძველზე, ეს ჭარბმოსახლეობა თავის მხრივ ხდება კაპიტალისტური დაგროვების ბერკეტი და კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის პირობაც კი“ [3,795—96]. ახლა როცა ჩვენი საზოგადოება ფაქტობრივად დაადგა (თუ დაუბრუნდა?!) განვითარების კაპიტალისტურ გზას, მით უფრო აქტუალურია ჩვენთვის ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება.

თუკი აქამდე მარქსისტული იდეოლოგიის და მოძღვრების თანახმად ვაღიარებდით, რომ „კაპიტალისტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ე. წ. „შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა“, რომელიც თავის მხრივ არის თავად კაპიტალიზმის განვითარების პროდუქტი და იარსებებს მანამ, ვიდრე იარსებებს თვით კაპიტალიზმი“, მაშინ ახლა, როცა საზოგადოებაში თითქმის გაბატონდა მოსაზრება კაპიტალისტური წყობის ბუნებრიობისა და საყოველთაობის შესახებ, ალბათ მიზანშეწონილი იქნებოდა უფრო მეტი ყურადღება დაგვეთმო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ხალხთმოსახლეობის კანონისათვისაც.

ლოგიკურად, თუკი მარქსისტულმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა (!!!), ჩვენ მისგან ვიმიჯნებით და უარს ვამბობთ მის გამოყენებაზე, მაშინ სხვა აღარაფერი გვრჩება, თუ არა მალთუსიანობის აღიარება. მაგრამ ამ უკანასკნელის ისე გვეშინია, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია, მისაღებია იგი თუ არა. არადა სხვა მესამე გზა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაა გამოკვეთილი და ამიტომაც ამჟამად ჩვენი დემოგრაფიული მეცნიერება არცთუ ისე მარტივი არჩევანის წინაშე დგას.

აქ ლოგიკურად იბადება კითხვა: რითაა საშიში მალთუსიანელობა, რომ ასე გავურბივართ მის აღიარებას, მაშინ როდესაც დღემდე მთელი მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება სწორედ მალთუსიანური თეორიის დადასტურებას წარმოადგენს? და რატომ იწვევს იგი უარყოფით რეაქციას მისი არსებითი განხილვის გარეშეც კი თავად განათლებული საზოგადოების უმეტესობაში?

ამ შეკითხვების პასუხზეა ძირითადად დამოკიდებული, დავძლევთ თუ არა იმ იდეოლოგიურ ვაკუუმს, რომელიც ჩამოყალიბდა პოსტსოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების საკითხთან დაკავშირებით.

მაგრამ რა ვიცით ჩვენ დღეს ხალხთმოსახლეობის მალთუსიანური და მარქსისტული თეორიების შესახებ? მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

ამჟამად ყველაზე გავრცელებული შეხედულების თანახმად (საბჭოთა პერიოდში მარქსისტული იდეოლოგიის საყოველთაოდ გავრცელებით ამ საკითხის ცოდნა მეტ-ნაკლებად მოეთხოვებოდა ყველა უმაღლესდამთავრებულს), მალთუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი იყო „კაცთმოძულეობის“ თეორიის ავტორი (სამწუხაროდ, ასეთი სტერეოტიპი დღესაც არაა მოხსნილი და უმაღლეს სასწავლებლებში დღევანდელ სტუდენტებსაც ინერციით კვლავ იმასვე ჩასჩიჩინებენ, რასაც საბჭოთა პერიოდის განმავლობაში), რომელიც მოუწოდებდა მოსახლეობის განადგურებისაკენ. აი, მეტად ნიშანდობლივი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც მეტ-ნაკლები ვარიაციით იმეორებდნენ და იწერებოდა სტუდენტების და მოსწავლეებისათვის: „ალბათ გაგიგონიათ „მალთუსის თეორია“, რომლის თანახმად მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, რესურსები კი არითმეტიკული პროგრესიით. ეს თეორია შორს მიდის და ამტკიცებს, რომ აუცილებელია ომები, ეპიდემიები. იგი ქადაგებს ახალშობილთა რიცხვის შემცირებას და ა. შ.

მალთუსის თეორია შეიძლება სწორიც ყოფილიყო, დედამიწაზე ადამიანები რომ არ არსებობდნენ. მალთუსმა თავისი დასკვნა ცხოველებსა და მცენარეებზე დაკვირვების შედეგად გამოიტანა და შემდეგ გაავრცელა ადამიანთა საზოგადოებაზე“ [4,5]. აი, თითქმის ყველაფერი ის, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ იცის მალთუსის თეორიის შესახებ. ამის გარდა, შეიძლება ზოგიერთებმა ისიც არ იცოდნენ, რომ თ. მალთუსი იყო მღვდელი. ამიტომ უკანასკნელ პერიოდამდე ამ ნაკლებად სანდო პროფესიის ადამიანის „ომისადმი მოწოდებები“ რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა პოპულარული საზოგადოების ვერც ერთ ფენაში. უფრო მეტიც, მას ჰგმობდნენ და ჰკიცხავდნენ ტიტულოვანი მეცნიერებიც, მაგრამ ნუთუ მართლა ასე კაცთმოძულე იყო ადამიანი, რომელიც თავისი პროფესიით თვით უნდა ყოფილიყო ჰუმანიზმის მქადაგებელი? თუ, სცდებოდნენ საზოგადოებათმცოდნეობის დარგთა პროფესორები, როცა აკრიტიკებდნენ მას?

ამის მიზეზი ნაწილობრივ ზემოთ აღვნიშნეთ, კერძოდ, მარქსისტული შეხედულებების დომინირების ფაქტორი ჩვენი უახლესი ისტორიის განმავლობაში. საქმე ის არის, რომ თავად კ. მარქსი აკრიტიკებდა თ. მალთუსის შეხედულებებს და ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს მარქსიზმის მიმდევართა ნეგატიური დასკვნები მალთუსის თეორიის შესახებ. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ბევრისათვის ფაქტობრივად ხელმიუწვდომელი იყო თავად მალთუსის ნაშრომი, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა და მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, არათუ ქართულ, ან რომელიმე სხვა საბჭოთა ხალხის ენაზე, არამედ თვით რუსულადაც კი, არც ერთხელ არ გამოცემულა. თავად ეს ფაქტიც, ჩვენი აზრით, მრავლისმეტყველია, რადგან ფაქტობრივად ამ თეორიას აკრიტიკებდნენ ცალკეული ფაქტების საფუძველზე. ეს, ვფიქრობთ, მიუთითებს მის გარკვეულ სიძლიერეზე და ამიტომაც ცდილობდნენ მის უგულებელყოფას, მასზე საყოველთაო ნეგატიური შეხედულებების — ჩამოყალიბებას. მალთუსის თეორიის რეალური არსის შეგნებული უგულებელყოფის მიუხედავად, იგი მაინც მთელი სიმწვავით დადგა ჩვენს წინაშე და ამიტომ ახლა მაინც საჭიროა მისი საღად, რეალურად შესწავლა, შეფასება და გამოყენება-გათვალისწინება. ჩვენი აზრით, თ. მალთუსი იმსახურებს იმას, რომ მისი დაბადებიდან 230-ე (1766—1834 წწ.) წლისთავზე მაინც შეეძლოთ მისი მეცნიერული მიღწევების შეფასება, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენთვისაა საჭირო და არა მალთუსის თეორიის პოპულარიზაციისათვის. თ. რ. მალთუსსა და მის შესანიშნავ ნაშრომს „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“, არც ავტორის სიცოცხლეში და არც შემდგომ დაჰკლებიათ პოპულარობა და ავტორიტეტი. თავად თომას რობერტ მალთუსი, რომლის კოლორიტული ფიგურა დღემდე ნათელ სვეტად დგას პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა გზის გასაყარზე, იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონის სამეფო აკადემიის წევრი. ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი ოსტინდოეთის კომპანიაში, პარიზის ზნეობრიობისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ხუთიდან ერთ-ერთი უცხოელი წევრი.

საზოგადოებათმცოდნეობის სფეროში, კერძოდ კი ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში, ბევრი არაა ისეთი მეცნიერი, ვისი სახელიც ამდენი კრიტიკისა და ხშირ შემთხვევაში, უსამართლო ლანძღვის მიუხედავადაც კი, ინარჩუნებს საკმაოდ ავტორიტეტულ სახელს. და მაინც, ალბათ საინტერესოა, რაში მდგომარეობს თ. რ. მალთუსის დამსახურება დემოგრაფიული მეცნიერების წინაშე?

თ. რ. მალთუსამდე, ე. ი. XVIII საუკუნის ბოლომდე თითქმის მთელ მსოფლიოში გაბატონებულ მოსაზრებას, ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, წარმოადგენდა შემდეგი დოქტრინა: საჭიროა ქვეყანაში იყოს რაც შეიძლება მეტი მოსახლეობა, ხოლო მათთვის არსებობის საშუალებები გამოიძებნებაო (ამ მოსაზრების მიზეზები გასაგებია, რადგან კაპიტალიზმამდელ ეპოქაში თითქმის პერმანენტული ომიანობის ხანაში, როცა არ არსებობდა მასობრივი განადგურების იარაღი და საწარმოო ძალთა არასაკმაო განვითარების გამო დაბალი იყო შრომის ნაყოფიერებაც, მეტი ადამიანი ნიშნავდა მეტ მეომარსა და, შესაბამისად ქვეყნის სიძლიერესაც, ხოლო მეორე მხრივ, გადასახადის მეტ გადამხდელსაც. კაპიტალიზმის განვითარებამ კი ყველა ეს ფაქტორი მოხსნა დღის წესრიგიდან). მალთუსმა კი საკითხი პირიქით დააყენა და აღნიშნა, რომ აუცილებელია მეტი არსებობის საშუალებანი, ხოლო მოსახლეობის საჭირო რაოდენობა არ დააყოვნებს მოსვლას და გაჩნდებაო.

ამ ორი სრულიად სხვადასხვაგვარი თეორიული მიდგომიდან გამომდინარეობდა ორი სხვადასხვაგვარი პრაქტიკული დასკვნა, სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებისადმი. მალთუსამდე ამბობდნენ: სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მოსახლეობის გამრავლება, მალთუსი კი გვეუბნება, რომ ყველა ასეთი წახალისება უსარგებლო და საზიანოც კია (რაც შეეხება უსარგებლობას, ეს დასტურდება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაშიც, თითქმის უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გატარებული მოსახლეობის გამრავლების ხელშემწყობი პოლიტიკის თითქმის არაფრის მომტანი, არაეფექტიანი შედეგებით. მათ გატარებაზე გაწეულ ხარჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ისინი ხშირ შემთხვევაში ზიანის მომტანი იყო წმინდა სოციალური თვალსაზრისითაც: გაჩენილი ბავშვების უმეტესობა არ იყო უზრუნველყოფილი არსებობის საშუალებებით და ისინი მიემატნენ საზოგადოების უმდაბლესი ფენების რიცხვს, შესაბამისად, მოსახლეობის ასეთი ზრდა ხელს არ უწყობს ქვეყნის პროგრესულ განვითარებას). ამრიგად, მალთუსის მოძღვრების თანახმად, მოსახლეობის საკითხი პოლიტიკიდან (სახელმწიფო ზემოქმედების სფეროდან) პირველად ინაცვლებს მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში.

თუკი მალთუსის შესახებ ვიმსჯელებთ მთელი მისი შემოქმედების მიხედვით და არა მხოლოდ ნაშრომით „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ", მაშინ მიუკერძოებელი მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ მალთუსის მოძღვრებას წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და იგი გამსჭვალულია, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპით. კერძოდ, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის არსებული თანაფარდობით ხსნის იგი ეკონომიკური ცხოვრების მრავალ საკითხს, მათ შორის ხალხთმოსახლეობის გამრავლების სფერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც. ასე რომ, თ. რ. მალთუსი საბაზრო ეკონომიკის იდეოლოგადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

თ. რ. მალთუსისა და კ. მარქსის მოძღვრებათა შორის ზემოთ ნახსენები საერთო მიზნების გარდა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ მალთუსი მისი რელიგიური მსახურებისდამიუხედავად, ეკონომიკური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ძალიან ახლოს დგას ეკონომიკურ მოძღვრებასთან და ემყარება ე. წ. ეკონომიკური მატერიალიზმის დოქტრინას. ეს, ვფიქრობთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ამ ორი ავტორის შეხედულებათა „ანტაგონიზმის" დაძლევის გზაზე.

ლიტერატურა

1. თ. მ ა ლ თ უ ს ი, გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ, ტ II, სანკტ-პეტერბურგი, 1868 (რუსულ ენაზე).
2. ა. ს ო ვ ი. მოსახლეობის ზოგადი თეორია, ტ. I, მ. 1977 (რუსულ ენაზე).
3. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
4. ვ. ს ტ ო რ ო ჟ ე ნ კ ო. „ასჯერ გაზომე", თბ., 1972.

A. SAKHVADZE

ОБ АБСОЛЮТНОМ И ОТНОСИТЕЛЬНОМ ПЕРЕНАСЕЛЕНИИ ИЛИ О ПЕРЕОСМЫСЛЕНИИ ТЕОРИЙ О НАРОДОНАСЕЛЕНИИ

Резюме

Анализ двух важнейших социально-экономических категорий — «абсолютного» и «относительного» перенаселения позволяет переосмыслить существовавшие до сих пор, порой искусственно надуманные идеологические противоречия в теориях Т. Р. Мальтуса и К. Маркса о народонаселении. В связи с изменением экономического строя необходимо выработать более обоснованную и устойчивую теорию развития народонаселения нашей страны, в которой отразятся рациональные общеметодологические принципы названных теорий.

A. SAKHVADZE

ON ABSOLUTE AND RELATIVE OVERPOPULATION OR ON THE REINTERPRETATION OF THE POPULATION THEORY.

Summary

An analysis of the two major socioeconomic categories of overpopulation—"absolute" and "relative"—allows a reinterpretation of the still existing artificially devised contradictions in the population theories of T. R. Malthus and K. Marx. In connection with the change of the economic system it is necessary to develop a more wellgrounded and stable theory of the development of the population of Georgia, reflecting the rational, general methodological principles of the cited theories.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ტ. სართანია

ილია ჭავჭავაძე საადგილმამულო ბანკისა და კრედიტის შესახებ

ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით საადგილმამულო ბანკების დაარსება მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მარტო თბილისის საადგილმამულო ბანკმა საზოგადოებრივი საჭიროებისა და საქველმოქმედო მიზნით 1875—1909 წლებში 2 მილიონამდე მანეთი გასცა, რომელთაგან მეტი ნაწილი დაიხარჯა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის) მშენებლობაზე, დანარჩენი მოხმარდა სხვადასხვა სასწავლებლებს, ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, 1892 წელს ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, ტაძრებისა და მონასტრების (მცხეთის, სამთავისის) აღდგენით სამუშაოებს, ვენახის ავადმყოფობის მკურნალობას, კახეთის რკინიგზის საძიებო სამუშაოებს, აგრეთვე ქართველი სტუდენტებისა და მოსწავლეების სტიპენდიების ფონდს, შიმშილიანობისა და სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულებს და მრავალ სხვა საზოგადო საქმეს. ამავე წლებში ქუთაისის საადგილმამულო ბანკს საქველმოქმედო დანიშნულებით გაუცია ერთ მილიონ მანეთზე მეტი, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდძალი თანხა იყო.

თბილისის საადგილმამულო ბანკს დაარსების წელს (1875 წ.) ძირის ფულად ჰქონია 240 ათასი მანეთი, ხოლო 25 წლის შემდეგ მარტო წლიური წმინდა შემოსავალი 232 ათას მანეთს შეადგენდა, რომელთაგან 62682 მანეთი მიეცა თბილისის სათავადაზნაურო სკოლას, ხოლო 10228 მანეთი გამოიყო შენობის ასაგებად.

ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის, რომელიც თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსების დღიდან მისი გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე იყო 30 წლის განმავლობაში და როცა თავადაზნაურობის რეაქციულმა ფრაქციამ იმძლავრა და მოითხოვა ბანკის სახსრების გამოყენება გლეხობის მასობრივი მოძრაობის დასათრგუნავად, იგი 1905 წელს პროტესტის ნიშნად გადადგა ამ თანამდებობიდან.

„XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში თითქმის არ ყოფილა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული განვითარების არც ერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით საადგილმამულო ბანკების მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას არ დაკავშირებოდა“ [1, 3]. დიდია ილიას დამსახურება საბანკო მოღვაწეობაში: „ქართველი სამოციანულები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით მედგარ ბრძოლას აწარმოებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საადგილმამულო ბანკების სათანადოდ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებისათვის. ცხადია, ეს კურსი რეაქციული თავადაზნაურობის შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რაც კარგად ჩანს საარქივო მასალებიდან" [1. 5].

სამწუხაროდ, დიდმა და თითქმის გაუთავებელმა დავამ საადგილმამულო ბანკების თაობაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში, მეტად დააკნინა მათი როლი საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების საქმეში. მანამდე კი ბანკის მმართველობის რეაქციული მემარცხენე ფრაქცია ივ. მაჩაბლის ხელმძღვანელობით ყოველნაირად ცდილობდა ბანკების მუშაობის ვიწრო თავადაზნაურულ ჩარჩოებში ჩაყენებას, რაზედაც ილია საკადრის პასუხს სცემდა ოპოზიციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იმდროინდელი განვითარების საქმეში ბანკების როლის შესახებ მეტად დაუსაბუთებელი წინადადებები წამოაყენა ისეთმა პროგრესულმა მოღვაწემ, როგორიც იყო ნ. ნიკოლაძე. ამით იგი ხელს უშლიდა ილია ჭავჭავაძის მიერ ბანკების საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით გამოყენების მნიშვნელოვან საქმეს. ნ. ნიკოლაძე სასტიკად დამარცხდა ილია ჭავჭავაძესთან ჭიდილში ბანკების საკითხებზე და აქაც გამოვლინდა ნ. ნიკოლაძის ის ნაკლოვანებანი, რომელთა გამოც იგი საერთოდ ვერ ამაღლდა ილია ჭავჭავაძის დონემდე. ილიას მოღვაწეობის ქვაკუთხედი იყო გლეხური მეურნეობის ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სრულყოფა, რაც ქმნიდა საფუძვლებს მარტივი საქონელწარმოებიდან სამრეწველო ინდუსტრიაზე გადასვლისათვის.

ილია ჭავჭავაძე საადგილმამულო ბანკის დანიშნულებაში ხედავდა არა რომელიმე წოდებრივი ინტერესების დაცვას, არამედ საერთო ეროვნული კეთილდღეობის ხელშეწყობას, ამავე დროს არ ავიწყდებოდა, რომ ის იყო ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომლის წარმატება მხოლოდ მისი წესების მკაცრად დაცვით თუ შეიძლებოდა: „ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა,—ამბობს ილია,—ის კი არ არის რომ, ვისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყუილ-უბრალოდ ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა — ბანკმა არა დააკლოს რა" [2,233].

ილია აღნიშნავს, რომ ბანკის მიერ გასესხებული ფულის მოხმარება თვითონ მსესხებლის საქმეა, მან უნდა გამოიყენოს მიზანშეწონილად თავისი საჭიროების მიხედვით: „იგი ერთის მხრით შველის მხოლოდ იმას, ვინც იცის როგორ მოიხმაროს, როგორ გამოიყენოს და მეორეს მხრით ჰღუპავს და ათახსირებს, ვისაც მოხმარების უნარი არ აქვს — ამბობს ილია და განაგრძობს — ვინც, კრედიტით შეძენილს ვალს საქმის გასაძლიერებლად არა ხმარობს და ტყუილუბრალოდ ფლანგავს, იგი უთხრის საფლავს თავის ქონებას, თავის ნიჭიერ შეძლებას, თავის ოჯახს, თავის ცოლშვილს" [3, 22]. შემდეგ იქვე შენიშნავს, რომ „ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავისი საქმე წარმართოს, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს".

მაშასადამე, კრედიტი ადიდებს წარმოების მოცულობას, ხელს უწყობს შრომითი და მატერიალური რესურსების მეტად გამოყენებას და ადიდებს მოხმარებას. ამაშია რაციონალურად გამოყენებული კრედიტის სიკეთე, რასაც ილია განმარტავს. სამეურნეო კრედიტის არსს ილია ახასიათებს, როგორც ნდობას ფულის სესხებისათვის, რათა იგი გამოყენებულ იქნეს „ვითარცა კაპიტალი" წარმოებიდან მიმოქცევაში, მიმოქცევიდან მოხმარებაში და პირიქით. ერთი სიტყვით, საბანკო კრედიტი აჩქარებს წარმოების, მიმოქცევისა და მოხმარების, ე. ი. წრებრუნვის პროცესს: „აი სწორედ ეგ ნდობა, — ამბობს იგი, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდან მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას გაგვიწევს ხოლმე, არის ის, რასაც კრედიტს ეძახიან“ [2, 236].

ილია მიუთითებს კრედიტის დიდ როლზე წარმოების გაფართოების საქმეში, თუ როგორ აწესრიგებს იგი წარმოებისა და მოხმარებისათვის ნედლეულის, მასალებისა და პროდუქციის განაწილებას ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში, სადაც იგი უფრო მეტად საჭიროა; ამასთან ილია აფრთხილებს კრედიტის ამღებს, რომ „თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება, იმიტომ რომ კრედიტს, გადააქვს რა კაპიტალი ფულად თუ წარმოების მასალად, იარაღად თუ სხვაგვარ სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდან, საცა ეგ უქმად აწყვია, იქ — საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად და ამ სახით მოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგვარ და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია.

მაშასადამე, — დაასკვნის ილია, — კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდან მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეგ გაძლიერება წარმოებისა ერთად-ერთი, მხოლობითი საგანია და მიზანი კრედიტისა. ამიტომაც იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლობითი ღონისძიებაა — და არის კრედიტის პასუხის გასაცემად“ [2,235—237].

ილია ჭავჭავაძე განასხვავებს კრედიტის სახეებს მათი სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით: „რადგანაც ეკონომიკური წარმოება და მასთან შეკავშირებული ქონება სხვადასხვაგვარია, ამის გამო სხვადასხვაგვარი კრედიტიც არის. კრედიტი, რომელიც მიწათმოქმედებისათვის არის საჭირო და მასზე უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან მიწისსამოქმედო (Земельный) კრედიტსა. მიწისსამოქმედო კრედიტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს საგნად გაძლიერება მიწისმოქმედებისა, ესე იგი იმ წარმოებისა, რომელიც მიწასა და მიწის შემუშავებაზედ არის დამოკიდებული, განირჩევა სხვაგვარის კრედიტისაგან იმნაირის თვისებითა, რომელიც წარმოსდგება მიწისა და მიწის შემუშავების ეკონომიურის ბუნებიდამ“ [4, 328—329].

სამიწათმოქმედო კრედიტის კიდევ ორ სახეს განასხვავებს ილია — მოკლევადიანს და გრძელვადიანს. „...პირველ შემთხვევაში მიწისმოქმედება ქვეყანას არ ააყვავებს, იმიტომ, რომ იქ ყოველივე დროებითია, სათუო და სავინიციო. მეორე შემთხვევაში კი ქვეყნის წარმატება უეჭველია და მტკიცე“ [იქვე].

გრძელვადიანი კრედიტი სამუდამოდ აძლიერებს სამიწათმოქმედო წარმოებას, რომლის შემოსავალი თანდათან მატულობს და „უფრო მუდმივი ღონისძიებაა კრედიტის პასუხის საგებლად“, ე. ი. უფრო მეტია კრედიტის გადახდის შესაძლებლობა. მის სარგებლიანობას, ილიას აღიარებით, განსაზღვრავს შემდეგი სამი მომენტი: 1) ხანგრძლივია, 2) ერთბაშად არ თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიქცეულია კრედიტი, თანდათან და ნელ-ნელად გადაიხადოს ყოველწლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც, თუ არ მიწის იმედით, სხვა არაფრით არ მოიპოვება და არაფერს ვერ მიენდობა“ [2, 240].

ილია ჭავჭავაძე კრედიტს და ბანკს განიხილავს არა ისე, როგორც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელია კაპიტალისტური კრედიტის ფორმებისა და ბანკის ფუნქციონირებისათვის, არამედ ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს არასახელმწიფოებრივ, საადგილმამულო ბანკის საქმიანობაში, როცა მსესხებელთ ფული ეძლეოდათ რაიმე გარანტიის (უფრო ხშირად, ადგილმამულების დაგირავების) საფუძველზე გარკვეული საკრედიტო სარგებლობით (იპოთეკური ბანკისათვის დამახასიათებელი ფუნქციებით). ეს კრედიტი, ჩვეულებრივ დიფერენცირებული იყო მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტის სახით.

„წლევანდელი საზოგადო კრება ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა რომ გენახათ, სწორედ გულმხიარული წახვიდოდით შინ და იტყოდით: „მადლობა ღმერთსა, ამასაც შევესწარით, რომ ჩვენს ქართველთა კრებაში აზრი აზრს შეეკამათა, აზრი აზრს წინ დაუდგა და არა პირადობა პირადობასო“ [2, 152]. ამ კრებაზე ორი ძირითადი საკითხი ყოფილა წარმოდგენილი განსახილველად: — ერთი, ფინანსთა მინისტრის წინადადების განხილვა იმის თაობაზე, თუ რა დახმარება შეიძლება გაუწიოს თბილისის საადგილმამულო ბანკმა გლეხობას მიწების შესაძენად. მეორე — ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ. პირველ საკითხზე გამოთქმულა აზრი, რომ გლეხისათვის მეტად ძვირია არსებული წესით კრედიტის გაცემა და საჭირო კი არის ამას რაიმე ეშველოს როგორც ჩვენთან, ისე რუსეთშიო. კრებას სათანადო გადაწყვეტილება მიუღია და წარუდგენია მთავრობისათვის.

ერთხანს დიდი კამათი ატყდა იმის გამო, რომ ბანკები ვალების გადაუხდელობისათვის მამულებს გვიყიდიან და ეს მამულები კი უცხო ხალხის ხელში ხვდებაო. ამის შესახებ ჩვენ ზემოთაც გვქონდა ნათქვამი და კიდევ გავიმეორებთ, რომ მხოლოდ პრინციპულობა მისცემდა საშუალებას ბანკის ხელმძღვანელობას სასარგებლო მიმართულებით წარემართა ბანკის კრედიტის გამოყენება. პროტექციონიზმის ამ მეთოდმა ქუთაისის ბანკი დახურვამდე მიიყვანა, ხოლო ილია ჭავჭავაძის პრინციპულობამ არათუ შეუნარჩუნა არსებობა თბილისის საადგილმამულო ბანკს, უფრო მეტიც შეაძლებინა. ილია ასე პასუხობს ბანკის წინააღმდეგ აურზაურის ამტეხთ:„ რა წესი უნდა შევიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა ფული მამულს მოახმაროს და რა კანონი დავსდვათ, რომ საადგილმამულო კრედიტიც გვქონდეს და მამულებიც არავის გაეყიდოს, ან თუ გაეყიდოს, გარეშე კაცთა ხელში არ გადავიდეს. თუ ვინმე ამისთანა სასწაულს მოგვიხდენს, ჩვენ დიდი სიამოვნებით თავს მძიმედ დავუკრავთ“ [2, 241].

საადგილმამულო ბანკის წლიურ ანგარიშს ამოწმებდა საგანგებო სარევიზიო კომიტეტი და შემდეგ განსახილველად გადაეცემოდა საერთო კრებას, სადაც იმართებოდა ფართო სჯა-ბაასი და ზოგჯერ მწვავე დებატებიც ბანკის საქმიანობის შესახებ. ილია თავის ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიაში“ და 1885 შემდეგ ასეთივე დასახელების ყოველდღიურ გაზეთში ფართო საზოგადოებრიობას აცნობდა ხოლმე ამ კრებებისა და მასზედ განხილული საკითხების შესახებ. თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ (1883 წ., აპრილი) იგი ჩიოდა, რომ საქმეს აძნელებდა ოფიციალური „...მძიმე და რთული ფორმალობა, რომელიც ასე აბრკოლებს საადგილ-მამულო ბანკიდამ ადვილად ფულის გამოტანას“. [2, 256]. იქვე იმასაც ამბობს, რომ კრედიტის მიცემა უწინ მხოლოდ ვაჭრებზე ხდებოდა და მიწათმფლობელნი ამ სიკეთეს მოკლებულნი იყვნენ, რის გამოც სოფლის მეურნეობა მეტად ჩამორჩაო აღებ-მიცემობის საქმეს. ამიტომ დიდ შიშს გამოთქვამდა ილია თავის დროზე, ვინ იცის ეს უფლება მთავრობამ ჩვენ ბანკს არ მისცესო და მოითხოვდა თავადაზნაურობის საგანგებო კრების მოწვევას და თხოვნის გაგზავნას ფინანსთა სამინისტროში, რაც შემდეგში კეთილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოვდა. თუმცა იგი იქვე აღნიშნავს ერთი სამწუხარო ფაქტის შესახებ: 1882 წლის 16 ოქტომბერს სახელმწიფოს მინისტრთა კომიტეტს უფლება ჰიუნიჭებია ფინანსთა მინისტრისათვის, შეეჩერებინა საადგილმამულო ბანკის ობლიგაციების (გირავნობის ფურცლების) გაცემა არა მარტო მაშინ, თუ „...ბანკისაგან გადაწყვეტილი სესხი არ შეესაბამება ბანკის წესდებასა, არამედ მაშინაც, როცა ბანკი გაუფრთხილებლად ეკიდება ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებულ გადაწყვეტილებას ბანკისასა სესხის გაცემის შესახებ.

ეს სასტიკი კანონი, — გულისტკივილით აღნიშნავს ილია, — რომელმაც მიანიჭა ასეთი მძიმე უფლებები ფინანსთა მინისტრსა, დამტკიცებისვე უმალ თავზედ დაეცა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკსა და დღეს-აქობომდე (1883 წ. მაისი — ტ. ს.) იმ ბანკს მოსპობილი აქვს უფლება სესხის გაცემისა“ [2,269]. ილია ამის გამო აღშფოთებას გამოთქვამს და მკაცრად აკრიტიკებს ფინანსთა სამინისტროს, რომ თუ ქუთაისის ბანკი არასწორად ზედმეტად აფასებდა ზოგიერთ გირაოს „...განა ეს საბუთია, რომ აეკრძალოს ბანკსა სესხის გაცემა საყოველთაოდ? ყველა სესხი, ცოტაა თუ ბევრი, ხომ სამინისტროში მიდის, წესდების ძალით, დასამტკიცებლად. განა არ შეიძლებოდა განსაკუთრებით ის ცალკე სესხი არ დაემტკიცებინა სამინისტროს, რომელიც რომელსამე მამულზედ ბლომად ეჩვენებოდა?“ — კითხულობს ილია და გაკვირვებით ამბობს: — „ქუთაისის ქალაქი განა ოსტროგოჟსკის ქალაქია, რომ მაგოდენა სესხის გასაცემად გირაო არა ჰქონდეს!“—ილია არა მარტო სიტყვიერად ესარჩლებოდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკს, არამედ ხელს უწყობდა ბევრნაირად და კერძოდ იმით, რომ მას კრედიტის გაცემის უფლება მიეცა აღმოსავლეთ საქართველოს მიწისმფლობელთათვისაც (რაც თბილისის საადგილმამულო ბანკის კომპეტენციაში შედიოდა), ვინაიდან ქუთაისის გუბერნია მეტად ვიწრო სარბიელი იყო კრედიტისათვის...“ ამაზე ფინანსთა სამინისტროს თანხმობაც ყოფილა. ილია გაკვირვებულის კითხვით მიმართავს იმპერიის ფინანსთა მინისტრს: „ბატონო თუ ეგრეა, რათ ამტკიცებდით მაგისთანა სესხს და თუ ამტკიცებდით, სამდურავს რაღა ადგილი აქვს?“ [2, 272].

ილია სხვა მიზეზსაც ასახელებს, რაც საშაროდ გაუხდა ქუთაისის ბანკსო, კერძოდ იმას, რომ „ქუთაისის ბანკს სდებენ ბრალს, რომ (ხანძრისაგან დაზღვევის — ტ. ს.) პოლისის წარმოდგენას მაშინ კი არ თხოულობსო, როცა მსესხებელს არზა შემოაქვს სესხის სათხოვნელად, არამედ მაშინა, როცა სესხს აძლევსო. ჩვენის ფიქრით, ძალიან კარგად მოქცეულა ამ შემთხვევაში ქუთაისის ბანკი, თუ ეგ მართალია, და გვგონია, ყველა ბანკიც ეგრე უნდა იქცეოდეს, თუ არ უნდა, რომ გაუძნელოს მსესხებელს საქმე და აღრე და მალე ტყუილ-უბრალოდ ხარჯი გააწევინოს“ [2].

ილია ჭავჭავაძე ქუთაისის საადგილმამულო ბანკისადმი მკაცრი სანქციის ნამდვილ მიზეზს რუსეთის ბიუროკრატიულ და ძალმომრეობით რეჟიმში ხედავს „უყურებ და ვერასგზით ვერ მიგიგნია, —რით უნდა გამართლებულ იყოს ასეთი სასტიკი განკარგულება? რომ აკვირდება კაცი ამ საქმეს, დაჟინებით ჰკითხავს თავის-თავს რათა და რისთვისაო, და რიგიანი, საბუთიანი პასუხი ვერ უპოვნია. თუ მართლა ეს უმიზეზო მიზეზნი არიან საბუთად მოყვანილნი, განა თითოეულ მათგანს ცალკე შემთხვევაში ვერ გადაეღობებოდა წინ, ვისაც ეგ უფლება აქვს! საყოველთაოდ მათ გამო მუსრის გავლება რა საჭირო იყო, ან რამ გამოიწვია? ნუთუ მან, რომ „იყავნ ნება ჩემიო!“ — დაასკვნის ბოლოს ილია [2, 273].

როგორც ჩანს, ქუთაისის ბანკის შეცდომები ისეთ მოღვაწეთა აზრებიდან მოდიოდა, როგორიც იყო მაგალითად, ნ. ნიკოლაძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანკიდან სესხის გასაცემად აუცილებელი არ უნდა იყოს ქონების მტკიცე საბუთი, რომლის გაფორმებაც ძნელი საქმე არისო და ამისათვის საკმარისად თვლის, კრედიტის გაცემის საყოველთაო წესების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე მეზობლის წერილობით დასტურს მსესხებელი პირის ქონებაზე. ილია კი სასტიკად ჰგმობს ნ. ნიკოლაძის ასეთ შემაცდენელ წინადადებას: „მიწისსამოქმედო კრედიტსა სხვა დედაბოძი არა აქვს, თუ არა უძრავი ქონება, რომელზედაც უსათუოდ მტკიცე და კანონიერი საბუთი უნდა ჰქონდეს პატრონსა. გამოაცალეთ ეგ ერთადერთი დედაბოძი და ნახავთ, რა მშვიდობიანად მოუღებთ ბოლოს თვით ბანკსა“ [4, 335]. ილია იქვე კმაყოფილებას გამოსთქვამს ბანკის წესდების შემდგენელთა, კერძოდ, ბესარიონ ღოლობერიძის მიმართ, რომ მათ ისეთი შეცდომები არ მოსვლიათ, როგორიც უფ. ნ. ნიკოლაძეს მოსდისო და რომ ჩვენდა საიმედოდ... „ჩვენს ბანკში ვალის გადასახდელად იმისთანა დარბაისელი და აუჩქარებელი არსებაა, როგორც ადგილ-მამული“ [4, 337].

საბოლოოდ ილია დაასკვნის ნ. ნიკოლაძის მიერ გაზეთ „დროებაში“ 1876 წ. დაბეჭდილი სტატიის („ქუთაისის ბანკის საქმე“) გამო: „ერთის სიტყვით უფ. ნიკოლაძის სტატიიდან სჩანს, რომ მის ფიქრით იმისთანა ბანკი უნდა ყოფილიყო ქუთაისის ბანკი, რომ: 1) არც ერთს ქვეყნიერებაზედ ბანკსა არ ჰგვანებოდა, და ეგვანებოდა, მხოლოდ ოსმალოს და ავსტრიის ბანკებსა. 2) მასშია გიროს სახელი კი ყოფილიყო და სახრავი კი არა. 3) საფუძვლად და ქვაკუთხედად ჰქონოდა ჩვენი მამა-პაპის ძველი პრინციპი — ავიღე და აღარ მოგეცი. 4) მამულის პატრონს იმედი წართმეოდა, რომ მისი მამული რაც უნდა მეტად ღირდეს, იმაზე მეტად არ უნდა გაიყიდოს, რასაც მეზობლები ერთხელ და ერთხელ მიჰსცემენ, 5) ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიური აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელფეხ შეკრული იყოს და შევიწროვებული.

ესენი გსურდათ, რომ ყოფილიყო ქუთაისის ბანკის წესდებაში?

დიდად და დიდად ვწუხვარ, რომ მაგისთანა აზრებსა ჰფენს და ჰქადაგებს იმისთანა ჭკვიანი კაცი, როგორც უფ. ნიკოლაძე, რომლის სახელიც ბევრს წაიტყუებს, და ეს წატყუება ფეხს შეუშლის არამც თუ მარტო ქუთაისის ბანკსა, არამედ თბილისისაცა“ [4, 338—339].

თავის დროზე ბევრს დიდი არევ-დარევა შეჰქონდა ბანკის საქმეში — ზოგს ცოდნით, ზოგსაც უცოდინარობით, ბევრი მას სერიოზულ ყურადღებას არც უთმობდა და ყოფილა, რომ ბანკის წევრთა სავალდებულო ორმოცდაათი კაციც არ გამოცხადებულა საერთო კრებაზე. როგორც ილია აღნიშნავს, „...პირველ ჩანებში ბანკის საქმეებს ყურს მარტო ორიოდ კაცი ადევნებდა და ბევრისათვის — კი ეს ახალი საქმე არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა. ბანკის მომხრეთა სწამდათ, რომ ბანკი დღესა თუ სვალ მოიპოვებს ყურადღებას და გულისტკივილს საზოგადოების მხრით: „სწამდათ, რომ ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაც აქვს ჩვენთვის, რომელთაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზე, და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულისტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა ჩვენ საკეთილოდ და ჩვენდა იმედად“ [4, 341].

ამ დიდი და რთული საქმის გაძღოლა ილია ჭავჭავაძეს მძიმე, მაგრამ საასიამოვნო ტვირთად აწვა. მან კარგად იცოდა, რომ დიდი საქმე დიდი წინაალმდეგობის გადალახვით კეთდება, რასაც საზოგადო მოღვაწეთ შეიძლება მთლიანადაც შეალიონ მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი ნებისყოფა და გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერება, მაგრამ ეს სანანებლად არ უნდა გაუხდეს მას, ვინაიდან თავის ნიჭსა და უნარს საზოგადოების კეთილდღეობას ახმარს, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია და სასიამოვნო: „მრავალ კეცი და რთული პასუხისგება საზოგადო მოღვაწისა, დიდი ჭირიც არის მისთვის და დიდი ლხინიცა. ხოლო ვიდრე პასუხისგება ლხინად გადაექცევა, ჯერ ათასს უსიამოვნებას, ათასს ვაი-ვაგლახს, ათასს კიცხვას და კილვას გამოივლის ხოლმე... წლევანდელმა (1886 წ.—ტ. ს.) კრებამ ბანკისამ ყოველ უწინდელ კრებაზედ მომეტებულად დაანახვა ქვეყანას, რომ საზოგადო მოღვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუბრუდებელი სამართლიანობა... ესეთი ყოფა აუცილებელია საზოგადო მოღვაწისათვის და სწორედ აუტანელი იქნებოდა, რომ ბოლოსდაბოლოს სამართალიანობის განკითხვის იმედი არ ასულდგმულებდეს და მაგ განკითხვაში არ ჰპოულობდეს ჯილდოს გამოვლილის მწუხარების გამო... ამით იგრილებს იგი დამწვარ გულს და იფონებს კითხვა-კილვისაგან შეხუთულს სულსა, და ერთი წუთი ამისთანა მოფინებისა მთელის წლების მწუხარებას გადააჭარბებს ხოლმე თვისის ღირსებითა და სიკეთითა“ [4, 343].

ვენახს, თუ იგი კარგად არის მოვლილი, ილია დიდ ქონებას უტოლებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მისთვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემას: „...გრძელვადიანი სესხი, მამულის სარგოდ მამულზედ მიქცეული, აძლიერებს მამულის შემოსავალს და გაძლიერებული შემოსავალი გაუჭირვებლივ გადიხდის ვალსა“ [4,502]. იმავ ადგილას ილია დასძენს, რომ მოკლევადიანი კრედიტი კი მევენახეს დიდ სიკეთეს ვერ მოუტანსო: „მოკლევადიანი სესხი, 3-ის წლით აღებული, ამ უკანასკნელს შემწეობას არ მისცემს მამულის პატრონს, იმიტომ, რომ შემოსავლის გაძლიერებისათვის მამულის განკარგებაა საჭირო და მამულის განკარგება კიდევ დიდის ხნით ფულის დანაფრებას თხოულობს. უძრავი ქონება, ვენახი იქნება თუ სხვა რამ, იმისთანა ბუნებისაა, რომ მასზე მიქცეული ფული პატრონს გვიან, დიდის ხნის განმავლობაში უბრუნდება თავისის სარგებლით, ისიც ერთბაშად არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით. ამიტომაც თვითონ საადგილმამულო კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მარტო უძრავ ქონებაზე, ან უძრავ ქონებაზევეა ზედგამოჭრილი: იგიც ჰთხოულობს სესხის დაბრუნებას ერთბაშად კი არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით“ [4, 503]. ასე ლოგიკურად დაამტკიცა ილიამ ვენახისათვის გრძელვადიანი კრედიტის უპირატესობა მოკლევადიან კრედიტთან შედარებით, რაც შემდგომში პრაქტიკულადაც განხორციელდა და გატარდა ცხოვრებაში — როგორც ბევრი სხვა აზრი, ილიას მიერ ბრძნულად გამოთქმული.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1967.
2. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, თბილისი, სახელგამი, 1955.
3. ტ. ს ა რ თ ა ნ ი ა, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, „ირისთონი“, 1971.
4. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, თბილისი, სახელგამი, 1956.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Т. САРТАНИЯ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ О ЗЕМЕЛЬНОМ БАНКЕ И КРЕДИТЕ

Резюме

Илья Чавчавадзе не только великий грузинский писатель, но и финансист, который в течение 30 лет являлся председателем правления Тбилисского земельного банка. В его трудах большое внимание уделено оценке работы банка и значению кредита.

T. SARTANIA

ILIA CHAVCHAVADZE ON THE LAND BANK AND CREDIT

Summary

Ilia Chavchavadze was not only an outstanding Gcorgian writer but a finansist as well who for 30 years was Chairman of the Board of the Tbilisi Land Bank. Much attention is given in his writings to the evaluation of the operation of the bank and the significance of credit.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ე. ხარაიშვილი

აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნიკური ბაზა და მისი სრულყოფა

აგრარულ სექტორში წარმოების განვითარების და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე. ყოველ ფერმერულ მეურნეობაში არსებობს მექანიზაციის ოპტიმალური დონე და იდეალურ შემთხვევაში იგი განიხილება როგორც საწარმოს საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილი. დღეისათვის კლასიკურ ქვეყნებში შემუშავებულია მანქანა-ტრაქტორთა პარკის დაგეგმვის მრავალი მეთოდი. რეალურად მანქანები, ტრაქტორები და იარაღები, როგორც წესი, აირჩევა თვით მწარმოებლის მიერ პირადი შეხედულებების (დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე) მიხედვით. ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: არსებული სამუშაო ძალა, სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა, საწარმოს სპეციალიზაცია და სხვა.

მჭიდროდ დასახლებულ დასავლეთ ევროპაში შრომის მაღალი ნაყოფიერებით, მექანიზაციის, ქიმიზაციის და მელიორაციის განვითარებით შეიქმნა მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც მთლიანად უზრუნველყო რეგიონის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე. შრომის ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი ამ რეგიონში 82 ცხ. ძ. უდრის, მაღალია ელექტროენერგიის გამოყენების მაჩვენებელიც, მინიმუმამდეა შემცირებული დანაკარგები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით აქ მიწა და მცენარეები განიხილება როგორც მართვადი ცოცხალი ორგანიზმები. ჩვენს ქვეყანაში შრომის ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი დღეისათვის 7,7 ცხ. ძ. შეადგენს. პრაქტიკულად მოიშალა ტექნიკური ბაზა, მკვეთრად შემცირდა მანქანა-ტრაქტორების და ავტომობილების პარკი, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ცენტრალიზებული მომარაგების მოშლით, მეორე მხრივ, აგრარული რეფორმის პროცესში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციით. ამჟამად სოფლის მეურნეობას გააჩნია 13,8 ათასი ტრაქტორი და 11,8 ათასი ავტომობილი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ახლებურად დაისვა საკითხი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტექნიკით მომარაგების შესახებ. ამასთან, აგრარულ სექტორში მანქანური წარმოების განვითარება ინდუსტრიალიზაციის დონით ხასიათდება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების პროცესს და განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების კომპლექსური მოქმედების საფუძველზე; 1. მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორები (მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ა. შ.). 2. სამეურნეო-ორგანიზაციული ფაქტორები (გაძღოლის სისტემები, მეცნიერების კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირი წარმოებასთან და სხვა); 3. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (წარმოების ეკონომიკური ფორმების სრულყოფა, შრომის დანაწილების გაღრმავება და სხვა).

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა კარგა ხანია შევიდა კომპლექსური მექანიზაციის ფაზაში, რაც ნაკლებად დამოკიდებულს ხდის მას ბუნებრივი პირობებისაგან, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ გამოითიშება ბუნებრივი ფაქტორების გავლენა წარმოებაზე. ასეთ ქვეყნებში მინიმუმამდეა შემცირებული ხელით შრომა, შეცვლილია იგი მანქანური შრომით, წარმოება რიტმულია და ამის შედეგად მიღწეულია ხარისხიანი პროდუქციის შეუფერხებელი წარმოება.

აგრარულ სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება ობიექტურ ხასიათს ატარებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში იგი იწვევს ფერმერული მეურნეობების ლიკვიდაციასაც, მათ შერწყმას მსხვილ წარმოებასთან და, ვფიქრობთ, ესეც ობიექტური პროცესია.

მეცნიერების მიღწევების და ტექნიკური ბაზის სრულყოფის საფუძველზე სულ უფრო ნათლად გამოიკვეთება ადამიანის მზარდი ზემოქმედება ბუნებაზე, თუმცა ჯერ კიდევ ძლიერია ბუნებრივი პირობების გავლენა წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე.

იმისათვის, რომ თანამედროვე საწარმოებმა განახორციელონ სწორი სპეციალიზაცია და ორიენტირებული იყვნენ საბაზრო მოთხოვნილებებზე და კავშირებზე, აუცილებელია პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში ტრანსპორტირებაც. რაც უფრო მაღალია სატრანსპორტო ხარჯები, მით უფრო იზრდება საწარმოო დანახარჯები იმ რეგიონებისათვის, რომლებიც ტრანსპორტით ნაკლებად უზრუნველყოფილნი არიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სატრანსპორტო ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციის დროზეც, განსაკუთრებით თუ საკითხი ეხება მალფუჭებადი პროდუქციის რეალიზაციას. დროის ფაქტორის გავლენა კარგად ჩანს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პირობებში. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ორიენტაცია უმრავლეს ქვეყნებში ერთნაირია, კერძოდ, აქ იწარმოება მალფუჭებადი, ნაკლებტრანსპორტაბელური პროდუქტი (ხილი, ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები, ყვავილები და სხვა). მაგალითად, ნიდერლანდებში მეცხოველეობის განვითარება განაპირობა დიდი ქალაქების არსებობამ, როგორც პროდუქციის სწრაფი გასაღების ბაზარმა. ივივე ითქმის ასეთივე ქვეყნებში მეყვავილეობაზე, რომელიც ასევე ინდუსტრიულ საფუძველზეა და ერთ-ერთ ორგანიზებულ და მაღალრენტაბელურ დარგს წარმოადგენს. მაშასადამე, აგრარულ სექტორში წარმოების ეფექტიანობის გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორია დარგის შესაბამის მანქანათა სისტემების შექმნა და წარმოებაში დანერგვა.

მანქანების შერჩევისას, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ მწარმოებლურობაზე, ასევე აუცილებელია ერთ ჰექტარ სახნავზე სიმძლავრეთა ხვედრითი დანახარჯების გაანგარიშება. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი წლის ის პერიოდები, როდესაც სატრაქტორო სამუშაოებზე მოთხოვნა დიდია. ასეთ პირობებში უნდა ვიანგარიშოთ სიმძლავრეთა საერთო რაოდენობა.

მანქანების შერჩევის ძირითადი ასპექტია აგროტექნიკური ოპერაციების თავისდროული შესრულება, რადგანაც ეს უკანასკნელი დიდ გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ფერმერმა მანქანების შერჩევის საკითხი უნდა გადაწყვიტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი საშუალო ან მაქსიმალური მოსავლიანობის პირობებში. მანვე უნდა გაითვალისწინოს სიმძლავრეთა რა მარაგები იქნება საჭირო არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემთხვევაში თავის დაზღვევის მიზნით. აქ დიდ როლს ასრულებს ფერმერის რისკი.

მანქანათა სიმძლავრეების შესახებ სტრანდარტულ ინფორმაციებს ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ. საქმე იმაშია, რომ ნიადაგების სხვადასხვა ტიპზე ამინდი სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. ნიადაგის ტიპზე და მის მდგომარეობაზე დამოკიდებულია ტრაქტორების გაწევის უნარი. მანქანების მუშაობის სამეურნეო შედეგებზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა: მანქანების მართვის უნარი, მათი ტექნიკური მომსახურების დონე, მინდვრის ფორმა, სიდიდე და ა. შ.

ტექნიკის შერჩევაში შესაძლებელია დიდი როლი შეასრულოს თვით ტექნიკის მწარმოებელმა, როგორც გარანტმა ტექნიკის საიმედო მომსახურებაზე. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის ღირებულებასაც. მაგრამ თუ სათადარიგო ნაწილების შეძენაზე რაიმე შეფერხებებია, მაშინ თავს იჩენს გარკვეული სირთულეები.

კომპლექსური მექანიზაციისათვის ახალი მანქანების შეძენას მხოლოდ რამდენიმე ფერმერი თუ მოახერხებს. ამასთან, მანქანათა სისტემაში ერთი მანქანის მეორეთი შეცვლისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად შეეთანაწყობა ახალი მანქანა უკვე არსებულ მანქანათა სისტემას.

გარკვეული რისკი არსებობს სრულიად ახალი კონსტრუქციის მანქანების შეძენისას, მით უმეტეს თუ ასეთი მანქანები სხვა საწარმოებში არ არის დანერგილი.

ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი ფირმა ფერმერებს ტექნიკას სთავაზობს კონკურენტუნარიანი ფასებით იმ მიზნით, რომ შეაღწიოს მის მიერ ჯერ კიდევ აუთვისებელ ბაზრებზე. ასეთ შემთხვევაში ფერმერმა შესაძლებელია დაკარგოს ადგილობრივი დილერების განლაგება და აუცილებლობის შემთხვევაში გაძნელებული აღმოჩნდეს ტექნიკის სწრაფი შეკეთება (დილერი არის სასოფლო-სამეურნეო მანქანის მწარმოებელი ფირმის აგენტი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინებს ძველი მანქანის ღირებულებას, უზრუნველყოფს ყიდვა-გაყიდვის სერვისს, უფასო ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს საგარანტიო პერიოდში, მომარაგებას სათადარიგო ნაწილებით საგარანტიო ვადის მანძილზე).

ქვეყნებში, სადაც ჭარბობს იაფფასიანი შრომა, მამაკაცები და ქალები ისეთ სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში მანქანები ასრულებენ. განვითარებად ქვეყნებში შრომის შემცვლელად შემოდის კაპიტალი. რომელიც ტექნიკის შესაძენად არის დაბანდებული. ისეთ პირობებში, როდესაც ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის სამუშაო ძალაზე დიდია კონკურენცია, საჭიროა აგრარულ სექტორში არა მარტო მექანიზაციის დანერგვა, არამედ ამ სფეროში შრომითი რესურსების შესანარჩუნებლად აუცილებელია შრომის ანაზღაურების გადიდება, შრომის პირობების გაუმჯობესება და ა. შ. ფერმერულ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდება მექანიზაციის ვადიდების ხარჯზე უნდა მოხდეს. გარდა ამისა, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ უნდა დააჩქაროს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მანქანების და დანადგარების კონსტრუირებაში.

ფერმერულ მეურნეობებში მოგების მაქსიმიზაციისათვის საჭიროა შრომითი რესურსების და ტექნიკის ოპტიმალური შეთანაწყობა. ამის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ძალა და მანქანები სრულ შესაბამისობაში იქნებიან კონკრეტულ სამუშაო პროგრამებთან.

შრომითი რესურსების და ტექნიკის შეთანაწყობისას დიდ როლს ასრულებენ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის აღსანიშნავია კაპიტალის და სამუშაო ძალის რაოდენობა, ფერმერული მეურნეობის გაძღოლის სისტემა, ფერმერული მეურნეობის სიდიდე და ა. შ.

მანქანები, განსაკუთრებით თანამედროვე წარმოებისა, ძვირია. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში ისინი წლის მხოლოდ შეზღუდულ პერიოდში გამოიყენებიან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გავიანგარიშოთ ოპტიმალური დანახარჯები, ან შემოსავლები ტექნიკაში დაბანდებული კაპიტალის ერთეულზე. მიზანშეწონილია განვსაზღვროთ ხვედრითი დანახარჯები, მაგალითად, ხვედრითი დანახარჯები ერთი კომბაინის შენახვაზე ერთ ჰა მარცვლეულ კულტურებზე გაანგარიშებით. წვრილ ფერმერულ მეურნეობებში ხშირ შემთხვევაში ძნელია რამდენიმე მანქანის შენახვა-გამოსყიდვა. ასეთ დროს შესაძლებელია ალტერნატიული ვარიანტის მოძებნა, კერძოდ, სამუშაოთა შესრულება ხელშეკრულებათა საფუძველზე და სხვა.

ისეთ პირობებში, როდესაც ტექნიკის შესაძენად აღებული კაპიტალის პროცენტი მაღალია, ან ინფლაციური ფაქტორები (მაგალითად, მსოფლიო ფასების ზრდა ნავთობზე) იწვევს ტექნიკაზე ფასების მომატებას, შრომით რესურსებსა და ტექნიკას შორის შეთანაწყობა კონკრეტულ ფერმერულ მეურნეობებში შესაძლებელია იცვლებოდეს. შემთხვევა, როდესაც შრომითი რესურსები და ტექნიკა სრულყოფილად შეეთანაწყობა ერთმანეთს კონკრეტული საწარმოო პროგრამის შესასრულებლად, ითვლება იდეალურად, თუმცა არანაკლებ სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ვარიანტი, როდესაც საწარმოო პროგრამა შეირჩევა არსებული მუშახელის და ტექნიკის შესაბამისად.

მექანიზაცია ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს დანახარჯების შემცირებას შრომის ანაზღაურებაზე. თუ ახალი ტექნიკის დანერგვით ფაქტობრივად არ ხდება შრომის ანაზღაურების ფონდის შემცირება და რამდენადაც მანქანა ადამიანის გარეშე ვერ იმუშავებს, მაშინ მან თავი უნდა გამოისყიდოს სხვა გზებით, მაგალითად, მემცენარეობაში ან მეცხოველეობაში მოსავლიანობის ან პროდუქტიულობის ამაღლებით, შრომის პირობების გაუმჯობესებით და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი არა მარტო შრომის და წარმოების სისტემის შემადგენელი ელემენტებია, არამედ, თავის მხრივ, წარმოადგენენ ერთიან მანქანათა სისტემას. ფერმერმა, რომელიც ამზადებს სილოსს, იცის, რომ აუცილებელია სწორად შეარჩიოს სიმძლავრეთა მიხედვით სილოსის ასაღები კომბაინი შესაბამისი აგრეგატებით და მუშა მანქანებით.

შრომითი რესურსების და მანქანების ოპტიმალური შეთანაწყობა ინდივიდუალურია ყოველი კონკრეტული ფერმერისათვის, თუმცა ძირითადი პრინციპი ყველას ერთი უნდა ჰქონდეს: ყოველი კაპიტალი, რომელიც მანქანებში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობილობებშია დაბანდებული, გამოსყიდული უნდა იქნეს და საწარმოო დანახარჯებმა უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს საქმის წარმატებაზე.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ოპტიმალურ დროში შეცვლა სხვადასხვა მეთოდიკით ხდება. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. ტექნიკის მოძველებასთან ერთად დანახარჯები ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე იზრდება და ბოლოს დგება დრო, როდესაც უფრო ხელსაყრელია ახალი მანქანების შეძენა, ვიდრე ძველის შენახვა. ბევრია დამოკიდებული ტექნიკის სახეზე და ტექნიკური მომსახურების და რემონტის სისტემაზე. შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს მანქანის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობასაც. დროთა განმავლობაში მანქანა ისე ძველდება, რომ ძნელია მისი ღირებულების განსაზღვრა. მანქანების შეცვლისათვის გადაწყვეტილებათა მიღებაში დიდ როლს ასრულებს არსებული საგადასახადო სისტემაც.

ყოველმა ფერმერმა უნდა იფიქროს იმ შედეგებზე, რომელიც თან მოჰყვება არა ტექნიკის შეცვლას, არამედ მის შენახვას. საქმე იმაშია, რომ ინფლაციისას ტექნიკის შენახვაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად იზრდება. საჭიროა აგრეთვე შეფასდეს კრედიტზე პროცენტის დინამიკის ტენდენცია. დაბოლოს, ფერმერებმა უნდა გაითვალისწინონ ახალი ტექნიკის შეძენის მოტივაციური გავლენა მათ პერსონალზე. მომუშავეთა მორალური მდგომარეობისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ის, თუ როგორი მანქანები მუშაობენ მათ საწარმოებში. სასურველია, რომ ეს მანქანები მეზობელ საწარმოში მომუშავე მანქანებზე ცუდი არ იყოს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი ფორმებით განხორციელდეს: 1) საკუთარი კაპიტალით ან საბანკო სესხებით კერძო შეძენა; 2) შეძენა განვადებით; 3) მექანიზებულ სამუშაოთა შესრულებაზე კონტრაქტების დადება; 4) იჯარა; 5) ტექნიკის შეძენის და გამოყენების მიზნით ფერმერთა გაერთიანება საპაიო საფუძველზე (სინდიკატი).

ტექნიკის გამოყენების ზემოთ დასახელებული ფორმების შერჩევა მოითხოვს შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღებას, რისთვისაც აუცილებელია შემდეგი საკითხების გაანალიზება. 1) კაპიტალის მოცულობის განსაზღვრა, მათი დაბანდების ალტერნატიული შესაძლებლობების დადგენა, თანხის სესხებისას პროცენტების გაანგარიშება; 2) თანხების მაქსიმალური ეკონომიისათვის დაბეგვრის საშეღავათო სისტემების გამოყენება; 3) ტექნიკის შეძენის შესაძლებლობების და საიმედოობის განსაზღვრა მათი შეძენის მეთოდების მიხედვით; 4) პასუხისმგებლობა რემონტზე და ტექნიკურ მომსახურებაზე; 5) ხვედრითი დანახარჯების სიდიდე; 6) სხვა განმასხვავებელი ღირსებები.

ტექნიკის საკუთარი კაპიტალით შეძენას რიგი უპირატესობები გააჩნია, კერძოდ, იგი უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას და ტექნიკის ნებისმიერ პერიოდში გამოყენების შესაძლებლობას, ფერმერს საშუალება აქვს დეტალურად გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი. უარყოფითი მხარე ის არის, რომ იგი მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს, აგრეთვე სასესხო კაპიტალზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. ამასთან, ფერმერმა თვითონ უნდა ადევნოს თვალყური მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას, მანვე უნდა შეარჩიოს შრომითი რესურსები ტექნიკის მართვისათვის მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ყველა ეს ვალდებულება ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ეკისრება მოიჯარეს.

ტექნიკის განვადებით შეძენისას, ჩვეულებრივ, პირველი შენატანი უნდა შეადგენდეს მისი ღირებულების 1/3-ს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება ფორმდება ერთიდან სამ წლამდე.

რაც შეეხება ტექნიკის საიჯარო საფუძველზე ქირაობას, აქ შემდეგი შესაძლებლობები გამოიკვეთება: 1) მოკლევადიანი ქირაობა რამდენიმე დღის ან კვირის მანძილზე სამუშაო ძალის დაქირავებით; 2) მოკლევადიანი ქირაობა სამუშაო ძალის დაქირავების გარეშე; 3) საიჯარო ხელშეკრულება 2—3 წლით.

ტექნიკის იჯარით აღების უპირატესობა ის არის, რომ იგი არ მოითხოვს დიდ პირველსაწყის კაპიტალს. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ საწარმოთათვის, რომლებიც შემდგომ გაფართოებას და განვითარებას მოითხოვენ. გარდა ამისა, ამ დროს რეგულარულად ხდება მანქანების შეცვლა და მათი საიმედოობა არანაკლებია, ვიდრე კერძო მფლობელობისას. ეს ამარტივებს პერსპექტიულ ფინანსურ დაგეგმვას.

სინდიკატების ძირითადი მიზანია ტექნიკის შეძენაზე გაწეული დანახარჯების განაწილება წევრებს შორის. სინდიკატი წარმოადგენს მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების მიზნით შექმნილ ფერმერთა ჯგუფს, რომლებიც მანქანების და მოწყობილობების შეძენის და გამოყენების მიზნით გაერთიანებულნი არიან საპაიო საწყისებზე. ასეთი სინდიკატების უპირატესობა, გარდა იმისა, რომ ხარჯების განაწილება ხდება წევრებს შორის, შეიძლება ისიც იყოს, რომ მათ უკეთესი შანსები გააჩნიათ კრედიტის მისაღებად. ხშირად სინდიკატი ფლობს უფრო მძლავრ ტექნიკას, ვიდრე მისი ცალკეული წევრი. დასახელებული სისტემა რამდენადმე საიმედოა და სტიმულატორის როლს ასრულებს შრომის დანაწილებაში. მანქანების მოვლა-პატრონობა ასეთ პირობებში ოპტიმალურია, ახალი ტექნიკით ძველის შეცვლაც გაადვილებულია. სინდიკატების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია თვით წევრთა შორის კარგ ურთიერთობებსა და საქმიანობის კარგ ორიენტაციაზე.

Э. ХАРАИШВИЛИ

ТЕХНИЧЕСКАЯ БАЗА АГРОПРОМЫШЛЕННОГО КОМПЛЕКСА И ЕЕ СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ

Резюме

Ошибки в инвестиционной политике привели к диспропорциям в материально-технической базе производства, переработки и хранения продукции. Из-за слабой технической оснащенности основные работы в АПК выполняются не в лучшие агротехнические сроки. Определяющей чертой функционирования рынка сельхозсырья и сельскохозяйственных машин является рациональная система ценообразования, обеспечивающая проведение как фискальной политики, так и стимулирование производителей.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

E. KHARAISHVILI

THE TECHNICAL BASE OF THE AGROINDUSTRIAL COMPLEX (AIC) AND ITS PERFECTION

Summary

Errors in the policy of investments have led to disproportions in the material technical base of production, processing and storage of goods. Owing to the poor technical equipment, the seasonal work in the ATC fails to be done on schedule. A rational system of pricing ensuring the pursuance of a fiscal policy and serving as an incentive to entrepreneurs—is a determining feature of the functioning of the market of agricultural raw material and machines.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ნ. ღვედაშვილი, ლ. ჩარექიშვილი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი პროგლემები და მათი გადაჭრის გზები

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მიმდინარე პოლიტიკური სისტემის და მისი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის რადიკალური გარდაქმნის პროცესში ჯანდაცვის არსებული სისტემის ძირეული რეორგანიზაცია უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული პროცესი მოითხოვს სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებას ჯანდაცვის დარგის გარდასაქმნელად. ამ მხრივ კი ბევრი პრობლემაა დაგროვილი: საჭიროა ჯანდაცვის დაწესებულებათა რაციონალური განლაგება, სატრანსპორტო ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება, სტაციონარებისა და მთელი სამედიცინო დაწესებულებების მაქსიმალურად მომარაგება სამკურნალწამლო საშუალებებით, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სამედიცინო მომსახურებით და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ჩვენში სამედიცინო დახმარების ჯერ კიდევ მოქმედი „საბჭოური" მოდელი მართვის უაღრესად ბიუროკრატიული ფორმით, დაბალეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმებით, განვითარების ეკონომიკური მოტივაციის არარსებობით, პრაქტიკულად გამორიცხავს მოსახლეობის ჯანდაცვის თანამედროვე მოთხოვნების მინიმალურ დაკმაყოფილებას, მთლიანად ეწინააღმდეგება და მიუღებელი ხდება ქვეყნის მიერ არჩეული საბაზრო-ეკონომიკური განვითარების დემოკრატიული გზა.

ქვეყნის საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა და ძნელად პროგნოზირებადი ინფლაციის ტემპები პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სამედიცინო დაწესებულებათა ფუნქციონირებას. საქართველოში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების გამო, მთელი რიგი უარყოფითი ობიექტური ფაქტორების უკონტროლო ამოქმედების შედეგად პრაქტიკულად გაპარტახების პირასაა მისული დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჯანდაცვის დაწესებულებები განთავსებულია დიდ შენობებში, რომლებიც დაპროექტდა ყოფილი სსრკ ნორმატივების მიხედვით. საავადმყოფოების, განყოფილებების მეტისმეტად დიდი ფართობი გულისხმობს გათბობის, განათების, ექსპლოატაციის, დასუფთავებისა და უსაფრთხოების დამატებით ხარჯებს და ასევე ზრდის პაციენტებისა და პერსონალის მოძრაობაზე დახარჯულ დროს. აშკარაა შენობებისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობის დიდი გაუარესება. სამედიცინო დაწესებულებათა თითქმის 10 პროცენტი განლაგებულია ავარიულ შენობებში, რომელიც მოითხოვს რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს. ავარიულ მდგომარეობაშია სამშობიაროსახლებისა და ბავშვთა საავადმყოფოების 17 პროცენტი. ბევრი სამკურნალო დაწესებულება კეთილმოუწყობელია. შენობების კედლებში ხშირია ბზარები, ჩამონგრეულია ჭერი, დანგრეულია იატაკი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა. ბევრ შენობაში შესაკეთებელია სახურავები, რაც შეეხება გათბობის სისტემას, მასზე საავადმყოფოების საერთო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია გაზისა და სათბობის მზარდი ფასებით, არსებული გათბობის სისტემების არასრულყოფილებით და სხვა.

არსებული სამედიცინო აღჭურვილობათა უმეტესი ნაწილი არ პასუხობს თანამედროვე უსაფრთხოების ნორმებს (მათი დაახლოებით 80 პროცენტი შემოტანილი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან). ჰუმანიტარულმა დახმარებამ გარკვეული წვლილი შეიტანა მოდერნიზაციის საქმეში, თუმცა სათადარიგო ნაწილების, რეაქტივების, რენტგენის ფირებისა და ელექტროკარდიოგრამის ქაღალდის უქონლობა ხელს უშლის აღჭურვილობის 70—80 პროცენტის ფუნქციონირებას. ზოგიერთ ქირურგიულ და რეანიმაციის განყოფილებაში სტერილიზაციისათვის იყენებენ გამომხარშავებს და მშრალ სტერილიზაციას. რენტგენის აპარატებისა — ლაბორატორიული და ფიზიოთერაპიული აღჭურვილობა, ენდოსკოპები, ქირურგიული ხელსაწყოები საშუალოდ 8—15 წელია რაც ექსპლუატაციაშია და აღარ შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. განიცდიან ქირურგიული, ფუნქციური დიაგნოსტიკისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის ნაკლებობას. არ არსებობს ან ცარიელია სამედიცინო საშუალებათა მარაგი.

გაცილებით რთული მდგომარეობაა მოსახლეობის წამალთმომარაგების საქმეში. პრაქტიკულად გაჩერებულია სამედიცინო დახმარების მთელი რიგი სახეები, რამაც თავის მხრივ განაპირობა მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება: მკვეთრად გაიზარდა ავადობის მაჩვენებლები, კერძოდ, თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, შემდეგ სურათს ვნახავთ:

1995 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებში რეგისტრირებული იყო 1,3 მლნ ავადმყოფი, მ. შ. ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით — 478,4 ათასი კაცი (1994 წელს მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში რეგისტრირებული იყო შესაბამისად 1,5 მლნ და 59, 19 ათასი კაცი). მათ შორის სასუნთქი ორგანოების დაავადებებით მთლიანი რიცხოვნობის 20,8 პროცენტი, ტრავმებით და მოწამვლებით — 4,4 პროცენტი, ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით — 3,8 პროცენტი, ახალწარმონაქმნებით — 2,4 პროცენტი და სხვ. საერთოდ, დაავადებულთა რიცხოვნობა ცალკეულ დაავადებათა მიხედვით შემცირდა 7-დან 15 პროცენტამდე, რაც ძირითადად რეგისტრირებულ ავადმყოფთა შემცირებითაა გამოწვეული — ფასიანი სამედიცინო მომსახურების ფართოდ დანერგვის შედეგად. მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი არ აკითხავს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებს. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები მეტ ყურადღებას მოითხოვს. შემოსავლის ამჟამინდელი დონის პირობებში, მოსახლეობის უმრავლესობას უჭირს სადაზღვევო მედიცინაზე გადასვლა. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები შემცირდა 9,6 პროცენტიდან 80-იანი წლების ბოლოს 4,6 პროცენტამდე 1995 წელს. მდგომარეობა მეტად დრამატული გახდა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირებასაც. კერძოდ, ეს მაჩვენებელი 1989 წლის 8,1 პრომილედან 1995 წელს 3,4 პრომილემდე შემცირდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვილ ბავშვთა დაავადების მდგომარეობა. 1995 წლის მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 39,0 ათასი 1 წლამდე ასაკის ავადმყოფი ბავშვი. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს 14,4 ყოველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათას დაბადებულზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება განვითარებული ქვეყნების აღნიშნულ მაჩვენებელს (მაგალითად, იაპონიაში 5,0-ია).

1995 წელს სტაციონარში შემოვიდა 280 ათასი ავადმყოფი (1994 წელს ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სტაციონარებში შევიდა 300 ათასი ავადმყოფი). აქედან 4818 გარდაიცვალა. ერთი საწოლის დატვირთვის კოეფიციენტი 12,8 პროცენტია. სტაციონარში შემოსული ავადმყოფებიდან 54,9 ათასი 14 წლამდე ასაკის ბავშვია.

1995 წლის მონაცემებით აღრიცხვაზე იმყოფება 65146 ფსიქიური ავადმყოფი, მ. შ. ფსიქოზებით დაავადებულია საერთო რიცხოვნობის 37,0 პროცენტი, არაფსიქოტური ხასიათის ფსიქიკური დარღვევით — 32,1 პროცენტი, გონებრივი ჩამორჩენილობით (ოლიგოფრენია) — 30,9 პროცენტი.

საავადმყოფოებში შესული პაციენტების 19,0 პროცენტი მოდის სამშობიაროებზე, 26,5 პროცენტი — სოფლის რაიონულ საავადმყოფოებზე, 9,0 პროცენტი — უმაღლესი სასწავლებლებისა და სამედიცინო-საკვლევი ინსტიტუტების კლინიკებზე. 1994 წელს პოლიკლინიკებში ექიმს მიმართა 6533-მა კაცმა, 1995 წელს ეს მაჩვენებელი განახევრდა და 3493 ათასი შეადგინა.

1995 წლის მონაცემებით, ქვეყანაში აღირიცხებოდა 22,6 ათასი ექიმი და 40,3 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. 10000 მოსახლეზე გაანგარიშებით 41 ექიმი და 75 სამედიცინო პერსონალია.

1995 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 1104,7 ათასი პენსიონერია, მათ შორის მომუშავეა 5,9 პროცენტი, 90,7 პროცენტი იღებს შრომის პენსიებს, 14,4 პროცენტი ინვალიდი პენსიონერია, 16 წლამდე ასაკის 8502 ბავშვი ინვალიდია. სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან ინვალიდი-პენსიონერია 15596 კაცი, აქედან ომის ინვალიდია 64,3 პროცენტი. ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით საშუალოდ 204 პენსიონერია. საშუალო პენსიამ 6,2 ლარი შეადგინა.

1995 წელს საექიმო შრომითი საექსპერტო კომისია (პირველადი შემოწმება) გაიარა 14387 კაცმა, რომლის 95,8 პროცენტი აღიარეს ინვალიდად, აქედან 21,8 პროცენტი — პირველი ჯგუფის ინვალიდია, 70,6 პროცენტი — მეორე ჯგუფის, 7,7 პროცენტი — მესამე ჯგუფის. ამასთან, 1,2 პროცენტი ინვალიდია სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან.

საერთო დაავადებებით 1302 ცნეს ინვალიდ-პენსიონერად. აქედან სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით — 22,8 პროცენტი, ავთვისებიანი სიმსივნით — 13,7 პროცენტი, ნერვული სისტემის და გრძნობის ორგანოების დაავადებებით — 12,4 პროცენტი, ტრავმებით — 9,9 პროცენტი*.

ამრიგად, ჩვენი მედიცინის პრაქტიკულად ყველა ნაკლოვანება განპირობებულია სათანადო ეკონომიკური დასაბუთების არარსებობით. ამასთან, არ იქნება მართალი, რომ ყველაფერი მივაწეროთ ფინანსური სახსრების უკმარისობას. ასეთი მდგომარეობის შექმნას თანაბრად უწყობდა ხელს ჯანდაცვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვის არაეფექტიანობა. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საბიუჯეტო დაფინანსების სისტემას, შედარებით კეთილსასურველი ეკონომიკური მდგომარეობის პირობებშიც კი, არ ძალუძს უზრუნველყოს ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნილებები და მით უმეტეს, მას არ შეუძლია ამის გაკეთება სა-

---

* სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები, — სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები: № 1, 7, 11, 13, 22, 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე, როდესაც ფასების ზრდა და ინფლაცია აქსიომას წარმოადგენს. საწარმოების მხრიდან სერიოზული დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს, მაღალი საბეგრო გადასახადების გამო. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ბაზრის პირობებში სამედიცინო დანადგარებზე, ინსტრუმენტებზე, წამლებზე და ა. შ. ფასების ხელოვნური შეკავება ჯანდაცვას მოუტანს არა იმდენად სარგებელს, რამდენადაც — ზიანს, რადგანაც წამგებიანი წარმოება განწირულია დეფიციტისა და დაბალი ხარისხისათვის.

ახალმა სამეურნეო მექანიზმმა გარკვეული წინსვლა შეიტანა დარგის მართვის სრულყოფის საქმეში. ამასთან, შემოთავაზებულ ზომებს არ ძალუძთ დაგროვილი პრობლემების რადიკალური გადაწყვეტა და, მათ შორის, არასაკმარისი დაფინანსების პრობლემების გადაჭრა. გარდა ამისა, დაწესებულებებს შორის მოქალაქეთა საპასპორტო ჩაწერის საფუძველზე არსებული ურთიერთანგარიშსწორება, კრედიტების განმკარგულებლის როლში უბნის თერაპევტის ყოფნა ქმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც პოლიკლინიკას და სტაციონარს შორის მემკვიდრეობითობის პრინციპის მაგივრად ბატონობს კონკურენცია და საჯარიმო სანქციები და ა. შ. უფრო ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებს, ვიდრე ეკონომიკურს, აქედან გამომდინარე, ჩნდება დარგის მართვის ისეთი ეკონომიკური მექანიზმის აუცილებლობა, რომლის დროსაც: 1. მიუხედავად საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესისათვის დამახასიათებელი ნეგატიური ტენდენციებისა, გარანტირებულია სამედიცინო მომსახურების გარკვეული მინიმუმი; 2. გამოიყენება სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ზრდის ყველა რეალური შესაძლებლობა; 3. ყოველივე ზემოხსენებული ხორციელდება არა ექიმების რიცხოვნობისა და საწოლების რაოდენობის გაზრდის უპერსპექტივო გზით, არამედ არსებული რესურსების მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენებით. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჯანდაცვის შრომითი რესურსები, რადგანაც სამედიცინო კადრების პროფესიონალიზმისა და შრომის ინტენსივობის ზრდის სტიმულს უნდა წარმოადგენდეს მატერიალური წახალისების ადეკვატური სისტემა, მაგრამ დღესდღეობით ასეთი სისტემა არ არის სრულყოფილად შემუშავებული, არ პასუხობს მედიცინის მუშაკთა განათლების დონეს, მათი შრომის ფიზიკურ და ფსიქიკურ დანახარჯებს. ჯანდაცვის არსებული სისტემა აღნიშნულ პროცესებზე ვერ რეაგირებს, ის პრაქტიკულად მოუქნელი და ინერტული გახდა, მისი ამოქმედებისა და ეფექტიანობის ყველა ღონისძიება უიმედოა. აუცილებელი გახდა სისტემის არსებითი შეცვლა, კარდინალური რეორგანიზაცია. არადა, მედიცინა ჩვენი ერის არა მარტო ყოფის, არამედ მისი კულტურის, ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კრიზისული სიტუაციის გავლის შემდეგ ქვეყანაში გაჩნდება სახსრები იმისათვის, რომ ჯანდაცვის ფართომასშტაბიანი პროგრამები დაფინანსდეს (რა თქმა უნდა, ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდება).

აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა სათანადო ინვესტიციები, რის საშუალებაც საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში ჯანდაცვის დაწესებულებებს არ ექნებათ. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ჯანდაცვის ობიექტების ასაშენებლად და არსებულის მოვლა-ექსპლუატაციისათვის საჭირო რესურსების ფორმირება გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყნის ბიუჯეტის შედგენის დროს.

დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია ჯანდაცვის სახელმწიფო მხარდაჭერა. ახლად შექმნილი სამედიცინო კოოპერატივებისა და მეურნეობრიობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ტიპების საქმიანობა არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ფინანსური მხარდაჭერა ექნება სახელმწიფოსაგან, მთავარია სათანადო პირობები შევუქმნათ სამედიცინო მომსახურების მწარმოებლებს. გამოვყოფთ რამდენიმეს: სამედიცინო-პრაქტიკული საკონსულტაციო მომსახურება, ეს უნდა გახდეს სერვისის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რით უნდა დაიწყოს მწარმოებელმა, როგორ დაგეგმოს ჯანდაცვის დაწესებულება, როგორი სამედიცინო აპარატურის გამოყენება სჯობია და სხვა. გარდამავალ ეტაპზე თვისებრივად იცვლება ასევე ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა, რომლის ფუნქციონირება დღეს უკვე შეუძლებელია ბაზრის, ბირჟის და სხვა ელემენტების, კატეგორიების, ცნებების გარეშე. გამოჩნდა ახალი ტიპის სამედიცინო მომსახურების მწარმოებელი, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების და საერთოდ ჯანდაცვის დაწესებულებათა კერძო მფლობელები, რომლებიც ამავე დროს მომხმარებლებიც არიან. უნდა შეიცვალოს მისდამი დამოკიდებულება ახალი ფუნქციის გათვალისწინებით, მომმარაგებელი ახალი ტიპის მწარმოებელს უნდა მიუდგეს არა როგორც ზოგადად, განყენებულ მომხმარებელს, არამედ როგორც საკუთარი ეკონომიკის შექმნა-განმტკიცების მთავარ წყაროსაც. ეს უნდა დაედოს საფუძვლად მათ ორგანიზაციულ, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და კავშირებს.

იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის დარგი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საშუალებებით თითქმის მთლიანად გარედან შემოტანილი რესურსებით მარაგდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის დაწესებულებათა ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური მექანიზმი, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ვერ ეგუება ჯანდაცვის დაწესებულებათა ორგანიზაციისა და მართვის ადრე ჩამოყალიბებულ ფორმებს, მოითხოვს ახალი სქემებისა და მოდელების შექმნას, საერთოდ ახალი კონცეფციის შემუშავებას, ამავე დროს შესაბამისი სამსახურების გარდაქმნა უნდა ხორციელდებოდეს ეტაპობრივად, პრივატიზაციის ტემპების გათვალისწინებით და ერთობ დიდი სიფრთხილით, რათა არ მოიშალოს ის ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. ამჟამად, ჯანდაცვის სისტემაში იწყება რეფორმების მეორე ეტაპი, რომელიც რაც შეიძლება ნაკლები სოციალური დანახარჯებით უნდა წარიმართოს. ამის საშუალებას იძლევა ქვეყანაში მიღწეული ეკონომიკური სტაბილურობა და აღმავლობის პროცესი.

Н. ГВЕДАШВИЛИ, Л. ЧАРЕКИШВИЛИ

ОСНОВНЫЕ ПРОБЛЕМЫ СИСТЕМЫ ЗДРАВООХРАНЕНИЯ ГРУЗИИ И ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ

Резюме

Система здравоохранения Грузии имеет ряд экономических и медицинских проблем, в результате чего практически исключается минимальное удовлетворение современных потребностей населения в этом виде услуг. На современном этапе необходимо изменить систему материально-технического снабжения здравоохранения, создать но-

вые схемы и модели финансирования и управления. Это должно быть осуществлено поэтапно, чтобы не нарушить те технические, технологические и организационные структуры, деятельность которых соответствует современным требованиям.

N. GVEDASHVILI, L. CHAREKISHVILI

THE MAIN PROBLEMS OF THE HEALTH CARE SYSTEM OF GEORGIA AND WAYS OF SOLVING THEM.

Summary

The health care system of Georgia faces a number of economic and medical problems, practically ruling out minimal meeting of modern needs of the population in this type of service. At the present stage it is necessary to alter the system of materialtechnical supply of the population, and to create new models of financing and management. This should be carried out by stages. so as not to break down the work of those technical, technological and organizationel structures whose operation meets present-day demands.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ზ. გალდავა

სამრეწველო კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

ორგანიზაციის ძირითად იდეებს წარმოადგენს შემდეგი:

1. ორგანიზაცია არის ადამიანთა თავმოყრა რაიმე მიზნის შესასრულებლად;

2. ორგანიზაციული სტრუქტურა არის ორგანიზაციის ცალკეული ელემენტების ურთიერთკავშირი;

3. ორგანიზაციის ფუნქცია გულისხმობს ყოველივე იმის მომზადებას, რაც აუცილებელია გეგმის შესასრულებლად;

4. ორგანიზაციული პრინციპები ნიშნავს იმ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციული სტრუქტურის ქმედობას.

ორგანიზაციის ფუნქცია ნიშნავს, წინდაწინ მომზადდეს ყოველივე აუცილებელი, რაც საჭიროა გეგმისათვის. იგი არის გეგმის რეალიზაციის პირველი ნაბიჯი.

ორგანიზაციის, როგორც ფუნქციის (ორგანიზაციული მოღვაწეობა), მიზნობრივი დანიშნულებაა ფორმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა და კადრების სწორი შერჩევა. გარდა ამისა, აუცილებელია გეგმის შესრულება უზრუნველყოფილი იყოს საჭირო ინსტრუმენტებით, მოწყობილობებით, მასალებით, სამუშაო სათავსებით და მრავალი სხვა საშუალებით. დიდი დრო და დიდი ხარჯები არამწარმოებლურად იკარგება იმის გამო, რომ ცალკეულ მმართველს არ შეუძლია სამუშაო პროცესის სწორად ორგანიზება. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი დანაკარგები, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მუშაკთა აუცილებელი რაოდენობის არსებობა, მათი შემადგენლობა და კვალიფიკაცია;

2. თითოეულმა მუშაკმა უნდა იცოდეს თავისი როლი, გეგმის რა ნაწილს ასრულებს იგი და რაზეა პასუხისმგებელი;

3. ყოველმა მუშამ უნდა იცოდეს, გეგმის რა ნაწილზე აგებს იგი პასუხს;

4. ყოველი მუშა უნდა იყოს მომზადებული, რაც შესაძლებლობას მისცემს მას, შეასრულოს გეგმის ის ნაწილი, რომელზეც პასუხს აგებს;

5. გეგმის შესასრულებლად მუშაკებს უნდა გააჩნდეთ ყოველივე აუცილებელი (ინსტრუმენტები, მოწყობილობები, შენობები, მასალები) საჭირო დროსა და მოცემულ ადგილას.

ყოველივე ეს არ არის პირობების ამომწურავი ნუსხა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მოიცავს ყველაზე ძირითადს, რომელიც გვხვდება სამუშაო რგოლის მმართველის მუშაობისას.

ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება იყოს განსხვავებული (იხ. სქემა № 1), მაგრამ ერთი შეხედვით, რა რთულადაც უნდა მოგვეჩვენოს იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქემა № 1

სამრეწველო კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა



სქემა № 2

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სახეები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ორგანიზაცია შედგება მხოლოდ სამი კომპონენტისაგან ანუ სტრუქტურული ბლოკისაგან. ყველა ორგანიზაცია მიეკუთვნება სამიდან ერთ რომელიმე სახეს: ხაზობრივს, შტაბურს ან უზრუნველმყოფელს (იხ. სქემა № 2).

ხაზობრივი ქვეგანყოფილება არის ორგანიზაციის ის კომპონენტი, რომელიც ასრულებს ძირითად საწარმოო ფუნქციას. მაგალითად, სარწყავი მანქანების კომპანიაში ამ მანქანების დამამზადებელი საამქრო მიეკუთვნება ხაზობრივ ქვეგანყოფილებას. ხორცის ბითუმად ვაჭრობის ორგანიზაციაში, რომლის მთავარი ამოცანაა ხორცის ნაწარმის გასაღება, სავაჭრო ქვეგანყოფილებები მიეკუთვნებიან ხაზობრივს.

ორგანიზაციის სირთულისა და ზომების ზრდასთან ერთად ხაზობრივ ქვეგანყოფილებას სჭირდება თავისი ფუნქციების უზრუნველყოფა. ამას ახდენს საშტაბო ან მომსახურე ქვეგანყოფილებები. ისინი ემსახურებიან იმ ფუნქციების ნაწილის რეალიზაციას, რომლებსაც ახორციელებს, უპირველეს ყოვლისა, ხაზობრივი სტრუქტურული ერთეულები ამ ორგანიზაციაში.

შტაბი ეხმარება ხაზობრივ, მომსახურე და ორგანიზაციის სხვა ქვეგანყოფილებებს თავისი რჩევებით. მას აქვს ფუნქციური უფლებამოსილება და იღებს გადაწყვეტილებებს იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ორგანიზაციის კონკრეტულ ფუნქციებს. მაგალითად, მრეწველობაში და საცალო ვაჭრობაში იურიდიული და შრომითი ურთიერთობების განყოფილებები წარმოადგენენ საშტაბო სამსახურს, რამდენადაც მათი როლი ძირითადად არის სათათბირო.

ორგანიზაციის მესამე კომპონენტია უზრუნველყოფა. უზრუნველმყოფ ქვეგანყოფილებას შეაქვს არაპირდაპირი წვლილი ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციის რეალიზაციაში. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ აგრეთვე უფლებამოსილება გარკვეულ ფუნქციებში და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგალითად, მრეწველობასა და საცალო ვაჭრობაში ბუღალტერიის მუშაკები უშუალოდ არ მონაწილეობენ პროდუქციის წარმოებაში, მაგრამ ამ პროცესში ეხმარებიან ხაზობრივ ქვეგანყოფილებას.

ბუღალტერიის გარეშე ხაზობრივი მმართველები იძულებულნი იქნებოდნენ თვითონ შეედგინათ საგადასახადო უწყისები და ა. შ. ორგანიზაციის ქვედა დონეზე საშტაბო და უზრუნველმყოფი ფუნქციები ხშირად შეთანხმებულნი არიან ერთმანეთთან.

ხაზობრივ ორგანიზაციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეკუთვნება ის ქვეგანყოფილება, რომელიც ახდენს კომპანიის ან საწარმოს ძირითადი ფუნქციის რეალიზაციას. მისგან განსხვავებით ხაზობრივი უფლებამოსილება სრულიად სხვა აზრს ატარებს. იგი ნიშნავს სხვისი ხელმძღვანელობის უფლებასა და მოვალეობას. ყველა ქვეგანყოფილებას — ხაზობრივს, საშტაბოს და უზრუნველმყოფს — ხელმძღვანელობს მმართველი, რომელსაც ხაზობრივი უფლებამოსილება გააჩნია. ამ ქვეგანყოფილების რიგითი მუშაკები ჩვეულებრივ უყურებენ მმართველს, როგორც თავიანთ უფროსს. მაგალითად, საწარმოო ფირმის გასაღების განყოფილებას შეიძლება ჰქონდეს ხაზობრივი უფლებამოსილება უზრუნველმყოფი ქვეგანყოფილების მიმართ. გასაღების აგენტს ხელქვეითად შეიძლება ჰყავდეს ხუთი შემსყიდველი და ათი გამგზავნელი, რომელთა მიმართებაში იგი არის ხაზობრივი მმართველი.

ფუნქციური უფლებამოსილება არის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რომელიც აქვს ხაზობრივ, საშტაბო ან უზრუნველმყოფ ქვეგანყოფილებებს და მათი ობიექტებია ის მუშაკები ან ოპერაციები, რომლებსაც უშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ აკონტროლებენ სხვა მმართველები. მაგალითად, ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსს შეიძლება ჰქონდეს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ტრანზისტორების წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ნახევარგამტარების ხელსაწყოების წუნი აღემატება ექვს პროცენტს, ამასთან, არც ოსტატს, საამქროს უფროსს და თვით წარმოების მმართველსაც კი არ უნდა ჰქონდეს ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსის გადაწყვეტილების გაუქმების უფლება.

ფუნქციური უფლებამოსილება ყოველთვის ეწინააღმდეგება მართვის საღ პრინციპს (ერთპიროვნულობის პრინციპს), მაგრამ რადგანაც ასეა, ამიტომ ფუნქციური უფლებამოსილებით უნდა ვისარგებლოთ ძალიან ფრთხილად. აქ საჭიროა გვახსოვდეს, რომ მართვის პრინციპები ორიენტირებია და არა დოგმები.

ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია ერთი მედალიონის ორი მხარეა. ცენტრალიზაციის დროს გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ცენტრალიზებული მართვის უპირატესობებია:

1. თუ მმართველი კარგად ფლობს მთელ ორგანიზაციას და კარგად ესმის საქმე, მაშინ იგი იღებს სწორ გადაწყვეტილებას;

2. ზემდგომ მმართველს მეტი ცოდნა და განათლება აქვს, ვიდრე ქვემდგომ მმართველს;

3. ცენტრალიზებული მართვა შრომით საქმიანობაში გამორიცხავს დუბლირებას, რაც ამცირებს წარმოების ხარჯებს;

4. ცენტრალიზებული მართვა ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების შეხამებისათვის ქმნის მეტ შესაძლებლობას;

5. ცენტრალიზებული მართვა ხელს უწყობს კადრების ზრდას.

ცენტრალიზებული მართვის უარყოფითი მხარეებია:

1. თუ მმართველი ცუდად იცნობს თავის სამართავ ობიექტს, მაშინ იგი მიიღებს მცდარ გადაწყვეტილებებს;

2. მაღალ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისას ზემდგომი მმართველი ნაკლებად შედის კონტაქტში იმ მშრომელებთან, რომლებმაც უნდა მოახდინონ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია;

3. კომუნიკაციის გრძელი იერარქიული საფეხურები იწვევს დროის დანაკარგებს, ნაკლებად მოქნილია და დიდი დრო სჭირდება საქმიანობის გარდაქმნას;

4. ქვემდგომი მმართველი უკმაყოფილოა იმით, რომ იგი ჩამოცილებულია გადაწყვეტილების მიღების უფლებას;

5. რაც უფრო იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ამზადებენ წინადადებებს, მით უფრო იზრდება ალბათობა იმისა, რომ მიღებული იქნება არასწორი გადაწყვეტილება.

დეცენტრალიზებული მართვის დადებითი მხარეებია:

1. გადაწყვეტილების მიღება ხდება სწრაფად;

2. გადაწყვეტილებას იღებს მმართველი, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ;

3. საშუალო დონის მმართველთა მონაწილეობა ამაღლებს მათ დაინტერესებას შრომის შედეგებში;

4. დეცენტრალიზებული მართვის პირობებში იქმნება საშუალო დონის მმართველთა კვალიფიკაციის ზრდის პირობები.

დეცენტრალიზებული მართვის უარყოფითი მხარეებია:

1. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს სხვა სტრუქტურული რგოლების შესახებ არასწორი ინფორმაციის შედეგად და იმ ადამიანებთან სუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოორდინაციის გამო, რომლებიც მონაწილეობენ თავიანთი რგოლების საქმიანობაში;

2. მმართველთა ანაზღაურება მაღალია, რადგან საშუალო რგოლი მოითხოვს კვალიფიციური კადრების არსებობას;

3. თითოეული რგოლის მმართველი დაინტერესებულია თავისი რგოლის მუშაობით და არა მთელი კომპანიის მუშაობით;

4. დეცენტრალიზებული მართვა ხელს უშლის მთელი კომპანიის საერთო ხელმძღვანელობას.

საერთოდ ძნელია იმის თქმა, თუ მართვის რომელი სტრუქტურა ჯობია — ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული. ყველაზე კარგი ორგანიზაცია შეითვისებს ორივეს ღირსებებს.

ორგანიზაციული სქემები არის მართვის სასარგებლო ინსტრუმენტი. ვფიქრობთ, რომ ეს სქემები არის არა ფუფუნება, არამედ აუცილებლობა. ყველა კომპანიაში უნდა იყოს ასეთი სქემა და ყველასათვის უნდა იყოს იგი ხელმისაწვდომი. არსებობს მოსაზრება, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი სქემების აუცილებლობას.

ორგანიზაციული სქემების დამუშავების მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა მოსაზრებები შემდეგია.

ამ სქემათა მომხრეები თვლიან:

1. ყოველმა მუშაკმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი ორგანიზაციაში, რომ ეფექტიანად ითანამშრომლოს სხვებთან;

2. ყოველი მუშაკი, კომპანიის პრეზიდენტიც კი, არის დაქვემდებარებული პირი. ყველამ იცის, ან კიდევ უნდა იცოდეს, რომ სუბორდინაციის ურთიერთობის უარყოფა გრაფიკულად ვერ მოსპობს რომელიმე თანამდებობის პირისადმი საკუთარი დაქვემდებარების შეგრძნებას.

3. ორგანიზაციული სქემები არასაკმარისად კონკრეტულია იმისათვის, რომ იგი იქცეს მუშაკის შემზღუდველ ფაქტორად კომპანიაში;

4. რადგან ორგანიზაციული სტრუქტურების სქემათა უმრავლესობაში არ არის ასახული ორგანიზაციის წევრებს შორის არაფორმალური ურთიერთობები. ამიტომ ფორმალური ურთიერთობების ჩვენება, მით უმეტეს, სასარგებლოა.

ორგანიზაციული სქემების შემუშავების მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები:

1. ორგანიზაციული სქემების შემუშავება არ ამართლებს დროის ხარჯვას;

2. კომპანიის მუშაკებს არ სურთ იგრძნონ თავი დაქვემდებარებულად, რამდენადაც ასეთი შეგრძნება იწვევს მათი დაინტერესების შემცირებას;

3. ორგანიზაციის სტრუქტურების სქემა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის მუშაკებზე, აბრკოლებს მათ ინიციატივას;

4. ორგანიზაციული სტრუქტურების სქემა უსარგებლოა, რამდენადაც მასში არ არის ასახული ორგანიზაციის წევრთა ფორმალური ურთიერთობები.

ორგანიზაცია აგებულია პრინციპებზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის საქმიანობის წარმართვას მიზნის მისაღწევად. ორგანიზაციის პრინციპებია:

1. კადრების შერჩევა. კადრების შერჩევის ამოცანაა, თითოეული ადამიანის უნარი მოარგოს სამუშაო ადგილს.

2. მმართველის უფლებამოსილება. მმართველმა უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება ყველა სტრუქტურულ რგოლს. უფლებამოსილება არის ორგვარი: ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური უფლებამოსილება გულისხმობს ბრძანებით ჯაჭვს უფროსიდან ხელქვეითამდე, ხოლო არაფორმალური უფლებამოსილება კი დაკავშირებულია მმართველის ავტორიტეტთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შრომის დანაწილება. შრომის დანაწილება დაკავშირებულია სპეციალიზაციასთან, რომელიც: ა) აადვილებს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ბ) ხელს უწყობს სპეციალისტების მომზადებას და გ) აადვილებს ხარისხის კონტროლს.

არსებობს უფლებამოსილების დელეგირების ეფექტიანობის ამაღლების ხუთი პრინციპი:

1. კონტროლის დიაპაზონი. ეს არის მუშაკთა ოპტიმალური რიცხვის დაქვემდებარება ერთი მმართველისადმი. მისი განმსაზღვრელია:

ა) ხელმძღვანელის, უფროსის უნარი და ნიჭი;

ბ) მუშაკთა უნარი და შესაძლებლობები. ნაკლებად მომზადებული მუშაკები მოითხოვენ ხელმძღვანელისაგან მეტ ყურადღებას;

გ) მუშაობის ტიპი. მანქანური წარმოების პირობებში ნაკლებად საჭიროა კონტროლის განხორციელება ხელმძღვანელისაგან, ვიდრე მაშინ, როდესაც ტარდება, მაგალითად, რემონტი;

დ) ტერიტორიული განფენილობა. თუ 25 კაცი ერთ ოთახში მუშაობს, მაშინ ადვილია მათი მართვა, განსხვავებით იმ მდგომარეობისაგან, როდესაც რეალიზაციის 25 აგენტი სხვადასხვა ტერიტორიაზე იმყოფება;

ე) მუშაკთა მოტივაცია. შედარებით ადვილია შრომით დაინტერესებული მუშაკების მართვა;

ვ) მუშაობის მნიშვნელობა. ზემდგომ მმართველებს უფრო ნაკლები ადამიანი ჰყავთ დაქვემდებარებაში, ვიდრე საშუალო და ქვედა მმართველებს, რომლებისაგანაც უშუალო შემსრულებელ მუშებს სჭირდებათ ყურადღება;

2. ფიქსირებული პასუხისმგებლობის კონტროლი. უფლებამოსილების დელეგირებისას პასუხისმგებლობა არ ეხსნება იმას, ვინც გადასცა უფლებამოსილება მეორეს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა იყოფა ორივეზე;

3. უფლებისა და მოვალეობის შესაბამისობის პრინციპი. დელეგირებული უფლება უნდა შეესაბამებოდეს დელეგირებული მოვალეობის მოცულობას.

იმისათვის, რომ მოვალეობები იქნეს შესრულებული, ისინი მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული უფლებებთან. მაგალითად, თუ ქალაქის მერმა ქალაქის სისუფთავის დაცვა დაავალა კომუნალური მომსახურების დირექტორს, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მოტივით გაათავისუფლა ამ სამსახურის თანამშრომელი, რომლის დაცვასაც და სამუშაო ადგილზე დატოვებას თხოულობდა კომუნალური სამსახურის დირექტორი, მაშინ შეუძლია თუ არა დირექტორს, ქუჩების სისუფთავეზე აგოს პასუხი? რა თქმა უნდა, არა, რადგან თავისი მოვალეობის შესრულებისათვის აუცილებელი უფლებები მისთვის არ მიუნიჭებიათ.

ხელმძღვანელის უუნარობა იმის გამო, რომ არ მისცა სათანადო უფლებები თავის დაქვემდებარებულ მუშაკებს, აიხსნება სამი მიზეზით: ა) პოლიტიკური მოტივებით, ბ) ადამიანის უნარისადმი უნდობლობით, გ) მისწრაფებით აბსოლუტური ხელისუფლებისაკენ;

4. პასუხისმგებლობის გადაცემა მართვის რაც შეიძლება ყველაზე დაბალი რგოლისათვის. ნებისმიერი ამოცანა უნდა გადაეცეს ორგანიზაციის ყველაზე დაბალ რგოლს. რომლის წარმატებით შესრულებაც მას შეუძლია;

5. გეგმის ყოველი გადახრის შემთხვევაში ანგარიშის გაკეთების პრინციპი. გეგმის გადახრის შემთხვევაში საჭიროა მოხსენდეს ზემდგომი მართვის სტრუქტურას, ისევე როგორც მაგალითად, გემის ჩაძირვის საშიშროება მევახტემ უნდა შეატყობინოს გემის კაპიტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქვემდებარებულ მუშაკებს უნდა მიეცეთ უფლებები და მასთან ერთად დაუნაწილდეთ პასუხისმგებლობა. მათთან საჭიროა მუშაობა, მაგრამ მათ მაგივრად კი არ უნდა შესრულდეს სამუშაო. მთავარია დახმარება და არა შენაცვლება. მმართველს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ამოცანაა გააკეთოს სამუშაო სხვისი ხელით, მან უნდა მიაჩვიოს დაქვემდებარებული მუშაკები, იმ წუთშივე მოახსენონ ყოველი გადახრა გეგმისაგან, მაგრამ მინიმუმამდე შეამცირონ მოხსენებები გეგმის შესრულების ნორმალური მსვლელობის შესახებ.

არსებობს სხვა მითითებებიც:

1. მმართველი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისდამი დაქვემდებარებულმა მუშაკმა ზუსტად იცის რას თხოულობენ მისგან. იგი გააკეთებს მას კარგად მხოლოდ მაშინ, როცა დავალება ახსნილია. კითხვაზე — „ყველაფერი გასაგებია თუ არა“ — ისინი თითქმის ყოველთვის დადებით პასუხს იძლევიან, მაგრამ შეიძლება შეცდნენ და იფიქრონ, რომ მათ ყველაფერი გაიგეს, ან კიდევ შეეშინდეთ აღიარება;

2. უნდა დადგინდეს მუშაობის დამთავრების სწორი თარიღი. თუ დავალების შესრულება რთულია და იგი მოითხოვს რამდენიმე თვეს, მაშინ დაქვემდებარებულ მუშაკთან ერთად შესადგენია გრაფიკი, რომელიც ასახავს სამუშაოს ყოველი ეტაპის დაწყებისა და დამთავრების დროს;

3. მმართველმა უნდა გამოძებნოს დრო, რათა შეასწავლოს მისდამი დაქვემდებარებულ მუშაკებს ახალი მოვალეობები. საერთოდ მმართველები არ ანდობენ თავიანთ ხელქვეითებს იმ დამატებით სამუშაოს, რომლის შესრულებისთვისაც მათ არა აქვთ გამოცდილება და არჩევენ, თვითონ შეასრულონ, ვიდრე ასწავლონ. ასეთი მიდგომა სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დავალება ერთხელ არის გასაკეთებელი, მაგრამ თუ იგი ხშირად მეორდება, მაშინ უმჯობესია შეასწავლოთ იგი თქვენს ხელქვეითს;

4. მმართველმა არ უნდა დაუშვას არასანქცირებული დავალებები. დავალებები უნდა მოდიოდეს ზემოდან ქვემოთ. ეს სანქცირებული დავალებებია, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება არასანქცირებული დავალებების შესრულებაც. არასანქცირებული დავალებებია:

ა) ჰორიზონტალური დავალებები. ასეთი დავალებები წარმოიშობა მაშინ, როდესაც მმართველის დონეზე მყოფი სხვა მმართველი და მართვის სტრუქტურები ცდილობენ მას მიანდონ ეს სამუშაო; ბ) დავალებები ქვემოდან. იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც მმართველისადმი დაქვემდებარებული მუშაკი ცდილობს გადმოგცეთ თავისი სამუშაო. როდესაც მმართველის ხელქვეითი მოდის მმართველთან თავისი პრობლემით, მაშინ ძნელია გაუძლოს ცდუნებას და უთხრას: „კარგი, მე მოვიფიქრებ, მოვძებნი გადაწყვეტილებას და თქვენ შეგატყობინებთ“. მმართველმა ეს არ უნდა გააკეთოს. ეს ხელქვეითის პრობლემაა და არა მმართველის. თუ შეუძლია, დაეხმაროს მას, მაგრამ მის მაგივრად ნუ გადაწყვეტს. ამ მიზნით სთხოვოს მისდამი დაქვემდებარებულ მუშაკს, მოახდინოს თავისი წინადადებების ფორმულირება. ხშირად წინადადებების ფორმულირება თავის თავში მოიცავს პრობლემის გადაწყვეტას. თუ საჭირო იქნება დამატებითი ინფორმაცია, მიუთითოს მათ, სად შეიძლება მისი პოვნა. ზოგჯერ პრობლემის წარმოშობა არის მაჩვენებელი მართვის სტრუქტურის ნაკლოვანებებისა. თითოეულ მუშაკს კარგად უნდა ესმოდეს თავისი მოვალეობები და ისინი მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული სხვა მუშაკის მოვალეობებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ მუშაკს უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი უშუალო უფროსი. ეს ძველი იდეაა, რადგან ერთი და იგივე ადამიანი არ შეიძლება იყოს ორი ბატონის მსახური. მრავალი უფროსის არსებობა ძირს უთხრის მუშაკის პასუხისმგებლობას თავისი შრომის შედეგებზე.

З. ГАЛДАВА

ОРГАНИЗАЦИОННАЯ СТРУКТУРА ПРОМЫШЛЕННОЙ КОМПАНИИ

Резюме

Функционирование промышленной компании связано с формированием формальной организационной структуры, которая должна содержать положительные стороны как централизованного, так и децентрализованного управления.

Z. GALDAVA

THE ORGANIZATIONAL STRUCTURE OF AN INDUSTRIAL COMPANY

Summary

The functioning of an industrial company is linked with the setting up of a formal organizational structure which must comprise aspects both of centralized and of dicentralize management.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

გ. ერქომაიშვილი

სამრეწველო კომპანიის (ფირმის) ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც განსაკუთრებით გავრცელდა ბიზნეს-გეგმის მოთხოვნის პრაქტიკა. იგი საჭიროა კომპანიის (ფირმის) საქმიანობის მიზნისა და ფინანსური მდგომარეობის გასაცნობად და აუცილებელი პირობაა კრედიტის მისაღებად. რამდენადაც ინვესტორისათვის ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს პირველ (ხშირად ერთადერთ) წერილობით დოკუმენტს დაფინანსების მოთხოვნისათვის, იგი უნდა იყოს კონკრეტული და გასაგები, წარმოაჩინოს საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, დასახოს მომავლის პერსპექტივები.

კომპანიის (ფირმის) ბიზნეს-გეგმა არის დოკუმენტების კრებული, რომელიც კომპანიის (ფირმის) ისტორიული მონაცემების და ფინანსური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე გვაძლევს ამ ბიზნესის მიზნისა და მისი მიღწევის საშუალების პროექტს. მასში გაითვალისწინება საფინანსო, საბაზრო, მარკეტინგის, ორგანიზაციის, საკადრო, ტექნოლოგიური და ა. შ. გარემოებები, მოიცავს კომპანიის (ფირმის) მიმდინარე საქმიანობას და დროის ინტერვალს 3-დან 5 წლამდე პერიოდისათვის.

ბიზნეს-გეგმა, უწინარეს ყოვლისა, არის მენეჯერთა გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მათი ეფექტიანი მოქმედების უნარს, რომ კომპანია (ფირმა) დამკვიდრდეს ბაზარზე და მიიღოს მოგება.

ბიზნეს-გეგმის შედგენა განსაკუთრებით აუცილებელია:

1. ახალი საწარმოების შექმნის წინ;
2. საწარმოთა გაერთიანების დროს;
3. საქმიანობის დასაფინანსებლად საგარეო სესხების მიღების მიზნით;
4. კრიტიკულ მომენტებში (მაგალითად, საკუთრების ფორმის ან საქმიანობის პროფილის შეცვლის, ახალ ბაზარზე გასვლის, დიდი ინვესტიციების მიღების და მოდერნიზაციის შემთხვევებში).

ბიზნეს-გეგმა ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

1. ითვალისწინებს ბიზნესის წარმატებული დაწყების კონცეფციის შემუშავებას. მეწარმემ უნდა დასახოს მომავალი საქმის სტრატეგია, ყოველმხრივ გააანალიზოს საფინანსო, საწარმოო, მარკეტინგული შესაძლებლობები და მათზე მოქმედი ფაქტორები, რომ თავიდან აიცილოს შეცდომები;

2. მეწარმეს საშუალებას აძლევს შეაფასოს კომპანიის (ფირმის) საქმიანობის ფაქტობრივი მდგომარეობა, გაარკვიოს წინასწარ განჭვრეტილი სტრატეგიული მიმართულებიდან რეალური გადახრები და მისი სასურველი თუ საზიანო შედეგები. ასეთი ანალიზის საფუძველზე მეწარმე განსაზღვრავს შემდგომი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას, ბიზნესის გაფართოების კონტურებს. ბიზნეს-გეგმა მეწარმეს საშუალებას აძლევს განუწყვეტლივ აკონტროლოს ფირმის მთელი საქმიანობა და დროულად მიიღოს საჭირო ზომები;

3. იძლევა დამატებითი ფინანსების მიზიდვის ან მოპოვების, პოტენციური პარტნიორის ან ინვესტორის მოძიების შესაძლებლობას, ბიზნესის მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასურველი პროექტის განხორციელების მიზნით პარტნიორის (ინვესტორის) დაინტერესება და მოზიდვა ანდა დამატებითი ინვესტიციების მიღება ბიზნესის წარმატების საწინდარია. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კარგად შედგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე.

ბიზნეს-გეგმის შინაარსი **მრავალ** ფაქტორზეა დამოკიდებული: როგორია ბიზნესის ჩაფიქრებული მიზანი, მასშტაბები, შესაძლებლობები, იდეებისა და პროექტების თავისებურებანი და სხვა. ამიტომ ბიზნეს-გეგმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თითოეული კომპანიის (ფირმის) ბიზნეს-გეგმა დამოუკიდებელ ნაშრომს წარმოადგენს. ერთი ბიზნეს-გეგმა მეორის იდენტური არასოდეს იქნება, მიუხედავად ამისა, ყველა ბიზნეს-გეგმა გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს. მათი შემადგენელი ნაწილები და კონსტრუქცია პრაქტიკულად ერთნაირია, მსგავსია.

ბიზნეს-გეგმის შინაარსის ტიპური აღწერა ჩვეულებრივ შემდეგ განყოფილებებს მოიცავს:

1. ანოტაცია;
2. კომპანიის (ფირმის) დახასიათება;
3. პროდუქტის აღწერა;
4. ბაზრის გამოკვლევა და ანალიზი;
5. საწარმოო პროცესი;
6. კომპანიის (ფირმის) მართვა და პერსონალი;
7. ფინანსური ანალიზი;
8. რისკის შეფასება;
9. დანერგვის გეგმა;
10. დანართი.

გეგმა იწყება ანოტაციით. იგი იწერება გეგმის ყველა სხვა განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ანოტაციაში გადმოიცემა ბიზნეს-გეგმის მოკლე შინაარსი. მან უნდა დაინტერესოს მკითხველი, რომ მასალას დეტალურად გაეცნოს. რაოდენობრივად არ უნდა აღემატებოდეს 1—2 გვერდს, მხოლოდ მსხვილი საწარმოს შემთხვევაში შეიძლება იყოს უფრო დიდი.

ანოტაციაში გარკვევით უნდა ჩანდეს:

1. გეგმის შედგენის მიზანი;
2. მიზნის მიღწევისათვის საჭირო ფინანსური სახსრებისა და მოსალოდნელი შემოსავლების სიდიდე;
3. პროექტისა და ბაზრის, აგრეთვე ხელმძღვანელი კადრების აღწერა;
4. საფინანსო გეგმის უმთავრესი ელემენტების შედარება (გაყიდვა, მოგება 3—5 წლის განმავლობაში).

ანოტაციის შემდეგ იწყება ფირმის დახასიათება, მისი საქმიანობის გაცნობა დაარსების მომენტიდან დღემდე. მასში აღინიშნება ფირმის დაარსების თარიღი და ფორმა, ძირითადი საფინანსო მონაცემები, ფირმის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, საწარმოს იურიდიული, საფინანსო და ორგანიზაციული მდგომარეობა, მომავალი საქმიანობის მიზნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზნეს-გეგმის აღნიშნულ განყოფილებაში უნდა დახასიათდეს დარგის კონკურენტი საწარმოები, გაყიდვის მოცულობა, დანახარჯების სიდიდე, დადგინდეს ბაზრიდან ზოგიერთი მეწარმის წასვლის მიზეზები. აუცილებელია მოთხოვნის განსაზღვრა ბაზარზე გასატან პროდუქტზე. ამ პროდუქტის ნიშან-თვისებების, უპირატესობისა და სუსტი მხარეების აღწერა, რითი შეუძლია მას მყარი პოზიციის დაკავება ბაზარზე.

პროდუქტი უნდა აღიწეროს შემდეგი ნიშნების მიხედვით: ტექნოლოგია, წარმოების დანახარჯები, მოგება, მიმზიდველობა (ხარისხი, რაოდენობა, ფასი, სერვისი), კონკურენტუნარიანობა (ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების სიჩქარე), სასაქონლო ნიშნები, ახალი პროდუქტები, პროდუქტის გამოკვლევა და განვითარება.

ბიზნეს-გეგმის საფუძველია განყოფილება, რომელსაც ეწოდება „ბაზრის გამოკვლევა და ანალიზი". ივი განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა დამუშავდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) ბაზრები, ბ) მყიდველები, გ) კონკურენცია, დ) მარკეტინგი და გაყიდვა.

ბაზრის ამსახველი გეგმა უნდა შედგეს 3 წლისათვის. მასში უნდა გამოიკვეთოს საწარმოს ადგილი ბაზარზე. მხედველობაში მიიღება: მთელი დარგი, წარმოების მოცულობა და საპროექტო განვითარება, ასეთივე პროდუქტის მწარმოებლები; პროდუქტის დახასიათება, კლიენტები, ბაზრის სეგმენტი და მისი დახასიათება; ბაზრის ლოკალიზაცია (რეგიონული, ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო), ბაზრის სიდიდე და მისი ზრდა მომავალში.

ბაზარზე საწარმოს ადგილის განსაზღვრისას, მისი შედარება ანალოგიური პროდუქტის მწარმოებელ სხვა ფირმებთან ხშირად შეუძლებელია ბაზრის დამატებითი კვლევის ჩატარების გარეშე. დამატებითი კვლევის ჩატარება აუცილებელია ასევე ბაზარზე ახალი ნაკეთობის შემოტანის შემთხვევაშიც. კვლევის შედეგები გაიტანება დანართში. კვლევის შედეგად მუშავდება ბაზრის ორგანიზაციის გეგმა, რომელშიც მოცემულია მოსალოდნელი გაყიდვა, სერვისი, გარანტის პირობები, ფასების პოლიტიკა, დისტრიბუცია და რეკლამა.

ბაზრის სიდიდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დახასიათება უნდა განხორციელდეს მომავალი განმანაწილებლების, ვაჭრების და კლიენტების დისკუსიის, ასევე პრესასა და ტელევიზიაში გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

საბაზრო სტრატეგიის ასარჩევად აუცილებელია საკუთარი ბაზრის დეტალური შესწავლა. მის არსებით ელემენტს წარმოადგენს როგორც ძველი, ისე მომავალი კლიენტების ზნე-ჩვეულებების, მოთხოვნების, მოთხოვნილებების, ნაყიდის რაოდენობის განსაზღვრა. იმის შესწავლა, თუ რატომ იძენენ მაინცდამაინც ამ საქონელს, ვინ არიან ამა თუ იმ საქონლის მომხმარებლები, როდის და სად ყიდულობენ ისინი. ეს პრობლემები განიხილება სეზონურობის გათვალისწინებით.

საწარმოს წარმატების საწინდარია კონკურენციის პრობლემის კომპეტენტური გამოკვლევა. უნდა გაირკვეს, რა განაპირობებს სხვისი საქონლის კონკურენტუნარიანობას, როგორია ფირმის კონკურენტების პრაქტიკა საქონლის გასაღების დარგში, რა უპირატესობა აქვთ მათი საქონლის ხარისხს, შეფუთვას, რეკლამას, გასაღების სტიმულირებას. ასეთი ანალიზის შედეგად დადგინდება, თუ რატომ მიმართავენ კონკურენტები ფასების ამა თუ იმ პოლიტიკას, ასორტიმენტის არსებულ სტრუქტურას, დანახარჯების დონეს. ანალიზის შედეგად გამოვლინდება წარმატების საკვანძო ფაქტორები, გაირკვევა, თუ რის საფუძველზე ექნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით. ასეთი საკვანძო საფუძველი შეიძლება იყოს: ეკოლოგიური უპირატესობა—გარემოს დაჭუჭყიანებისაგან თავის დაღწევა; სტანდარტულობა და ხარისხის დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფა, ინდივიდუალობა და მოქნილი ფასწარმოქმნა. თუ ფირმას არ შეუძლია აღნიშნული ფაქტორების გამონახვა, მისი ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა საეჭვოა. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს რა უშლის ხელს და გატარდეს ღონისძიებანი მისი აღმოფხვრისათვის.

მიზანშეწონილია რამდენიმე კონკურენტის მონაცემები წარმოდგენილი იქნეს ცხრილის სახით.

ბაზარზე საწარმოს (ფირმის) საქმიანობისა და მისი პოზიციის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ასრულებს მარკეტინგი. ბიზნეს-გეგმაში იგი ხშირად ცალკე გამოიყოფა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი განყოფილება. საჭიროა ფასების სტრატეგიის აღწერა, რომელიც უნდა მოხდეს მთავარი კონკურენტების ფასების პოლიტიკასთან შეპირისპირებით, რის შედეგადაც გაირკვევა, შესაძლებელია თუ არა ბაზარზე დამკვიდრება და გარკვეული პოზიციის მიღება. ასევე მეტად მნიშვნელოვანია პრობლემის მეორე მხარე — ბაზრის შენარჩუნება, რაც რეკლამას საჭიროებს. ყველა დანახარჯი, რომელიც მარკეტინგზეა საჭირო, უნდა აისახოს გეგმაში, გამოანგარიშებულ იქნეს მათი წილი საერთო დანახარჯებში და გაითვალისწინება მომატების პროგნოზიც.

მარკეტინგის სტრატეგიის ასარჩევად აუცილებელია: ბაზრის სეგმენტაცია ანუ კონკრეტული მიზნობრივი ბაზრის გამოყოფა ერთობლივი ბაზრის ფარგლებში, მიზნობრივი ბაზრის, ბაზარზე გასვლის მეთოდის, მარკეტინგის მეთოდებისა და საშუალებების, ბაზარზე გასვლის დროის შერჩევა. ფირმამ უნდა იცოდეს, რომ ბაზრის ყველა სეგმენტს საქონლის გასაღების სხვადასხვა შესაძლებლობა გააჩნია. სეგმენტაციის რაიმე დადგენილი წესი არ არსებობს. ყველა ფირმა ამ საკითხს შემოქმედებითად წყვეტს. სეგმენტაცია (დაყოფა) შეიძლება მოხდეს გეოგრაფიული ჭრილის, ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს ან ქალთა, კაცთა, ბავშვთა და ა. შ. მოთხოვნის მიხედვით.

ფირმა, ბაზრების სეგმენტების ანალიზიდან გამომდინარე, აფართოებს წარმოებას და მიწოდებას იქ, სადაც ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით არის მოსალოდნელი მოთხოვნა.

ბაზრის მოცემული სეგმენტი უნდა იყოს დიდი ტევადობის მქონე, უნდა გააჩნდეს ზრდის შესაძლებლობანი, არ უნდა წარმოადგენდეს კონკურენციული ფირმის სამოქმედო ობიექტს, უნდა ხასიათდებოდეს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით, რომლის დაკმაყოფილებაც შეეძლება მოცემულ ფირმას.

ბაზრის ტევადობასთან დაკავშირებით მარკეტინგმა უნდა გამოავლინოს მისი განმსაზღვრელი პირობები — მოთხოვნა და მიწოდება, მისი არსებობის წყაროები, სასაქონლო წარმოება და მოსახლეობის ფულადი შემოსავალი და ბაზრის ტევადობის განმსაზღვრელი ფაქტორები — ფასების დონე, მოსახლეობის საქონლით უზრუნველყოფის დონე, ნატურალური პროდუქტების მოხმარების ხვედრითი წონა, მოსახლეობის რიცხოვნობა, შემადგენლობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

ფირმამ, თავისი შესაძლებლობების გარკვევის შემდეგ, ბაზარზე უნდა გაუშვას საქონლის სასინჯი პარტია და მოსინჯოს მასზე მყიდველთა მოთხოვნა. შეისწავლოს მოცემულ ბაზარზე კონკურენტების პოზიციები და ამის მიხედვით განსაზღვროს იქ საქონლის დიდი პარტიებით მიწოდების დრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმაში მოცემული უნდა იყოს გაყიდვის მოცულობა (მათ შორის ექსპორტი), განაწილების არხები და მათი გეოგრაფიული განლაგება. მნიშვნელოვანია ასევე გაყიდვის ორგანიზაციის აღწერა; უფრო მნიშვნელოვანი — კლიენტები; შეკვეთების სიდიდე; გაყიდვის საშუალებები (მაღაზიების კერძო ქსელი, განმაწილებლების და სავაჭრო წარმომადგენლების გამოყენება); მაღაზიების სიდიდე და განლაგება; საცალო და საბითუმო ვაჭრობის სიდიდე; გაყიდვის სპეციალური პირობები; გამყიდველები (მუშაკთა რაოდენობა, რომლებიც ემსახურება გაყიდვის პროცესს); მიწოდების მოცულობა.

ცხრილის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს მონაცემები, რომელიც ეხება გაყიდვას და გამოსაკვლევი საწარმოს მონაწილეობას ბაზარზე.

ამრიგად, მარკეტინგის მიზანი ფირმის მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია. თუ ფირმის მიზანი მოგების გადიდებაა, მარკეტინგის მიზანი უნდა იყოს სათანადო პროდუქტის მყიდველთა რიცხოვნობის ზრდა და ამ პროდუქტის ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება.

ბიზნეს-გეგმის შემდეგი განყოფილებაა „საწარმოო პროცესი". ისევე როგორც პროდუქტის აღწერისას, არც საწარმოო პროცესის აღწერისას არის საჭირო ტექნოლოგიური წვრილმანების ან მეტად რთული ტერმინოლოგიის გამოყენება.

ბიზნეს-გეგმის ამ განყოფილებაში უნდა დახასიათდეს საწარმოს საწარმოო ბაზა, შენობის ფართობი, გამოყენებული მოწყობილობის, ტექნოლოგიის სახეები, საწარმოო პროცესის ცალკეული ეტაპები. უნდა აღიწეროს საწარმოს განლაგება, დაშორება მიმწოდებლებთან და კლიენტებთან, ტრანსპორტირების ხარჯები. უნდა აღინიშნოს უფრო მნიშვნელოვანი ნედლეულით, კომპონენტებით და კვანძებით მომარაგების წყაროები. გადაწყვეტილება ამ ელემენტების წარმოებაზე ან მათ ყიდვაზე. აქ უნდა გვქონდეს ავრეთვე ინფორმაცია სამუშაო ადგილზე კვალიფიციური სამუშაო ძალის მიღების შესაძლებლობაზე.

ახალი საწარმოს შექმნის, მოდერნიზაციის და ახალი ნაკეთობის გამოშვების შემთხვევაში გეგმაში უნდა იყოს მოტანილი შემდეგი მონაცემები: წარმოების აუცილებელ საშუალებათა სახეები; არსებული საწარმოო ფონდების, საწარმოო ფართობის უკეთ გამოყენების გეგმა; ცალკეული ღონისძიებების ჩატარების ვადები; ამასთან დაკავშირებული ხარჯები.

საწარმოო პროცესის აღწერა, მოიცავს არა მარტო ტექნიკურ და საწარმოო ასპექტებს, აქ შედის ასევე წარმოების ორგანიზაციის, დანახარჯების მწარმოებლურობის გეგმა, ასევე სამუშაო ძალის კვალიფიკაცია.

ამრიგად, ბიზნეს-გეგმის ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ყველა პრობლემა შეიძლება დავყოთ რამდენიმე ტექნიკურ ჯგუფად.

— საწარმოო შესაძლებლობები და მათი გამოყენების ხარისხი;

— საწარმოო პროცესის ცალკეული ფაზების აღწერა;

— წარმოების გეგმისა და დანახარჯების გეგმის შედგენა;

— მიწოდების სისტემის ორგანიზაცია (მიმწოდებლების, ფასების, ვადების, გადახდის პირობების განსაზღვრა);

— მარაგის სიდიდის განსაზღვრა;

— ხარისხის, პროდუქციის მარაგის კონტროლი.

— წუნის, რეკლამების, საგარანტიო მომსახურების, კონტროლის საშუალებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პროდუქციის სეზონურობის (ან გაყიდვის) პრობლემა და მასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევის მეთოდები (მაგალითად, დამატებითი მაღაზიების მშენებლობა, სეზონური მუშაკების მოზიდვა).

ეს მაჩვენებლები გამოიყენება მომსახურე საწარმოს შემთხვევაშიც. მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ იგი კლიენტებთან ახლოს უნდა მდებარეობდეს.

საწარმოს (ფირმის) წარმატებული მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონეს. ამდენად, ბიზნეს-გეგმის ეს განყოფილება პოტენციური ინვესტორების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ცნობილია, რომ საწარმოს წარუმატებლობის მიზეზთა შორის ყველაზე დიდი პროცენტი ხელმძღვანელთა შეცდომებზე მოდის.

გეგმაში მოცემული უნდა იყოს ორგანიზაციული სტრუქტურების აღწერა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკთა შემადგენლობა, დამკვირვებელთა საბჭოს შემადგენლობა, მათი წევრების მოკლე დახასიათება, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

ხელმძღვანელი კადრების დახასიათება განთავსდება ბიზნეს-გეგმის დანართში. იგი მოიცავს: მათ განათლებას, სასწავლო დაწესებულებების ჩამოთვლას, მნიშვნელოვან მიღწევებს და წარმატებებს, ჯილდოებს და წინსვლას თანამდებობრივ საფეხურებზე. ამ განყოფილებაში უნდა შეფასდეს შესაძლებელია თუ არა არსებული კადრებით გეგმის რეალიზაცია, თუ საჭიროა ახალი მუშაკების მოზიდვა. კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სპეციალისტთა და კონსულტანტთა მოწვევა. ეს ხშირად ხდება მუშაკებზე დანახარჯთა შემცირების მიზნით.

მეტად მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის პრობლემა. გეგმაში წარმოდგენილი უნდა იქნეს: მუშაკთა რაოდენობა და სტრუქტურა (კვალიფიკაციის, განათლების, ასაკის, სქესის და ა. შ. მიხედვით), მოქმედი პროფესიული კავშირება და მათი რაოდენობა, ანაზღაურების სისტემა საწარმოში. თუ ადგილობრივი შრომითი რესურსები საკმარისი არ არის, გეგმაში უნდა მიეთითოს მათი მოზიდვის საშუალებები (მაგალითად, უფრო ხელსაყრელი ხელფასი, სოციალური პრივილეგიები, კვალიფიკაციის ამაღლება სპეც. სწავლების ან კურსების გზით). ნაჩვენები უნდა იქნეს ამ ღონისძიებებზე დახარჯული თანხები და მათი წილი საერთო დანახარჯებში. აქვე უნდა აღიწეროს მართვის ინფორმაციული სისტემა, რომლის გამოყენების გარეშე საწარმოს ეფექტიანი მუშაობა შეუძლებელია.

ბიზნეს-გეგმის ერთ-ერთი ძირითადი განყოფილებაა საწარმოს (ფირმის) ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. იგი გულისხმობს საწარმოთა უნარს — მის განკარგულებაში მყოფი ფულადი რესურსებით უზრუნველყოს თავისი სამეურნეო საქმიანობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებათა შესრულება. ფინანსური ანალიზის ამოცანაა: საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა, საწარმოს ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილების პროგნოზი, მათი შესაძლო წყაროების გამოვლენა და მობილიზაცია.

ფინანსური გეგმის შედგენის მიზანია მომავალი ინვესტორებისათვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოს ფინანსური პრობლემის გაცნობა. იგი მოიცავს: 1) მოგებისა და ზარალის გეგმას, 2) ფულადი გასავლების გეგმას, 3) ბალანსებს.

მოგებისა და ზარალის გეგმაში უნდა აისახოს საწარმოს შემოსავლების ან გაყიდვის სავარაუდო სიდიდე. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია გეგმის კეთილსინდისიერად შედგენაზე.

საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილებამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი დაფინანსების საჭიროება. ამიტომ გეგმაში ა) წარმოდგენილი უნდა იქნეს დაფინანსების პირობები და ვადები, გადახდის საშუალებები (განსაკუთრებით სეზონურად მომუშავე, ასევე ახალი საწარმოებისათვის, რომელთა მოგების დონე ხშირად საკმარისი არ არის ოპერატიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის). ბ) ნაჩვენები უნდა იყოს რომელი ნაწილი იქნება უზრუნველყოფილი ინვესტორის მიერ გრძელვადიანი კრედიტით და რომელი ნაწილი ბანკის მოკლევადიანი კრედიტით. გ) დაპროექტდეს როგორი იქნება ფულადი შემოსავალ-გასავლის კონტროლის სისტემა. მიეთითოს პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საკითხზე.

გაანგარიშებულ უნდა იქნეს საწარმოოს საფინანსო მომგებიანობის, ლიკვიდურობის, დავალიანების, მოქმედების სისწორის მაჩვენებლები, რომელთა ანალიზი მაშინვე იძლევა სიგნალს გეგმიდან გადახვევის შესახებ.

ყოველ გეგმაში უნდა გაითვალისწინებოდეს რისკის ფაქტორი და მისი აღმოფხვრის ღონისძიებები. ტიპურ საფრთხეს მიეკუთვნება: საინტერესო პროდუქტის შემოსვლა ბაზარზე; ფასების შემცირება; სამუშაო ძალის ნაკლებობა; დაპროექტებაზე, წარმოებასა და საბაზრო საქმიანობაზე ხარჯების ზრდა; წარმოების, რეალიზაციის სიდიდის, საფინანსო შედეგების არასწორი შეფასება; დანერგვის ვადების ცუდად დაგეგმვა; სიძნელეები კრედიტის მიღებაში.

ინვესტორისათვის განკუთვნილ გეგმაში ეს საკითხები ნათლად უნდა გამოიკვეთოს.

ბიზნეს-გეგმის განყოფილებაში — „დანერგვის გეგმა" — წარმოდგენილი უნდა იყოს გეგმის მთავარი მიზანი, მისი მიღწევის ეტაპები, მოქმედების დაწვრილებითი გეგმა და მისი დაკავშირება რეალიზაციის ვადებთან.

გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დანართი. მასში მოცემულია გეგმის კომპოზიცია, განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა, დაწვრილებითი მონაცემები საწარმოს შესახებ, კერძოდ, გეგმის რეალიზაციის გრაფიკი, ტექნიკური და საწარმოო მონაცემები, ტექნიკური და საპატენტო სპეციფიკა, ბაზრის გამოკვლევა და მარკეტინგის გეგმა, ახალ ნაკეთობაზე შეკვეთებისა და მოთხოვნების მდგომარეობა, საწარმოს აქციონერთა სია, ორგანიზაციული სქემები, ხელმძღვანელი კადრების ბიოგრაფია, ფინანსური მონაცემები (ფულადი გასავალი, კრედიტები, ფინანსური პროგნოზები, მოგებისა და დანახარჯების ანგარიში, ფინანსური საშუალებების წყაროები და გამოყენება, ბალანსები, 1-დან 5 წლამდე პერიოდისათვის, ბაზრის მგრძნობიარობის ანალიზი, გამოყენებული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი.

ამგვარად, მიუხედავად, პრობლემათა მრავალფეროვნებისა, ბიზნეს-გეგმაში განსაკუთრებით მთავარია ორი რამ: ა) გეგმაში მართვის როლის მითითება, ბ) ეტაპური მიზნების მიღწევის კვლევის მეთოდები და აქედან გამომდინარე, მთავარი მიზნის რეალიზაციის მსვლელობაზე კონტროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზნეს-გეგმა ფირმის ხელმძღვანელებმა უნდა დაამუშაონ. მოწვეულ კონსულტანტებს შეუძლიათ შემდეგი სახის დახმარების გაწევა: ბიზნეს-გეგმის სტრუქტურის განხილვა და მისი შექმნის პროცესში დისკუსიის ჩატარება, გეგმვის ტექნიკისა და პროცედურების გაცნობა, ბიზნეს-გეგმის ფორმალური მხარის მომზადება (საფინანსო, საგადასახადო და მარკეტინგის გეგმები), გეგმის ინვესტორისათვის წარსადგენად დასკვნის მომზადება.

თუ რა მოცულობის უნდა იყოს ბიზნეს-გეგმა, ამაზე საერთო წესი არ არსებობს. მიღებული ძირითადი ტენდენციების შესაბამისად, იგი არ უნდა აღემატებოდეს 50 გვერდს. მცირე ინვესტიციების შემთხვევაში ბიზნეს-გეგმა შეიძლება 10—15 გვერდიანიც იყოს.

ბიზნეს-გეგმის ღირსებაა მისი კომპაქტური სახით წარმოდგენა. ეს შესაძლებელია, თუ ძირითად დოკუმენტში მხოლოდ არსებითი ინფორმაცია მოთავსდება, ხოლო წვრილმანები დანართში გაიტანება, რომელიც გეგმის მოცულობის 50 პროცენტს მოიცავს. ყოველივე ეს ამსუბუქებს კითხვას და გასაგებს ხდის გეგმის შინარსს.

აქ მოტანილი ბიზნეს-გეგმის ტიპური ფორმის ავტომატური გამოყენება ყველა საწარმოსათვის აუცილებელი არაა, საჭიროა დაგეგმვისადმი მოქნილი მიდგომა, თითოეული საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინება.

ზოგიერთ კომპანიას (ფირმას) შეუძლია არც კი შეადგინოს აღნიშნული ფორმის ბიზნეს-გეგმა. ეს მისი თავისუფალი მოქმედების ნებაა. მან შეიძლება სრულიად სხვა, თავისი მოდელის გეგმა-პროგრამები შეადგინოს.

ბიზნეს-გეგმებისა და პროგრამების შედგენის მოდელი, თანამიმდევრობა და პრინციპები შეიძლება ამა თუ იმ კომპანიის (ფირმის) საიდუმლოსაც წარმოადგენდეს, ამიტომ მას მკაცრად დიფერენცირებულად მიუდგება (სხვებისათვის სრულიად განსხვავებულად) და დამალავს კიდევ მისი შედგენის წესს.

ასე რომ, ამ მხრივ არ არსებობს სავალდებულო მიდგომები. მთავარია ფირმამ ისე ააწყოს ბიზნესი და ისე შეადგინოს მისი წარმართვის პროგრამები თუ გეგმები, რომ მეტი და მყარი მოგება მიიღოს. ბიზნესის საბოლოო მიზანიც სწორედ ეს არის.

Г. ЕРКОМАИШВИЛИ

ОРГАНИЗАЦИЯ СОСТАВЛЕНИЯ БИЗНЕС-ПЛАНА ПРОМЫШЛЕННОЙ КОМПАНИИ (ФИРМЫ)

Резюме

Бизнес-план вошел в обиход предпринимателей не так давно, однако прочно прижился в деловой жизни страны. Сейчас ни один банк не выдает кредит под новое дело без представления убедительного бизнес-плана работы компании. Одной из наиболее часто встречающихся причин отказа в кредитах является некачественно составленный бизнес-план. В связи с этим надо научиться правильно его составлять.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

G. ERKOMAISHVILI

ORGANIZATION OF THE DRAWING UP OF A BUSINESS PLAN OF AN INDUSTRIAL COMPANY (FIRM)

Summary

The business plan has come into current use of entrepreneuers only recently, becoming firmly established in the republics business life. At present no bank will grant a credit for a new business without the submission of a convincing work plan of the company. One of the most frequently occurring inuses of the refusal to grant a credit is a poorly compiled business plan. Hence the need to learn how to draw in correctly.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ნ. თოდუა, ე. ურუტაძე

მარკეტინგის კონცეფციის თავისებურებანი საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა, რომელიც ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას. დასავლეთის ქვეყნებში აღიარებულ ასეთ მეთოდს წარმოადგენს მარკეტინგი, რომელსაც მართვის საბაზრო კონცეფციას უწოდებენ. ჩვენი ქვეყანა მარკეტინგის კონცეფციის, მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების ფორმირების საწყის სტადიაშია, ამიტომაც მარკეტინგის პრობლემა საქართველოს ეკონომიკაში ზოგჯერ არაპრაქტიკულადაც ჩანს. ამის ძირითადი მიზეზია საბაზრო ურთიერთობათა განუვითარებლობა, მწარმოებელთა შორის ჯანსაღი კონკურენციის არარსებობა, ქართულ მეურნეობრიობაში ჩამოყალიბებული საკმაოდ რთული მდგომარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამომხმარებლო ბაზრის დაუბალანსებლობა, ინფლაცია, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მწვავე დეფიციტი. აღნიშნულის გამო, მარკეტინგის უცხოური გამოცდილების პირდაპირ გადმოტანა ჩვენს საწარმოებში შეზღუდულია.

საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მუდმივად მზარდი წინააღმდეგობა და დისპროპორციები პროდუქციის ასორტიმენტში, აგრეთვე მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურულ-ასორტიმენტული დაუბალანსებლობა იწვევს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა საქმიანობის კრიტიკულ ანალიზსა და საბაზრო ურთიერთობებზე მათი მუშაობის ორიენტაციის აუცილებლობას. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ეძებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. ამან წარმოაჩინა უამრავი ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-პრაქტიკული პრობლემა. მათი გადაწყვეტისას საწარმოები სტიქიურად ან შეგნებულად მივიდნენ მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის შესაძლებლობის ანალიზთან. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა უპირატესობა აქვს მარკეტინგს ჩვენი ეკონომიკისათვის.

პირველი — ესაა ბაზრის მართვისადმი სისტემური მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ საქონლის რეალიზაციის პროცესი იწყება არა ნაწარმის გამოშვების შემდეგ, არამედ მანამდე და გულისხმობს ბაზრის თანამიმდევრულ შესწავლას, მასთან წარმოების შეთანაწყობას, აგრეთვე მოთხოვნის მიზანდასახულ ფორმირებას და პროდუქციის გასაღებას;

მეორე — საბაზრო პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომის კომპლექსური ხასიათი, რომელიც გულისხმობს ბაზრის ყველა ელემენტის ურთიერთკავშირს — იქნება ეს საქონელი, მომხმარებელი, გასაღება თუ რეკლამა და მათ განხორციელებას სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე — მარკეტინგის უპირატესობა მდგომარეობს მართვის პრობლემის გადაწყვეტისადმი პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომაში. საქონლის წარმოების, გასაღებისა და მოხმარების პროცესში მწარმოებელი, შუამავალი და მომხმარებელი ითვალისწინებენ თავიანთ მიზნებს. მყიდველისათვის ეს შეიძლება იყოს სასურველი სამომხმარებლო თვისებების მქონე ნაწარმის შეძენა, მწარმოებლისათვის — მოგების მიღება, ხოლო შუამავლისათვის — სწრაფი გაყიდვა მინიმალური დანახარჯებით. ეს ინტერესები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით, მაგალითად, შემოსავლების, ფასების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, აგრეთვე სანედლეულო ბაზის მდგომარეობის ცვლილებით. პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა საშუალებას იძლევა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეირჩეს ძირითადი მიზნები და შემუშავდეს პროგრამა მათი რეალიზაციისათვის თითოეულის ინტერესის გათვალისწინებით;

მეოთხე — მარკეტინგი ითვალისწინებს დარგის მოქმედების კოორდინაციას საბაზრო პროცესებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი საწარმოებისათვის, ვინაიდან სწორედ მომხმარებლის, ვაჭრობისა და ფასწარმოქმნის სისტემებს შორის შეუთანხმებლობა არის თანამედროვე ბაზრის დაუბალანსებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი;

მეხუთე — მარკეტინგს გააჩნია ბაზრისა და მისი ელემენტების მართვის ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების მდიდარი არსენალი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ახალი სანეურნეო მექანიზმის პირობებში.

ამრიგად, საკმაოდ სამართლიანი და დროულია საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის პრინციპების, მეთოდებისა და მართვის სისტემების შექმნისა და გამოყენების ამოცანა. მარკეტინგთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ჩვენში გამოყენებული ლიტერატურა [1—8] გვიჩვენებს ამ პრობლემის განხილვის საწყის ეტაპს. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, ქართულ ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა დამუშავებული სამამულო წარმოებაში მარკეტინგის კონცეფციის საკითხები, რაც, ჩვენი აზრით, უარყოფითად მოქმედებს ცალკეული წარმოებისა და ფირმების საქმიანობაზე ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში. წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა, ამიტომ ის პრეტენზიას არ აცხადებს სრულყოფილებაზე. ჩვენი მიზანია სამამულო წარმოების მარკეტინგული მართვის ოპტიმალური გზების ძიება.

ჩვენი აზრით, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მიერ პროდუქციის შემუშავების, წარმოებისა და გასაღების სფეროში ერთდროული და უწყვეტი მოქმედების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის და მაქსიმალური მოგების მიღებას, უნდა დაექვემდებაროს მარკეტინგის ოთხ ძირითად პრინციპს: ა) სისტემურობა; ბ) მომხმარებელზე ორიენტაცია; გ) ბაზარზე აქტიური ზემოქმედება; დ) კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

სისტემური მიდგომის პრინციპში ჩვენ ვგულისხმობთ პირველდაწყებითი მიზნის ზუსტად ფორმულირებას, მისი განხორციელებისათვის ღონისძიებათა დეტალურ დამუშავებას, აგრეთვე უზრუნველმყოფი სისტემების (საინფორმაციო, ორგანიზაციულ-ფუნქციური, საკადრო და სხვ.) არსებობას.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის კონცეფციის შემუშავებისათვის ამოსავალ წანამძღვარს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს შემდეგი:

— საწარმოთა ფუნქციური და კომერციული საქმიანობის ინტეგრაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირველ ადგილზე განვითარების ახალი მიზნების წინ წამოწევა, კერძოდ, საგარეო ბაზარზე გასვლა, ერთობლივი საწარმოების შექმნა და სხვ.;

— საწარმოთა საქმიანობის აქტივიზაცია ისეთი პროდუქციის შემუშავებასა და გამოშვებაზე, რომელიც უპასუხებს კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნილებას. ამისათვის მიზანშეწონილია მოთხოვნის შესწავლა როგორც მიმდინარე ასორტიმენტის პროდუქციაზე, ასევე ახალ, პერსპექტიულ ნაწარმზე.

მიგვაჩნია, რომ მარკეტინგის ელემენტების გამოყენებითა და დანერგვით სამეურნეო საქმიანობის რეკონსტრუქცია უნდა მოახდინონ შედარებით მომზადებულმა საწარმოებმა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გააკონტროლონ ან განახორციელონ მარკეტინგის რაც შეიძლება მეტი ფუნქციები მისი ყველა სირთულის გათვალისწინებით. ამიტომ მარკეტინგის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საწარმოთა დამოუკიდებლობის დონეზე, წარმოების მოცულობაზე, აგრეთვე მიზნობრივი ბაზრის მოცულობასა და სტრუქტურაზე.

სამამულო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში მარკეტინგის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი, აგრეთვე მარკეტინგის უცხოური გამოცდილების გაცნობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის „ავტომატური დანერგვა" უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არაა. ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების მაღალ ეფექტიანობას და ბაზრის ბალანსირებას, მოითხოვს გარდამავალი პერიოდის აუცილებლობას. იგი, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას და ამასთანავე შეაჩერებს ეკონომიკის შემდგომ დესტაბილიზაციას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ნეგატიური ტენდენციების გამოვლენას.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და დარგის მართვაში ჩამორჩენის დაძლევის, საშინაო და საგარეო ბაზრის გაფართოებისათვის აუცილებელია უკვე დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის ყველაზე თანამედროვე, მოწინავე მეთოდების, ე. ი. მარკეტინგის ფართო პროპაგანდა. საჭიროა აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში მარკეტინგის გამოყენებაზე ინიციატივის სტიმულირება სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის სისტემების შექმნა და რეალიზაცია ხასიათდება თავისებურებებით, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ეტაპობრივად.

პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი შეიძლება დავახასიათოთ მარკეტინგული ინფრასტრუქტურის შექმნით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მარკეტინგის ცალკეული ფუნქციების შესრულება. მას შეიძლება მივაკუთვნოთ ორგანიზაციები, რომლებიც იკვლევენ ბაზარს, ინფორმაციის სპეციალიზებული წყაროები, გასაღების სხვადასხვა სისტემები, ბირჟა და სხვ. ამავე ეტაპზე აუცილებელია მართვის ყველა დონის სპეციალისტმა გადალახოს ფსიქოლოგიური ბარიერი ბაზრის კატეგორიების მიხედვით აზროვნების თვალსაზრისით. ამასთან, საჭიროა წარმოების მართვაში სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, მმართველობითი გადაწყვეტილებების ვარიანტების შემუშავება და საბოლოო შედეგის მიხედვით ეფექტიანობის შეფასების უზრუნველყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების რეალიზაცია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარგისა და ცალკეული საწარმოს გასაღებითი ან საწარმოო ორიენტაციის შეცვლა მარკეტინგული ორიენტაციით;

— კადრების კვალიფიკაციის ამაღლება საქმიანობის ძირითადი ხერხების დაუფლების მიზნით, აგრეთვე სპეციალური საკადრო პოტენციალის — პროფესიონალი მარკეტოლოგების გამოყენება მმართველობით საქმიანობაში;

— საიმედო, ზუსტად ფუნქციონირებადი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიის შემუშავება;

— ინფორმაციული უზრუნველყოფის სპეციალიზებული დარგობრივი სისტემების შექმნა, ცალკეული საწარმოს შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

მარკეტინგის დანერგვის მ ე ო რ ე ე ტ ა პ ი ს დასაწყისი უნდა დაემთხვეს ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე (მათ შორის ფასიანი ქაღალდების, საინვესტიციო საქონლისა და სამუშაო ძალის) ბაზრის ფორმირების, აგრეთვე ძირითადი საბაზრო მექანიზმების, კერძოდ, ფასწარმოქმნის სისტემების შემოღებას. ამავე ეტაპზე შესაძლებელია სასაქონლო და ტერიტორიული ბაზრების მართვის ლოკალური სისტემების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა რეგიონის საწარმოთა ურთიერთკავშირის მექანიზმების ჩამოყალიბებას.

მ ე ს ა მ ე ე ტ ა პ ი — ესაა მარკეტინგის ლოკალური (რესპუბლიკური და ტერიტორიული) სისტემების ინტეგრაცია მსუბუქ მრეწველობაში მარკეტინგის დარგობრივ სისტემებთან.

იმის გამო, რომ დღეისათვის საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში მარკეტინგის დანერგვა გაძნელებულია, საწარმოთა ხელმძღვანელებმა სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე აუცილებელია მოახდინონ მარკეტინგული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურების დანერგვა, ხოლო დარგის და ტერიტორიის მმართველობითმა ორგანოებმა კი უზრუნველყონ შესაბამისი მარკეტინგული ინფრასტრუქტურების შექმნა. ეს ხელს შეუწყობს საწარმოთა გასაღებითი ორიენტაციის შეცვლას მარკეტინგული ორიენტაციით.

საწარმოთა სტრუქტურის მარკეტინგის პრინციპების მიხედვით შეცვლის არსი იმაშია, რომ წარმოების ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის ტრადიციული ურთიერთობის ნაცვლად მყარდება ახალი. მარკეტინგული ორიენტაცია მოითხოვს, რომ საწარმოებში ერთად თავმოყრილი იყოს ახალი საქონლის შემუშავებისა და მისი მომხმარებლამდე დაყვანის მექანიზმი, აგრეთვე მყიდველების ზემოქმედების სისტემა. აქედან გამომდინარე, ბაზარზე ორიენტირებული საწარმოს მართვის სტრუქტურაში მიზანშეწონილია მარკეტინგ-დირექტორის თანამდებობის შემოღება.

საწარმოებში მარკეტინგული სისტემების შექმნის პირველ ეტაპზე შესაძლებელია არ შევცვალოთ მართვის არსებული სტრუქტურა, არამედ მხოლოდ გამოვყოთ მარკეტინგის სამსახური, რომელიც უნდა გახდეს დამაკავშირებელი რგოლი საწარმოებში მარკეტინგის ერთიანი პროგრამის შემუშავებისა და კოორდინაციისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ სირთულე მდგომარეობს არა მარკეტინგის სამსახურის შექმნაში, არამედ მისი სხვა განყოფილებებთან ფუნქციური კავშირის დამყარებაში.

სისტემურობა, როგორც მარკეტინგის პრინციპი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოთა მარკეტინგული მიზნების განსაზღვრას, ანუ საწარმოს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული პროგრამა (მარკეტინგული გეგმა), რომელიც უზრუნველყოფდა ძალების კონცენტრაციას საწარმოო-გასაღებითი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობის შესრულებაში, ასევე შექმნიდა საფუძველს საბაზრო ცვლილებებზე, რეაგირებისა და საწარმოს სტაბილური განვითარებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით მარკეტინგული გეგმა უნდა შეიცავდეს მიღებული გადაწყვეტილების საკონტროლო მაჩვენებლებს, თითოეულ მიზნობრივ ბაზარზე, ცალკეულ საქონელსა და მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფებზე მოქმედების პროგრამის, აგრეთვე გეგმის შესრულებაზე კონტროლის წესს.

მარკეტინგული საქმიანობის მნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს პროდუქციის ასორტიმენტის დაგეგმვის პროცესი. სწორად შერჩეული საასორტიმენტო პოლიტიკა საწარმოთა წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში საასორტიმენტო პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

— საწარმო ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფის მოთხოვნებს;

— პროდუქციის მოცულობა, სტრუქტურა და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა განისაზღვროს საბაზრო გამოკვლევების საფუძველზე;

— ასორტიმენტის ოპტიმიზაცია მიღწეულ უნდა იქნეს ასორტიმენტის მაქსიმალური დიფერენციაციით, რომელშიც გაითვალისწინება მომხმარებელთა მოთხოვნილებები და მოთხოვნები, ნაწარმის მოდასთან შესაბამისობა, სასაქონლო მიწოდების ჩამოყალიბებული სტრუქტურა და მისი ორგანიზაცია მიზნობრივი მყიდველების — ბაზრის ცალკეული სეგმენტების შერჩევის საფუძველზე, რომელთა მოთხოვნილებაც უნდა დააკმაყოფილოს მოცემული საწარმოს მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ;

— საბაზრო გამოკვლევების საფუძველზე უნდა შედგეს პროდუქციის ასორტიმენტული სტრუქტურა, აგრეთვე ცალკეული სახეობისა და მოდელის სამომხმარებლო დახასიათება. თითოეული ასორტიმენტული პოზიცია უნდა გაანალიზდეს ახალი ტექნოლოგიის გამოყენების, მომხმარებელთა განსაზღვრულ ჯგუფთან პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების მიახლოების, ასორტიმენტისა და მოდის განვითარებაში ცვლილებების საფუძველზე მისი შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

მარკეტინგის ფუნქციების უზრუნველყოფის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ინფორმაციამ, რომელიც უნდა იყოს სრული, სანდო, ოპერატიული, შეჯერებადი. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია ხელმძღვანელისათვის მარკეტინგული საქმიანობის დროს და შესაძლებელია მისი ფორმირება როგორც საწარმოს ფარგლებში, ისე მის გარეთაც. ამიტომ ურთიერთშორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით ამ პროცესის მონაწილენი უნდა გაერთიანდნენ საინფორმაციო ქსელში „მონაცემების ბანკის" ფორმირებისათვის. იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი მათგანისათვის და მოქმედებდეს განსაკუთრებული სამართლებრივი (მათ შორის საერთაშორისო) ნორმების საფუძველზე. საწარმოს ფარგლებში ასეთი საინფორმაციო ქსელის ორგანიზება თვითონ საწარმოს საქმეა, ხოლო საწარმოებს შორის ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ დარგობრივი ინფრასტრუქტურების შექმნით. აქედან გამომდინარე, მსუბუქი მრეწველობის ბაზარზე ასეთი ინფრასტრუქტურის კოორდინაცია უნდა იკისროს შესაბამისმა დარგობრივმა უწყებამ.

მარკეტინგის მეორე პრინციპი უნდა გახდეს საწარმოს ორიენტაცია მომხმარებელზე. აწარმოებს რა საქონელს და შეისწავლის მის მომხმარებელს, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმო ხელს უწყობს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამიტომ გასაგებია, რომ მომხმარებლისა და მწარმოებლის ინტერესები დაემთხვევა მაშინ, როცა საქონელი ზუსტად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და დროულად მიეწოდება მას. სწორედ ამაშია სამეურნეო საქმიანობაში მარკეტინგის წარმატებული დანერგვის უპირატესობა.

აქედან გამომდინარეობს ორი ამოცანა: პირველი — ახალი მოთხოვნილების პროგნოზირება და თავისდროული ფორმირება, მეორე — საქონლის ახალი ასორტიმენტის შექმნის იდეისა და მის შემდგომ გაყიდვას შორის დროის მონაკვეთის მაქსიმალური შემცირება მოდელებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაჩქარების გზით.

ამ პრინციპის რეალიზაციისათვის აუცილებელია საკუთარი მომხმარებლების შესწავლა. მსუბუქ მრეწველობაში მოთხოვნის შესწავლისათვის აუცილებელია პოტენციური მომხმარებლის გამოკვლევა მოსახლეობის ტიპოლოგიის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩვენ მიერ შემუშავებული მოთხოვნის პროგნოზირების მათემატიკური მოდელი, რომელიც აღწერს მომხმარებელთა ჯგუფების მოთხოვნას არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით [9]. ამასთან, ცხადია, რომ დღეისათვის აქტუალობას კარგავს გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზების შემუშავება და უპირატესობა ენიჭება მოკლევადიან პროგნოზებს.

მარკეტინგის მესამე პრინციპი — ბაზარზე აქტიური ზემოქმედება მსუბუქ მრეწველობაში უნდა განხორციელდეს მოთხოვნის ფორმირების და გასაღების გზით. მოთხოვნის ფორმირების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს ბაზრის მომზადება ახალი საქონლის აღქმისათვის, აგრეთვე მოთხოვნის კულტურის ჩამოყალიბება და ირაციონალური მოთხოვნისაგან გათავისუფლება. სარეკლამო, საგამოფენო და საბაზრო საქმიანობით მყიდველის ცნობიერებაში ფორმირდება „საქონლის იმიჯი", რომელიც მთავარ როლს ასრულებს მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებაში.

მოთხოვნის სტიმულირების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ მყიდველმა მოახდინოს უკვე ნაცნობი საქონლის განმეორებითი ყიდვა, შეიძინოს დიდი პარტია ან მწარმოებელთან თუ გამყიდველთან დაამყაროს რეგულარული კომერციული კავშირები. გასაღების სტიმულირების ღონისძიებანი უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ ვისზეა მიმართული ზემოქმედება — მყიდველზე, შუამავალზე თუ გამყიდველზე. მყიდველზე ზემოქმედება უნდა იყოს სისტემური, მიზანმიმართული და მრავალმხრივი.

მოთხოვნის კულტურის ფორმირებას, სიახლისადმი დამოკიდებულებას, როგორც წესი, ერთი საწარმო ვერ გადაწყვეტს, თუმცა მთლიანობაში იგი გავლენას ახდენს მისი საქმიანობის შედეგებზე. ამიტომ აღნიშნული საქმიანობის ჩატარებისათვის მიზანშეწონილია არაკომერციული ხასიათის ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა კონფერენციები, სიმპოზიუმები, აგრეთვე სანახაობითი ღონისძიებები, ბაზრობების, გამოფენების ჩატარება. ამ ღონისძიებათა ორგანიზაცია შესაძლებელია მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების ფარგლებში, რომლის ჩატარების გამოცდილება არსებობს უცხოეთში.

მარკეტინგის, როგორც ყველა საწარმოო პროცესის მართვის მიზნობრივი სისტემის, პრინციპების გამოყენება „სასიცოცხლო ციკლის" სტადიების (პროექტირება, მოდელირება, წარმოება, რეალიზაცია, მომსახურება) მიხედვით უკვე დღეისათვის შესაძლებელია არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში, როგორიცაა: სამეცნიერო-საწარმოო და სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერნები და სხვა მსგავსი საწარმოო კომპლექსები. მცირე ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში შესაძლებელია დამუშავდეს მარკეტინგული სისტემის ცალკეული ელემენტების ურთიერთზემოქმედების საკითხები, რისთვისაც მიზანშეწონილია ასეთ სამუშაოში მოვიწვიოთ მომიჯნავე დარგების საწარმოები, საბითუმო (საშუამავლო) და საცალო სავაჭრო საწარმოები ბაზრის გამოკვლევისა და „მონაცემების ბანკის" ტერიტორიული ცენტრების შექმნის მიზნით.

მარკეტინგის მეოთხე პრინციპი — კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა გულისხმობს საწარმოს ორიენტაციას კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე [10]. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს თითოეული საწარმოს ბედს და მისი ხანგრძლივი მომავლის საიმედო გარანტიაა. საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ძირითად ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ ღონისძიებებად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი: ა) ნაწარმის კონკურენტუნარიანობის სისტემური შეფასების უზრუნველყოფა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადიების გათვალისწინებით; ბ) სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა მისი ხარისხობრივი ორიენტაციის თვალსაზრისით; გ) საწარმოებში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მართვის სისტემის სრულყოფა; დ) პროდუქციის ხარისხის მართვის სრულყოფა, რომელიც მოიცავს კონკურენტულ ბრძოლაში სტრატეგიის შესაძლებელ ვარიანტებს საწარმოს პოლიტიკის და მიზნების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; ე) კონკურენტუნარიანობის „მონაცემების ბანკის" ფორმირების ძირითადი პრინციპების შემუშავება; ვ) პროდუქციის კონკურენტუნარიანობაში საკადრო უზრუნველყოფა [11].

ბაზარზე მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მიზნით, ჩვენ მიერ შემუშავებულია კონკურენტუნარიანობის შეფასების 7-ბალიანი ორიგინალური სკალა, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად გამოვიყენოთ მრეწველობასა და ვაჭრობაში სამამულო და იმპორტული საქონლის კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრისათვის [12].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში უნდა შეიქმნას მარკეტინგის სპეციალიზებული სამსახური, რომელმაც უნდა განახორციელოს ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, აგრეთვე სამეცნიერო კვლევები, საქონელბრუნვის მოცულობის პროგნოზირება, საასორტიმენტო დასახელებათა მიმართულებების შემუშავება და სხვა სახის საქმიანობანი.

მარკეტინგული გამოკვლევები საკმაოდ შრომატევადი და ძვირია. ამიტომ ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ საწარმოები განახორციელებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოს, მით უფრო, რომ დეფიციტის არსებობა ბაზარზე საშუალებას იძლევა გაასაღონ პროდუქცია ასეთი გამოკვლევების გარეშე და მიიღონ მოგება. შესაბამისად, შექმნილმა მარკეტინგის სამსახურებმა უნდა განახორციელონ მხოლოდ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლის მიზანიც იქნება საწარმოო ციკლის სხვა განყოფილებების საქმიანობის დაკავშირება, საწარმოო-გასაღებითი საქმიანობის გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფა. ძვირადღირებული საბაზრო გამოკვლევების ჩატარება ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დღესდღეობით ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აუცილებელს და უფრო ეფექტიანია მისი ჩატარება შედარებით მაღალ (დარგის, ტერიტორიის) დონეზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, საინტერესოა მარკეტინგის ცენტრის შექმნის იდეა, რომელიც განახორციელებდა თავის საქმიანობას კომერციულ ანგარიშზე ცალკეულ ტერიტორიისათვის სპეციალურად შედგენილი პროგრამის საფუძველზე. ასეთი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მიზნებს და ამოცანებს, აგრეთვე პროდუქციის დაგეგმვის, წარმოების, ფინანსებისა და ფასწარმოქმნის პრობლემების ურთიერთკავშირს.

ამრიგად, პრობლემების წრე, რაც დაკავშირებულია მარკეტინგის პრინციპების გამოყენებასთან საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში, საკმაოდ მრავალმხრივია. თითოეული საწარმოს, კონკრეტული საქონლისა და ბაზრისათვის მარკეტინგს თავისი თავისებურებები გააჩნია. ამასთან, მარკეტინგის ძირითადი იდეა—ორიენტაცია ზუსტად განსაზღვრულ ბაზარზე და მომხმარებელთა კონკრეტულ მოთხოვნებზე — საერთოა ყოველი საწარმოს, საქონლისა და ბაზრისათვის, რაც გარდაუვალი აუცილებლობაა ჩვენი ეკონომიკისათვის და ამიტომაც იგი უნდა ჩაერთოს საწარმოს, დარგის და ტერიტორიის მართვის მთლიან მექანიზმში.

ლიტერატურა

1. გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბილისი, 1991, გვ. 128.
2. გ. პაპავა. ეკონომიკური ანალიზისა და წარმოების საშუალო შედეგებზე მარკეტინგული მმართველობის მეთოდოლოგია (რუსულ ენაზე), „მეცნიერება", თბილისი, 1992, გვ. 324.
3. გ. შუბლაძე. მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები. ჟურნალი „ეკონომიკა", 1992, № 9, გვ. 5,
4. გ. ჯულაყიძე, მარკეტინგის საკითხები, თბილისი, 1992. გვ. 93.
5. ნ. ტერაშვილი, საბაზრო ეკონომიკისა და მარკეტინგის საფუძვლები: თბილისი, „ცოდნა", 1992, გვ. 155.
6. კ. კოკოევი, მარკეტინგის პრობლემის შესავალი (რუსულ ენაზე), თბილისი, 1990, გვ. 49.
7. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, „მეცნიერება", 1991, გვ. 139.
8. დ. ძნელაძე, საბაზრო ეკონომიკის საკითხები, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.
9. ნ. თოდუა, ე. უროტაძე. მოთხოვნის პროგნოზირების მათემატიკური მოდელი. ჟურნალი „ეკონომიკა", 1996, № 1/3.
10. ნ. თოდუა. მარკეტინგი და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მართვის პრობლემა. ჟურნალი „ეკონომიკა", 1994, №4/5.
11. ნ. თოდუა. პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაგეგმვა და მართვის ძირითადი ტენდენციები. რესპ. სამეცნიერო-პრაქტ. კონფ. მასალები, თბილისი, 1994.
12. ნ. თოდუა, ე. უროტაძე. პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი ახლებური მიდგომისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა", 1995, № 3/4.

Н. ТОДУА, Е. УРОТАДЗЕ

ОСОБЕННОСТИ КОНЦЕПЦИИ МАРКЕТИНГА В ЛЕГКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Резюме

Включению легкой промышленности Грузии в систему рыночных отношений мешают экономические, социальные и научно-технические проблемы. Для их решения необходимо применять новые формы и методы хозяйственной деятельности, среди которых важнейшее место занимает маркетинг.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

N· TODUA, E. UROTADZe

PECUTIARITIES OF THE CONPET OF MARKETIINY IN THE LIGHT INDUSTRY OF GEORGIA

Summary

The involvement of Georgia's light industry in the system of market relations is hampered by economic, social and scientific-technical problems. In order to solve them new forms and methods of economic activity must be used, marketing being the most important among them.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ე. ბოლოკაძე, გ. ფარაჯევა

გადახდისუნარიანი მოთხოვნილება როგორც ბიზნესის განვითარების აუცილებელი მარკეტინგული პირობა

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად პირობას ბიზნესის განვითარება წარმოადგენს. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც შემოსავლის მიღების მიზნით ბაზარზე ორიენტირებული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საკუთარ ინიციატივაზე, რისკსა და ქონებრივ პასუხისმგებლობაზე დაყრდნობით.

ბიზნესი ნებისმიერ შემთხვევაში განიხილება როგორც მოგების მიღებისკენ მიზანმიმართული საქმიანობა, რომლის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა მის შესახებ შემეცნებითი აზროვნების მყარად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა. საკითხისადმი მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეიძლება განისაზღვროს ყოველ მოცემულ შემთხვევაში ყველაზე უფრო მომგებიანი საქმიანობა. მაგრამ ამგვარი მიზანი არ წარმოადგენს ადვილად მისაღწევს, რადგან იგი ყოველთვის დაკავშირებულია დიდ რისკთან, საკუთარი სახსრების ხარჯვასთან, ბაზრის განუხრელ კვლევასთან და მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებასთან. მაშასადამე, კარგად ორგანიზებული ბიზნესი, უპირველეს ყოვლისა, განიხილება როგორც საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი ფენომენი, რომელსაც ძირითადად ამ მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაციით მოაქვს ცალკეული ინდივიდისათვის მიზნობრივი მოგება.

ქვეყნის შიგნით ბიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას საზოგადოებრივი მოთხოვნილების განუხრელი ზრდა წარმოადგენს. იგი, როგორც ცნობილია, უმეტესწილად მოიცავს პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებას (რომლის საბოლოო მიზანი აქაც ძირითადად პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა). პირადი მოთხოვნილების მოცულობასა და სტრუქტურას არსებითად განსაზღვრავს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონე, უფრო კონკრეტულად კი, წარმოების ფიზიკური მოცულობისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპები. სამწუხაროდ, მიმდინარე ეტაპზე. ამ მიმართებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა აშკარად არ შეესატყვისება ეროვნული მიზნების სწრაფად განვითარების მოთხოვნებს.

ეკონომიკის საკითხებში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისათვის საკმაოდ გასაგებია, რომ ინფლაცია ასახავს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების გარდამეტს მიწოდებაზე. რაც უფრო მეტია სხვაობა ქვეყნის შიგნით არსებულ ფულად მასასა და მის „შესაწირავად" გამოტანილი საქონლის რაოდენობას შორის, მით საგრძნობია ინფლაციის დამანგრეველი ძალა და მისი მოქმედების მასშტაბები. იგი უმოწყალოდ აკოტრებს და სპობს პირველ რიგში საქონლის წარმოებაზე დასაქმებულ ბიზნესმენს და განსაკუთრებით მათ, ვინც ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე უფრო გატაცებით არიან ჩაბმული ამგვარ საქმიანობაში. მაშასადამე, გამოდის, რომ ნებისმიერი მეწარმე-ბიზნესმენი ინფლაციის პერიოდში თავის მოქმედებით ებრძვის მას, მაგრამ სამწუხაროდ, მათი ეს ბრძოლა ხშირად ქარის წისქვილთან შებმას წააგავს და უშედეგოდ ან მარცხით მთავრდება. ეს გამოწვეულია იმის გამო, რომ სასაქონლო-ფულად მიმოქცევაში ფულადი მასის რაოდენობის ზრდა გაცილებით აღვილია საქონლის წარმოების ზრდასთან შედარებით. მით უფრო, რომ ფულადი მასის სიჭარბე უმეტესად ხელისუფლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ხშირად ამ ღონისძიებას მიმართავს იგი ქვეყნის კრიზისული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, უშვებს რა მიმოქცევაში ფულის სულ უფრო მზარდ რაოდენობას. სინამდვილეში კი იგი ამ ღონისძიების გატარების შედეგად კიდევ უფრო ამწვავებს ქვეყნის საერთო კრიზისულ მდგომარეობას.

საბაზრო ურთიერთობებში ამგვარი არასასიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ეკონომიკურად დასაბუთებულ რეგულირებაზე. მის რაოდენობის ზრდას ან შემცირებას საფუძვლად უნდა დაედოს ერთი მთავარი პირობა — მატერიალური წარმოების სფეროში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, რადგან მხოლოდ ის უზრუნველყოფს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შედარებით ოპტიმალურ თანაფარდობას. ხაზს ვუსვამთ მხოლოდ შედარებითს და არა აბსოლუტურად ოპტიმალურ თანაფარდობას, რადგან ამ უკანასკნელის მისაღწევად, ზემოაღნიშნულ პირობასთან ერთად, საჭიროა კიდევ სხვა ფაქტორების გათვალისწინება. კერძოდ, ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, სტრუქტურა და საანგარიშსწორებო ფასები, საბაჟო და საშემოსავლო გადასახადების განაკვეთები, ერთობლივ საწარმოებში შექმნილი პროდუქტის განაწილების ფორმები და პროპორციები, ფულად-საკრედიტო ოპერაციები და სხვ.

დროის გარკვეული პერიოდისათვის ბაზარზე საქონლისა და ფულის მასას შორის თანაფარდობის შეფასებისას გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, მეტად საყურადღებო გარემოება, კერძოდ ის, რომ ფულადი მასის ზრდის ტემპი, თითქმის როგორც წესი, ყოველთვის წინ უსწრებს ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას. ეს მოვლენა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. დადებითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელს უწყობს დეპრესიისა და გამოცოცხლების სტადიების მიჯნაზე მყოფი ეკონომიკის აღმავლობასა და წარმოების სტიმულირებას. იგივე მოვლენა კრიზისის პირას მისული ეკონომიკისათვის კი უმეტესწილად შეიძლება დავახასიათოთ როგორც ინფლაციის წარმოშობის გამომწვევი მიზეზი და ბიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი.

საქართველოში ბიზნესის ფორმირების რაოდენობრივ და სტრუქტურულ მაჩვენებლებზე და მისი განვითარების ტემპებსა და პერსპექტივებზე არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების ძალზე დაბალი დონე. მოსახლეობის ცხოვრების დონე საკმაოდ დინამიკური კონკრეტულ-ისტორიული ცნებაა და აისახება მრავალ სხვადასხვა შინაარსის მაჩვენებელში. ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ უმეტესწილად მათზე, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად ახასიათებენ ამ მიმართებით შექმნილ მდგომარეობას. ასეთ მაჩვენებელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, გადახდისუნარიანი მოთხოვნილება, კვების პროდუქტების მოხმარება და მათი თანაფარდობა სამომხმარებლო კალათის ღირებულებასთან.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ 1992 წლამდე ქვეყნის მასშტაბით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო ხელფასი მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას აღემატებოდა დაახლოებით 2-ჯერ, მაგრამ შემდეგ ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ. მათ შორის თანაფარდობა მკვეთრად შეცვალა და იმავე წლის ბოლოსათვის საშუალო ხელფასი მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას ფარავდა მხოლოდ 45,5%-ით. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1993 წელს, როდესაც სამომხმარებლო ბაზრის ფასების ზრდის ტემპმა დაახლოებით 7-ჯერ გადააჭარბა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპს (ფასები გაიზარდა 113.7-ჯერ, ხოლო საშუალო ხელფასი — 18,4-ჯერ), რის გამოც ამ პერიოდისათვის ხელფასმა მთლიანად დაკარგა თავისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. მისი წილი მოსახლეობის რეალურ შემოსავლებში შემცირდა 25—30%-მდე მაშინ, როდესაც იგი 80-იან წლებში საშუალოდ უტოლდება 70—72%-ს. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩავარდნენ საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეები, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა აღმოჩნდა სიღატაკის ზღვარს მიღმა (თანაც ძალიან დაშორებით). 1994 წლის ბოლოსათვის ჩვენი ქვეყნის ერთი მცხოვრების საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 9 ლარს. ქალაქის მოსახლეობის ფულად შემოსავალში სულ უფრო მზარდ ადგილს იკავებს წვრილ ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობა, ხოლო სოფლად — კერძო სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ფულადი შემოსავლების სტრუქტურულმა ცვლილებამ და უთანაბრო ტემპებით განვითარებამ გამოიწვია ქონებრივი ცენზის მიხედვით მოსახლეობის დიფერენციაციის გაღრმავება, რომელიც ამჟამად გაცილებით უფრო საგრძნობია ქალაქად, ვიდრე სოფლად.

ქვეყნის ეკონომიკაში უკეთესობისაკენ შემობრუნების ხანად უნდა მივიჩნიოთ 1995 წელი და კერძოდ, მისი შუა პერიოდი. თუ 1992—1994 წწ.-ში ყველა სახის ფულადი შემოსავლის ზრდის ტემპი დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატებოდა ხელფასიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპს, 1995 წლის მეორე ნახევარში ხელფასიდან მიღებული შემოსავლის ზრდამ გარკვეულად გაუსწრო სხვა წყაროებიდან მიღებულ ფულადი შემოსავლების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამჟამად შრომის ანაზღაურების მხრივ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან კერძო სექტორში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეები, რომელთა ხელფასი 3—4-ჯერ და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტად აღემატება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას. 1995 წელი საგულისხმოა კიდევ იმით, რომ რამდენადმე შენელდა შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი, თუმცა იგი კვლავ საკმაოდ მნიშვნელოვანია, რასაც ნათლად ადასტურებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები. აღნიშნულ წელს ქვეყნის მოსახლეობის უმდიდრესი ნაწილის 10 პროცენტის შემოსავალი დაახლოებით 15-ჯერ აჭარბებდა ყველაზე უფრო ღარიბი მოსახლეობის 10 პროცენტის შემოსავლებს. სავსებით ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში ასეთ ვითარებას აქვს გარკვეული საფუძველი, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ რაც უფრო ნაკლებია ამ მხრივ დიფერენციაცია, მით მეტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობანი.

1995 წლიდან ფულადი შემოსავლების ზრდის გამო საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების სტრუქტურა და კვების კალორიულობა (პურის რეალიზაციის შემცირების პირობებში). ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის აგრარული ბაზრებიდან წინა წელთან შედარებით გაიყიდა დაახლოებით 1,5-ჯერ მეტი მაღალკალორიული და ცხოველური ცილებით მდიდარი კვების პროდუქტები.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი საშუალოდ ერთ ოჯახზე გაანგარიშებით 1995 წლის 9 თვეში გაუტოლდა 288 ლარს და წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით მიმდინარე ფასებში გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ. ქ. თბილისში იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 358,1 ლარს ანუ 24,3%-ით მეტს საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით. ქვეყნის მასშტაბით ოჯახის ფულადი შემოსავლის საერთო მოცულობაში ხელფასების, პენსიების და დახმარების წილად მოდიოდა 29,3%, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან, წვრილხელოსნური საქმიანობიდან, ქონების გაყიდვიდან და კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წილად კი 70,7%. ანალოგიური მაჩვენებლები ქ. თბილისში შეადგენდა შესაბამისად 37,2 და 62,8 პროცენტს. 1995 წლის შუა პერიოდისათვის ქალაქის მოსახლეობის მეხუთედ ნაწილს გააჩნდა საარსებო მინიმუმზე მაღალი შემოსავალი.

აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოს, ისე ქ. თბილისის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ფორმირებაში ძირითადი ადგილი უკავია სავაჭრო ბიზნესიდან მიღებულ შემოსავალს მაშინ, როდესაც, სამეწარმო ბიზნესის წილი ამ მიმართებით ჯერ კიდევ ძალზე მცირეა.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლის უმეტესი ნაწილი განკუთვნილია სყიდვითი ფონდის შესაქმნელად. საშუალოდ ერთ ოჯახზე გაანგარიშებით მისი მოცულობა 1995 წლის 9 თვეში შეადგენდა ქვეყანაში 203,4-ს, ხოლო თბილისში — 273,2 ლარს, რაც თვეში ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით უტოლდება შესაბამისად 6,28 და 8,43 ლარს. მაშასადამე, ერთმა მცხოვრებმა თვის განმავლობაში თავისი ფულადი შემოსავლით შეიძლება იყიდოს 6—8 ლარის საქონელი, მაშინ როდესაც, მოზრდილი ადამიანის სამომხმარებლო კალათის ღირებულება (რომელიც მოიცავს კვების პროდუქტების მინიმალურად აუცილებელ რაოდენობას) 1996 წლის აპრილის ფასების მიხედვით შეადგენდა დაახლოებით 70 ლარს, ხოლო შრომისუნარიანი მამაკაცის მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (რომელიც სამომხმარებლო კალათის ღირებულების გარდა, მოიცავს აგრეთვე აუცილებელი მოთხოვნის სამრეწველო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას და სავალდებულო გადასახადებს) — 110 ლარს. აღნიშნული მონაცემები ქვეყნის მოსახლეობის რეალური შემოსავლების უკიდურესად დაბალ დონესთან ერთად, პირდაპირ მიანიშნებს ბიზნესის განვითარების დიდ შესაძლებლობებზე, რაც მოცემულ ეტაპზე შეიძლება განხორციელდეს კერძო მეწარმეობის ყოველმხრივი წახალისებითა და მისი აღორძინებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნით.

ბიზნესის, როგორც საბაზრო მეურნეობის მნიშვნელოვანი ფენომენის, განვითარების ტემპებსა და მიმართულებებს, გადახდისუნარიან მოთხოვნილებასთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწოდების, ანუ სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის რაოდენობა და სტრუქტურა. მიწოდების არსის სწორად შეცნობისათვის იგი ყოველთვის უნდა განიხილებოდეს ბაზრის სხვა ელემენტებთან, და კერძოდ, მოთხოვნასთან მჭიდრო კავშირში. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ქვეყნის საშინაო ბაზარზე სყიდვითუნარიან მოთხოვნასთან შედარებით, მიწოდების სწრაფი ტემპით ზრდის გამო, მკვეთრად შეიცვალა თანაფარდობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის. სასაქონლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწოდების მოცულობა საგრძნობლად აღემატება მოთხოვნის მოცულობას როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის მიხედვით. მომხმარებელთა უშუალო გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საქონლით გაჯერებული ბაზრისადმი უმეტესწილად დადებითად არის განწყობილი, მიუხედავად იმისა, თუ მოთხოვნილების დაკმაყოფილების რა შესაძლებლობანი გააჩნია მას. საქონლით უხვი ბაზრისადმი მომხმარებელთა ასეთი დამოკიდებულება შეიძლება სავსებით ლოგიკურადაც ჩაითვალოს იმ დიდი გაჭირვებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, რომლიდანაც იგი გამოდის თანდათანობით, მაგრამ თუ უფრო ღრმად დავაკვირდებით ქვეყნის საშინაო ბაზრის „საქონლურ" სახეს და გავაანალიზებთ მასში მიმდინარე ცვლილებებს, აღმოჩნდება, რომ ამ მიმართებით მდგომარეობა არა თუ მოსაწონი, არამედ ყოვლად მიუღებელი და საგანგაშოა. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის ბაზარზე არსებული საქონლის სტრუქტურა წარმოქმნის წყაროების მიხედვით. საქმე ისაა, რომ სასურსათო და განსაკუთრებით, არასასურსათო საქონლის მიწოდების საერთო მოცულობაში ძირითადი ადგილი იმპორტულ საქონელს უკავია. მისი მოცულობა მრავალჯერ აღემატება მასზე მოსახლეობის მოთხოვნას მაშინ, როდესაც ქართულ ნაწარმზე სრულიად განსხვავებულ მდგომარეობას აქვს ადგილი. ბაზარზე არსებული არასასურსათო საქონლის უამრავი დასახელებიდან ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ნაწარმი, რომლის ქვეყნისშიდა წარმოების მოცულობა მთლიანად ან მნიშვნელოვნად უზრუნველყოფდეს მოთხოვნას მასზე. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სასურსათო საქონლის მიხედვით, მაგრამ მის მოთხოვნასთან არსებული თანაფარდობაც ჯერ კიდევ შორსაა სასურველობისაგან. მოთხოვნასთან შედარებით ქართული ნაწარმის მიწოდების ასეთ დაბალ დონეს განაპირობებს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: საქონლის წარმოებისათვის საჭირო სუსტი სანედლეულო ბაზა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა, საკუთრებრივ ურთიერთობათა ჩამოუყალიბებელი ფორმები, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების მაღალი დონე, მოუქნელი საგადასახადო სისტემა, მეწარმეთა ინტერესების დამცავი მექანიზმის უმოქმედობა, მომხმარებელთა გარკვეული ნაწილის მიერ უცხოური საქონლის უსაფუძვლო განდიდება, აქციზის მაღალი დონე და სხვ.

ჩამოთვლილ ფაქტორთა შორის, ყურადღების განსაკუთრებულ გამახვილებას საჭიროებს საკუთარი მეწარმეობის განვითარება, რომლის მაღალეფექტიანობა მსოფლიოს მასშტაბით დიდი ხანია კარგად არის ცნობილი. მცირე ბიზნესი, როგორც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წვრილი მეწარმეობის გამოხატულება, სულ უფრო მზარდ ადგილს იკავებს მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებშიც ინტენსიურად მიმდინარეობს მსხვილი კომპანიების დანაწევრებისა და მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი. აშშ-ში წვრილი და საშუალო მეწარმეობის წილად მოდის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით ნახევარი და ახალი სამუშაო ადგილების მატების 60—70 პროცენტი. იაპონიაში წვრილ და საშუალო მეწარმეობას წამყვანი ადგილი უკავია როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში. გერმანიის ერთობლივი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარი იქმნება წვრილ და საშუალო სიდიდის საწარმოებში, რომლებშიც დასაქმებულია დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა ორი მესამედი. წვრილი და საშუალო მეწარმეობის როლი ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ერთობლივი პროდუქტის ზრდაში ასევე ძალზე საგრძნობია ინგლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, იტალიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. აზიის ქვეყნებიდან წვრილი მეწარმეობის მაღალი საზოგადოებრივი ეფექტიანობის ერთ-ერთ რიგით მაგალითად გამოდგება თუნდაც სამხრეთ კორეა, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისიდან, წვრილმეწარმეობის სწრაფი ტემპით განვითარების შედეგად, გადაიქცა აზიის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ. ამჟამად მის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში ძირითადი და წამყვანი ადგილი წვრილმეწარმეობას უკავია.

საქონელწარმოებისა და გასაღების სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესს მსხვილ კომპანიებთან შედარებით გააჩნიათ მრავალი უპირატესობა. კერძოდ, მათში გაცილებით მაღალია მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური თანამშრომლობის სულისკვეთება და შრომის მოტივაცია. მათ მიერ წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობა უმეტესწილად განპირობებულია ინდივიდუალური მომსახურების მაღალი დონითა და დამკვეთებთან ურთიერთობის კარგი მანევრირებით, შრომის ანაზღაურების მოქნილი სისტემითა და სხვა დადებითი თვისებებით. მცირე ბიზნესის განვითარება გახსაკუთრებით ხელსაყრელია იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან წარმოების ხანმოკლე ციკლითა და არ საჭიროებენ დიდ კაპიტალდაბანდებებს.

მცირე ბიზნესის დიდი წარმატებებისა და პოპულარობის მთელი საიდუმლო იმაშია, რომ იგი უმეტესწილად ეფუძნება კერძო საკუთრებისა და მართვის ურთიერთშერწყმულ ფენომენს, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული საბაზრო სიტუაციის შესაფერისი ღონისძიების სწრაფად გატარებას და ყოველგვარი რისკისათვის მზადყოფნას.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენში საშუალო და წვრილი მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ მათი მონაწილეობის გაფართოება სახელმწიფო შეკვეთების შესრულებაში. ეს ღონისძიება ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს სახელმწიფოს მხრიდან მათი ადმინისტრირების მართვის სახესხვაობად. მაგრამ თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ მას, შევნიშნავთ, რომ სახელმწიფო შეკვეთებში მონაწილეობა ხელს უწყობს მათი საქმიანობის მასშტაბების გაფართოებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას. სახელმწიფო დაკვეთებზე მომუშავე საშუალო და წვრილმა საწარმოებმა შეიძლება ფართოდ ისარგებლონ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიებით, შეღავათიანი კრედიტებითა და გადასახადებით, კონკურენტებთან ბრძოლაში თანადგომით, უფასო კონსულტაციებითა და სხვა ხელშემწყობი პირობებით.

მცირე ბიზნესის განვითარებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა. აქ, კომერციულ ბანკებთან ერთად, მხედველობაში გვაქვს სავაჭრო-საშუამავლო სამსახურები, სარეკლამო სააგენტოები, საინფორმაციო საშუალებები, ბირჟები, აუქციონები, საკონტაქტო აუდიტორიის სუბიექტები.

სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა პირობებში ყოველგვარი ბიზნესის დაჩქარებული ტემპებით განვითარება ყოვლად წარმოუდგენელია ბანკებთან მეწარმეების კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გარეშე. სამწუხაროდ, ჩვენში ამ მიმართულებით საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა. განუხრელად იზრდება ბანკებს გარეთ მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის (ლარის) მოცულობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბიზნესის სფეროში ჩართულ სამეურნეო სუბიექტებს შორის კავშირურთიერთობა უმეტესწილად ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით ანუ ბანკების გვერდის ავლით. სავსებით გასაგებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამგვარი „შინა"-ურთიერთობანი საკმაოდ უარყოფით დაღს ასვამს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებასა და ფულად-საკრედიტო სისტემის განმტკიცებას — იწვევს ბანკის საკრედიტო რესურსების შეზღუდვას, ბიუჯეტში შენატანების შემცირებასა და ჩრდილოვანი ეკონომიკის აღორძინებას. საყურადღებოა, რომ ამგვარი არასახარბიელო მდგომარეობა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, გამოწვეულია ბანკების მოუქნელი მუშაობით და არასაკმარისი ოპერატიულობით. არცთუ იშვიათად, კლიენტების მიერ ბანკიდან სახსრების მისაღებად აუცილებელია სხვა რაღაც არაოფიციალური პირობების შესრულება.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთა შორის საგადასახადო სისტემის სრულყოფას ცენტრალური ადგილი უკავია. ბიუჯეტის შევსებაზე ორიენტირებული ფისკალური ხასიათის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს გადასახადების მაღალ განაკვეთებს, ყოვლად მიუღებელია საერთოდ და განსაკუთრებით ქვეყნის ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში. იგი საგრძნობლად აფერხებს კერძო კაპიტალდაბანდებებისა და მეწარმეობის მასშტაბების ზრდას და ხელს უწყობს ქვეყნის საშინაო ბაზარზე იმპორტული საქონლის გაბატონებას. გადასახადების ზრდა მიუღებელია ყოველთვის და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ანტიკრიზისულ ღონისძიებებს, ფასების ლიბერალიზაციასა და ეროვნული წარმოების განვითარების ხელშემწყობ სხვადასხვა საქმიანობას.

ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ მრავალ ფაქტორთა შორის საკუთრების ფორმებისა და საკუთრებრივ ურთიერთობათა სრულყოფას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაცია სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ და გამსაღებელ დარგებში დაიწყო საკმაოდ მოგვიანებით, რამაც საგრძნობლად დაამუხრუჭა ბიზნესის განვითარება და გაართულა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო სავაჭრო ურთიერთობები. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, იგი დაწყებულიყო ფასების ლიბერალიზაციამდე და სახელმწიფოს მიერ სასაქონლო ფონდების შექმნისა და განაწილების პრაქტიკის უარყოფამდე რამდენიმე ხნით ადრე. ეკონომიკურ გარდაქმნათა შეუქცევადი პროცესების ეს თანამიმდევრობით განხორციელება უდავოდ ხელს შეუწყობდა რეფორმის უმტკივნეულოდ გატარებას, ფასების ზრდის ტემპების შენელებას და მის სტაბილიზაციას შედარებით მოკლე ვადებში და ჯანსაღი ბიზნესის განვითარებას. ამ საკითხზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს არა მსხვილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობა, არამედ პრივატიზაცია სხვადასხვა საშუალო და მცირე ობიექტებისა (ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების), რომლებიც ხასიათდებიან საქმიანობაში მანევრირებისა და გარემო პირობებთან ადაპტირების დიდი უნარით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას რომ მთლიანად არ დაეყარა ფარხმალი და თუნდაც სანახევრო ძალით გაეგრძელებინა კომერციული საქმიანობა, იგი საგრძნობლად შეარბილებდა იმ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს, რომელშიც აღმოჩნდა მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი უკანასკნელ წლებში. გარდა ამისა, იგი ხელს შეუწყობდა კერძო ბიზნესის ცივილიზებულ საწყისებზე განვითარებას. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, სახელმწიფო სექტორის დიდი მასტიმულირებელი როლი საქონლის მწარმოებელ საწარმოებს შორის კავშირურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებაში. ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მნიშვნელოვანი. ნაწილი საერთოდ არ აწარმოებს ფართო მოხმარების საქონელს, ან თუ აწარმოებს — ძალზე უმნიშვნელო მოცულობით მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ნაწარმისათვის ვერ ნახულობს მიზნობრივ ბაზარს ან საიმედო პარტნიორ-გამსაღებელს. საქმე ის არის, რომ სამამულო ნაწარმის მიმართ ვაჭრობის კერძო სექტორი არ ამჟღავნებს არავითარ ინტერესსა და თავისი სავაჭრო ასორტიმენტის ფორმირებას ძირითადად ახორციელებს უცხოური საქონლის ბაზაზე. ამ საკითხზე აღარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რადგან ისედაც ნათელია ეროვნული წარმოების უდიდესი როლი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. დავძენთ მხოლოდ იმ აუცილებელი ზრუნვის შესახებ, რომელსაც უნდა ამჟღავნებდნენ ქვეყნის აღმასრულებელი და საფინანსო ორგანოები იმ ბიზნესმენთა მიმართ, რომლებიც დიდი სიძნელეების მიუხედავად, ძირითადად დაკავებულნი არიან სამამულო საქონლის ბაზრის შექმნითა და განვითარებით.

Е. БОЛОКАДЗЕ, Г. ФАРАДЖЕВА

ПЛАТЕЖЕСПОСОБНАЯ ПОТРЕБНОСТЬ КАК НЕОБХОДИМОЕ МАРКЕТИНГОВОЕ УСЛОВИЕ РАЗВИТИЯ БИЗНЕСА

Резюме

На современном этапе из ключевых вопросов развития бизнеса в стране особенно важен рост платежеспособной потребности населения, который может быть достигнут развитием отечественного производства. Это, в свою очередь, требует укрепления взаимоотношений между предпринимателями, совершенствования таможенных и налоговых систем и улучшения маркетинговых исследований.

E. BOLOKADZE, G. FARAJEVA

SOLVENT NEED AS A NECESSARY MARKETING CONDITION OF BUSINESS DEVELOPMENT

Summary

At the present stage, among the key problems of business development especially important is the growth of the population, which can be attained by the development of domestic production. This in turn calls for the strengthening of relations between entrepreneurs. perfection of customs and taxation systems and improvement of marketing studies.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ი. ხუხუა

რეგიონული ბაზრის კვლევის საფუძვლები

ბაზარი აღმოცენდა უძველეს ხანაში და ფუნქციონირებს ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში, სადაც არსებობს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. იგი გვევლინება როგორც ამ ურთიერთობათა გამოვლენის სფერო და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის სისტემაში. ბაზრის ფუნქციონირება გულისხმობს ისეთი კატეგორიებისა და პროცესების არსებობას, როგორიცაა მიწოდება, მოთხოვნა, ფასი, ფული, ყიდვა-გაყიდვა და სხვა.

ბაზრის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსის, განმარტებაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება. ბაზრის არსის უმარტივეს განმარტებად მიჩნეულია ცნება — ბაზარი არის სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, სადაც ხდება საქონლის ყიდვა-გაყიდვა, ე. ი. წარმოვიდგება როგორც განსაზღვრული სავაჭრო ადგილი [1, 142]. ეს განმარტება თავისთავად სწორია, მაგრამ არ შეესაბამება თანამედროვე ბაზრის ეკონომიკურ შინაარსს და მხოლოდ მასზე თავდაპირველ წარმოდგენას ასახავს. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სავსებით სწორად შენიშნავენ, რომ „ბაზრის კატეგორია უფრო ფართო ცნებაა. შესაბამისი კომუნიკაციების საშუალებათა არსებობისას სრულიად არ არის აუცილებელი ბაზარი იყოს სპეციალური გეოგრაფიული ადგილი. საგაზეთო თუ სხვა რეკლამის მეშვეობით ყალიბდება, ასე ვთქვათ, „სატელეფონო" ბაზარი — მყარდება სავაჭრო პარტნიორობა გამყიდველსა და მყიდველს შორის" [2, 8].

ბაზრის არსის განმარტების მრავალი სხვა ვარიანტიც არსებობს. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე. ეკონომიკური თეორიის საფუძვლების კურსში მოცემული განმარტების მიხედვით „ბაზარი არის სფერო, სადაც მიმდინარეობს საქონელგაცვლა ფულის მეშვეობით, ანუ ბაზარი მომხმარებლებთან მწარმოებელთა ეკონომიკური კავშირის ორგანიზაციული ფორმაა" [3, 65—66]. ნაშრომის „საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები" ავტორები აღნიშნავენ, რომ „ბაზარი შეიძლება ვუწოდოთ მყიდველთა და გამყიდველთა ურთიერთობებისა და მათი არსებობის პირობების მთელ ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს ერთსა და იმავე საქონელზე ფასების სწორ გამოთანაბრებას" [4, 40]. მარკეტინგის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ფ. კოტლერი ბაზარს განმარტავს როგორც „არსებული და პოტენციური მყიდველების ერთობლიობას" [5, 54]. ამერიკელი სწავლული ეკონომისტების (ს. ფიშერი, რ. დორნბუში, რ. შმალენზი) მიერ მოცემული განმარტებით „ბაზარი წარმოადგენს შეთანხმებათა პაკეტს, რომლის მეშვეობითაც საქონლისა და მომსახურების გამყიდველები და მყიდველები ამყარებენ ურთიერთკონტაქტს ამ საქონლის ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვის მიზნით" [6, 10].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული განმარტებები მეტ-ნაკლებად ასახავენ ბაზრის არსს, მაგრამ რამდენადმე ცალმხრივად წყვეტენ პრობლემას და საჭიროებენ შემდგომ დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ბაზრის არსის განმარტება საჭიროა ითვალისწინებდეს მის ორმხრივ შინაარსს — „ერთი მხრივ, როგორც გაცვლის სფეროსა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გამოკვეთილ ნაწილს, მეორე მხრივ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას“ [7, 19]. საქმე ის არის, რომ ბაზრის არსის განმარტების პროცესში აუცილებელია გამოვიდეთ იმ ძირითადი ელემენტებიდან, რომელთა არსებობაც განაპირობებს ბაზრის ფუნქციონირებას. ბაზრის ასეთი ელემენტებია მოთხოვნა და მიწოდება, რომელთა არსებობა აუცილებელია საქონლის ყიდვა-გაყიდვის აქტის განხორციელებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბაზრის არსი განიმარტოს შემდეგი სახით — ბაზარი წარმოადგენს მოთხოვნა-მიწოდებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საქონლის ყიდვა-გაყიდვის აქტები.

მოთხოვნა და მიწოდება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კატეგორიებია. მათი არსისა და შედგენილობის გაგების გარეშე შეუძლებელია ბაზრის კლასიფიკაცია, ანალიზი, შესწავლა და პროგნოზირება.

მოთხოვნა და მიწოდება სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. ბაზრის კვლევისა და ანალიზის პროცესში მიღებულია მათი კლასიფიკაცია გავრცელების ობიექტის და სუბიექტის, საქონლისა და მომსახურების დანიშნულების, დაკმაყოფილების დონის, გამოვლენის ფორმის და სხვა ნიშნის გათვალისწინებით. მოთხოვნისა და მიწოდების მრავალფეროვნება განაპირობებს ბაზრის განსხვავებული სახეების არსებობას.

პრაქტიკაში მიღებულია ბაზრის კლასიფიკაცია ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა: ქვეყნის ტერიტორიული ერთეულები, საქონლის ადგილი კვლავწარმოების პროცესში, სასაქონლო ნიშანი, საკუთრების ფორმა, საბაზრო კონკურენციის ტიპები და სხვა. ბაზრის ამ ერთიან სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონულ ბაზარს. მის გამოცალკევებას ბაზრის ერთობლიობიდან საფუძვლად ედება ქვეყნის ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური, ადმინისტრაციული ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. როგორც საერთოდ ქვეყნის ერთიანი, ისე რეგიონული ბაზრის ფარგლებშიც ფუნქციონირებს ამა თუ იმ სახის (მაგალითად, სასაქონლო, ქალაქის და სოფლის, თავისუფალი კონკურენციის, მონოპოლიური კონკურენციის და სხვა) ბაზარი. საქართველოს სინამდვილეში ქვეყნის ერთიანი ბაზრიდან რეგიონული ბაზრის სახით შეიძლება გამოვაცალკეოთ ქ. თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის და სხვა რეგიონის ბაზრები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ბაზარზე მიმდინარე მიკრო და მაკროეკონომიკური პროცესების კომპლექსური ანალიზი და გამოკვლევა. ეს პროცესი წარმოუდგენელია სათანადო მეთოდური საფუძვლების გარეშე. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოვლენების განვითარების კანონზომიერების ანალიზის მეთოდებისა და ხერხების სწორად გამოყენებას და გამოკვლევის თანამიმდევრულ (ეტაპობრივ) განხორციელებას.

ბაზრის გამოკვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის და პროგნოზირების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ანკეტური გამოკითხვები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტული შეფასებები; გამოფენა-გაყიდვები; მომხმარებელთა კონფერენციები; საქონლის გაყიდვის აღრიცხვა სპეციალური ბარათებით, იარლიყებით, სარეგისტრაციო ჟურნალებით; დაჯგუფება; შედარება; ანალოგია; დინამიკური მწკრივების გამოთანაბრება; ექსტრაპოლაცია; ელასტიკურობის კოეფიციენტი; მოდელირება და სხვა. გამოკვლევის პროცესში ეს მეთოდები უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება კომპლექსურად. მათი შინაარსი და გამოყენების თავისებურებანი სპეციალური კვლევის საგანია და სათანადოდაა დამუშავებული როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ.

ბაზრის გამოკვლევის პროცესი მიზნობრივი, სისტემური და კომპლექსური ხასიათისაა. ეს გულისხმობს, რომ გამოკვლევა ემსახურება გარკვეულ მიზანს, ატარებს თანამიმდევრულ ხასიათს და მოიცავს მაჩვენებელთა განსაზღვრულ წრეს, რომელიც ძირითადად ასახავს ბაზარზე მიმდინარე პროცესებს. ეს მაჩვენებლები უმეტესად ეხება საქონელზე არსებულ მოთხოვნას, საბაზრო კონკურენციას, ბაზრის კონიუნქტურას, საქონლის გასაღების პირობებს, დანახარჯებს, მოგებას და საქმიანობის სხვა პარამეტრებს. ამის გათვალისწინებით ბაზრის გამოკვლევის პროცესში განოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები:

— ბაზარზე არსებული მოთხოვნის გამოკვლევა;
— ბაზარზე მიმდინარე კონკურენციის გამოკვლევა;
— დარგობრივი ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევა;
— გასაღების საერთო პირობების გამოკვლევა;
— ბაზარზე საქმიანობის განვითარებისა და მომგებიანობის ანალიზი.

ბაზრის გამოკვლევის აღნიშნულ ეტაპებს შორის ცენტრალური ადგილი ბაზარზე არსებულ მოთხოვნის გამოკვლევას უკავია. იგი მოიცავს როგორც აშკარა, ისე პოტენციური (ფარული) მოთხოვნის გამოვლენას, შესწავლას და გაანგარიშებას. პრაქტიკაში ბაზრის კვლევის ეს ეტაპი მოიცავს ისეთ სტადიებს, როგორიცაა: ბაზრის სეგმენტაცია, მომხმარებელთა მოთხოვნის მოტივების გამოვლენა; დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის განსაზღვრა.

სეგმენტაცია გულისხმობს ბაზრის დანაწევრებას გარკვეული მიზნის მიხედვით. ამ ნიშანთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გეოგრაფიული (რომელიც განაპირობებს რეგიონული ბაზრის გამოცალკევებას), სასაქონლო, ეკონომიკური, ქონებრივი, ეროვნული, პროფესიული, სქესობრივ-ასაკობრივი და სხვა ნიშანი. ცალკეული სეგმენტის გამოკვლევის შემდეგ საწარმოებს ექმნებათ ალტერნატიული პირობები ბაზარზე შეარჩიონ საორიენტაციო სეგმენტი ან სეგმენტთა ჯგუფი, რომლის შესაბამისადაც წარმართავენ თავიანთ საწარმოო-საგამსაღებლო საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას. მაგალითად, საწარმოები, რომლებიც ამზადებენ პარფიუმერიულ ნაწარმს, უმეტესწილად ორიენტაციას იღებენ ქონებრივ და სქესობრივ-ასაკობრივ, ხოლო კვების პროდუქტების მწარმოებლები — გეოგრაფიულ, ეროვნულ და ქონებრივ სეგმენტებზე და ა. შ.

საწარმოო-საგამსაღებლო საქმიანობის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება შეუძლებელია საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნის წარმოქმნის გარეშე. ეს მოტივები განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორის გავლენით მათ შორის ძირითადია: ფულადი შემოსავლების დონე; სასაქონლო მიწოდების მოცულობა და სტრუქტურა; ფასების დონე; ხანგრძლივი მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის სოციალური და პროფესიული შემადგენლობა; ურბანიზაციის პროცესი; ისტორიული ტრადიციები და ეროვნული ჩვევები; მოსახლეობის რიცხოვნობა და სქესობრივ-ასაკობრივი შედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილობა; რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა. აღნიშნული ფაქტორები მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან და რომელიმე მათგანის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა ფაქტორის მოქმედებაზე. მაგალითად, რეგიონულ ბაზარზე სასაქონლო მიწოდების უპირატესი ზრდა იწვევს მოთხოვნა-მიწოდებას შორის თანაფარდობის ცვლილებას. ამ პროცესს თან სდევს ფასების დონის ცვლილება, რის შედეგადაც იცვლება მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურა და ა. შ.

მოთხოვნის გამოკვლევის პროცესის მნიშვნელოვან სტადიას წარმოადგენს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გამოვლენა. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს დამატებითი რესურსების ოდენობა, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს მისი კონკრეტული ნიშან-თვისების (სასაქონლო სახე, ფასონი, მოდელი, ზომა, ფერი, ფასი და სხვა) გათვალისწინებით. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გამოვლენისა და განსაზღვრის მიზნით წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ანკეტური გამოკითხვები, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის რეგისტრაციის ჟურნალები, ექსპერტული შეფასებები და სხვა მეთოდები.

გამოკვლევის მეორე ეტაპზე ხორციელდება ბაზარზე არსებული კონკურენციის ანალიზი. ეს პროცესი წარიმართება შემდეგი მიმართულებებით: მოქმედი (აშკარა) და პოტენციური კონკურენტების გამოვლენა; კონკურენტთა საქმიანობის სტრატეგიულ მაჩვენებელთა ანალიზი; კონკურენტთა საქმიანობის ძლიერი და სუსტი პოზიციების გამოვლენა.

კონკურენტთა გამოვლენა ძირითადად ხდება ბაზარზე კონკურენტთა წილის დადგენის გზით. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია კონკურენტ საწარმოთა დაჯგუფება შემდეგი ნიშნის გათვალისწინებით; საწარმოები, რომელთაც ანალოგიური საქონელი გამოაქვთ ერთი და იმავე რეგიონის ბაზარზე; საწარმოები, რომელთაც ანალოგიური საქონელი გამოაქვთ სხვა რეგიონის ბაზარზე; საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ შემცვლელ საქონელს და შეიძლება გამოიტანონ იგი ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ბაზარზე. კონკურენტთა შესაძლებლობის გამოვლენის მიზნით იყენებენ მომხმარებელთა ანკეტურ გამოკითხვებს, ექსპერტულ შეფასებებს და სხვა მეთოდებს.

ბაზრის კვლევის პროცესში სულ უფრო იზრდება კონკურენტთა საქმიანობის მაჩვენებელთა ანალიზის მნიშვნელობა. იგი საშუალებას იძლევა, დავადგინოთ მათი მოქმედების მოსალოდნელი მიმართულებები. კონკურენტთა მოქმედების მიმართულების პროგნოზი ემყარება ისეთ მაჩვენებელთა ანალიზს, როგორიცაა: კონკურენტთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და მისი ზრდის ტემპები; კონკურენტთა საწარმოო-საგამსაღებლო პოლიტიკის მიზანი და ამოცანები; გასაღების სტრატეგია; წარმოების ხარჯების დონე და სტრუქტურა; კონკურენტ საწარმოთა რენტაბელობის მაჩვენებლები და სხვა.

კონკურენტთა საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა წარმოადგენს საბაზრო კონკურენციის ვამოკვლევის დამამთავრებელ სტადიას. იგი ემყარება საწარმოთა საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების (წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, ტექნოლოგია, გასაღება, ფინანსები, ხარჯები, მოგება, მართვა და სხვა) ანალიზს. ამის შედეგად ვლინდება კონკურენტთა უპირატესობანი და სუსტი მხარეები. უპირატესობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროდუქციის ფართო ასორტიმენტი და მაღალი ხარისხი, კეთილმოწყობილი სავაჭრო ქსელი, მომსახურების მაღალი კულტურა, ეფექტური რეკლამა და სხვა. აღნიშნულ მაჩვენებელთა მიხედვით, არსებული ნაკლოვანებები კი მიგვითითებს კონკურენტთა სუსტ პოზიციებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის გამოკვლევის მესამე ეტაპზე ხორციელდება ე. წ. დარგობრივი კონიუნქტურის გამოკვლევა. ამ გამოკვლევის მიზანია დაადგინოს დარგის განვითარების ძირითადი პერსპექტივები პროდუქციის წარმოების, გასაღების და მომგებიანობის დარგში. ეს ეტაპი მოიცავს შემდეგ ძირითად სტადიებს: დარგის პროდუქციაზე მიმდინარე მოთხოვნის ანალიზი და ცვლილების პერსპექტივები; დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი; დარგის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა.

დარგის პროდუქციაზე მიმდინარე მოთხოვნის ანალიზი და მისი ცვლილების პერსპექტივების დადგენა ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით საქონლის გაყიდვის მოცულობის, მოთხოვნის არსებული დონის და მათი მოსალოდნელი ცვლილების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ანალიზის პროცესში ვლინდება ბაზარზე არსებული პოზიციური და ნეგატიური მოვლენები. ასე მაგალითად, ხარვეზები პროდუქციის წარმოების სფეროში გამოიხატება დეფიციტში, შეზღუდულ ასორტიმენტში, დაბალ ხარისხში და ა. შ. პროდუქციის გასაღებაში არსებული ხარვეზები ხშირად დაკავშირებულია მოუქნელ კომერციულ საქმიანობასთან, სავაჭრო ქსელის არარაციონალურ გამოყენებასთან, არაეფექტიან რეკლამასთან და ა. შ.

დარგობრივი ბაზრის ანალიზი გულისხმობს ისეთი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესწავლას, როგორიცაა: ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი კონკურენტები; ურთიერთშემცვლელი საქონლის მწარმოებლები; მიმწოდებლები; მომხმარებლები და სხვა. მათი საქმიანობის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს დარგობრივი სტრუქტურის სასურველი და არასასურველი ვარიანტები.

პროდუქციის გასაღების სისტემის ანალიზის დანიშნულებაა გამოავლიხოს საქონლის გასაღების შესაძლო არხები, სავაჭრო-საგამსაღებლო ქსელის მდგომარეობა, მათი განვითარების პერსპექტივები და გასაღების სტიმულირების გზები. ამ ასპექტში საწარმოთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს ეფექტიანად გამოიყენონ პროდუქციის გასაღების ალტერნატიული შესაძლებლობები, მაქსიმალურად დატვირთონ სავაჭრო ქსელი და უზრუნველყონ გამყიდველთა და მყიდველთა სტიმულირება.

გასაღების ბაზრის დარგობრივი კონიუნქტურის გამოკვლევის საბოლოო სტადიაზე ხორციელდება დარგის განვითარების ტენდენციების ანალიზი. მუშავდება გადაწყვეტილებები პროდუქციის წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ. მის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს საქონლის სასიცოცხლო ციკლის ფაზების და ტიპების დადგენა. საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორიის შესაბამისად განასხვავებენ ამ ციკლის ოთხ ძირითად ფაზას — დანერგვას, ზრდას, სიმწიფეს (სტაბილიზაცია) და დაცემას. საქონლის სახეების და ნაირსახეობის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, სასიცოცხლო ციკლი იყოფა ოთხ ძირითად ტიპად. პირველ ტიპს წარმოადგენს საქონლის აგრეგირებული ჯგუფი; მეორეს მიეკუთვნება კონკრეტული სახის საქონელი; მესამე ტიპში შეიტანება სხვადასხვა დანიშნულების საქონელი; მეოთხეში კი ერთიანდება სასაქონლო მარკა, საფირმო ნიშანი, საქონლის მოდელი და ა. შ.

ბაზრის გამოკვლევის აღნიშნული ეტაპები და მათი შესაბამისი სტადიები ძირითადად პასუხობენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული პრობლემების მხედველობაში მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის გამოკვლევის სისტემაში დასკვნითი ეტაპია იმ შესაძლებლობებისა და სიძნელეების ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო-საგამსაღებლო ოპერაციების განხორციელებასთან. ამ ეტაპზე ხდება საწარმოო პროგრამის გაანახლება, ცვლილებები ასორტიმენტულ კონცეფციაში, გასაღების ახალი ბაზრის ძიება, ფასების პოლიტიკის გადასინჯვა, კონკურენტებთან ურთიერთობის განსაზღვრა და სხვა.

ბაზრის კვლევის პრობლემების წარმატებით გადაჭრის მიზნით აუცილებელია არსებული მეცნიერული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, რისთვისაც საჭიროა: მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოსთა ერთობლივი მუშაობა; საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილების ათვისება და გამოყენება; გამოკვლევის თემატიკისა და პროგრამის შემუშავება; სათანადო გამოკვლევების ჩატარება; პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება და გამოყენება.

ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2.
2. რ. გოგოხია. საბაზრო ეკონომიკა. თბ., 1996.
3. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. ნაწილი II, თბ., თსუ გამომცემლობა, 1992.
4. ვ. პაპავა, რ. ახმეტელი და სხვა. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (თეორიული ეკონომიკა), თბ., 1993.
5. Ф. Котлер. Основы маркетинга. М: «Прогресс,» 1992.
6. С. Фишер, Р. Дорнбуш, Р. Шмалензи. Экономика. М: «Дело ЛТД», 1995.
7. ე. ბოლოკაძე. მარკეტინგი. თბ., 1995.

Ю. ХУХУА

ОСНОВЫ ИССЛЕДОВАНИЯ РЕГИОНАЛЬНОГО РЫНКА

Резюме

Исследование регионального рынка требует совершенствования методики исследования рыночных ситуаций. Центральное место в этом принадлежит систематизации этапов и стадий комплексного исследования рынка. Особое внимание необходимо уделять исследованию спроса, конкуренции, условий сбыта, финансовых показателей и т. д.

I. KHUKHUA

PRINCIPLES OF THE STUDY OF THE REGIONAL MARKET

Summary

The study of the regional market calls for improved methods of research into market situations. Central place in this belongs to the systematization of the steps and stages of a complex study of the market. Special attention should be given to the study of demand, competition, conditions of sale, financial indices, etc:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ნ. ჩ ი ვ ა ძ ე

ხილ-ბოსტნეულის ბაზარი და მისი სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მოსახლეობის მკვეთრად გამორჩეული, თვითმყოფადი გემოვნებითი კულტურა, მრავალფეროვანი, საუკეთესო ჯიშის ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და მოხმარების მდიდარი ტრადიციები მნიშვნელოვნად განაპირობებენ ჩვენში ხილ-ბოსტნეულის ნამდვილი ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ხილ-ბოსტნეულს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის კვების რაციონში. მასში საკმაო რაოდენობითაა ორგანიზმისათვის საჭირო თითქმის ყველა სახის ნივთიერება, წარმოადგენს C ვიტამინის ძირითად წყაროს და შეიცავს ისეთ მიკროელემენტებს, რომლებიც ძალიან იშვიათადაა სხვა პროდუქტებში.

ხილ-ბოსტნეულს განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს მოსახლეობის კვებაში. მრავალფეროვანია ეროვნული კულინარიული პროდუქცია, რომელიც მისი გადამუშავებით მზადდება.

ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა თვითონ აწარმოებდა ხილსა და ბოსტნეულს იმ რაოდენობით, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში მოთხოვნა ხილ-ბოსტნეულზე კმაყოფილდებოდა როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის გარედან შემოზიდული პროდუქციის ხარჯზე. ხილ-ბოსტნეულის ხვედრითი წონა სასურსათო საქონლის მოხმარების მთელ მოცულობაში 1980 წელს შეადგენდა 8.0%, 1985 წელს — 8,9%, 1990 წელს — 8,5%.

შემდგომ პერიოდში, მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის გამო ხილ-ბოსტნეულის მოხმარების მოცულობა მართალია შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უფრო მეტად გაიზარდა მისი როლი და მნიშვნელობა მოსახლეობის კვებაში. კრიზისულ პერიოდში ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი პურ-პროდუქტებთან ერთად მოსახლეობის ძირითად საკვებად იქცა.

ჩვენი აზრით, ხილ-ბოსტნეულის მოხმარება მომავალში გაიზრდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსახლეობა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი მაღალკალორიული პროდუქტებით. ამის დამადასტურებელია სურსათის მოხმარების სტრუქტურა ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა ნებაყოფლობით აცხადებს უარს ცილებისა და ცხიმების შემცველ საკვებზე და უპირატესობას ანიჭებს ვიტამინებითა და ნახშირწყლებით მდიდარ ხილ-ბოსტნეულს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხილ-ბოსტნეულს მნიშვნელოვანი ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უკავია არა მარტო მოსახლეობის კვებაში, არამედ მის ყოფასა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესშიც. მაგალითისათვის ისიც კმარა, თუ რა მნიშვნელოვანია ყურძნის წარმოება და რეალიზაცია კახეთის მოსახლეობისათვის, ციტრუსებისა — დასავლეთ საქართველოს, კარტოფილისა — მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისათვის და ა. შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალური ხდება ამ ჯგუფის საქონლის წარმოების და რეალიზაციის ახალი მექანიზმის შექმნა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და რეალიზაციის მაქსიმალურად მაღალ დონეზე აყვანა, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენება და მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილებათა სრულყოფილად დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალორგანიზებული ბაზრის მეშვეობით.

ხილ-ბოსტნეულის ბაზარი საქონელმიმოქცევის სფეროს შემადგენელი ნაწილია, სადაც მყარდება ეკონომიკური ურთიერთობანი ხილ-ბოსტნეულის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ხილ-ბოსტნეულის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელიც ღირებულებათა ფორმების ცვლით მიმდინარეობს, წარმოიქმნება საბაზრო ურთიერთობანი და ხორციელდება ხილ-ბოსტნეულის ნივთობრივი გადაადგილება წარმოების ადგილიდან უშუალოდ მომხმარებლამდე.

ხილ-ბოსტნეულის ბაზარი ატარებს ყველა იმ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია ზოგადად ბაზრისათვის და გააჩნია აგრეთვე, სპეციფიკური, საკუთარი ნიშან-თვისებებიც.

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ძირითადი, ზოგადი ნიშნები კონკრეტულად ემთხვევა იმ ნიშნებს, რომლებიც ეკონომიკაში საყოველთაოდ მიღებული ბაზრის ოთხი ძირითადი მოდელიდან გააჩნია მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის ტიპს.

1. ხილ-ბოსტნეულის ბაზარი მოიცავს სავაჭრო საწარმოების, ფირმებისა და ორგანიზაციების საკმაოდ დიდ რაოდენობას:

2. ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ფირმები, საწარმოები და ორგანიზაციები ვაჭრობენ დიფერენცირებული ტიპის საქონლით. ხილ-ბოსტნეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ასორტიმენტი მეტად ფართოა:

3. კონტროლი ფასზე თითქმის შეუძლებელია, თუმცა შესაძლოა მოხდეს რამდენადმე ვიწრო ფარგლებში:

4. ამ დარგში ახალი ფირმებისა და საწარმოების გაერთიანება შედარებით იოლია. კონკურენცია შესაძლებელია რეკლამით, ხარისხით, სავაჭრო ნიშნებით, სავაჭრო მარკირებით, მომსახურების კულტურის დონითა და სხვ.

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის სპეციფიკური, დამახასიათებელი ნიშნებია ის, რომ: 1) ხილ-ბოსტნეულის ბაზარს დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და 2) ხილ-ბოსტნეულის პროდუქცია თითქმის მთლიანად მალფუჭებადია.

სწორედ ეს დამახასიათებელი ნიშნები განსაზღვრავენ კიდეც ძირითადად ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ფორმირების თავისებურებებს.

მოთხოვნა ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ნაკლებად რეაგირებს მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ცვლილებაზე და გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული კვების პროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებთან და რამდენადმე შემოსაზღვრულია კიდეც ამის გამო, მას მაინც გააჩნია გაფართოებისა და განვითარების დიდი შესაძლებლობები. ხილ-ბოსტნეულსა და მისი გადამუშავების პროდუქტებზე დღესდღეობით ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნილებებიც კი.

მოთხოვნა ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე ძალიან სწრაფად ბალანსდება მიწოდებით, რასაც განაპირობებს ის, რომ ხილ-ბოსტნეული სწრაფადაღწარმოებადი პროდუქტია და საქართველოში მისი წარმოების გაფართოების დიდი რეზერვები არსებობს, მიწოდება ძირითადად ეყრდნობა სამამულო წარმოებას, ხოლო ნაწილობრივ იმპორტსაც.

საქართველოში ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების მყარ საფუძველს სამამულო სასაქონლო რესურსების წარმოება და მისი გაფართოების დიდი პერსპექტივები ქმნის.

ხილ-ბოსტნეულის ნამდვილი ბაზრის ჩამოსაყალიბებლად უკვე ამჟამად აუცილებელია ხუთი სახის სასაქონლო პროდუქციის წარმოება: 1. ახალი ხილი და ბოსტნეული, 2. დაკონსერვებული, 3. სწრაფადგაყინული, 4. გარეცხილი, გაფცქვნილი და დაჭრილი, გამზადებული თითქმის დაუყოვნებლივ მოსახმარად. 5. ვაკუუმში შეფუთული, თბურად დამუშავებული და მოხმარებისათვის მზა ხილ-ბოსტნეული, ისე, რომ მომავალში წარმოებული ხილ-ბოსტნეულის ნახევარი მაინც ბაზარზე უნდა მოხვდეს სათანადო გადამუშავების შემდეგ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება და ასეთი საწარმოების ტექნიკური აღჭურვა მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით.

არსებითად არის გადასასინჯი მომხმარებლამდე ხილ-ბოსტნეულის დაყვანის გზები და ფორმები.

ამჟამად, საქონელმოძრაობის მოწესრიგებული სისტემის უქონლობის გამო, იკარგება წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი. პროდუქციის მალფუჭებადობა დიდ მოთხოვნებს უყენებს ხილ-ბოსტნეულის ბაზარს. მას აუცილებლად ესაჭიროება განვითარებული ინფრასტრუქტურა: მაღალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საცავების ქსელი, სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო პარკი, სპეციალური ტარა-მოწყობილობა, სამაცივრო მეურნეობა და მისი მომსახურების ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვი. ბაზარი მოითხოვს ეფექტიან საინფორმაციო სამსახურს. ეს ყოველივე ორგანულად არის დაკავშირებული ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემასთან — საქონლის დანაკარგების შემცირებასთან.

სასაქონლო დანაკარგების შემცირებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს საბითუმო ვაჭრობამ. თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ორი სახის საბითუმო ფირმა: სავაჭრო-საშუამავლო და სასაწყობო-გამანაწილებელი. საბითუმო ფირმის ფუნქციებში უნდა შევიდეს ხილ-ბოსტნეულის მარაგის შექმნა, მათი შენახვა, დაფასოება, შეფუთვა, საცალო სავაჭრო საწარმოთა საქონელმომარაგება.

ამ ფუნქციების შესასრულებლად საჭიროა როგორც წვრილი საბითუმო საწარმოები, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებს დაექვემდებარებიან, ასევე მსხვილი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი და ფინანსურად მძლავრი სავაჭრო-საბითუმო საწარმოები, რომლებიც შეძლებენ მთელი ქვეყნის ტერიტორიის ათვისებას და საგარეო-ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფასაც. ასეთი სავაჭრო-საბითუმო საწარმოები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკური საააქციო საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოების პრინციპით — მასში ვაჭრობის, მრეწველობისა და საკრედიტო-საფინანსო საქმიანი მონაწილეობით.

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ფორმირებაში ყველაზე მნიშვნელოვანია საცალო ვაჭრობა, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ძირითად არხს. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე საწარმოთა პრივატიზაცია.

საკუთრებით ურთიერთობათა სრულყოფამ ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე უნდა გამოიწვიოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება საქართველოში მუდამ იყო ე. წ. საკოლმეურნეო ბაზრების მაღალი ხვედრითი წონა ხილ-ბოსტნეულის რეალიზაციაში. მომავალში ხილ-ბოსტნეულის საცალო სავაჭრო სპეციალიზებული ქსელის განვითარებასთან ერთად, საქალაქო და რაიონული (ადგილობრივი) სასურსათო ბაზრები თავის მნიშვნელობას არ დაკარგავენ.

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის განვითარებაში თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს აგრეთვე „ცეკავშირი", რომელსაც მუდამ გააჩნდა საკუთარი ხილ-ბოსტნეულის საბითუმო და საცალო სავაჭრო ქსელი. მართალია, კრიზისის წლებში იგი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა თავისი სამეურნეო სპეციფიკური პირობების გამო (სავაჭრო ქსელის გაფანტულობა და დაშორება სამრეწველო ცენტრებიდან), მაგრამ ცეკავშირის სისტემას თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ახალი, მოქნილი მართვის სტრუქტურით დიდი ზემოქმედება შეუძლია ხილ-ბოსტნეულის ბაზრის განვითარებაზე. მისი სტრუქტურების საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისი მოწყობით ცეკავშირის სისტემა შეიძლება გახდეს ხილ-ბოსტნეულის პირველი შემსყიდველი და გადამამუშავებელი.

ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და რეალიზაციის სათანადო ორგანიზაციის პირობებში საქართველოში არსებობს არათუ საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების საშუალება, არამედ მისი მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანისა და მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობის შესაძლებლობაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მონაწილეობა ახლო საზღვარგარეთის, კერძოდ, რუსეთის ბაზარზე, რომელიც გამოირჩევა დიდი ტევადობითა და რაც მთავარია, იგი ამჟამად დაუბალანსებელია. დიდია მოთხოვნა იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა მწვავედ განიცდის C ვიტამინის შემცველი პროდუქტების ნაკლებობას არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო. ასეთ სიტუაციაში საქართველოს აქვს ამ ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობა. თანაც ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, ისე, რომ არ დაველოდოთ შიგა ბაზრის გაჯერებას. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დროის დაკარგვა ნიშნავს ბაზრის დაკარგვას, ვინაიდან ამ ბაზარზე გასვლას შეეცდებიან არა მხოლოდ ხილ-ბოსტნეულის მწარმოებელი ჩვენივე მეზობელი ქვეყნები, არამედ ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც მხოლოდ შუამავლის როლს შეასრულებენ და აქტიურად დაეუფლებიან მას.

ამ მიზნით ქვეყნის ცხოვრებაში თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმების ძიება. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა და შენარჩუნება მოითხოვს ყურადღება მიექცეს მარკეტინგის ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორიცაა: საგარეო ბაზრების შესწავლა და ორიენტაცია მომხმარებლის მოთხოვნაზე, სარეკლამო კომპანიების ჩატარება, გასაღების საქმიანობის მართვა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილ-ბოსტნეულის ბაზრის შემდგომი განვითარება და მისი როლის ზრდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის მომავალზე. ამჟამად უკვე თანდათანობით ყალიბდება მეურნეობის ახალი დარგობრივი და შიგადარგობრივი სტრუქტურა, ახალი პროპორციები მათ შორის. ხილ-ბოსტნეულის ბაზარი ქვეყნის მთლიანი ბაზრის შემადგენელი ნაწილია, რომელთან ერთადაც იგი უნდა მოთავსდეს ქვეყნის ახალ სახალხომეურნეობრივ კომპლექსში და უნდა დაიმკვიდროს თავისი ადგილი. შემდგომში კი სრულფასოვანი ხილ-ბოსტნეულის ბაზარი თავის მხრივ სტიმულს მისცემს მასთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას და დადებით როლს შეასრულებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებაში.

Н. ЧИВАДЗЕ

РЫНОК ПЛОДООВОЩНОЙ ПРОДУКЦИИ И ЕГО СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ В ХОЗЯЙСТВЕННОЙ ЖИЗНИ СТРАНЫ

Резюме

Природно-климатические условия Грузии создают необходимые условия для формирования и развития рынка плодоовощной продукции. Республика полностью должна обеспечить себя этой продукцией и наладить экспорт.

N. CHIVADZE

FRUIT AND VEGETABLES MARKET AND ITS SOCIO-ECONOMIC SIGNIFICANCE IN THE ECONOMIC LIFE OF THE REPUBLIC

Summary

The natural and climatic conditions of Georgia create the necessary conditions for the formation and development of a market of fruit and vegetables. The republic must fully meet its requirement in this produce and start exporting.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ნ. კირვალიძე

მოსახლეობის პროგნოზირება მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე

ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა და მის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა საქმიანობის წარმატების განმსაზღვრელია. მარკეტინგული გამოკვლევები საწარმოთა კომერციული საქმიანობის მართვის სისტემაში კონკრეტულ ფუნქციას ასრულებენ, მათ უნდა ჰქონდეთ მუდმივი საძიებო ხასიათი ბაზარზე წარმატების ობიექტური შეფასებისათვის. მარკეტინგული გამოკვლევები მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების შეხამების საშუალებაა, რომელიც მოთხოვნა-მიწოდებას შორის დაბალანსებაში გამოვლინდება. საქართველოში ფართო მოხმარების საქონლის ბაზარზე სიტუაცია გართულებულია მეურნეობის ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით. მოშლილია ძველი ეკონომიკური კავშირები. ნედლეულის და ენერგეტიკის მწვავე დეფიციტი, მოთხოვნა-მიწოდებას შორის დარღვეული შესაბამისობა იწვევს ფასების მკვეთრ მატებას, შესუსტებულია მომხმარებელთა კონტროლი წარმოებაზე.

მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფების მზარდი ინტერესების საფუძველზე, საქონლის ასორტიმენტის ფორმირება არის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. საქონლის ასორტიმენტის ფორმირება რთული ეკონომიკური პროცესია. ბაზარზე ორიენტაცია მოითხოვს ასორტიმენტის ფორმირების საკითხის პრინციპულად ახალ მიდგომას. მომხმარებლებს აინტერესებთ სასაქონლო მიწოდების სტრუქტურა, საქონლის კონკრეტული სამომხმარებლო თვისებები. საქონლის ასორტიმენტის სტრუქტურა უნდა გამომდინარეობდეს მომხმარებელთა შესაბამისი ჯგუფების მოთხოვნებიდან. მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების მოთხოვნის მოცულობა და სტრუქტურა გამოყენებული უნდა იყოს წარმოების, ცალკეული საწარმოს ბაზარზე სწორი ორიენტაციისათვის.

ბაზრის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვის პირობებში ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის პროგნოზირების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენდა ნორმატიული მეთოდი. გამოყენებული იყო „საშუალო" მომხმარებელზე მოხმარების რაციონალური ნორმები სამრეწველო საქონელზე, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სრულიად მიუღებელია. მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა მოთხოვნის განსაზღვრის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შექმნას. მოთხოვნის გაანგარიშება უნდა მოხდეს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც პირველ რიგში მომხმარებელთა თვალსაზრისით აუცილებელია და საინტერესო. თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე უპირატესობა ენიჭება მოკლევადიან პროგნოზს, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზის გამოყენება არარაციონალურია, სხვადასხვა მიზეზების გამო.

პროგნოზირების დარგში არსებობს რიგი გადაუწყვეტი პრობლემები: არასაკმარისადაა დეტალიზებული ასორტიმენტის ნომენკლატურა, საჭიროა საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომენკლატურის აგრეგაცია; არასაკმარისია მოთხოვნის პროგნოზირებისათვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები, მათ შორის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები. მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების სისტემატური ანკეტური გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი უნდა გახდეს პროგნოზის საინფორმაციო უზრუნველყოფის საფუძველი. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდიკაში გამოყენებულია მომხმარებელთა ცალკეული სქეს-ასაკობრივი ჯგუფების მიერ საქონლის მოხმარების სიდიდე. სამრეწველო საქონელი ხანგრძლივი მოხმარების საქონელია. მათი წლიური მოხმარება არ ემთხვევა წელიწადში მათ შეძენას. მოთხოვნის გაანგარიშების პროცესი სამ ეტაპად დავყავით. პირველ ეტაპზე, მომხმარებელთა ყველა სქეს-ასაკობრივი ჯგუფის ანკეტური გამოკითხვის შედეგად მოვახდინეთ მომხმარებელთა ტიპოლოგია.

გამოიკვეთა მომხმარებელთა ოთხი ეტაპი: ავანგარდული, პრესტიჟული, ზომიერად მოდური და პრაქტიკული მომხმარებლები. მაგალითად, ახალგაზრდა მომხმარებელთა კონტინგენტში (17—29 წელი) ავანგარდები შეადგენენ მთელი სქეს-ასაკობრივი ჯგუფის 32%-ს (გოგონები — 34%, ბიჭები — 30%), პრესტიჟული მომხმარებლები — 19%-ს (გოგონები — 17%, ბიჭები — 21%), ზომიერად მოდური — 39 %-ს (გოგონები — 37 %, ბიჭები — 41 %) და პრაქტიკული მომხმარებლები — 10% (გოგონები — 12%, ბიჭები — 8%). ასაკის მატებასთან ერთად მცირდება ავანგარდული ტიპის მომხმარებელთა რაოდენობა და მატულობს ზომიერად მოდური და პრაქტიკულ მომხმარებელთა ხვედრითი წონები. მომხმარებელთა ცალკეული ტიპის მოცულობა გამოვთვალეთ შემდეგი ფორმულით:

$$S_i = \frac{N \cdot \varepsilon_i}{100},$$

სადაც, S_i — i--რი ტიპის მომხმარებელთა რაოდენობა ცალკეული სქეს-ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებლებში;

N — ცალკეული სქეს-ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებელთა რაოდენობა საპროგნოზო წელს;

ε_i — i -რი ტიპის მომხმარებელთა ხვედრითი წონა.

მოთხოვნის პროგნოზირების მეორე ეტაპზე განვსაზღვრეთ მოხმარების სიდიდე დიფერენცირებულად, ბაზრის ცალკეული სეგმენტისათვის, მომხმარებელთა თითოეული სქეს-ასაკობრივი ჯგუფისათვის.

მოხმარება არის დროის ის მონაკვეთი, რომლის შემდეგ საქონლის ექსპლოატაცია არ ხერხდება მორალური ან ფიზიკური ცვეთის შედეგად. მოხმარება თავად მოიცავს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც მოთხოვნის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება: მომხმარებელთა ფულადი შემოსავლების შესაბამობა ფართო მოხმარების საქონლის ფასებთან; საქონლის ხარისხის შესაბამობა მომხმარებელთა მოთხოვნებთან; მომხმარებელთა ინტერესები გარდერობის ასორტიმენტის და მოცულობის ფორმირებაში. ცალკეული სახეობის საქონლის მოთხოვნის პროგნოზირებისათვის გამოითვლება მოხმარების საშუალო ვადა გაშლილი ასორტიმენტის მიხედვით. ეს მაჩვენებელი მიიღება მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვების შედეგად. მოხმარება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Pi = \frac{\Gamma}{T},$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც, П — მოხმარებაა,

Г — გარდერობის ერთეულთა საშუალო რაოდენობა გაშლილი ასორტიმენტის მიხედვით.

Т — თითოეული სახეობის საქონლის მოხმარების საშუალო ვადა.

საბოლოოდ მოთხოვნის გამოსათვლელ ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$C = \frac{Г}{T} \cdot \frac{N \cdot \varepsilon_i}{100} = П \cdot S_i$$

მოთხოვნის პროგნოზი დასრულებული სახით მხოლოდ მესამე ეტაპზე წარმოგვიდგება. მოცემული მეთოდიკით მოთხოვნის პროგნოზირების ილუსტრირებას მოვახდენთ ფეხსაცმლის უმნიშვნელოვანესი სახეობების მაგალითზე, ახალგაზრდული კონტინგენტის მომხმარებელთათვის. ხსენებული სქეს-ასაკობრივი ჯგუფის არჩევა განაპირობა იმან, რომ ისინი საქონლის ხარისხის და ასორტიმენტის მიმართ მეტი მომთხოვნელობით გამოირჩევიან, ვიდრე სხვა სქეს-ასაკობრივი ჯგუფის მომხმარებლები. ისინი შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 1/4 ნაწილს.

ავანგარდული და პრესტიჟული ტიპის მომხმარებელთათვის ფეხსაცმლის ცალკეული სახეობების მოხმარების ვადა საშუალოდ 2 წელია. ზომიერად მოდური მომხმარებლებისათვის იგი იზრდება 5 წლამდე, ხოლო პრაქტიკული ტიპისათვის კი საშუალოდ 7-8 წელია.

ფეხსაცმლის მოხმარება მაღალია ავანგარდული და პრესტიჟული ტიპის მომხმარებელთათვის. ავანგარდული და პრესტიჟული ტიპის ახალგაზრდა მომხმარებელთათვის ჩექმის, ნახევარჩექმისა და წაღის მოხმარების სიდიდე ტოლია 0,5 წყვილის, ნახევარწაღის და საზაფხულო ფეხსაცმლის — 0,8 წყვილის. ზომიერად მოდური ტიპის მომხმარებელთათვის ეს მაჩვენებელი შესაბამისად ტოლია — 0,4 წყვილის — ჩექმა, ნახევარჩექმა, წაღა, 0,2 წყვილის — ნახევარწაღა, ფეხსაცმელი. 0,4 წყვილი — საზაფხულო ფეხსაცმელი. პრაქტიკული ახალგაზრდა მომხმარებლებისათვის ჩექმის და ნახევარჩექმის მოხმარება მცირდება — 0,15 წყვილამდე, ნახევარწაღის და ფეხსაცმლის — 0,3 წყვილამდე, საზაფხულო ფეხსაცმლის — 0,2 წყვილამდე.

მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე ახალგაზრდა ქალებისათვის ფეხსაცმლის უმნიშვნელოვანესი სახეობების მოთხოვნის მოკლევადიან პროგნოზს 1997 წლისათვის შემდეგი სახე აქვს: ჩექმა, ნახევარჩექმა და წაღა — 243,7 ათ. წყვილი. მათ შორის ავანგარდული ტიპის მომხმარებელთათვის — 99,8 ათ. წყვილი, პრესტიჟული ტიპის მომხმარებელთათვის — 49,9 ათ. წყვილი, ზომიერად მოდური ტიპისათვის — 86,9 ათ. წყვილი, პრაქტიკული ტიპისათვის — 7,0 ათ. წყვილი. ნახევარწაღა და ფეხსაცმელი — 317,0 ათ. წყვილი. მათ შორის ავანგარდული ტიპისათვის — 159,7 ათ. წყვილი, პრესტიჟული ტიპის მომხმარებელთათვის — 99,8 ათ. წყვილი, ზომიერად მოდური ტიპის მომხმარებელთათვის — 43,4 ათ. წყვილი, პრაქტიკული ტიპისათვის — 14,1 ათ. წყვილი. საზაფხულო ფეხსაცმელი — 355,8 ათ. წყვილი. მათ შორის ავანგარდული მომხმარებლებისათვის — 159,7 ათ. წყვილი. ზომიერად მოდური ტიპისათვის — 86,9 ათ. წყვილი.

1997 წელს ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ჩექმის, ნახევარჩექმის და წაღის მოთხოვნის პროგნოზი 209,9 ათ. წყვილია. მათ შორის ავანგარდული ტიპისათვის — 72,1 ათ. წყვილი, პრესტიჟული მომხმარებლებისათვის — 50,4 ათ. წყვილი, ზომიერად მოდური მომხმარებლებისათვის — 78,8 ათ. წყვილი, პრაქტიკული მომხმარებლებისათვის — 8,6 ათ. წყვილი. ნახევარწაღის და ფეხსაცმლის მოთხოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

272,9 ათასი წყვილია. მათ შორის ავანგარდული ტიპისათვის 115,7 ათ. წყვილი, ზომიერად მოდური მომხმარებლებისათვის — 86,9 ათ. წყვილი.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების და მიწოდების სტრუქტურულ-ასორტიმენტული პრობლემის გადაჭრა წარმოუდგენელია მოთხოვნის დეტალიზაციის გარეშე. ეს კი რთული პროცესია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციას.

Н. КИРВАЛИДЗЕ

ПРОГНОЗИРОВАНИЕ СПРОСА НАСЕЛЕНИЯ НА ОСНОВЕ СТРУКТУРЫ ПОТРЕБЛЕНИЯ

Резюме

В разработанной методике краткосрочного прогнозирования спроса потребителей используется величина потребления товара отдельными поло-возрастными группами, основными типами потребителей. Иллюстрация прогноза спроса потребителей происходит на примере молодежного контингента, т. к. они отличаются высокими требованиями в отношении ассортимента и качества товаров.

N. KIRVALIDZE

PREDICTION OF THE POPULATIONS DEMAND ON THE BASIS OF THE STRUCTURE 0F CONSUMPTION

Summary

The proposed method of short-term prediction of consumer demand makes use of the value of consumption of goods by sex-and-age groups-the main consumer types. The predicted consumer demand is illustrated with a sample of young people, as this category is distinguished for high demands regarding the assortment and quality of goods.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

მ. სეთური

რეკლამა მარკეტინგის სტრატეგიაში და მისი ეფექტიანობა

საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია მარკეტინგის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ორიენტაციას ბაზრის მოთხოვნებზე. მისი უმნიშვნელოვანესი პრინციპია წარმოების განვითარება მოთხოვნის შესაბამისად.

მარკეტინგი თავისი ფართო და თანამედროვე გაგებით გულისხმობს: გამოკვლევათა ჩატარებას, მოთხოვნის ფორმირებისა და მისი დაკმაყოფილების პრობლემის შესწავლას, კონკურენციის საკითხების შესწავლას, გადაწყვეტილებათა მიღებასა და ხორცშესხმას საქონლის შემუშავების ხაზით, მისი გასაღების ხაზით, მომსახურებას და სხვ.

თანამედროვე მარკეტინგთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რეკლამა. ზემოთ აღნიშნული მარკეტინგის ცალკეული ასპექტები გავლენას ახდენენ რეკლამის მეთოდებზე, ხოლო თვითონ რეკლამაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს მარკეტინგულ გადაწყვეტილებებზე, მარკეტინგულ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

რეკლამას მარკეტინგულ სტრატეგიაში აქვს უამრავი გამოყენება: რეკლამას იყენებენ ფირმის, საქონლის იმიჯის ფორმირებისათვის, რაიმე კონკრეტული მარკის საქონლის პოპულარიზაციისათვის, ინფორმაციის გასავრცელებლად გაყიდვების შესახებ, კონკრეტული იდეის დაცვისათვის და სხვ.

კონკურენციის პროცესში ფირმებისათვის მეტად მნიშვნელოვანია უპირატესობის მოპოვება მომხმარებელთა თვალში, რადგან სწორედ ისინი გვევლინებიან ძირითად მყიდველებად და აკეთებენ კიდეც თავიანთ არჩევანს.

მომხმარებელი, როგორც ცნობილია, კონკურენტებს შორის საქონელს გამოყოფს მისთვის მოსაწონი თვისებებით. ამგვარი თვისებების დადგენით ფირმას შეუძლია რეკლამის საშუალებით წარმოაჩინოს ისინი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი თვისებები შეიძლება იყოს არა რეალური, არამედ გამოგონილი და მითიური. ასე, მაგალითად, სიგარეტი „მარლბორო“ რეკლამის საშუალებით წარმოჩენილია როგორც სიგარეტი „ნამდვილი მამაკაცებისათვის“.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეკლამის საკითხს სხვადასხვა საწარმო სხვადასხვაგვარად წყვეტს. წვრილ ფირმებში მას ახორციელებს გასაღების განყოფილების ერთ-ერთი მუშაკი, რომელიც პერიოდულად უკავშირდება სარეკლამო სააგენტოს, ხოლო მსხვილი ფირმები ქმნიან საკუთარ სარეკლამო განყოფილებებს.

რეკლამის დამკვეთი შეიძლება იყოს როგორც მწარმოებელი, ასევე საცალო ან საბითუმო გამყიდველი, მომსახურების ფირმა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური მოღვაწენი, კერძო პირები და მრავალი სხვანი.

რეკლამის დამკვეთნი თავიანთი მარკეტინგული მიზნების ხორცშესხმისათვის იყენებენ სარეკლამო სააგენტოებს. ესენი დამოუკიდებელი საწარმოებია, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც შეიმუშავებენ, ამზადებენ და ავრცელებენ რეკლამას სარეკლამო საშუალებებით.

სააგენტოები კლიენტებს სთავაზობენ სხვადასხვა სპეციალისტის მომსახურებას. მათ შორის არიან: მხატვრები, სარეკლამო საშუალებათა შერჩევის, სარეკლამო ღონისძიებათა დაგეგმვის, სავაჭრო საქმიანობის სტიმულირების, ტექსტების, ტელევიზიისა და რადიოს, შრიფტის არჩევის და სხვ. სპეციალისტები. რადგანაც სარეკლამო სააგენტოებს მუშაობის მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება აქვთ, ამიტომ მათ მომსახურებას მიმართავენ ის ფირმებიც კი, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი სარეკლამო განყოფილებები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომხმარებელი რეკლამას აღიქვამს მძაფრ კონკურენციულ გარემოცვაში. ამიტომ ფირმამ რომ მიიქციოს მომხმარებელთა ყურადღება, მოიპოვოს ნდობა, გახდეს პოპულარული მომხმარებელთა შორის, მან აქტიურად და სისტემატურად უნდა გამოიყენოს რეკლამა. ამისათვის იგი თავის მარკეტინგულ ტაქტიკაში ყოველთვის ითვალისწინებს რეკლამის საკითხებს და გეგმავს ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

მარკეტინგის კომპლექსური პროგრამის ნაწილია სარეკლამო პროგრამა. მასში აისახება რეკლამის ამოცანები და სარეკლამო ბიუჯეტი. სარეკლამო პროგრამა გულისხმობს: რეკლამაზე თანხების გამოყოფას და მათი გამოყენების მიმართულებების დადგენას; გადაწყვეტილების მიღებას სარეკლამო მიმართვის შესახებ; სარეკლამო საშუალებების შერჩევას; სარეკლამო პროგრამის შეფასებას.

სარეკლამო პროგრამის შეფასება გულისხმობს მისი ეფექტიანობის დადგენას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან რეკლამირება მოითხოვს მნიშვნელოვან თანხებს, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველი ფირმა დაინტერესებულია, რომ ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა მისთვის ფუჭად არ ჩაიაროს.

რეკლამის ეფექტიანობის შეფასების შესახებ არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი ან თეორია. აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა ავტორებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ.

რეკლამის ეფექტიანობის შეფასების მიზანია დაადგინოს სარეკლამო საშუალების ან სარეკლამო ღონისძიების ქმედითობა და მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობა დროის გარკვეულ პერიოდში.

რეკლამის ეკონომიკურ ეფექტიანობაში იგულისხმება ის ეკონომიკური შედეგი, რომელიც მიიღება სარეკლამო საშუალების გამოყენების ან სარეკლამო კომპანიის მოწყობის შედეგად. ეს ეკონომიკური შედეგი გამოიხატება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა სრულყოფაში, მათი მოგების გადიდებაში და სხვ.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება მოცემული მომენტისათვის ყოველთვის არასრული იქნება, რადგან რეკლამის ეკონომიკური შედეგი შეიძლება გამოვლინდეს მაშინვე, მისი ჩატარებისთანავე ან გარკვეული დროის შემდეგ. რეკლამამ თავდაპირველად შეიძლება იმოქმედოს მეხსიერებაზე, ყურადღებაზე, ადამიანთა გრძნობებზე და წარმოდგენებზე, მაგრამ მაშინვე არ შეეხოს უშუალოდ გადაწყვეტილებათა სფეროს. ეს ყოველივე დაკავშირებულია თუნდაც იმასთან, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი რეაქციებიც სარეკლამო ღონისძიებებზე განსხვავებულია. ხოლო დროის მონაკვეთის ზუსტი დადგენა რეკლამაზე ხარჯების გაწევიდან მისი სრული შედეგების მიღებამდე რთულია, ხშირად შეუძლებელიც.

რეკლამას გააჩნია სოციალური ეფექტიანობაც. ეს გამოიხატება იმაში, რომ იგი ავითარებს ადამიანთა გემოვნებას, ხელს უწყობს მათი მოთხოვნილებების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოებას და სრულყოფას, ზემოქმედებს მათ შეხედულებებზე. რეკლამის ზემოქმედებით იცვლება ძველი სამომხმარებლო ჩვევები და წარმოდგენები.

რეკლამის სოციალური ეფექტიანობა დამოკიდებულია ცალკეული სარეკლამო საშუალების ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტიანობაზე. ეს უკანასკნელი ხასიათდება შთაბეჭდილებათა სიღრმით, რომელსაც რეკლამა ტოვებს ადამიანთა მეხსიერებაში, ყურადღების მიპყრობის ძალით და ა. შ.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეკლამის კომპლექსური შეფასება, რომლის დროსაც უნდა ხდებოდეს სხვადასხვა მეთოდის გაერთიანება. ამიტომ რეკლამის შეფასებისას უმჯობესია ვიმსჯელოთ მის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

საინტერესოა, თუ როგორ აფასებს რეკლამის ეფექტიანობას მისი ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი დ. ოგილვი. იგი ამბობს: როდესაც ლაპარაკობენ იმის თაობაზე, თუ როგორ მოსწონთ რეკლამა, ეს ნიშნავს, რომ მოცემული რეკლამა არაფრად არ ვარგა, რადგანაც კარგი რეკლამის ნახვის შემდეგ ადამიანი უნდა ლაპარაკობდეს პირველ რიგში რეკლამირებულ საქონელზე [1, 22].

სარეკლამო საქმიანობაში პირველადია მიზნობრივ აუდიტორიაზე იმ ზემოქმედების მიღწევა და უზრუნველყოფა, რაც წინასწარ იქნა დასახული — მწარმოებელი ან გამსაღებელი ფირმების შესახებ ცოდნის გადიდება, ცოდნის გაზრდა მათ საქონელსა და მომსახურებაზე, მათ მიმართ ნდობის გაძლიერება, მომხმარებლის სტიმულირება ყიდვისათვის და სხვა ქმედებანი, რომლებიც სასურველია რეკლამის დამკვეთისათვის.

მნიშვნელოვანია იმის დაკონკრეტებაც, თუ რა შეადგენს სარეკლამო ხარჯებს.

მიზანშეწონილია, რომ სარეკლამო ხარჯებში შეიტანებოდეს:

ა) სარეკლამო საშუალებათა წარმოებაზე გაწეული ხარჯები;

ბ) რეკლამის სპეციალისტის (ან სპეციალისტების) შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) ვიტრინაში გამოფენილი საქონლის დაზიანებისა და ცვეთის ხარჯები;

დ) ვიტრინათა არენდის ხარჯები;

ე) ხარჯები ელექტროენერგიაზე (შუქრეკლამისათვის) და ა. შ.

რეკლამის მიერ სასურველი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მოტანა დაკავშირებულია მის ქმედითუნარიანობასთან, ე. ი. მის უნართან შეცვალოს მომხმარებელთა შეხედულება რეკლამის ობიექტის (რეკლამირებული საქონლის და სხვ.) სასარგებლოდ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სარეკლამო საშუალებისადმი მყიდველთა დამოკიდებულების გარკვევა, რისი დადგენაც შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. კერძოდ, დაკვირვების, ექსპერიმენტების, გამოკითხვების გზით.

დაკვირვების მეთოდით შეიძლება გამოვიკვლიოთ ცალკეული სარეკლამო საშუალების მომხმარებლებზე ზემოქმედება მომხმარებლის კონკრეტულ სარეკლამო საშუალებასთან უშუალო ურთიერთობის დროს. დამკვირვებელი აწარმოებს დაკვირვებას მომხმარებლისაგან შეუმჩნევლად წინასწარ შემუშავებული სქემით. ასე, მაგალითად, დამკვირვებელი შეიძლება აღნიშნავდეს რამდენად დიდხანს ჩერდებიან ფეხითმოსიარულენი ამა თუ იმ ვიტრინის წინ, რამდენი მომხმარებელი ავლენს გაძლიერებულ ინტერესს რომელიმე საქონლის მიმართ ვიტრინაში მისი დათვალიერების შემდეგ.

ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენების დროს, რეკლამის ზემოქმედებას შეისწავლიან ექსპერიმენტატორის საშუალებით, ხელოვნურად შექმნილ პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერიმენტატორი დაკვირვების პროცესში ცვლის სარეკლამო საშუალებების ცალკეულ ელემენტებს, ქმნის სრულიად განსხვავებულ კომბინაციებს და მათზე მომხმარებელთა რეაქციის შედარების გზით ირჩევს შემდეგ საუკეთესოს.

გამოკითხვის მეთოდით ამა თუ იმ სარეკლამო საშუალების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის დგება ანკეტები, რომლებიც წერილობით, პირად საუბრებში, რადიოთი ან ტელევიზიით ეცნობება მომხმარებლებს. უფრო მიზანშეწონილია შევთავაზოთ მომხმარებლებს შეავსონ გამოკითხვის ფურცელი, სადაც იქნება ჩამოყალიბებული გამოკითხვის ამოცანები, რათა მყიდველმა იცოდეს მისი მიზანი და შეეცადოს უფრო ზუსტად უპასუხოს კითხვებზე.

მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე, გამოიტანენ სათანადო დასკვნებს. გამოკითხვის გზით შეიძლება დადგინდეს, რომელი სარეკლამო საშუალება (პლაკატი, სარეკლამო ფილმი, განცხადება პრესაში და სხვ.) ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას მყიდველზე მის მიერ გარკვეული საქონლის შეძენის დროს.

გამოკითხვის ჩატარება მოითხოვს მნიშვნელოვან დროს. შედეგები კი არ შეიძლება იყოს საკმარისად სრული, რადგან ზოგჯერ მყიდველისთვისაც კი არ არის ცნობილი, მან საქონელი იყიდა რეკლამის ზეგავლენით, თუ ნაცნობების რჩევით, ან რაიმე სხვა მოსაზრებებით.

როგორც აღვნიშნეთ, რეკლამის ეფექტიანობის შეფასების თაობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი რუსი ავტორი ვ. უსოვი რეკლამის ეფექტიანობის მაჩვენებლებს ყოფს 3 ჯგუფად:

I ჯგუფი — მიღებული დამატებითი მოგება, რეალიზებული დარიცხვა ან საქონელბრუნვა;

II ჯგუფი — არაღიარებულებითი მაჩვენებლები:

ა) ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც რეკლამის საშუალებით მიზიდულ იქნა მაღაზიაში;

ბ) შესყიდვათა რაოდენობა, რომლებიც განხორციელდა რეკლამის საშუალებით.

III ჯგუფი — მაჩვენებლები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება პირობითად შეფასდეს რეკლამის ეფექტიანობა: ა) ადამიანზე რეკლამის დაყვანის ღირებულება; ბ) ადამიანთა რაოდენობა, რომელიც მოდის რეკლამაზე გაწეული ხარჯების ერთ ერთეულზე; გ) ადამიანთა რაოდენობა გამოკითხულ მყიდველთა საერთო რიცხვიდან, რომელთაც ყიდვის მიზეზად დაასახელეს კონკრეტული სარეკლამო საშუალება [2, 32].

ზოგიერთი ამერიკელი ავტორი შედარებით მარტივად წყვეტს რეკლამის ეფექტიანობის შეფასების საკითხს. მაგალითად, ჩ. ედვარდსს და რ. ბრაუნს მიაჩნიათ, რომ ეფექტიანია ის რეკლამა, რომლის გატარების შედეგადაც იზრდება რეკლამირებული საქონლის რეალიზაციის მოცულობა [3, 238].

არის კიდევ სხვა ცდები რეკლამის ეფექტიანობის გამოთვლისათვის, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა მათემატიკურად ზუსტად შეუძლებელია, რადგანაც საქონლის რეალიზაციაზე რეკლამის გარდა სხვა მრავალრიცხოვანი ფაქტორიც ახდენს გავლენას — საქონლის სამომხმარებლო თვისებები, მისი ასორტიმენტი, საქონელზე ფასების დონე და სხვა.

რეკლამის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელობა უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით დგინდება რა უკვე გატარებული სარეკლამო ღონისძიებების შედეგები, ამის საფუძველზე შესაძლებელია დასაგეგმავი ღონისძიებების უფრო სწორად დასაბუთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების დროს რომ უფრო ადვილი იყოს სხვა ობიექტური ფაქტორების გავლენის გათვალისწინება (ფასების ცვლილება, საქონლის რეალიზაციის პირობები და ა. შ.), უნდა იქნეს გამოყენებული შემასწორებელი კოეფიციენტები. ასე, მაგალითად, ფასების ინდექსი.

სარეკლამო ხარჯების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ფორმულის მოშველიება:

$$Эр = \frac{\Delta T \cdot P \cdot П}{100} - P$$

სადაც Д არის მიზნობრივ ბაზარზე სარეკლამო ღონისძიების ზემოქმედების ხანგრძლივობა (დღეებში);

ΔT — საქონელბრუნვის საშუალო დღიური მოცულობის მატება Д პერიოდში (თანხებში);

П — მოგების დონე Д პერიოდში (%-ით ბრუნვასთან);

Р — რეკლამის ხარჯები (თანხებში).

რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მეთოდია საქონელბრუნვის შედარების მეთოდი სარეკლამო ღონისძიების გატარებამდე და გატარების შემდეგ. ამისათვის საქონლის რეკლამირების წელს მონაცემებს დეკადის, თვის, კვარტალის მიხედვით ადარებენ გასული წლის იმავე პერიოდების მონაცემებთან. არკვევენ, თუ როგორ იზრდება საშუალოდღიური საქონელბრუნვა რეკლამის ზემოქმედების შედეგად. მაგრამ აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ მხოლოდ ზოგადი დასკვნები რეკლამის ეფექტიანობის შესახებ.

რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის შეიძლება შევუდაროთ ერთმანეთს ორი ანალოგიური სავაჭრო საწარმოს ძირითადი მაჩვენებლები (მაგ. საქონელბრუნვა) დროის ერთსა და იმავე პერიოდში. აქედან ერთ-ერთ ობიექტში გატარდა რეკლამა, მეორეში კი — არა. შედარებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ შესადარი ობიექტები იყვნენ ერთტიპური და იმყოფებოდნენ თანაბარ პირობებში.

აღნიშნული მეთოდის დადებითი მხარეა ის, რომ ირკვევა საქონელბრუნვის როგორი ზრდა გამოიწვია უშუალოდ რეკლამის გატარებამ, რადგან საქონელბრუნვის ზრდა იმ ობიექტში, სადაც არ გამოიყენებენ რეკლამას, განპირობებულია იმ ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც არსებობენ რეკლამისაგან დამოუკიდებლად. ცხადია, იგივე ფაქტორები ზემოქმედებენ მეორე მაღაზიის საქონელბრუნვაზეც, სადაც ტარდება სარეკლამო ღონისძიება. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საქონელბრუნვის ზრდა ამ მაღაზიაში მაინც შეიძლება გამოიწვიოს როგორც რეკლამაზე დამოკიდებულმა, ასევე მისგან დამოუკიდებელმა ფაქტორებმა.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას საკმაოდ რთულია შესადარებელი ობიექტების ამორჩევა, რომლებიც აუცილებლად უნდა იმყოფებოდნენ თანაბარ პირობებში, რათა შედარებამ მოგვცეს რაც შეიძლება რეალური შედეგები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევას ჰქონდეს სისტემატური და არა შემთხვევითი ხასიათი. უფრო მეტიც, როდესაც ფირმას (საწარმოს) ჰყავს რეკლამის სპეციალისტი და აქტიურად ახორციელებს სარეკლამო ღონისძიებებს, მის მიერ რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებასა და კვლევას უნდა ჰქონდეს ეტაპობრივი ხასიათი. კერძოდ, ასეთი გამოკვლევები სასურველია მოიცავდეს სამ ძირითად ეტაპს:

1. სარეკლამო ღონისძიების დაგეგმვისა და მომზადების; 2. რეკლამის გავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელებისა და მომხმარებელზე ზემოქმედების; 3. სარეკლამო კანისძიების გატარების შემდგომ ეტაპს.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ რეკლამის ეფექტიანობის შეფასების დროს, მნიშვნელოვანია რეკლამის მიზნების გათვალისწინებაც. ასე, მაგალითად, თუ რეკლამის მიზანია საამანათო ვაჭრობის სტიმულირება, მაშინ ეფექტიანობის მაჩვენებლად შეიძლება ჩავთვალოთ საქონელზე შეკვეთების რაოდენობა, რომელიც განხორციელდა რეკლამის ზემოქმედებით, ხოლო ფანჯრის ვიტრინის ეფექტიანობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს ფეხით მოსიარულეთა რაოდენობა, რომლებიც შეჩერდნენ ვიტრინის წინ, ან მისი ზემოქმედებით შევიდნენ მაღაზიაში; მომხმარებელთა რაოდენობა, რომელთაც ვიტრინის ზემოქმედებით იყიდეს იქ გამოფენილი საქონელი.

ამოცანები და მიზნები, რომელნიც რეკლამის წინაშეა დასახული, მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს არა მხოლოდ საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, მოგების გადიდება, არამედ, მაგალითად, პრესტიჟის შექმნა, სეზონური ძვრების შენელება და მრავალი სხვა.

ლიტერატურა

1. Рожков И., Реклама должна работать, ж. «Реклама», 1991, № 4.
2. Усов В. В., Торговая реклама, М., Знание, 1976.
3. Эдвардс Ч., Браун Р., Реклама в розничной торговле США, М., Экономика, 1967.

М. СЕТУРИ

РЕКЛАМА В СТРАТЕГИИ МАРКЕТИНГА И ЕЕ ЭФФЕКТИВНОСТЬ

Резюме

Реклама имеет как экономическую, так и социальную эффективность, поэтому рекламные мероприятия целесообразно оценивать комплексно путем объединения различных методов.

M. SETURI

ADVERTISEMENT IN THE STRATEGY OF MARKETING AND ITS EFFICIENCY

Summary

Advertisement has both economic and social effectiveness. Hence promotion measures should be assessed in a complex way by a combination of various methods.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ლ. კოჭლამაზაშვილი

უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ხარისხის გაუმჯობესების გზები საქართველოში

უალკოჰოლო სასმელების სამეურნეო-საწარმოო საწყისს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩაეყარა საფუძველი. მათი დამზადება დაკავშირებულია ისეთ ქვეყნებთან, სადაც მეხილეობა და მევენახეობა ფართოდ იყო განვითარებული. ამ თვალთახედვით საქართველოც მათ რიცხვს ეკუთვნის. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი ნედლეულის ბაზა საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები, უალკოჰოლო სასმელების ხარისხის ამაღლებით შეიძლება ძველი დიდება დავუბრუნოთ ლაღიძისა და გრძელიძის წყლებს, რომლებიც ძველთაგანვე იყო ცნობილი და ფართო მოხმარების სასმელად აღიარებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნედლეულის ხარისხს, რათა სამამულო წარმოების სასმელებმა კონკურენცია გაუწიოს საზღვარგარეთიდან შემოზიდულ ძვირადღირებულ კონცენტრატებზე დამზადებულ უალკოჰოლო სასმელებს.

უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში არსებული ნედლეულის გამოყენება უნდა ხდებოდეს უფრო სრულყოფილად და რაციონალურად; უნდა დაიხვეწოს სასმელების ასორტიმენტი და ჩამოყალიბდეს მისი სტაბილური სია. განუწყვეტლივ უნდა ხდებოდეს გამოშვებული სასმელების ხარისხის ამაღლებისადმი ზრუნვა მეცნიერების მიღწევებისა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც გამოიწვევს სასმელების მედეგობის ამაღლებას, მათი რეალიზაციის ვადების გახანგრძლივებას, ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების ანალიზის დროს აუცილებელია ქვეყანაში წარმოებული სასმელების ხარისხის მდგომარეობის განხილვა. ქვეყანაში ეკონომიკის მართვის სისტემა მიზნად ისახავდა წარმოების მოცულობის რაოდენობრივ ზრდას, ხოლო მისი საქმიანობის ხარისხი საწარმოს მაჩვენებლებში იგნორირებული იყო. უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ხარისხს განიხილავდნენ მომხმარებელთა მოთხოვნის გარეშე, ამიტომაც ჩვენ მიერ გამოკითხულ მომხმარებელთა 98%-მა სასმელები დაიწუნეს დაბალი ხარისხის გამო.

ამჟამად უალკოჰოლო სასმელების ხარისხი განისაზღვრება PCT 33—84, PCT 410—83 და OCT 18—117—82 სტანდარტების მიხედვით. ამ სტანდარტების მიხედვით საზღვრავენ გარეგან გაფორმებას, გემოს და არომატს, გამჭვირვალობას და ფერს, ნახშირმჟავით გაჯერებას (გაზიან სასმელებში) და ბოთლის შევსების სისრულეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ხარისხისა და ასორტიმენტის მიმართ მომხმარებელი სხვადასხვაგვარ მოთხოვნებს აყენებს, რაც განპირობებულია ცხოვრების სხვადასხვა წესით, გემოვნებით, ფულადი შემოსავლებით და სხვა. ეს შეადგენს მარკეტინგული კვლევის ნაწილს; საქართველოში უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ბაზარზე ცალკეული სეგმენტის მოთხოვნის შესაბამისად სასაქონლო წარმოების ობიექტურად შესწავლას ადგილი არ ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო დარგის წარმოების უკიდურესად დაბალი კულტურით, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური და სანედლეულო ბაზით. მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად აუცილებელია შესწავლილ იქნეს მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების ინდივიდუალური მოთხოვნები.

მომხმარებელთა მიერ უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ხარისხის მაჩვენებელთა შეფასების მეთოდი უნდა იყოს მარტივი და სრულად ასახავდეს სასმელების მახასიათებლებს.

ანკეტური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის მაჩვენებელთა განსაზღვრის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გაფორმებას, გემოვნურ თვისებებს, ფასს, გამჭვირვალობას, ფასის შესაბამისობას ხარისხთან. ამასთან, გამოიკვეთა ხუთი მთავარი ნიშანი: გამჭვირვალობა, ნახშირმჟავა გაზით გაჯერება, ხარისხი, გემო და არომატი, ფერი და გარეგნული გაფორმება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრის სეგმენტაციას, მომხმარებელთა ტიპის განსაზღვრას. მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან გამოიკვეთა მომხმარებელთა სამი ჯგუფი:

1. ჯგუფი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ხილის წვენებს;
2. ჯგუფი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ხილის წყლებს (ლიმონათი);
3. ჯგუფი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მინერალურ წყლებს. სხვადასხვა სქეს-ასაკობრივ ჯგუფში მათი ხვედრითი წონა სხვადასხვაა.

ზემოთ ჩამოთვლილ ხარისხის ხუთ მაჩვენებელს ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდიკის მიხედვით სხვადასხვა სქეს-ასაკობრივ ჯგუფში შემავალი ყველა ტიპის მომხმარებელი შეაფასებს ბალური სისტემით. თუ მომხმარებლისათვის ხარისხის მაჩვენებელი მისაღებია, პირობითად შეაფასებს „კარგი“ — 5 ბალით. საშუალოს შეაფასებს „საშუალო“ — 3 ბალით; თუ ხარისხის მაჩვენებელი არ პასუხობს მომხმარებლის მოთხოვნებს „ცუდი“ — 1 ბალით.

ჩვენ მიერ გამოკითხული იყო 17 წლამდე, 17—45 წლამდე და 45 წელს ზემოთ ორივე სქესის მომხმარებელი. მომხმარებელთა დიფერენცირებულად შესწავლის შემდეგ, ხარისხის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შედეგად ყველა სახის სასმელზე, ხარისხის აგრეგირებულ მაჩვენებელს განვსაზღვრავთ ცნობილი ფორმულით:

$$U = \sum_{i=1}^{n} m_i \cdot q_i$$

U — ხარისხის მაჩვენებელთა დონე ბალებში;

m_i — i-რი სამომხმარებლო თვისებების შეფასება ბალებში;

q_i — სამომხმარებლო თვისებების წონადობის კოეფიციენტის საშუალო სიდიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის ხარისხის ფაქტობრივ დონესა და სასურველ დონეს შორის დამოკიდებულება გამოისახება ფორმულით:

$$K_i = \frac{U_i}{U_{i\delta}}$$

სადაც $U_{i\delta}$ ხარისხის საუკეთესო დონეა ბალებში.

ამ მარტივი მეთოდის გამოყენებით მომხმარებელს საშუალება ეძლევა გამოთქვას საკუთარი აზრი სამომხმარებლო თვისებების შესახებ.

17 წლამდე მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ხილის წყლებს (ლიმონათი). ამ სასმელების შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გარეგნულ გაფორმებას — 9,5 ბალი, გემოსა და არომატს — 9,6 ბალი. 17—45 წლამდე ასაკის მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ხილის წყლებსა (ლიმონათი) და ხილის წვენებს, ნაწილობრივ მინერალურ წყლებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხილის წყლებში — გემოსა და არომატს — 9.3 ბალი, გარეგნულ გაფორმებას — 8.9 ბალი, გაზით გაჯერებას — 9,1 ბალი; ხილის წვენებში — გემოსა და არომატს — 9,3 ბალი, ფერს — 9 ბალი. 45—60 წლამდე და ზევით ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ მინერალურ წყლებს (გამომდინარე მათი სამკურნალო თვისებებიდან) და ნაწილობრივ ხილის წვენებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მინერალურ წყლებში გაზით გაჯერებას — 9,1 ბალი, ხოლო ხილის წყლებში — გემოსა და არომატს — 9 ბალი, ფერს — 9.1 ბალი, გამჭვირვალობას — 9.3 ბალი.

აუცილებელია სისტემატურად ჩატარდეს მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვები, რომლის საშუალებითაც შეიძლება სასმელების წარმოების პროცესში ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება. უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

— შემოსული ნედლეულის ხარისხის კონტროლის გამკაცრება;

— ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და მოთხოვნების სრული დაცვა;

— ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის კონტროლი, ექსპრეს-მეთოდების დამუშავება და დანერგვა;

— ახალი პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა;

— ახალი მანქანა-დანადგარების შეძენა და დამონტაჟება;

— პროდუქციის მდგრადობის გაზრდა;

— ახალი ბუნებრივ-ნატურალური საღებავების დამუშავება და დანერგვა;

— უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებაში;

— ახალი მინერალური, დაბალი მინერალური და მტკნარი წყლების გამოვლინება და მათი სამრეწველო გამოყენება;

— დაბალ მინერალიზებულ წყლებზე არომატიზებული დაბალკალორიული უალკოჰოლო სასმელების დამუშავება და დანერგვა;

— ახალი უალკოჰოლო სასმელების გამოშვება შაქარშემცვლელი ნივთიერებებით (რაც გაზრდის პროდუქციის მდგრადობას) „ასპარკამი“;

— ადგილობრივი ნედლეულის, კერძოდ, გარეული ხილ-კენკროვანი და მცენარეული ნედლეულის უფრო ფართოდ გამოყენება ნახევარფაბრიკატების დასამზადებლად;

— ტარისა და შესაფუთი მასალის გაფორმების გაუმჯობესება;

— სასმელების ნახშირჟანგით გაჯერება საჭირო კონდიციამდე;

— ესთეტიკური თვალსაზრისით ახალი ტარის შექმნა და დანერგვა;

— რეკლამის გაუმჯობესება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სავაჭრო ქსელში მიწოდების საკითხის მოგვარება (საჭიროა სპეციალური მანქანები) და თანაბარზომიერების დაცვა;

— სავაჭრო ქსელში და წარმოებაში პროდუქციის შენახვის პირობების გაუმჯობესება და ა. შ.

Л. КОЧЛАМАЗАШВИЛИ

ПУТИ УЛУЧШЕНИЯ КАЧЕСТВА БЕЗАЛКОГОЛЬНЫХ НАПИТКОВ И МИНЕРАЛЬНЫХ ВОД В ГРУЗИИ

Резюме

Грузия богата различными минеральными водами, а также сырьем для производства безалкогольных напитков. Улучшение их качества позволит увеличить реализацию как на внутреннем, так и на внешнем рынках.

L. KOCHLAMAZASHVILI

WAYS OF IMPROVING THE QUALITY OF NON-ALCOHOLIC DRINKS AND MINERAL WATERS IN GEORGIA

Summary

Georgia is rich in various mineral waters as well as in raw materials for the production of non-alcoholic drinks. Improvement of their quality will allow their sale both on the local and foreign markets.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ლ. ყორღანაშვილი, დ. აგდუშელიშვილი

საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ლიბერალიზაცია თუ პროტექციონიზმი?

სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვების, იდეოლოგიური დოგმებიდან განთავისუფლების შემდეგ, საქართველო ესწრაფვის ღია ეკონომიკაზე გადასვლას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის უცილობელი შემადგენელი ნაწილია. ამ მიმართულებით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები: საქართველო გახდა გაეროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის აუზისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებებში, დიპლომატიური და სავაჭრო კავშირები დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. 1995 წელს საქართველო ვაჭრობდა 71 ქვეყანასთან. 1994 წელთან შედარებით, სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი გაიზარდა 17 ერთეულით. გაიზარდა აგრეთვე საგარეო სავაჭრო ბრუნვაც, რომელმაც 1995 წელს 516,2 მლნ ამერიკული დოლარი შეადგინა. ეს 7,8%-ით აღემატება 1994 წლის მოცულობას, მაგრამ ეს მატება ექსტენსიური ხასიათისაა, ვინაიდან იგი საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოების შედეგია. თუ 1994 წელს ერთ სავაჭრო პარტნიორზე საშუალოდ მოდიოდა 8,87 მლნ ამერიკული დოლარი, 1995 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 7,27 მლნ დოლარს, ანუ 1994 წლის დონის 82%-ს.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია ცალკეულ ქვეყანათა ჯგუფებს შორის საერთაშორისო ანგარიშსწორების დაუბალანსებელი სტრუქტურა. აქტიური სავაჭრო ბალანსი ტიპურია იმ ქვეყნებისათვის (მაგალითად, იაპონია, გფრ და ა. შ.), რომლებიც მსოფლიო ბაზარზე აქტიური ექსპანსიის პოლიტიკას ახორციელებენ. მაგრამ თვით ლიდერი ქვეყნების რიცხვშიც არიან პასიური სალდოს მქონე ქვეყნები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, რომლის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა არნახულ ზომებს მიაღწია. მართალია, საქართველო ამერიკას ვერ შეედრება ეკონომიკის განვითარების დონით, მაგრამ საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდის ტემპებით ნამდვილად არ ჩამორჩება. 1994 წელს საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 32 ქვეყანასთან, ანუ 59,3%-თან. 1995 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 52 ქვეყნით, ანუ 73,2%-ით გამოისახებოდა. აბსოლუტური მოცულობით სავაჭრო დეფიციტი 170,8-დან 224.5 მლნ დოლარამდე, ანუ 31,5%-ით გაიზარდა. შეიცვალა აგრეთვე საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა პოზიციები. 1995 წელს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულშია თურქეთი, რომელთანაც ვაჭრობის მოცულობამ შეადგინა 115 მლნ დოლარი, რუსეთი — 73,4 მლნ დოლარი, თურქმენეთი — 56 მლნ დოლარი, აზერბაიჯანი — 56 მლნ დოლარი, ბულგარეთი — 31,2 მლნ დოლარი, რუმინეთი — 28,0 მლნ დოლარი, სომხეთი — 27,8 მლნ დოლარი, გფრ — 11,3 მლნ დოლარი, დიდი ბრიტანეთი — 11,1 მლნ დოლარი.

1994 წელს საქართველოს უმსხვილეს პარტნიორთა ათეულში შედიოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დსთ-ს 6 ქვეყანა, მათგან ორმა — უკრაინამ და ყაზახეთმა — 1995 წელს დაკარგეს პოზიციები. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა რიცხვიდან გამოვიდა აგრეთვე ირანი. ამ სამი ქვეყნის ადგილები დაიკავეს რუმინეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა. 1995 წელს, 1994 წელთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი ტემპით — 7-ჯერ გაიზარდა ვაჭრობა ბულგარეთთან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში გარკვეული ძვრების მიუხედავად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები ხელს უშლის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მონაწილეობას, ეროვნული მეურნეობის ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

მსოფლიო სამეურნეო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და წარმოების სტრუქტურაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით, არსებითად იცვლება შრომის საერთაშორისო დანაწილების ხასიათი. იგი ემყარება ცალკეულ ქვეყანათა მიერ ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების სპეციალიზაციასა და ქვეყანათა შორის წარმოების შედეგების გაცვლას. მასში მონაწილეობა შეუძლია ყოველ ქვეყანას, ვინაიდან აქ ქვეყნის განვითარების დონე როლს არ თამაშობს. შესაბამისად, საქართველოს შეუძლია აქტიურად ჩაებას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და მიიღოს გარკვეული სარგებელი. მთავარია მხოლოდ სწორად განისაზღვროს მისი სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებები და გადაწყდეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ეკონომიკის გაჯანსაღება და მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია, საბაზრო პირობების ჩამოყალიბება და ყოველივე ამისათვის ქმედითი საკანონმდებლო, ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვრების შექმნა. ამასთან, საქართველო შრომის საერთაშორისო დანაწილებაში უნდა მონაწილეობდეს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებით, რაც უფრო მომგებიანია სოფლის მეურნეობისა და მომპოვებელი დარგების პროდუქციის ექსპორტთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 1995 წელს საქართველოს ექსპორტში გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე მოდიოდა 87,8%. ე. ი. საქართველოს აქვს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა და ამაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს მიერ შერჩეულმა საგარეო სავაჭრო პოლიტიკამ.

როგორც ცნობილია, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ორი ტენდენციის — პროტექციონიზმისა და ლიბერალიზაციის მუდმივი ურთიერთქმედებით ხასიათდება. ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების, განვითარებისა და რეგულირების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ირჩევს ამა თუ იმ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს დასახული მიზნების შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებასა და გამოყენებას. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იძლევა საკუთარ საზღვრებზე საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უფლებას.

ჩვეულებრივ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ქვეყნისშიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა. ეს ამოცანა საერთოა სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილისათვის. თანამედროვე ეტაპზე მრავალი სახელმწიფო საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შექმნისა და განვითარებისათვის იყენებს პროტექციონისტულ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობასთან შედარებით უპირატესი ტემპით და, შესაბამისად, პროდუქციის მოცულობის გადიდება, უცხოური ინვესტიციების ზრდა მრეწველობის დარგებში, ვაჭრობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ვაჭრობაში მზა ნაწარმით მონაწილეობა. მისგან განსხვავებით, ლიბერალიზაციის პოლიტიკა ითვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემშლელი ბარიერების შემცირებასა და აღმოფხვრას, უცხოური კაპიტალისა და საქონლისათვის შიდა ბაზრის გახსნას.

თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე გადასვლა. ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარებას აქტიურად უწყობს ხელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელშიც საქართველო დამკვირვებლის სტატუსითაა წარმოდგენილი, უახლოეს პერიოდში კი მოსალოდნელია მისი წევრად მიღება.

საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მოითხოვს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების აღიარებასა და უცხოელთათვის შიდა ბაზრის გახსნას. შესაბამისად, ლიბერალიზაციის პოლიტიკა ხელსაყრელია ჩვენი სავაჭრო პარტნიორებისათვის, ვინაიდან მათ ეძლევათ ქვეყნის ბაზარზე პროდუქციის თავისუფალი გასაღების შესაძლებლობა. საქართველოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის არაკონკურენტუნარიანობის პირობებში, ქვეყანა კიდევ უფრო დამოკიდებული იქნება სხვა ქვეყნების პროდუქციაზე და დაკარგავს საკუთარი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება, რომელმაც უნდა დაიცვას ჩვენი არაკონკურენტუნარიანი დარგები და ქართველი მეწარმეები.

პროტექციონიზმის გამართლება შეიძლება იმით, რომ საქართველოს აქვს საექსპორტო პროდუქციის (მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა ხილბოსტნეულის წარმოება და მისი გადამუშავება, ღვინის, სხვადასხვა მინერალური და უალკოჰოლო სასმელების) წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე გატანის პოტენციური შესაძლებლობა, მხოლოდ ამისათვის საჭიროა საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებისათვის გარკვეული ხელშეწყობა ახალი ტექნიკური ბაზის შექმნასა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაში და, რაც მთავარია, საწყის ეტაპზე უცხოური კონკურენციისაგან დაცვა. საერთაშორისო კონკურენციისაგან დაცული დარგები მიიზიდავენ კაპიტალს და აღორძინდება ეროვნული მრეწველობა. მრეწველობის განვითარება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ახალ სამუშაო ადგილებს, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვას. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე პროტექციონისტული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მან ეკონომიკის აღორძინებას უნდა შეუწყოს ხელი.

ცნობილია, რომ უცხოური კონკურენციისაგან დაცული დარგებისათვის დამახასიათებელია დაბალი ეფექტიანობა. პროტექციონიზმის ამ ნაკლოვანი მხარის აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია საწარმოო მიმიკრიის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს სხვისი სავაჭრო მარკით საქონლის წარმოებას. არსებობს მიმიკრირებული წარმოების განვითარების კანონიერი გზა — Original Equipment Manufacturing — OEM — პროდუქციის წარმოება ცნობილი ფირმის შეკვეთით, რომელიც ტესტირების შემდეგ ამ პროდუქციას ყიდის საკუთარი სავაჭრო მარკითა და გარანტიის უზრუნველყოფით. აღსანიშნავია, რომ სწორედ OEM შეუწყო ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, სამხრეთი კორეა) ეკონომიკურ სასწაულსა და მათ „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებად“ ჩამოყალიბებას.

ცნობილი ფირმებისაგან შეკვეთების მიღებითა და მათი მოთხოვნების დაცვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელია ტექნოლოგიური დისციპლინისა და ხარისხის ამაღლება, რაც ასე სჭირდება ჩვენს მრეწველობას. სტაგნაციის პირობებში OEM-ი წარმოების გაფართოებისა და სრულყოფის საშუალებაა, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების დაგროვების, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სწრაფი მიღწევის შესაძლებლობას.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პირობებში პროტექციონისტული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარება საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან სახელმწიფო კარგავს საბაჟო ბარიერების გამოყენების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში აუცილებელია გარკვეული პრაგმატიზმი და სათანადო წონასწორობის დაცვა. ეს წონასწორობა უნდა იყოს ისეთი, რომ მან სახელმწიფოს კი არ ავნოს, არამედ ხელი შეუწყოს მის დამოუკიდებლობას.

სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილი ამჟამად ფლობს შერჩეული საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებათა ფართო არსენალს, რომელიც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პირობებშიც კი იძლევა საგარეო ვაჭრობაზე აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობას. ესაა სხვადასხვა სახის არასატარიფო ზომები, რომელთა გამოყენებით ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები იცავენ საკუთარ ბაზრებს. მაგალითად, ევროკავშირი ასეთი ზომებით ცდილობს ხელი შეუშალოს აშშ-ისა და იაპონიის საქონლის რეალიზაციას შიდა ბაზარზე. ანალოგიურად მოქმედებენ აშშ, იაპონია და სხვა ქვეყნები. შესაბამისად, საქართველომაც ფართოდ უნდა გამოიყენოს არასატარიფო ზომები საკუთარი ბაზრის დასაცავად. სახელმწიფომ თავისი საგარეო სავაჭრო შეზღუდვებით არ უნდა დაუშვას სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დარგების გაკოტრება.

ექსპორტი ქვეყანაში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მის გაფართოებას სტიმულირების სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მექანიზმი საკმაოდ მრავალფეროვანია. თანამედროვე სიტუაციაში განსაკუთრებით აქტუალურია დაკრედიტების სისტემის განვითარება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: საგარეო ბაზრებისათვის განკუთვნილი პროდუქციის წარმოების დაკრედიტება და უშუალოდ ექსპორტის დაკრედიტება. ამჟამად უაღრესად აქტუალურია ექსპორტზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსების პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას საინვესტიციო ფონდების მეშვეობით, ხოლო თვით მათი გამოყენების მიმართულებები განისაზღვროს მთავრობის დონეზე. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფო და კომერციული ბანკების მიერ იმ საწარმოთა და დარგების შეღავათიანი დაკრედიტება, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ ან შეუძლიათ აწარმოონ ექსპორტისათვის.

ექსპორტის დაკრედიტების პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილია დაკრედიტების განშტოებული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი კრედიტების გამოყენებას. ფართოდ უნდა დაინერგოს დაკრედიტების ახალი ფორმები: ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, საპროექტო დაფინანსება და სხვა. ექსპორტის გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის საჭიროა სპეციალური საკრედიტო სტრუქტურების ჩამოყალიბება. საჭიროა თვით საექსპორტო კრედიტების დაზღვევა, რომელიც არსებობს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფო ორგანიზაციათა მიერ.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირება შეიძლება გამოიხატოს უცხოური ბაზრების შესწავლასა და ადგილობრივი ფირმებისათვის ინფორმაციის მიწოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში. ასეთ ინფორმაციას განსაკუთრებით საჭიროებენ მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც არ შეუძლიათ ამ სამუშაოთა დამოუკიდებელი წარმოება.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა მიეცა ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფომ უნდა დაიცვას საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეთა ინტერესები და ხელი შეუწყოს ამ ურთიერთობათა გაფართოებას. შესაბამისად, სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა ითამაშოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში, ეკონომიკურ მეთოდებს შეუხამოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ბერკეტები და ამით უზრუნველყოს სათანადო წონასწორობა ლიბერალიზაციასა და პროტექციონიზმს შორის.

Л. КОРГАНАШВИЛИ, Д. АБДУШЕЛИШВИЛИ

ВНЕШНЯЯ ТОРГОВЛЯ ГРУЗИИ: ЛИБЕРАЛИЗАЦИЯ ИЛИ ПРОТЕКЦИОНИЗМ?

Резюме

Участие Грузии в международном разделении труда требует определения ее основной специализации, роста производства и решения целого ряда проблем. При этом государство должно найти разумное равновесие между либерализацией и протекционизмом.

L. QORGHANASHVILI, D. ABDUSHELISHVILI

GEORGIA'S FOREIGN TRADE: LIBERALIZATION OR PROTECTIONISM?

Summary

Georgia's participation in the international division of labour calls for the determination of her main specialization, expansion of production, and solution of a number of problems. At the same time, the state should find a reasonable balance between liberalization and protectionism.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

თ. გ ი ო რ გ ა ძ ე

რეგიონული ინტეგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში: რეალიები და პერსპექტივები

საბჭოთა ტოტალიტარიზმის დამარცხებას მოჰყვა სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების აგება, ეკონომიკური ავტარკიულობისაკენ მისწრაფება. მოვლენების ასეთი განვითარება საბჭოთა კავშირის ზეინტეგრირებული ბაზრისათვის დამღუპველი აღმოჩნდა. ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ საწარმოო კავშირები ყოფილ სსრკ-ში დირექტიულ ხასიათს ატარებდა და მათი ძველი ფორმით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. საბაზრო ურთიერთობების ახალ პირობებში მრავალი საწარმოო გიგანტი არასიცოცხლისუნარიანი გამოდგა, მით უმეტეს, რომ მათ დაკარგეს გასაღების ჩვეული ბაზარი, გაწყვიტეს ურთიერთობანი მომიჯნავე ქარხნებთან და ვერ შეძლეს მსოფლიო ბაზარზე შეღწევა. სწორედ სამეურნეო სუბიექტების დონეზე მწვავედ დადგა რეინტეგრაციის საჭიროება, საგარეო ეკონომიკური შოკის დაძლევის აუცილებლობა, რამაც ხელახალი სახელმწიფოთაშორისო დაახლოება განაპირობა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) მოწოდებული იყო მოეხდინა ეკონომიკური კავშირების რეანიმაცია, ახალ საწყისებზე წამოეწყო რეგიონული ინტეგრაცია. მსოფლიოში არსებული რეგიონული ინტეგრაციის მდიდარი გამოცდილება მოწმობს, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ინტეგრაცია ნებაყოფლობითი, ხელსაყრელი და პროგრესულია. ის სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის უშუალო შედეგი და მისი უმაღლესი ფორმაა.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ეტაპობრივი ცნებაა და არ არსებობს მისი ფუნქციონირების უნივერსალური მექანიზმი. რეგიონული ბლოკის ფარგლებში შესაძლებელია თავისუფალი ვაჭრობის ზონის, საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, ეკონომიკური კავშირისა და სრული ინტეგრაციის მიღწევაც კი, რომელთა მიზნები და ფუნქციონირების მექანიზმები მრავალფეროვანია.

პოსტსაბჭოთა სივრცეზე რეინტეგრაციის მცდელობა დსთ წევრი სახელმწიფოებისათვის რთულ პერიოდს დაემთხვა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა თავად მის ფარგლებში წარმოქმნილმა მრავალრიცხოვანმა პრობლემებმა დაგვანახა. სახალხო მეურნეობის რესტრუქტურიზაციის და სისტემური გარდაქმნის პროცესი, სამწუხაროდ, უფრო ხანგრძლივი და რთული გამოდგა, ვიდრე ის ჩვენ თავდაპირველად გვესახებოდა. ამას ის ფაქტიც დაემატა, რომ მსოფლიო მეურნეობაში სწრაფი ჩართვის იმედი არამართებული გამოდგა.

1991 წ. 21 დეკემბერს შექმნილი დსთ მოწოდებული იყო მოეხდინა საბჭოთა კავშირში არსებული სამეურნეო ინტეგრირების ნაწილობრივი რეანიმირება.

საერთოდ კი, ეკონომიკურ ინტეგრაციას დსთ-ში საკმაოდ ბევრი ხელშემწყობი ფაქტორი გააჩნია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური საფუძველი უპირველესად ისაა, რომ შიდა ვაჭრობის წილი, მისი კლებისდა მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია დსთ-ს წევრი სახელმწიფოებისათვის;

— წარმოებული საქონელი ხშირად არ არის კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე და მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აქვს მოთხოვნილება;

— დსთ-ს გარკვეული სახელმწიფოების კულტურული, ეთნიკური და პოლიტიკური სიახლოვე უბიძგებს მათ გააღრმავონ ინტეგრაციული კავშირები;

— შრომის დანაწილების (თუნდაც დამახინჯებული სახით) დამკვიდრებული სისტემის არსებობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე;

— ხშირად სავაჭრო ურთიერთობების გარდა არსებობს მყარი საწარმოო ტექნიკური კოოპერაცია.

ინტეგრაციის ახალ მცდელობას მრავალი ბუნებრივი დაბრკოლება აღუდგა წინ, რომელთა აქტუალობა დღესაც მწვავეა:

— დსთ-ში ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ ცალკეული სახელმწიფოების პროგრესი ეკონომიკის რეფორმირების გზაზე განსხვავებულია, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის ნამდვილ ეკონომიკურ ინტეგრაციას. მეტიც, ზოგმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ფასწარმოქმნის სრული ლიბერალიზაცია, ზოგმა კი — ფასების სისტემის სახელმწიფო რეგულირება. ყოველივე ამან შეიძლება დიდად შეაფერხოს ეკონომიკური ინტეგრაცია;

— დსთ-ს ფარგლებში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ზოგ სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში დიდი დადებითი სალდო გააჩნია, ზოგი კი საგრძნობ დეფიციტს განიცდის, რომლის დაფარვის შესაძლებლობა არა აქვს. დადებითი სალდოს მქონე ქვეყნებს არ სურთ დანარჩენების იმპორტის სუბსიდირება და უკიდურეს შემთხვევაში სანაცვლოდ პოლიტიკურ დათმობებს ითხოვენ (რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა). დსთ-ს შიგნით არსებული დიდი სახელმწიფოთაშორისო დავალიანება სტაბილური ვაჭრობის დამატებითი ხელშემშლელი ფაქტორია;

— დსთ-ს ფარგლებში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური განვითარება საკმაოდ დიფერენცირებულია. დსთ-ს საერთო სტრუქტურებს კი არც სურვილი და არც ფინანსური საშუალება გააჩნიათ ძველი ტრადიციით მოახდინონ მათი ეკონომიკური განვითარების დაფინანსება;

— როგორც ყოფილ სსრკ-ში, ასევე დსთ-ში ერთპიროვნული ლიდერის — რუსეთის არსებობა, რომელიც თავისი ეკონომიკური თუ სხვა სახის პოტენციალით დიდად აღემატება მეზობელ ქვეყნებს;

— დსთ-ს ტერიტორიაზე სახელმწიფოთაშორისო და ტერიტორიული კონფლიქტების არსებობა;

— სახალხო მეურნეობის რესტრუქტურიზაციამ და ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანმა დაცემამ გამოიწვია დსთ-ს წევრ სახელმწიფოებში მოთხოვნილების სტრუქტურის ძირეული ცვლილება, რასაც მოჰყვა მანქანათმშენებლობის, გადამამუშავებელი მრეწველობის და სხვა საქონელზე არსებული მოთხოვნილების დაცემა.

ამის მიუხედავად, დსთ-ს ფარგლებში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ეკონომიკური კავშირის (1993 წ. 24 სექტემბერი) და შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ (1994 წ. 15 აპრილი). დსთ-ს ფარგლებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი მმართველი ინსტიტუტები: სახელმწიფო მეთაურთა, სამთავრობო და სპეციალური საბჭოები, აღმასრულებელი სამდივნო, საპარლამენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაშორისო ასამბლეა, ეკონომიკური სასამართლო, რომელთა გვერდით ათამდე სპეციალიზებული ეკონომიკური უწყებაც ფუნქციონირებს.

ამ უწყებების უმეტესობა დღეისათვის უმოქმედოდ რჩება, რადგან თავად ინტეგრაცია დსთ-ს ფარგლებში, სახელმწიფოთაშორისო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, ნელა მიმდინარეობს. ამაზე თუნდაც ის მოწმობს, რომ დსთ ქვეყნების შიდა ვაჭრობა მთლიან საგარეო ვაჭრობასთან შედარებით ხელი ტემპებით იზრდება. მეტიც, მოცემულ წლებში მოხდა შიდა/დსთ ვაჭრობის ფიზიკური მოცულობის დაცემა, რაც იმის დასტურია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ხდებოდა სავალუტო კურსების თანდათანობითი ლიბერალიზაცია, მისი რეალურ სავალუტო კურსთან დაახლოება და შიდა/დსთ ვაჭრობაში ფასების ლიბერალიზაცია. ამასთან, დსთ-ს ფარგლებში ერთობლივად მიღებული 300 დოკუმენტიდან მხოლოდ 30-ის შესრულებაა დაწყებული.

დსთ-ს წევრი ქვეყნების სურვილი — განახორციელონ ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაღრმავება, განსხვავებულია. კერძოდ, დსთ-ს ფარგლებში სლავურ სახელმწიფოთა კავშირის (ბელარუსი და რუსეთი) და ე. წ. „ოთხის ჯგუფი" (რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი და უზბეკეთი) პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრირების მიერ გამოწვეული საინტერესო ფენომენია, რომელსაც „მრავალიარუსულ" ინტეგრაციას ვუწოდებდით.

დსთ-ს ფარგლებში რეგიონული ინტეგრაცია, ყოველი ზემოხსენებულის მიუხედავად, საჭიროებს შემდგომ გაღრმავებას. მაგრამ ის შემდეგ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

— ყოველი ქვეყნის ეკონომიკური დაინტერესება მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით;

— ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებისას მონაწილე ქვეყნების თავისუფალი ნება;

— ინტეგრაციის წარმართვა მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც ეს აუცილებელია ან ეკონომიკური სარფიანობით არის ნაკარნახევი;

— სახელმწიფოთა დამოუკიდებელი საქმიანობის დაუშვებლობა, როდესაც ეს პროგრამატივა საერთო ორგანოს გააჩნია ან როდესაც ხდება საერთო საქმიანობის სფეროებისათვის ზიანის მიყენება.

რაც ინტეგრაციის კონკრეტულ მსვლელობას შეეხება, არ არის საჭირო საბაჟო კავშირის შექმნის ხელოვნური დაჩქარება, მით უმეტეს, რომ დსთ-ს ფარგლებში ის უკვე მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს. მოცემულ ეტაპზე უნივერსალური საბაჟო კავშირი მეტი ზიანის, ვიდრე სიკეთის მომტანია. აქვე ვიტყოდი, რომ თავად დსთ-ს მიერ მიღებულ დადგენილებებში ჩადებულია ინტეგრაციის პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ ეტაპობრივი ინტეგრაციის ევროპული გზის სრულ გადმოღებას, რაც დსთ-ს თავისებურებების გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი. მაგ. დსთ-ს ფარგლებში უკვე მოქმედებს სამუშაო ძალის თავისუფალი მიგრაციის პრინციპი, რაც წესით მოითხოვს საერთო ბაზრის არსებობას. აგრეთვე შესაძლებელია კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ზოგიერთი პრინციპების განხორციელება, მათ შორის სავალუტო ლიბერალიზაცია და ვალუტების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ საინტერესოა ევროპის საგადამხდელო კავშირის გამოცდილება. ეს კავშირი 50-იანი და 60-იანი წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა სავაჭრო დეფიციტების ერთობლივი სესხებით დაძლევას. ეს დსთ-შიც არის შესაძლებელი, მით უმეტეს, რომ სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნების რიცხვი მცირეა. ამგვარი საგადამხდელო კავშირი, სასიცოცხლო იმპორტის უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფასთან ერთად, ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტდა სავალუტო სტაბილიზაციის პრობლემას. უახლოესი პერსპექტივის ამოცანად მესახება ენერგეტიკის და მრეწველობის დარგში ერთობლივი პოლიტიკის წამოწყება, რადგან ეს დარგები დღეისათვის ყველაზე მძიმე კრიზისში იმყოფებიან. საჭიროა ენერგიაშემცველებზე და თავად გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე რეალური საბაზრო ფასების დაწესება. აქ ჯერ არ ამუშავებულა საბაზრო მექანიზმი: ეს დეფიციტური საქონელი ხელოვნურად შენარჩუნებული დაბალი ფასებით იყიდება. აქვე აღვნიშნავ დსთ-ს შიდა ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის აუცილებლობას.

დაბოლოს, აღნიშვნის ღირსია ევროკავშირში დაგროვილი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა დსთ-ს ფარგლებში. ევროკავშირის ინტეგრაციის მოდელი საინტერესო და ნიშანდობლივია თავისი მექანიზმის მხრივ, მაგრამ მისი გამოცდილების პირდაპირი გადმოღება შეუძლებელია და საზიანოც კი იქნებოდა.

Т. ГИОРГАДЗЕ

РЕГИОНАЛЬНАЯ ИНТЕГРАЦИЯ В ПОСТСОВЕТСКОМ ПРОСТРАНСТВЕ: РЕАЛИИ И ПЕРСПЕКТИВЫ

Резюме

В рамках СНГ региональная интеграция требует дальнейшего углубления. Для этого целесообразно использовать опыт Евросоюза.

T. GIORGADZE

REGIONAL INTEGRATION IN THE POST-SOVIET SPACE: REALITIES AND PROSPECTS

Summary

Regional integration within the CIS calls for further extension. To attain this, it is advisable to use the experience of the European Union.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

გ. წიკლაური

უცხოურ ინვესტიციებზე ორიენტაცია და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ადგილობრივი ბაზარი, ეკონომიკური ზრდა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად. ისეთი მცირე ტევადობის ბაზრის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პირდაპირ ინვესტიციათა დიდი ნაწილი ორიენტირებულია მსოფლიო ბაზარზე. ამ მხრივ საქართველო შეიძლება შევადაროთ აზიის ბევრ პატარა ქვეყანას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დაწყებას დაემთხვა ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა, სამოქალაქო ომი, კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება, ჰიპერინფლაცია და სხვა.

ინვესტიციების მოზიდვისათვის უკეთესი პირობები ამ ბოლო დროს შეიქმნა, როდესაც შედარებით გამოსწორდა მაკროეკონომიკური მდგომარეობა. უკანასკნელ პერიოდში მაკროეკონომიკური სიტუაციის მთავარი ასპექტები შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: 1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 20 პროცენტზე დაბალი იყო 1989 წლის დონესთან შედარებით. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებით 1995 წელს მშპ მოცულობა დაეცა 5 პროცენტამდე. 1996 წელს ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ მიმართულმა ძალისხმევამ რამდენადმე შეანელა დაცემის ტენდენცია და ეკონომიკამ გაჯანსაღება დაიწყო. 1996 წლის პირველ ნახევარში წინმავალი წლის იმავე პერიოდთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გაიზარდა 13,7 პროცენტით. 1996 წლის I ნახევარში შედარებით სწრაფად იზრდებოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა, ამ დარგებში უფრო სრულად აისახება ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესი და ეს მომავალში გადაიქცევა წარმოების მოცულობის, ექსპორტისა და დასაქმების ზრდის მთავარ წყაროდ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 1995 წელს გაიზარდა 18 პროცენტით, ხოლო 1996 წლის პირველ ნახევარში 13 პროცენტით, წინმავალი წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

მრეწველობაში წარმოების მოცულობა 1995 წელს დაეცა 1994 წელთან შედარებით 9,6 პროცენტით, 1996 წლის პირველ ნახევარში კი, პირიქით, გაიზარდა 4 პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში დომინირებს კვებისა და ენერგეტიკული მეურნეობა.

სამშენებლო აქტივობის დონე 1996 წლის პირველ კვარტალში 16 პროცენტით უფრო დაბალი იყო 1995 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

1995 წლის მთავარი მიღწევა იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება. 1995 წლის სექტემბერში ლარის შემოღებით მიღწეული იქნა სავალუტო კურსის სტაბილიზაცია და ინფლაცია თვეში 2—3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 1996 წლის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ნახევარში თვეში 1—2 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის კურსი ყველაზე ნათელი მაჩვენებელია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა, ამავე დროს ინფლაციის მაღალი კურსი ართულებს ინვესტორებისა და საწარმოებისათვის ფასების მოსალოდნელი ცვლილებების განსაზღვრას. ფასების არასტაბილურობა, თავის მხრივ, ადიდებს ინვესტიციებზე რისკს და მაღალი ინფლაციის პირობებში უცხოელმა ინვესტორებმა შეიძლება თავი შეიკავონ ინვესტირებისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს და მის მსგავს პატარა ქვეყნებს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ინვესტიციები ორიენტირებული იქნება ძირითადად საგარეო ბაზარზე.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტთან და ინფლაციური მოვლენები გაგრძელდება მანამ, სანამ არ შემცირდება მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი. საქართველოში ბიუჯეტის მდგომარეობა კვლავ რჩება, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი ადგილი. 1996 წლის პირველ ნახევარში საბიუჯეტო შემოსავლები 16,7 პროცენტით ჩამორჩებოდა დაგეგმილს. მთავრობამ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან სესხის ხარჯზე დაფარა დაგეგმილი საბიუჯეტო დეფიციტის 77 პროცენტი. მთავრობამ არ მიმართა ემისიას ფინანსური დეფიციტის შევსების მიზნით, მაგრამ მარტო უცხოურ გარანტებზე დაყრდნობა და ოფიციალური წყაროებიდან კრედიტების აღებაც დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამდენად, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციასთან დაკავშირებული ინვესტორების პრობლემების გადაჭრის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას.

ამჟამად მეწარმეების დიდი ნაწილი აცხადებს პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ საგადასახადო განაკვეთები ძალზე მაღალია, დიდია აგრეთვე გადასახადების რაოდენობა. შესაბამისად, დიდია გადასახადების ამკრეფი სახელმწიფო ორგანოებისა და საგადასახადო ინსპექტორების მხრიდან დაუსრულებელი შემოწმებები.

დაბეგვრის სისტემის ეს ნაკლოვანებები შეიძლება სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს და რამდენადმე დაამუხრუჭოს ინვესტიციების პოტენციური შესაძლებლობანი.

ახალი ინვესტორების წახალისების მიზნით, არსებობს საგადასახადო შეღავათები. უმთავრეს შეღავათს წარმოადგენს ინვესტირების საწყის ეტაპზე მინიჭებული საგადასახადო შეღავათი, რომელსაც მოჰყვება მომდევნო პერიოდი, როდესაც იხდიან ნორმალური განაკვეთის 50 პროცენტს. მეწარმეთა კანონის თანახმად, ფირმები, რომელთა 25 პროცენტზე მეტი, მაგრამ 80,0 პროცენტზე ნაკლები უცხოური ფირმის საკუთრებაა, სარგებლობენ 4 წლიანი შეღავათიანი პერიოდით. უცხოურ მფლობელობაში მყოფი 80—99 პროცენტზე მეტი ქონების მქონე ფირმისათვის შემუშავებულია დამატებითი პირობები, ისინი სარგებლობენ საწყისი საგადასახადო შეღავათიანი პერიოდით და შემდეგ ინვესტირებისას დაშვებული საგადასახადო შეღავათით, რომელიც ინვესტიციის თანხის ტოლია და დაბეგრილი შემოსავლის ანაზღაურებას ნიშნავს. უცხოური ფირმები, რომლებიც ასრულებენ კონტრაქტებს ადგილობრივ ფირმებთან გაერთიანების გარეშე, იხდიან შემცირებულ გადასახადებს, ნორმალური განაკვეთის 50 პროცენტს. რა შეიძლება ითქვას ამ შეღავათების შესახებ?

კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ უცხოელი ინვესტორისათვის უფრო ხელსაყრელ საგადასახადო შეღავათებს და პრივილეგირებულ განაკვეთს ითვალისწინებს, ვიდრე ადგილობრივი ინვესტორისათვის. ამას კი მოჰყვება ადგილობრივი საქმიანი წრეების უკმაყოფილება და ურთიერთობა უცხოურ ფირმებთან საკმაოდ რთულდება. სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გაუქმდა უცხოური ინვესტორებისათვის განსხვავებული საგადასახადო შეღავათები. თუკი სადმეა დაშვებული შეღავათები გადასახადებზე, მხოლოდ ყველა ინვესტორისათვის თანასწორ პირობებში. ეს გამართლებული იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვისაც, სადაც უცხოელ ინვესტორთა მოზიდვა აშკარა პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო სტიმული იქნება მეწარმეებისათვის აუცილებელი საქონლის იმპორტის საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება და ეს ბევრ ქვეყანაშია უკვე დაშვებული.

კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ მოითხოვს, რომ ყველა უცხოელი ინვესტორი ლიცენზირებული იყოს სახელმწიფოს მიერ.

მრავალმა ქვეყანამ უცხოელ ინვესტიციებზე მსგავსი ლიცენზიის მოთხოვნით დაიწყო თავისი ეკონომიკური რეფორმები. ამ მხრივ უფრო წინ წასულმა ქვეყნებმა, მაგალითად უნგრეთმა, გააუქმა ლიცენზირების მოთხოვნა იმ უფრო ღია სისტემის შესაქმნელად, რომელიც არ ეყრდნობა უცხოური ინვესტიციებისათვის მსგავს ლიცენზირებას. ლიცენზირების აუცილებლობის დაწესება კიდევ ერთი ბიუროკრატიული ბარიერია, რომელსაც სხვა მიზანი არ გააჩნია, გარდა დამატებითი კონტროლისა. ეს უარყოფითი ინფორმაციაა პოტენციური ინვესტორისათვის. ამიტომ მიზანშეწონილია ეს საკითხი საქართველოშიც გადასინჯულ იქნეს მათი გაუქმების მიმართულებით.

ჩვენი აზრით, საქართველოს გარკვეულწილად შეუძლია უცხოური კაპიტალით სარგებლობა ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის განვითარებისათვის, მაგრამ საწარმოო ინფრასტრუქტურის არსებული ნახევრად დანგრეული მდგომარეობა უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მთავარი ხელისშემშლელი პირობაა. აღნიშნულ სექტორზე სახელმწიფოს საკუთრების სექტორის გაძლიერებამ შესაძლებელია შეაჩეროს საქართველოს საჭირო ინვესტიციები. მთავრობამ უნდა აკონტროლოს აღნიშნული სექტორები.

აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა დიდი მოგება მიიღეს ამ სექტორებში კერძო ინვესტირების შედეგად.

პოლონეთში პრივატიზებულია ნავსადგურები, უნგრეთში გაყვანილია კერძო საკუთრების გზები. კერძო სატელეკომუნიკაციო სისტემები ვითარდება ესტონეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში და სხვა.

პრივატიზაცია წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას. ბევრი სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმო, რომელიც ცდილობს კაპიტალის, ტექნოლოგიის და მმართველობის ერთიანობის სრულყოფას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმართავს, როგორც კერძო საწარმოების გადარჩენისა და განვითარების საშუალებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია მათი მუშაობის გაგრძელება.

ჩეხეთის, უნგრეთის და პოლონეთის გამოცდილება ადასტურებს პრივატიზაციისა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას. ამის თვალნათლივ დანახვა შეიძლება პოლონეთის მაგალითზე. პოლონეთმა უცხოური ინვესტიციების სახით მიიღო 30 აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად დაბალი იყო ჩეხეთის (100 აშშ დოლარი) და უნგრეთის (186 აშშ დოლარი) მონაცემებთან შედარებით. ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში და პოლონეთში ღიდი დრო დასჭირდა ვაუჩერების განაწილებას, რათა პრივატიზაცია წარმატებით განხორციელებულიყო. გარდა ამისა, მთავრობა ცდილობდა მესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრე გამხდარიყო მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი, ამან კი გამორიცხა უცხოური კაპიტალის ჩარევა პრივატიზაციის პირველ ფაზაზე, რადგან ინვესტორები ჩვეულებრივ დაინტერესებულნი არიან აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენით. თუმცა, შემდგომში მესაკუთრეთა შეცვლის პროცესი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

უნგრეთმა აირჩია ეტაპობრივი პრივატიზაციის გზა, აქ უცხოელ ინვესტორებს სახელმწიფო საწარმოების აქციების შეძენის უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სტრატეგიული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შესაძლებელია დროული პრივატიზაციისა და მისი ჩატარების სწორად შერჩეული ხერხების მეშვეობით. ამის საპირისპიროდ გვესახება საქართველოს მიდგომა პრივატიზაციისადმი.

პრივატიზაციის პროგრამის წარმატების უზრუნველსაყოფად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა უცხოელი ინვესტორების უფრო აქტიური მონაწილეობა, მაგრამ უცხოური ფირმების მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში ძალიან შეზღუდული იყო. შედეგად, ძალიან მცირე რაოდენობის ერთობლივი საწარმოები ფუნქციონირებს მნიშვნელოვანი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და ისინიც შეიქმნა კერძო მეწარმეთა ინიციატივის საფუძველზე და ხშირ შემთხვევაში არ იყვნენ დაკავშირებული პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამასთან.

საქართველოში არ იყო შემუშავებული მექანიზმი, რომლითაც უცხოურ ინვესტორს შეეძლო შეესყიდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო.

იქ, სადაც პრივატიზაციის პროცესი ჯერ არ არის დასრულებული (ძირითადად ეს სტრატეგიულ საწარმოებად მიჩნეული ობიექტებია), უნდა მოეწყოს საერთაშორისო ტენდერები, ეს გახდება უცხოელი ინვესტორების ყურადღების მიქცევის საუკეთესო საშუალება. ამას თან უნდა უძღოდეს ინფორმაციის ფართოდ გავრცელება საწარმოების ტენდერებში მონაწილეობის თაობაზე.

უნდა შემუშავდეს ტენდერების ჩატარების თანამიმდევრობა. კერძოდ, უნდა დადგინდეს პირველ რაუნდში მონაწილე საწარმოების სია, მინიმალური გასაყიდი ფასი, სხვა საკონკურსო პირობები, კერძოდ: დასაქმება, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ექსპორტი.

შემუშავებული უნდა იქნეს იმ უცხოელ ინვესტორთა მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებსაც სურთ შეიძინონ ის აქციები, რომლებიც განაწილებული იყო ვაუჩერების მეშვეობით. უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ფასიანი ქაღალდების კარგად მოქმედი მეორადი მიმოქცევის ბაზარი.

ინვესტირების მართვისა და დახმარების საინსტიტუციო ფუნქცია ნებისმიერ ქვეყანაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციათა მიზიდვის საქმეში. მსოფლიოში არსებობს საინვესტიციო ორგანიზაციათა მრავალფეროვანი მოდელები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოში.

ახლა საქართველოში უცხოელ და ქართველ ინვესტორებთან რამდენიმე სხვადასხვა სახის ორგანიზაცია მუშაობს. მთავარი ორგანიზაცია, რომელიც უცხოური ინვესტიციების მართვას აწარმოებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას, არის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო. ეკონომიკის სამინისტროში არსებობს ინვესტიციათა განყოფილება, რომელიც პასუხს აგებს სახელმწიფო ინვესტიციების დაგეგმვაზე ეკონომიკაში.

ქვეყნების პრივატიზების პროგრამის რეალიზაციას ძირითადად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ასრულებს. ამავე დროს მისი პირდაპირი მოვალეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კომპანიებისათვის ინვესტიციათა ხელშეწყობაც.

ევროგაერთიანების „ტასისის“ პროგრამით ჩამოყალიბებულია დამოუკიდებელი ტექნიკური დახმარების ბიურო — ბიზნესის საკომუნიკაციო ცენტრი. მისი დანიშნულებაა უცხოურ და ქართულ ფირმებს შორის ერთობლივ საწარმოთა შესაქმნელად ხელის შეწყობა და დახმარების გაწევა.

უცხოურ ინვესტიციათა შესახებ კანონის თანახმად შეიქმნა უცხოურ ინვესტიციათა სააგენტო. კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, სააგენტოს ფუნქციებია უცხოურ ინვესტიციათა სამართავი წესების განსაზღვრა, მათი რეგისტრაცია, ინვესტორებისათვის გამოსადეგი ინფორმაციის გამოქვეყნება, ინვესტიციათა ლიცენზირების ფორმის განსაზღვრა.

მიუხედავად ყველა ზემოაღწერილ ორგანიზაციათა ძალისხმევისა, მაინც საჭიროა ერთი ორგანიზაცია, რომელსაც დაეკისრება ინვესტიციათა ხელშეწყობა. გამოცდილება აჩვენებს, რომ ინვესტიციათა მოზიდვის საწყის საფეხურზეც კი უფრო ეფექტიანად მუშაობს ინფორმაციისა და დახმარების ცენტრალიზებული წყარო. იგი ხელს შეუწყობს პროფესიონალი პერსონალის ერთად თავმოყრას და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოტენციურ ინვესტორებს მოუწევთ სიარული სხვადასხვა სააგენტოებში, რომელთაგან თითოეული იმის მტკიცებაში იქნება, რომ მასთან უნდა იმუშაოს ინვესტორმა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ექნება ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა.

Г. ЦИКЛАУРИ

ОРИЕНТАЦИЯ НА ИНОСТРАННЫЕ ИНВЕСТИЦИИ И ПРИВАТИЗАЦИЯ ГОСУДАРСТВЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ

Резюме

Для активного участия иностранных инвесторов в программе приватизации государственных предприятий в стране необходимо создать благоприятные условия для их деятельности и совершенствовать процесс управления инвестициями.

G. TSIKLAURI

ORIENTATION TO FOREIGN INVESTMENTS AND PRIVATIZATION OF STATE ENTERPRISES

Summary

Active participation of foreign investors in the programme of privatization of state enterprises in the republic calls for the creation of favourable conditions for their work an improvement of the process of investment management.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ს. გელაშვილი

იმიტაციური მოდელირების გამოყენება ეკონომიკურ პროგნოზირებაში

პროგნოზირების თვალსაზრისით მრავალი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და პროცესი არ არის სათანადო დონეზე შესწავლილი. ეს შეეხება როგორც მათს ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ისე კვლევის მეთოდებსა და ხერხებს, პროგნოზული მოდელების არსებობას. ასეთი ობიექტების პროგნოზირებისას შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული იმიტაციური მოდელირების მეთოდები. იმიტაციური მოდელირება წარმოადგენს შესასწავლი ობიექტის რეალური სტრუქტურისა და ურთიერთკავშირების ამსახველი მოდელის აგების პროცესს. მაგრამ პრინციპში ყოველგვარი მოდელი წარმოადგენს რაიმე ობიექტის (მოვლენის ან პროცესის) იმიტაციას. ფართო (და ჭეშმარიტად ნამდვილი მეცნიერული) გაგებით, იმიტაციური მოდელირება გულისხმობს არა მხოლოდ მოდელის აგებას, არამედ აგებული მოდელის საფუძველზე ექსპერიმენტების ჩატარებას და ამა თუ იმ სტრატეგიული კონცეფციის (ან მეცნიერული ჰიპოთეზის) შეფასებას, აგრეთვე შესწავლილი ობიექტის ფუნქციონირების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, იმიტაციური მოდელირების დროს ხორციელდება შემდეგი პროცესები:

1. შესწავლილი ობიექტის შესაძლო სტრუქტურისა და ურთიერთკავშირების შესახებ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;

2. მოცემული ობიექტის ყოველი ელემენტის განვითარების ლოკალური მიზნებისა და მთლიანად სისტემის განვითარების გლობალური მიზნების განსაზღვრა;

3. შესასწავლი ობიექტის ფორმალიზებული ასახვის შესაძლებლობის დადგენა (ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია კვლევის ობიექტის სტრუქტურისა და ურთიერთკავშირების გამოსახვა მათემატიკური ფორმით და მათ არაფორმალიზებული სახე აქვთ).

4. შესასწავლი სისტემის განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი კანონზომიერების დადგენა;

5. მოცემული სისტემის ქცევის (ცვლილებების) იმიტაცია აგებული მოდელის საშუალებით;

6. მოცემული მოდელის საფუძველზე ჩატარებული იმიტაციის გათვალისწინებით შესაასწავლი ობიექტის მომავალი განვითარების პროგნოზების შემუშავება.

ამასთან ერთად, იმიტაციური პროგნოზირების ერთ-ერთი დადებითი დამახასიათებელი მომენტია ის, რომ მთელი პროცესის განმავლობაში შესაძლებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჰიპოთეზების, ისე თვით იმიტაციური მოდელის კორექტირება, სრულყოფა და ამ გზით რეალურ სინამდვილესთან მიახლოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ იმიტაციური მოდელირება წარმოადგენს არა მხოლოდ პროგნოზირების ერთ-ერთ მეთოდს, არამედ „პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიას“ [1, 23].

იმიტაციური მოდელირება უმეტესად ხორციელდება „ადამიანი-მანქანა“ იმიტაციური სისტემით, რომელშიც მკვლევარს უჭირავს ექსპერტის ადგილი. იგი ახდენს საწყისი ინფორმაციის ანალიზს, ჰიპოთეზებისა და მიღებული გაანგარიშებების შეფასებას, ახალი ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას და მმართველობითი (მარეგულირებელი) გადაწყვეტილებების მიღებას. სისტემის მანქანური ნაწილის დანიშნულებაა ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა (ინფორმაციის შენახვა, გაანგარიშებების ჩატარება, მოცემულ ბრძანებებზე რეაგირება არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში და სხვ.).

იმიტაციური პროგნოზირებისას აგებულ მოდელში გათვალისწინებული უნდა იყოს უკუკავშირების პრინციპი, რადგან კვლევის ობიექტის ყოველი ელემენტის ცვლილება წარმოადგენს როგორც ურთიერთშორის, ისე გარეშე ობიექტებთან ინფორმაციის გადაცემისა და მიღების პროცესებს. ამ პრინციპის გათვალისწინებით იმიტაციური მოდელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შემდეგი გამოსახულება:

$$y^i_{t+1} = F(y^i_t\ ,\ u^k_{t+1},\ z^p_{t+1}), \qquad (1)$$

სადაც y^i_t შესასწავლი ობიექტის j-ური ელემენტის (j-ური პროცესის) მნიშვნელობაა დროის t მომენტში;

u^k_{t+1} — k-ური ფაქტორის მარეგულირებელი ზემოქმედება დროის $t, t+1$ ინტერვალში;

z^p_{t+1} — შესასწავლ ობიექტზე p-ური ფაქტორის ზემოქმედება დროის $t, t+1$ ინტერვალში;

შედარებით რთული იმიტაციური საპროგნოზო მოდელები მოიცავენ განტოლებათა მრავალრიცხოვან სისტემებს, რომლებშიც ასახულია მოვლენათა შორის მრავალმხრივი და დიდი რაოდენობის ურთიერთკავშირები [2,3]. ასეთ მოდელებს მიეკუთვნება მსოფლიო განვითარების სუპერგლობალური მოდელები, რომლებსაც ხშირად მსოფლიო დინამიკის მოდელებსაც უწოდებენ. ისინი ასახავენ მსოფლიო პროცესების გლობალურ მასშტაბებს და სხვადასხვა სახის მრავალ ფაქტორს — ბუნებრივ-კლიმატურს, ტექნიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს და სხვ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ისეთი იმიტაციური საპროგნოზო მოდელის შემუშავება, რომელიც სრულიად ადეკვატური იქნება მსოფლიო განვითარების მთლიანი პროცესების.

ამჟამად უკვე შემუშავებულია რამდენიმე ათეული სუპერგლობალური იმიტაციური საპროგნოზო მოდელი, რომლებშიც მოცემულია მსოფლიო განვითარების პროცესების მრავალიერარქიული ასახვა [4] იერარქიის ზედა დონეზე მსოფლიო წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი რეგიონის სახით, რომელთაგან თითოეული მოიცავს დიდ ქვეყნებს. ასეთი რეგიონები ურთიერთგავლენას ახდენენ მსოფლიო ბაზრის, სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანებების, დიდი საერთაშორისო პროგრამების რეალიზაციის საშუალებით. მათ შორის არსებული კავშირების სიმჭიდროვის ხარისხი და სიხშირე (ინტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიურობა) დამოკიდებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე. ამასთანავე, აგებულ მოდელში ყოველი რეგიონის როლი განისაზღვრება იმიტაციური სცენარით, რომელშიც მოცემულია გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკური განვითარების უკვე ფაქტობრივად მიღწეული დონე, ბუნებრივი რესურსების მარაგები, დემოგრაფიული მახასიათებლები და რეგიონის დამახასიათებელი სხვა არსებითი მაჩვენებლები.

მსოფლიო დინამიკის იმიტაციური მოდელებიდან აღსანიშნავია ე. წ. „მსოფლიო-2", რომელიც შეიმუშავა ჯ. ფორესტერმა რომის კლუბის ინიციატივით [5]. ამ მოდელის ძირითადი დანიშნულებაა იმ კრიზისული ტენდენციების გამოვლენა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს საზოგადოებასა და მის გარემომცველ პირობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში უახლოეს ნახევარ საუკუნეში. აღნიშნული მოდელის შემუშავებისას დაშვებულია ის პირობა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი მსოფლიოში საპროგნოზო პერიოდისათვის დარჩება უცვლელად. მოდელში ძირითადი ფაქტორების სახით ჩართულია შემდეგი ცვლადები: დედამიწის მოსახლეობა, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები, კაპიტალის მთლიანი მოცულობა, გარემოს გაბინძურების დონე, სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ხვედრიწილი. ამ ცვლადების დინამიკა მოდელში აღწერილია განტოლებათა (ძათი რიცხვი ხუთია) სისტემის საშუალებით. ზოგადი სახით ყოველი განტოლება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\frac{dx(t)}{d(t)} = u_1(t) - u_2(t), \tag{2}$$

სადაც $x(t)$ მოცემული ცვლადის დონეა t წელს;

$u_1(t)$—ცვლადის ზრდის ტემპი t წელს;

$u_2(t)$—ცვლადის შემცირების ტემპი t წელს;

თავის მხრივ, ყოველი ფაქტორის (ცვლადის) რაოდენობრივი სიდიდის ცვლილება შეიძლება გამოისახოს შემდეგი განტოლებით:

1. მსოფლიო მოსახლეობის მატება:

$$\frac{dP(t)}{d(t)} = B(t) - D(t), \tag{3}$$

სადაც $B(t)$ მთლიანად მსოფლიოში დაბადებულთა რიცხვია t წელს, გამოსახული პრომილეში;

$D(t)$ — გარდაცვლილთა მთლიანი რიცხვი t წელს, გამოსახული პრომილეში.

2. არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების შემცირება:

$$\frac{dR(t)}{d(t)} = -T(t), \tag{4}$$

სადაც $T(t)$ ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდის ტემპია t წელს.

3. კაპიტალის მთლიანი მოცულობის ცვლილება:

$$\frac{dK(t)}{d(t)} = J(t) - A(t), \tag{5}$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც $J(t)$ ინვესტიციების მთლიანი მოცულობა t წელს;

$A(t)$—ძირითადი ფონდების ცვეთა t წელს.

4. სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების ხვედრიწილის ცვლილება:

$$\frac{dS(t)}{d(t)}=S(t+1)-S(t). \tag{6}$$

სადაც $S(t)$ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ხვედრი წილია t წელს.

5. გარემოს დაბინძურების დონის ცვლილება:

$$\frac{dZ(t)}{d(t)}=G(t)-Q(t), \tag{7}$$

სადაც $G(t)$ დაბინძურების კერების წარმოშობის ტემპია t წელს;

$Q(t)$—დაბინძურების კერების მოსპობის ტემპი t წელს.

იმიტაციური მოდელის „მსოფლიო-2“ საფუძველზე გაანგარიშებული პროგნოზული მაჩვენებლების ანალიზის შედეგად XXI საუკუნის შუა ხანების მსოფლიოსათვის ჯ. ფორესტერმა გააკეთა შემდეგი დასკვნები: გარემოს კატასტროფული დაბინძურება, სიკვდილიანობის ზრდა, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, წარმოების დაცემა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული დასკვნები არ უნდა იქნეს მიღებული როგორც აბსოლუტურად გარდაუვალი ჭეშმარიტება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი მიღებულია მეცნიერული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით და მათ გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

იმიტაციური სუპერგლობალური მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ასევე ე. წ. „მსოფლიო-3“, რომელიც შემუშავებულია დ. მედოუზის მიერ [6], თუმცა იგი ფართოდ იყენებს „მსოფლიო-2“ მოდელის ძირითად პრინციპებს. ამ მოდელის საფუძველზე მიღებული პროგნოზული შედეგები ემთხვევა „მსოფლიო-2“ მოდელის საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს. მართალია, ორივე მოდელი ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, რომლებიც ძირითადად განპირობებულია მათი შეზღუდული ხასიათით (მათში ჩართული ფაქტორების მცირე რაოდენობა, სხვადასხვა თეორიული დაშვებები და სხვ.) მაგრამ მათ საფუძველზე მიღებულმა პროგნოზებმა დიდი გამოხმაურება დაიმსახურეს მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. თავისი არსით ისინი წარმოადგენენ გამაფრთხილებელ პროგნოზებს, რომლებიც წინ აღუდგენენ მსოფლიო განვითარების პროცესების ძირითადი ტენდენციების შესახებ არსებულ არარეალურ (და არაკომპეტენტურ) ოპტიმიზმს. ამის შედეგად მსოფლიო პოლიტიკაში და მეცნიერებაში დაიწყეს იმ პოზიტიური ღონისძიებების განხილვა, რომლებიც მიმართულია არასასურველი ტენდენციების რეგულირებისა და ლიკვიდაციისაკენ. პირველ რიგში ეს არის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია გარემოს დაბინძურების შეჩერებისაკენ, უნარჩენო და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების შექმნისა და განვითარებისაკენ, სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისაკენ და სხვ. ამ ღონისძიებების უდიდესი ნაწილი უკვე ხორციელდება საერთაშორისო მასშტაბით, რაც განაპირობებს არასასურველი ტენდენციების ზრდის ტემპების შემცირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტელექტუალური განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას იძლევა დამუშავდეს რეალური პროცესების ადეკვატური როგორც გლობალური, ისე ლოკალური-იმიტაციური მოდელები. მაგალითად, „მსოფლიო-2“ სუპერგლობალური მოდელი შეიძლება შეიცვალოს მაკროეკონომიკური და მაკროსოციალური მოდელების სისტემებით, რომლებშიც შესაძლებელია ფაქტორთა დიდი რაოდენობის გათვალისწინება. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ასევე თვით „მსოფლიო-2“ არსებული მოდელის სრულყოფაც, კერძოდ, იგი შედარებით უფრო ადეკვატური გახდება რეალური სინამდვილისადმი, თუ მოითხე ფაქტორს (სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებების ხვედრიწილის ცვლილება) შევცვლით მსოფლიო მასშტაბით გაანგარიშებული ერთობლივი პროდუქტის ან მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ფაქტორებით. მოცემულ სტატიაში მისი მოცულობის რეგლამენტის გამო კონკრეტული გაანგარიშებების ინტერპრეტაცია შეუძლებელია.

მთლიანად იმიტაციური პროგნოზირება, როგორც თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის პროცესი, მოიცავს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეტაპს, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

1. პრობლემის ფორმულირება, რაც გულისხმობს:
   ა) კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;
   ბ) ასაგები იმიტაციური მოდელის კონცეპტუალურ აღწერას;
   გ) იმიტაციური ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობის განსაზღვრას.

2. იმიტაციური საპროგნოზო მოდელის აგება, რაც მოიცავს:
   ა) კვლევის ობიექტის ცვლილების ამსახველ მათემატიკურ განტოლებათა სისტემების აგებას;
   ბ) პროგრამულ უზრუნველყოფასა და მის რეალიზაციას კომპიუტერებზე;
   გ) აგებული მოდელის ადეკვატურობის შეფასებას.

3. იმიტაციური ექსპერიმენტის ჩატარების წესისა და მეთოდების განსაზღვრა. ეს ეტაპი გულისხმობს:
   ა) იმიტაციური კვლევის პროცესების ჩატარებაზე დანახარჯების განსაზღვრას და მისი ეკონომიის დაგეგმვას;
   ბ) მკვლევარ პირთა (ან პირის) სწავლებას;
   გ) მოდელის მორგებას (შეფასებას) რეალური ობიექტის სიტუაციებთან;
   დ) ექსპერიმენტული ინფორმაციის მიღებას.

4. პროგნოზული მაჩვენებლების გაანგარიშება.

5. პროგნოზული გადაწყვეტილებების მიღება.

აღნიშნული ეტაპების ნაწილს მოიცავს ასევე სხვა სახის პროგნოზირებაც [4, 49], მაგრამ ზოგიერთი მათგანი დამახასიათებელია მხოლოდ იმიტაციური პროგნოზირებისათვის, რაც მას განასხვავებს სხვა სახის პროგნოზირებისაგან. ეს შეეხება ამ ეტაპების როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ ასპექტებს. ყველა შემთხვევაში რეალური პროგნოზული მაჩვენებლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პროგნოზირება ჩატარებულია ყველა ეტაპის გავლით.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თანამედროვე პირობებში შედარებით უფრო მაღალი სიზუსტის პროგნოზული მაჩვენებლების განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მეთოდის კომპლექსურ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებას. ასეთი მიდგომა გულისხმობს არა ერთი რომელიმე მოდელის, არამედ საპროგნოზო მოდელების სისტემის აგებას, რომლის შემადგენელი ყოველი ქვესისტემა უნდა ასახავდეს კვლევის ობიექტის რომელიმე ასპექტს. ასეთი გზით მიღებულ პროგნოზულ მაჩვენებლებს უნდა ჰქონდეს ალტერნატიული ხასიათი, რომელთა შედარებითი ანალიზის შედეგად შეირჩევა ოპტიმალური ვარიანტი.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. შ ე ნ ო ნ ი რ. სისტემების იმიტაციური მოდელირება: ხელოვნება და მეცნიერება. თარგმანი ინგლისურიდან. მ., 1978 (რუს.).
2. ს ი მ ჩ ე რ ა ვ. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები, მ., 1989 (რუს.).
3. ჯ ო ნ ს ტ ო ნ ი ჯ. ეკონომეტრიკული მეთოდები. თარგმანი ინგლისურიდან. მ., 1980 (რუს.).
4. გლობალური ეკონომიკური პროცესების მოდელირება. მ., 1984 (რუს.).
5. ფ ო რ ე ს ტ ე რ ი ჯ. მსოფლიო დინამიკა. თარგმანი ინგლისურიდან. მ., 1978 (რუს.).
6. Meadows D. H., Meadows D. L., Randers J., The Limits to growth. N. Y.; L., 1972.

С. ГЕЛАШВИЛИ

ПРИМЕНЕНИЕ ИМИТАЦИОННОГО МОДЕЛИРОВАНИЯ В ЭКОНОМИЧЕСКОМ ПРОГНОЗИРОВАНИИ

Резюме

Для получения прогнозных показателей высокой точности необходимо комплексное использование нескольких методов и, соответственно, построения системы прогнозируемых моделей. При этом каждая подсистема будет отражать какой-либо аспект исследуемого объекта. Разработанные Дж. Форрестером и Д. Медоузом суперглобальные модели «Мир-2» и «Мир-3» мировой динамики имеют недостатки и сделана попытка их совершенствования.

S. GELASHVILI

USE OF IMITATION MODELLING IN ECONOMIC FORECASTING

Summary

To obtain high accuracy prediction indices it is necessary to use several methods and to build a system of the models to be predicted. Each subsystem will reflect some aspect of the object under study. The "World-2'' and "World-3'' superglobal models of world dynamics, developed by G. Forrester and D. Meadows, have flaws, and an attempt is made at perfecting them.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი

აგრეგირებული სრული დანახარჯების კოეფიციენტების თავისებურებანი და განსაზღვრის მეთოდები დარგთაშორის ბალანსში

სრული დანახარჯების კოეფიციენტები შეიცავენ ეკონომიკის სტრუქტურული ანალიზისათვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას. ძათ გარეშე შეუძლებელია ეკონომიკაში ისეთი მნიშვნელოვანი დამოკიდებულებების გაანალიზება, როგორიცაა: კავშირი დარგების მთლიან და საბოლოო გამოშვებებს შორის, საბოლოო პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო საწარმოო რესურსებზე მოთხოვნასა და ამ რესურსების არსებულ რაოდენობას შორის, ეკონომიკის საბოლოო პროდუქტის ღირებულებით. ნატურალურ-ნივთობრივ და ფუნქციურ სტრუქტურათა შორის და ა. შ.

განვიხილოთ ღირებულებითი დარგთაშორისი ბალანსის სტატიკური მოდელი.

$$X = AX + Y, \tag{1}$$

სადაც X არის დარგების მთლიანი გამოშვების ვექტორ-სვეტი; Y — დარგების საბოლოო გამოშვების ვექტორ-სვეტი: A — პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა. ამ განტოლების X-ის მიმართ ამოხსნის შედეგად ღებულობთ:

$$X = (I - X)^{-1} Y. \tag{2}$$

$A(I - X)^{-1}$ მატრიცის ელემენტების სრული დანახარჯების კოეფიციენტებია.

როგორც წესი, დარგთაშორისი ბალანსის მოდელი (1) და შესაბამისად, სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა $(I - A)^{-1}$ მუშავდება რამდენიმე ათეული და ზოგჯერ ასეული დარგის ჭრილში. ბუნებრივია, რაც უფრო ფართოა დარგთაშორის ბალანსში წარმოდგენილ დარგთა ნომენკლატურა, ეკონომიკური ანალიზისათვის მით უფრო ღირებულია ასეთი ბალანსიდან მიღებული ინფორმაცია. ამიტომ, როცა კი ამის აუცილებლობა და შესაძლებლობა არსებობს, ყოველთვის ცდილობენ შეიმუშაონ რაც შეიძლება დეტალიზებული დარგთაშორისი ბალანსი და შესაბამისად დეტალიზებული სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა. მაგრამ ამავე დროს, ცალკეულ შემთხვევაში, გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, ეკონომისტი მკვლევრები ანალიზისათვის აგრეთვე სრული დანახარჯების აგრეგირებულ კოეფიციენტებს იყენებენ

დეტალიზებული დარგთაშორისი ბალანსიდან აგრეგირებული სრული დანახარჯების კოეფიციენტების მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ ორი გზა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველის მიხედვით ჯერ უნდა მოვახდინოთ (1) სისტემის აგრეგირება, შემდეგ კი გამოვთვალოთ სრული დანახარჯების კოეფიციენტები. მაშასადამე, ამ შემთხვევაში (1) სისტემა უნდა დავიყვანოთ შემდეგ სახეზე:

$$\widetilde{X} = GAW_x\widetilde{X} + \widetilde{Y}, \tag{3}$$

სადაც $\widetilde{X}$ და $\widetilde{Y}$ აგრეგირებული დარგების მთლიანი და საბოლოო გამოშვების ვექტორებია: $\widetilde{X} = G\mathbf{X}$; $\widetilde{Y} = GY$;

G და W_x აგრეგირების ოპერატორებია. ესენი მართკუთხა ბლოკურ-დიაგონალური მატრიცებია. ამასთან, G მატრიცის დიაგონალურ ბლოკებზე ჩაწერილია ერთიანები, ხოლო W_x მატრიცისაზე კი $W_i^{(l)}$ წონები, რომლებიც შესაბამისი აგრეგირებადი დარგების წარმოების მოცულობების x_i—l მიხედვით გაიანგარიშება:

$$w_i^{(l)} = \frac{x_i}{x_{n_{e-1}+1} + \dots + x_{n_e}}, \quad i = n_{e-1}+1, \dots, n_e; \quad l = 1, \dots, S, \quad n_0 = 1, \quad n_s = n.$$

ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, $x_i > 0$, ამიტომ შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ $w_i^{(l)} > 0$. ცხადია

$$\sum_{i=n_{e-1}+1}^{n_e} w_i^{(l)} = 1.$$

შევნიშნოთ, რომ G მატრიცის განზომილებაა $S_x n$, ხოლო W_x-ის განზომილებაა $n_x S$, სადაც n დეტალიზებული დარგების რიცხვია, ხოლო S—აგრეგირებული დარგების რიცხვი. გარდა ამისა $GW_x = \widetilde{I}$, სადაც $\widetilde{I}$—ერთეულოვანი $S_x S$ განზომილებიანი დიაგონალური მატრიცა. (3)-დან მივიღებთ:

$$\widetilde{X} = (\widetilde{I} - GAW_x)^{-1}\widetilde{Y}. \tag{4}$$

აგრეგირებული ინფორმაციის განსაზღვრის მე-2 გზა გულისხმობს პირდაპირ მე-(2) სისტემის გამოყენებას. ამისათვის ეს უკანასკნელი შემდეგნაირად უნდა გარდავქმნათ:

$$\widetilde{\mathbf{X}} = G(I - A)^{-1}U_y\widetilde{Y}, \tag{5}$$

სადაც U_y აგრეგირების ოპერატორი ზემოთ მოყვანილი W_x-საგან იმით განსხვავდება, რომ მისი წონები $U_i^{(l)}$ შესაბამისი დარგების საბოლოო პროდუქტების y_i მოცულობის მიხედვით გამოითვლება

$$U_i^{(l)} = \frac{y_i}{y_{n_{l-1}+1} + \dots + y_{n_l}}, \quad i = n_{l-1}+1, \dots, n_l \quad l = 1, \dots, S.$$

გარდა ამისა, საბოლოო პროდუქტების განმარტებიდან გამომდინარე (იგი შეიცავს ექსპორტ-იმპორტის სალდოს, რომელიც შეიძლება უარყოფითი იყოს), ცალკეულმა $U_i^{(l)}$ სიდიდემ შეიძლება მიიღოს უარყოფითი ან ნულოვანი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რომელიმე მოცემულ აგრეგატში გასაერთიანებელ ყველა დარგისათვის $y_i = 0$. ასეთ სიტუაციაში, როგორც $U_i^{(l)}$ ის ზემოთ მოყვანილი განმარტება გვიჩვენებს, წარმოიშობა განუზღვრელობა $\frac{0}{0}$. შევთანხმდეთ, რომ თუ ასეთ განუზღვრელობასთან გვაქვს საქმე, მაშინ იგი გავხსნათ როგორც $\frac{1}{K_l}$, სადაც K_l მოცემულ l აგრეგატში გასაერთიანებელი დარგების რიცხვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ამ სახით განსაზღვრული U_y ოპერატორი, მსგავსად W_x ოპერატორისა, დააკმაყოფილებს მნიშვნელოვან მოთხოვნას $GU_y = I$.

დავსვათ ბუნებრივი კითხვა: ემთხვევა თუ არა მე-(4) და მე-(5) ტოლობებში მოცემული სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცები

$$(I - GAW_x)^{-1} \quad \text{და} \quad G(I - A)^{-1}U_y \quad \text{ერთმანეთს?}$$

ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ერთი და იგივე საწყისი ინფორმაციის პირობებში აღნიშნული მატრიცები ზოგად შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ერთი და იგივე დარგობრივი სტრუქტურისა და რაოდენობის საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად საჭირო დანახარჯები აგრეგირებული დარგების ჭრილში სხვადასხვა მნიშვნელობას ღებულობენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი წესით ხდება ამ დანახარჯების განსაზღვრა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ეკონომიკური ანალიზისათვის საჭირო აგრეგირებული სრული დანახარჯების კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგთაშორის ბალანსში დამოკიდებულია ამ მონაცემების მიღების წესზე (მიიღებიან ისინი მე-(4) თუ მე-(5) სისტემებიდან), ჩვენს წინაშე სვამს არჩევანის ამოცანას ამ წესების უპირატესობისა და მისაღებობის შესახებ. საღი აზრიდან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო რეალისტური და მისაღებია $G(I - A)^{-1}U_y$ მატრიცული ფორმულის საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები. ასეთი მტკიცების საფუძველს ის გარემოება იძლევა, რომ მოცემული ფორმულით გაანგარიშებული სრული დანახარჯების კოეფიციენტები უფრო სრულად ასახავენ ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის თავისებურებას, დარგებს შორის არსებულ საწარმოო-ტექნოლოგიურ კავშირებს და პროდუქტების დანახარჯებში განივთების სტადიებს. ამისაგან განსხვავებით, აგრეგირებულ $(I - GAW_x)^{-1}$ მატრიცაში გარკვეულწილად იჩქმალება საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების სპეციფიკა და სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მე-(3) სისტემის საფუძველზე მიღებული შრომის საგნებისა და საწარმოო რესურსების სრული დანახარჯების მახასიათებლები რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა დარგების მთლიანი გამოშვებისა და საწარმოო რესურსების საბოლოო პროდუქტების წარმოებაზე განაწილების შესახებ. აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ზემოთ აღნიშნული სულაც არ ნიშნავს კატეგორიული უარის თქმას ეკონომიკურ ანალიზში აგრეგირებული ბალანსის მე-(3) სახით გამოყენებაზე. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც არ გაგვაჩნია დეტალიზებული ბალანსი ან კიდევ, როდესაც ასეთი ბალანსის შემუშავება დიდ მატერიალურ და დროის დანახარჯებთანაა დაკავშირებული (როგორც წესი, ეს ყოველთვის ასეა), რასაკვირველია, უნდა მივმართოთ აგრეგირებულ ბალანსს (3)-ს. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ $(I - GAW_x)^{-1}$ და $G(I - A)^{-1}U_y$ მატრიცებს შორის განსხვავება შეიძლება მნიშვნელოვანი არც იყოს. უფრო მეტიც, ცალკეული პირობების შესრულების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტოლობას

$$(I - GAW_x)^{-1} = G(I - A)^{-1}U_y. \tag{6}$$

ვიდრე უშუალოდ ასეთი პირობების განხილვაზე გადავიდოდეთ, გავარკვიოთ ჯერ დეტალიზებული და აგრეგირებული დარგთაშორისი ბალანსების სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცების $(I - A)^{-1}$, $(I - GAW_x)^{-1}$, $G(I - A)^{-1}U_y$ არსებობის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილად შევნიშნავთ, რომ თუ არსებობს $(I-A)^{-1}$ მატრიცა, მაშინ შესაბამისი განზომილების G და U_y-სათვის ყოველთვის იარსებებს აგრეთვე, $G(I-A)^{-1}U_y$ მატრიცა და პირიქით, ამ უკანასკნელის არსებობა ყოველთვის განაპირობებს $(I-A)^{-1}$-ის არსებობას. რაც შეეხება $(I-A)^{-1}$ და $(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}$ მატრიცებს, მათი არსებობის საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ შეიძლება არსებობდეს ერთი და არ არსებობდეს მეორე მატრიცა და პირიქით. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები. ვთქვათ, პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცას A-ს აქვს შემდეგი სახე;

$$A=\begin{pmatrix} 0{,}45 & 0{,}3 & 0{,}2 \\ 0{,}3 & 0{,}4 & 0{,}2 \\ 0{,}1 & 0{,}2 & 0{,}78(3) \end{pmatrix}.$$

ადვილად შევამოწმებთ, რომ $det(I-A)=0$. ამიტომ $(I-A)^{-1}$ მატრიცა არ არსებობს. მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ W_x და G ოპერატორების მნიშვნელობებია

$$G=(111),\ W_x=\begin{pmatrix} 0{,}4 \\ 0{,}4 \\ 0{,}2 \end{pmatrix},$$

მაშინ: $GAW_x=0{,}93667$, საიდანაც $(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}=15{,}7895$. ვთქვათ ახლა

$$A=\begin{pmatrix} 0{,}5 & 0{,}3 & 0{,}1 \\ 0{,}3 & 0{,}2 & 0{,}5 \\ 0{,}1 & 0{,}1 & 0{,}625 \end{pmatrix};\ G=(111);\ W_x=\begin{pmatrix} 0{,}5 \\ 0{,}1 \\ 0{,}4 \end{pmatrix}$$

ამ პირობებში $det(I-A)=0{,}0625\neq 0$ და არსებობს მატრიცა

$$(I-A)^{-1}=\begin{pmatrix} 3{,}83142 & 1{,}87740 & 3{,}52490 \\ 2{,}49042 & 2{,}72031 & 4{,}29119 \\ 1{,}68582 & 1{,}22605 & 4{,}75096 \end{pmatrix}$$

მაგრამ არ არსებობს $(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}$, რადგანაც მოცემული W_x-სათვის $GAW_x=1$

უფრო მეტიც, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ W_x ოპერატორის გარკვეული დასაშვები მნიშვნელობისათვის არაპროდუქტიული პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების დეტალიზებული A მატრიცა აგრეგირების შედეგად პროდუქტიულ მატრიცად გადაიქცევა და პირიქით, პროდუქტიული A მატრიცის საფუძველზე არაპროდუქტიული GAW_x მატრიცა მიიღება[1]. მართლაც, უკანასკნელ რიცხვით მაგალითში წარმოდგენილი A მატრიცა პროდუქტიულია, რადგანაც $(I-A)^{-1}\geqslant 0$[2]. ამავე დროს, თუ დავუშვებთ, რომ $G=(111)$ და $W_x^T=(0{,}4\ 0{,}1\ 0{,}5)^T$, სადაც T

---

[1] არაუარყოფითი A მატრიცა პროდუქტიულია, თუ არსებობს ისეთი $X>0$, რომ $X>AX$

[2] არსებობს არაუარყოფითი A მატრიცის პროდუქტიულობის რამდენიმე აუცილებელი და საკმარისი პირობა, ერთ-ერთი მათგანის, მიხედვით A-ს პროდუქტიულობისათვის აუცილებელი და საკმარისია, $(I-A)^{-1}\geqslant 0$.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპონირების ნიშანია, მაშინ $GAW_x = 1{,}0325$, რის გამოც ეს უკანასკნელი უკვე არაპროდუქტიულია.

ავიღოთ ახლა A-ს შემდეგი სახე:

$$A = \begin{pmatrix} 0{,}45 & 0{,}3 & 0{,}3 \\ 0{,}3 & 0{,}4 & 0{,}2 \\ 0{,}1 & 0{,}2 & 0{,}8 \end{pmatrix}$$

და გამოვთვალოთ $(I-A)^{-1}$, მივიღებთ:

$$(I-A)^{-1} = \begin{pmatrix} -5 & -7{,}5 & -15 \\ -5 & -5 & -12{,}5 \\ -7{,}5 & -8{,}75 & -15 \end{pmatrix}.$$

მაშასადამე, A არაპროდუქტიულია. მივანიჭოთ G და W_x ოპერატორებს შემდეგი მნიშვნელობები:

$$G = (111) \quad W_x^T = (0{,}6 \;\; 0{,}3 \;\; 0{,}1)^T.$$

მივიღებთ $GAW_x = 0{,}91 < 1$. მაშასადამე, დეტალიზებული არაპროდუქტიული სისტემა შესაბამისი აგრეგირების ოპერატორების გამოყენებით აგრეგირებულ პროდუქტიულ სისტემად გადაიქცა.

ეს მაგალითები ჩვიჩვენებს, რომ დეტალიზებული და აგრეგირებული დარგთაშორისი ბალანსების სრული დანახარჯების კოეფიციენტების დასაშვები მატრიცები $(I-A)^{-1}$ და $(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}$ ერთდროულად შეიძლება A და W_x მატრიცების მხოლოდ გარკვეული კლასისათვის არსებობდეს.

ადგილის სიმცირის გამო დამტკიცების გარეშე მოვიყვანოთ შემდეგი დებულება. ვთქვათ, პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა A არადაშლადია, მისი დიაგონალური ელემენტები ერთზე ნაკლებია $(a_{ii} < 1)$ და გარდა ამისა, ადგილი აქვს პირობებს

$$\sum_{i=1}^{n} aij \leqslant 1 \quad j = 1, \ldots, n,$$

რომელთაგანაც ერთი მაინც მკაცრად სრულდება. დავუშვათ, აგრეთვე, რომ G და W_x აგრეგირების არაუარყოფითი ოპერატორებია, რომელთათვისაც განსაზღვრულია GAW_x და $GW_x = \widetilde{I}$. მაშინ არსებობს როგორც $(I-A)^{-1}$, ასევე $(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}$.

შემდეგში ვიგულისხმოთ, რომ A მატრიცა აქ აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

გადავიდეთ ახლა პირობების გამოყვანაზე, რომელთათვისაც ორი სხვადასხვა გზით განსაზღვრული აგრეგირებული სრული დანახარჯების კოეფიციენტები მე-(6) ტოლობას აკმაყოფილებს.

დავამტკიცოთ შემდეგი დებულება:

თუ დეტალიზებული დარგთაშორისი ბალანსის პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა A და აგრეგირების ოპერატორები G, W_x, U_y ერთ-ერთ შემდეგ პირობათაგანს აკმაყოფილებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$AW_xG=A \tag{7}$$

$$GAW_xG=GA; \tag{8}$$

$$W_xGA=A, \quad W_x=U_y; \tag{9}$$

$$W_xGAW_x=AW_x, \quad W_x=U_y \tag{10}$$

მაშინ ადგილი აქვს მე-(6) ტოლობას.

დამტკიცება. ადვილად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ გარკვეული გარდაქმნებით, (7) და (8) პირობები შეიძლება შემდეგ სახემდე მივიყვანოთ:

$$(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}\,G=G(I-A)^{-1}, \tag{11}$$

ხოლო პირობები (9)—(10) კი შემდეგ სახემდე:

$$W_x(\widetilde{I}-GAW_x)^{-1}=(I-A)^{-1}W_x. \tag{12}$$

ამიტომ შემდეგში (7)—(8)-ის ნაცვლად ვისარგებლებთ (11)-ით, ხოლო (9)—(10)-ის ნაცვლად—(12)-ით.

ვთქვათ, ადგილი აქვს (7) ან (8)-ს. მაშინ განვიხილოთ მე-(II) ტოლობა. გავამრავლოთ ამ უკანასკნელზე მარჯვნიდან U_y, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ ნამრავლი GU_y ერთეულოვან მატრიცას წარმოადგენს. მაშინ მივიღებთ (6)-ს.

დავუშვათ ახლა, რომ ადგილი აქვს (9)-ს ან (10)-ს. ამ შემთხვევაში განვიხილოთ (12) ტოლობა და გავამრავლოთ მასზე მარცხნიდან G. ერთდროულად შევცვალოთ მარჯვენა მხარეში W_x ოპერატორი U_y-ით, ხოლო მარჯვენა მხარეში კი გავითვალისწინოთ $GW_x=\widetilde{I}$. მივიღებთ (6)-ს. რის დამტკიცებაც გვინდოდა.

აქვს თუ არა რაიმე ეკონომიკური შინაარსი (7)-(10) პირობებს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს. კერძოდ, (7)-ის თანახმად ორი სხვადასხვა გზით მიღებული სრული დანახარჯების კოეფიციენტები ერთი და იგივე იქნება, თუ დეტალიზირებულ დარგთაშორის ბალანსში წარმოების ერთნაირი ტექნოლოგიური წესის მქონე დარგები არსებობს, და აგრეგირებისას ცალკეულ აგრეგატებში სწორედ ასეთი დარგები გაერთიანდება. მე-(8) პირობა გვეუბნება, რომ თუ ცალკეულ აგრეგატებში გასაერთიანებელი დარგების წარმოების აგრეგირებული ტექნოლოგიური წესები ერთნაირია, მაშინ, ადგილი აქვს (6)-ს. მე-(9) პირობის თანახმად თითოეულ აგრეგატში გასაერთიანებელი დარგების დეტალიზებული განაწილების კოეფიციენტები ანუ პროდუქციის დეტალიზებული განაწილების სტრუქტურა ერთგვაროვანი უნდა იყოს. მე-(10) პირობა თითოეულ აგრეგატში გაერთიანებული დარგების პროდუქციის აგრეგირებული განაწილების სტრუქტურის ერთგვაროვნებას გამოსახავს.

Ю. АНАНИАШВИЛИ, К. АЧЕЛАШВИЛИ

ОСОБЕННОСТИ КОЭФФИЦИЕНТОВ АГРЕГИРОВАННЫХ ПОЛНЫХ ЗАТРАТ И МЕТОДЫ ИХ ПОЛУЧЕНИЯ В МЕЖОТРАСЛЕВОМ БАЛАНСЕ

Резюме

Для определения коэффициентов агрегированных полных затрат в межотраслевом балансе использованы два метода и выведены условия, при которых эти методы дают одинаковые результаты.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. ANANIASHVILI, K. ACHELASHVILI

SPECIFICITIES OF THE COEFFICIENTS OF AGGREGATED TOTAL COSTS AND METHODS OF OBTAINING THEM IN AN INTER-BRANCH BALANCE

Summary

Two methods used to solve the title problem and the conditions are drawnunder which these methods yield identical results.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
329, 1999

ქ. ჭიაბრიშვილი, ნ. ჭიაბრიშვილი

ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შინაარსი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვნება, ინტეგრირება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, სადაც ბიზნესი სამეურნეო საქმიანობის ძირითადი საფუძველია, მოითხოვს მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადებას ამ მიმართულებით, ეკონომიკური კულტურის ფორმირებას საბაზრო-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. სასკოლო ასაკშივე, მაშინ როცა ფორმირდება მოზარდთა ცხოვრებისეული პრინციპები, გეგმები, საჭიროა მათი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს ახალი თაობის აღზრდას, იმ თაობისა, რომელიც თავისუფალი იქნება „ვათანაბრების", „კმაყოფაზე მყოფის" სტერეოტიპისაგან. ახალგაზრდობას უნდა გაიცნობიეროს და მიიღოს დემოკრატიის ფასეულობანი, ქონებრივი უფლებანი და ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა. ეკონომიკურმა ცოდნამ, კულტურამ, მოსწავლეს წარმოდგენა უნდა შეუქმნას არა მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკურ სისტემასა და სამეურნეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, არამედ მთელი საზოგადოების შესახებ.

სიეტლის უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიოში აღიარებული ეკონომისტი პოლ ჰეინე, უაღრესად რთულ და საინტერესო კითხვაზე: რატომ, რა სახით მიიღწევა მილიონობით ადამიანთა შორის (მათ შორის ერთმანეთისთვის უცნობთა) შეთანხმება და რატომ არ ხდება ასეთი შეთანხმება ზოგჯერ? [1,8] პასუხის დროს ხაზს უსვამს ეკონომიკური აზროვნების, ეკონომიკური კულტურის მნიშვნელობასა და როლს. „ის, ვინც მართავს საზოგადოებას, თუ არ ფლობს ასეთ ცოდნას, დიდია საშიშროება ქაოსის, უბედურებისა და გასაჭირის" [1,8].

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის შესახებ" — ხაზგასმულია: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ეკონომიკური კულტურის ფორმირებას, მოზარდებში კომუნიკაბელობის, მომჭირნეობის, ყაირათიანობის, ორგანიზატორული უნარ-ჩვევების გამომუშავებას".

აღზრდის კომუნისტურმა სისტემამ დაარღვია თანაფარდობა მოხმარებასა და უკუგებას შორის. პიროვნების განვითარება, აღზრდა კი ამ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. უკუგება მრავალწახნაგოვანია — დაწყებული ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის საოჯახო შრომაში მონაწილეობით, დამთავრებული ნებისმიერი მატერიალური ღირებულების მომტანი შრომითი საქმიანობით.

ეკონომიკური ცოდნა მიზანმიმართულად იმოქმედებს აღზრდაზე, ზნეობრივ განვითარებაზე. ეს ცოდნა მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი იქნება არამხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციული თვალსაზრისით, იგი ხელს შეუწყობს ალტერნატიული ფასეულობების მიმართ რაციონალური მიდგომის უნარის აღზრდას.

მოსწავლე გაიცნობიერებს, რომ წარმოების ფაქტორების ნებისმიერმა ახალმა კომბინაციამ უკვე აღარ შეიძლება ერთს მოუტანოს წარმატება მეორის ზარალის ხარჯზე. ჩვენ გვჭირდება პარეტოს ცნობილი ეფექტი: ოპტიმალურია ის გადაწყვეტილება, რომელიც არც ერთ მხარეს არ აზარალებს.

ჩვენი თემის აქტუალობა განისაზღვრება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებით — მოზარდი თაობის ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის მნიშვნელობითა და აუცილებლობით.

ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შინაარსის განსაზღვრის მიზნით უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკური ინტერესის, ეკონომიკური კულტურის ცნებების შინაარსის გახსნა.

როცა ვლაპარაკობთ ინტერესებზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ასპექტები.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში გავრცელებული გაგებით, ინტერესი გულისხმობს შემეცნებითი ხასიათის დაინტერესებას რაიმეთი, ე. ი. ინტერესი სუბიექტური ფაქტორია და არსებობს მისი აღძვრის ობიექტი. „ინტერესი წარმოადგენს ყურადღებისა და ყველა ინტელექტუალური ძალის ინტერესის ობიექტისაკენ მიმართვის ძლიერ ფაქტორს. ინტერესი უნებლიედ აამოქმედებს სათანადო მიმართულებით სუბიექტის ყურადღებას, აღქმას, მეხსიერებას, აზროვნებას და ხშირად პიროვნების ძალების კონცენტრაციას იწვევს სათანადო მიმართულებით“ [2,285].

ეკონომიკური ინტერესი რეალურ სინამდვილეში არსებობს როგორც ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ყალიბდება წარმოებით ურთიერთობაში, შრომაში და ინტერესიც თავის გამოხატულებას ამ შრომის დანაწილებასა და ანაზღაურებაში პოულობს.

ეკონომიკური ინტერესები ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის მამოძრავებელი ძალაა. ადამიანთა საქმიანობის მამოძრავებელი ძალა კი არ შეიძლება წმინდა ობიექტური იყოს. ობიექტურ მამოძრავებელ ძალად რომ იქცეს, იგი შეგნებაში, ცნობიერებაში უნდა გადატყდეს. ეკონომიკური ინტერესები სუბიექტურია ფორმით და ობიექტურია შინაარსით. ეკონომიკური ინტერესები განსაზღვრავენ ადამიანებისა და ორგანიზაციების ქცევას“ [3,3].

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკის მართვის კათედრის დოცენტი პ. პაპულოვი ინტერესს უშუალო გარეგან აღმძვრელს (ხშირად მატერიალური, ზოგჯერ ემოციური) უწოდებს, ხოლო მოტივს — შინაგან აღმძვრელს, ნაკარნახევს ინდივიდის შეგნებული მიზნით, რომელსაც საფუძვლად უდევს მოთხოვნილებანი [4].

რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მომხმარებლის მოთხოვნილებათა შესწავლა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, მოკლედ შევეხოთ მოთხოვნილებას.

მოთხოვნილებანი წარმოადგენს ადამიანის ქცევის, მოქმედების შინაგან აღმძვრელებს — მოტივებს. ცოცხალი ორგანიზმები გარე სინამდვილესთან კავშირს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ამყარებენ. ადამიანის აქტივობის მთავარ წყაროს მოთხოვნილებანი წარმოადგენს. მოთხოვნილება ადამიანის მიერ იმ საჭიროების შეცნობა და განცდაა, რაც აუცილებელია მისი ბიოლოგიური, სოციალური და სულიერი არსებობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. უზნაძემ მოქმედების ანუ აქტივობის მოთხოვნილებას ფუნქციური მოთხოვნილება უწოდა. მან ცალკე გამოყო სუბსტანციური მოთხოვნილებანი (სუბსტანციურ მოთხოვნილებებს მიეკუთვნება ყველა მოთხოვნილება, რომელთაც რაიმე სუბსტანციური, საგნობრივი, შინაარსეული ხასიათი აქვთ) [5,44].

ფუნქციური მოთხოვნილება საკუთარი ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის აქტივობის ანუ ფუნქციობის მოთხოვნილებაა. მას თვითონ მოქმედება ანუ აქტივობა აკმაყოფილებს.

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში მოთხოვნილებათა კლასიფიკაციაზე მრავალი მკვლევარი მუშაობდა (ა. ფენდერი, ფ. დერში. ჰ. რუმპლაინი, ჰ. თომაუსი, ა. მურუი). ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ყველა მათგანზე შევჩერდეთ. მოკლედ შევეხოთ ამერიკელი მეცნიერის ა. მასლოუს კლასიფიკაციას [6].

ა. მასლოუმ მოთხოვნილებათა იერარქიული თეორიის საფუძველზე დაამუშავა მოტივაციის იერარქიული მოდელი და იგი ცნობილია მასლოუს პირამიდის სახელწოდებით. ადამიანთა მრავალგვარი მოთხოვნილებებიდან მან გამოყო ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო მოთხოვნილება, რომლებიც განალაგა იერარქიული პირამიდის სახით, ხუთ დონეზე. პირველი დონე, რომელიც პირამიდას საფუძვლად უდევს, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია: ადამიანისა და საკვების კვლავწარმოება, საცხოვრებელი და ა. შ.

მეორე დონე — თავისი და ახლობლების არსებობის უსაფრთხოების მოთხოვნილებანია: ცხოველმოქმედების, პირობების სტაბილურობის, დასაქმების გარანტიების, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის და ა. შ.

მესამე დონე — სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნილებანია: ერთგულება, კოლექტივისადმი მიკუთვნებულობა, ურთიერთობა, ზრუნვა სხვაზე, ყურადღება საკუთარი თავისადმი, მონაწილეობა შრომაში და სხვა.

მეოთხე დონე — აღიარების მოთხოვნილებანი: სხვებისაგან პატივისცემა, სამსახურებრივი და პროფესიული ზრდა, სტატუსი, პრესტიჟი, ღირსებებისა და დამსახურების დადებითი შეფასება.

მეხუთე დონე — თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება: პოტენციური შესაძლებლობების — უნარის, ტალანტის რეალიზაცია, მათი განვითარება. ინდივიდის ინტერესები, გამომდინარე პირველი, მეორე და მესამე დონის მოთხოვნილებებიდან, ახასიათებენ ე. წ. ეკონომიკურ ადამიანს, რომლისთვისაც სავსებით საკმარისია მატერიალური და ელემენტარული სოციალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება. ამ დონეებზე წარმოიქმნება სტიმულატორები, რომლის საფუძველზე იქმნება შრომის სტიმულირების სისტემა, მხოლოდ მეოთხე და მეხუთე დონის მოთხოვნილებებს აქვთ უნარი შეასრულონ მოტივირების როლი. აქ ჩნდება მტკიცე სულიერი ინტერესები — მოტივები, რომელთა ბაზაზე იქმნება შრომის მოტივების სისტემა. ადამიანი, რომელიც ორიენტირებულია მოტივების ასეთ ერთობლიობაზე, „სოციალურ ადამიანად" იწოდება. ამ ტიპის ადამიანების განვითარების პოტენცია პრაქტიკულად უსაზღვროა, საჭიროა მხოლოდ ხელსაყრელი პირობები („ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ მიეცით საშუალება რომ ანათოს". — სოკრატე).

რა თქმა უნდა, ყველა დონის მოთხოვნილებები ურთიერთდაკავშირებულია. ცხოვრებისა და შრომის აუცილებელი მატერიალური პირობები ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც „ეკონომიკური", ისე „სოციალური" ადამიანისათვის. მაგრამ ასევე ცხადია, რომ საზოგადოებაში, რომლის დროშაზე აწერია „ჰუმანიზმი, დემოკრატია, სოციალური სამართლიანობა". არაფრით არ შეიძლება მხოლოდ მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალური სტიმულირებით შემოსაზღვრა, როგორი მნიშვნელოვანხიც არ უნდა იყვნენ ისინი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში.

ეკონომიკური ცოდნის განსაზღვრული დონე თავისთავად შემოქმედებით საქმიანობამდე ვერ მიგვიყვანს. მოქმედებამდე ადამიანი იმ მიზანს აფასებს, წონის, რომლის მიღწევისათვის უნდა იმოქმედოს. მიზნის გააზრება, სიცხადე და შეფასება თანაფარდობაშია ეკონომიკურ ინტერესებთან, მოთხოვნილებებთან, გამოცდილებასთან. ასევე ხდება ეკონომიკური ცოდნის, მისი პრაქტიკაში გამოყენების შეფასება, ე. ი. ცოდნის, ინტერესების, მოთხოვნილებების, გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობს მოქმედების აუცილებლობის გააზრების ურთულესი პროცესი. გააზრების ამ რთული პროცესის საშუალებით, ადამიანის შეგნებაში ჩნდება შეფასებითი დამოკიდებულებანი, რაც მოქმედებისათვის სოციალურ განწყობაში გამოვლინდება. განწყობა ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მზაობაა გარკვეული მიმართულებებით, გარკვეულ სიტუაციაში, გარკვეული წესით მოქმედებისა. განწყობა დაკავშირებულია რწმენასთან. იგი ხიდის როლს თამაშობს რწმენასა და კონკრეტულ ქცევას შორის.

რწმენა მოიცავს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების, საბაზრო ეკონომიკის რაობის, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გაგებას. რთული ეკონომიკური გადატრიალებანი მხოლოდ მაშინ ითამაშებენ მოქმედების, ქცევის აღმძვრელის როლს, თუ ეს გადატრიალებანი ირწმუნა ადამიანმა. რწმენა ადამიანის მოქმედებას თანამიმდევრულს, ლოგიკურს, მიზანმიმართულს ხდის.

ლ. ს. ბლახმანის განმარტებით „ეკონომიკური კულტურა ეს არის ეკონომიკური ცოდნის, რწმენის, პრაქტიკული საქმიანობისა და მისი შედეგების ორგანული ერთიანობა, ადამიანთა შემოქმედებითი საქმიანობის ხერხი, ფორმა და შედეგი მატერიალური და სულიერი სიკეთის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში. ეკონომიკური აზროვნება, როგორც ამ კულტურის ელემენტი და ეკონომიკური შეგნების ერთ-ერთი ფორმა, განსაზღვრავს ადამიანთა ეკონომიკური ქცევის მიზნებს, მეთოდებსა და ფორმას, მათი მოთხოვნილებებისა და ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილების წესს“ [7].

ეკონომიკურ კულტურაში ეკონომიკური ცოდნის, განათლების მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ ავტორები: ლ. პონომარიოვი, ვ. პოპოვი, ვ. ჩიჩკანოვი, უ. ტოშჩენკო, ვ. მატუშკინი და სხვები.

ეკონომიკური კულტურა, ისე როგორც საერთოდ კულტურა, თავის თავში მოიცავს ცოდნას, განათლებას, მაგრამ კულტურა, და მათ შორის ეკონომიკური კულტურა, არ დაიყვანება მხოლოდ ცოდნაზე, აუცილებელია ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მაღალი შეგნების, ორგანიზებულობის, დისციპლინის, მომჭირნეობის გამოვლენით“ [8].

ვ. მატუშკინიც პიროვნების ეკონომიკურ კულტურაში მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ განათლებას, შემოქმედებით საქმიანობას ანიჭებს, ამავე დროს ეკონომიკური კულტურის შინაარსში მას შემოაქვს „გონივრული მოთხოვნილებების“ მნიშვნელობაც. „ეკონომიკური კულტურა ადამიანის ცოდნის, უნარების, შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხის მაჩვენებელია“ [9, 199].

ეკონომიკური კულტურა ვლინდება „პიროვნების ეკონომიკურ თვისებებში“. ტერმინი „პიროვნების ეკონომიკური თვისებები“ («Экономические качества личности») ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინია [10]. ასეთ თვისებებს განეკუთვნება შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა, ყაირათიანობა, გერგილიანობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური, ეკონომიკური „გადატრიალება საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში“ წინა პლანზე აყენებს ისეთ ეკონომიკურ თვისებას, როგორიცაა მეპატრონის თვისება.

საბჭოთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია საერთო სახელმწიფოებრივი საკუთრებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების აღზრდის პრობლემას მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევდა. აღიარებული იყო მოსაზრება: საერთო სახელმწიფოებრივი საკუთრება და საერთო სახალხო ინტერესები მთლიანად უზრუნველყოფს ადამიანთა ინტერესებს. მაგრამ ეს მოსაზრება უტოპია აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, საერთო სახელმწიფო საკუთრებას, საერთო სახელმწიფო ინტერესებს სიტყვით პატივს ვცემდით, მაგრამ საქმით?! უპასუხისმგებლობით, გულგრილობით, დაუდევრობით ფუჭდებოდა დაზგა. ნაწარმი წუნით გამოდიოდა, შრომის ნაყოფიერება დაბალი იყო... და ეს თითოეულ მუშას საერთო სახელმწიფო მასშტაბით ძალზე უმნიშვნელო ზარალად მიაჩნდა, ანდა სულაც არ ფიქრობდა ამ ზარალზე. სახლში კი ერთი უბრალო თეფშის გატეხვა გულს ტკენდა. საერთო სახელმწიფო ინტერესები საქმით მხოლოდ ექსტრემალურ პირობებში პოულობდა თავის გამოხატულებას. მაგალითად, ომის დროს ამოქმედდებოდა ხოლმე საერთო სახელმწიფო ინტერესი სამშობლოს დაცვისა. მაგრამ „ეკონომიკა — როგორც ლევიკოვი შენიშნავს, — არ შეიძლება ნორმალურად ვითარდებოდეს ექსტრემალურ პირობებში. ეკონომიკაში „საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესი“ არ არსებობს... ასეთ პირობებში მეპატრონის გრძნობის აღზრდა აბდაუბდა და სისულელეა. მეპატრონე ის არის, ვინც რაიმეს ფლობს, შეუძლია გაყიდვა, ყიდვა, გაცვლა, დღის რეჟიმის დადგენა. ფუნქციის გარეშე მეპატრონე არ არის“ [11, 36].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ასე შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შინაარსი: შრომისმოყვარეობის, ყაირათიანობის, გერგილიანობის, მეპატრონის გრძნობის აღზრდისათვის აუცილებელია მოსწავლეთა მიერ ეკონომიკური ანბანის დაუფლება, „ვინაიდან ეკონომიკა წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ადამიანის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთ კონკრეტულ მხარეს [12, 12]. სწორედ ეს დებულება უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შინაარსის განმსაზღვრელ დებულებად. „შრომის პროცესში ეკონომიკურ თეორიას აინტერესებს არა იმდენად ურთიერთობა ადამიანსა და ბუნებას შორის (ე. ი. ენერგიის ხარჯვის პროცესი), არამედ ცალკეული ინდივიდების მიერ ჩატარებული კონკრეტული მრავალრიცხოვანი შრომითი მოქმედების ერთობლიობა და მის შედეგად შექმნილი გარკვეული ფასეულობანი. სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ ეკონომიკური მოვლენების შესწავლის „გასაღები“ [12, 13]. ასეთ ანბანს ეკონომიკური თეორიისა, ასეთ „გასაღებს“ ეკონომიკური მოვლენების შესწავლისა წარმოადგენს ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების გაცნობიერება: საქონელი, ფული, ფასი, ბაზარი, მოთხოვნა-მიწოდება...

მოსწავლეთა მიერ ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების გაცნობიერება ეკონომიკური აზრის ისტორიის ფონზე, ჩვენი აზრით, მეცადინეობებს საინტერესოსა და მიმზიდველს გახდის. ამასთანავე ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესს იწვევს, მოზარდის, ჭაბუკის ფანტაზია კი გაცილებით მეტს ქმნის, ვიდრე ამის საფუძველს სამყარო იძლევა“ (შოპენჰაუერი). აქედან გამომდინარე, ნათელია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის დაუფლებას, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს გაერკვეს რეალური სახელმწიფოებრივი მიღწევის გზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებულ ეკონომიკურ პრობლემებში: საბაზრო ეკონომიკაში საერთოდ და საქართველოს დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივაში კერძოდ.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ადამიანთა საქმიანობა, რომელსაც დღის ბიზნესს უწოდებენ" და იგი საბაზრო ეკონომიკის საფუძველია, ბევრ ახალგაზრდას გაუჩენს ოცნებას გახდეს მეწარმე, ფირმის პატრონი, ბიზნესმენი, მართებულად აღნიშნავს ნ. ვოლკოვი: „არ შეიძლება უპირატესად ოცნებას დავეყრდნოთ — საჭიროა ცოდნა. კარგია, თუ ამ ცოდნის შეძენა იმ ასაკში მოხდება, როცა ფორმირდება ცხოვრებისეული პრინციპები" [13, 6].

მოსწავლეს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სისტემის რაობის განმსაზღვრელთა საკუთრებითი ურთიერთობა, რომელიც საბაზრო ურთიერთობების დროს წარმოდგენილია უპირატესად კერძო საკუთრებით და მასზე აღმოცენებული ბიზნესით, რომ საბაზრო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მეწარმეობა და მთავარი ფიგურა არის მეწარმე — ბიზნესმენი. „ბიზნესი სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობაში ადამიანის ჩართვის გონივრული ფორმაა. ბიზნესი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის რეალური სინამდვილეა, და ყველაფერი, რაც გონივრულია, როგორც კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნე ჰეგელი თვლიდა — ნამდვილია".

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნები:

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მსოფლიო მეურნეობის სისტემაში ინტეგრირება აუცილებლად მოითხოვს მოსწავლე ახალგაზრდობის ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდას, მათი დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი.

2. მოსწავლეთა ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი — იწყებოდეს ოჯახში და გრძელდებოდეს სკოლაში საფეხურების შესაბამისად.

3. დღევანდელი პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ვთვლით ეკონომიკური თეორიის „ანბანის" სწავლებას („ეკონომიკური მოძღვრების ისტორიისა" და საბაზრო ურთიერთობების ფონზე) გარდამავალ ასაკში (მაშინ, როცა მოლოდინები მოტივაციურ ძალას იძენენ).

4. აუცილებელია სწავლებისა და აღზრდის ფორმებისა და მეთოდების მოძებნა საწყის ეტაპზე. ვფიქრობთ ევროსტიკულად შეიქმნას საბაზო მოდელი ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის, შემდეგ კი საჭიროდ მიგვაჩნია ბავშვთა შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მატერიალურ ანაზღაურებასთან იქნება დაკავშირებული და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სოციალური მოთხოვნილებების „ქცევაში დაკმაყოფილებას", ორთობიოზის იდეის ცხოვრებაში გატარებას.

ლიტერატურა

1. Хейне П. Экономический образ мышления, М., 1991.
2. რ. ნათაძე. ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1962.
3. რ. გველესიანი. ეკონომიკური ინტერესები ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმში სოციალიზმის დროს, თბ., 1987.
4. Популов П. А. О новом типе мышления хозяйственного руководителя. Российский экономический журнал, № 4, 1992.
5. დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, თბ., 1949.
6. Бляхман Л. С. Перестройка экономического мышления, М., 1990.
7. Пономарев Л. Н. Попов В. Д., Чичканов В. П. Экономическая культура, М., 1987.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. Матушкин В. В. Идеология и экономика, М., 1981,
9. Эпштейн Экономические знания —всем трудящимся, М., 1973.
10. Левиков Психология характера, М., 1969.
11. ა. სილაგაძე, მ. ენუქიშვილი. ე. მექვაბიშვილი. ეკონომიკური ცოდნის საწყისები, თბ., 1992.
12. Волков Н. В. Сто страниц о бизнесе, М., 1991:

К. ЧИАБРИШВИЛИ, Н. ЧИАБРИШВИЛИ

СОДЕРЖАНИЕ ЭКОНОМИЧЕСКОГО ОБРАЗОВАНИЯ И ВОСПИТАНИЯ

Резюме

На пути перехода к рынку среди множества барьеров следует преодолеть существенное препятствие — дефицит образования и квалифицированных кадров. Наша задача: определить содержание экономического образования и воспитания, как современной актуальной проблемы; составление примерной, ориентировочной программы факультативного курса «Экономическая культура и бизнес»; разработка форм и методов педагогического управления отношения учащихся к экономическим явлениям и ценностям.

K. CHIABRISHVILI, N. CHIABRISHVILI

THE CONTENT OF ECONOMIC EDUCATION AND TRAINING

Summary

On the way of transition to the market, along with numerous barriers, one important obstacle must be overcome, viz. the deficit in education and shilled personnel. The task is so define the content of economic education and training at an urgent present-day problem, to compile a tentative curriculum of an optional course; "Economic Culture and Business'', and to develop forms and methods of instructional of the trainees attitude to economic phenomena and values.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

სარედაქციო კოლეგიისაგან	5
გ. შუბლაძე, ეკონომიკური თეორიის მეცნიერული დეფინიციის საკითხისათვის: „ეკონომიკსი", პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია?	6
ე. მექვაბიშვილი, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხისათვის	13
დ. ძნელაძე, სოციალური დაცვა და დაზღვევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში	19
ე. ჩოხელი, ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სოციალური ორიენტაცია	30
ნ. ლაცაბიძე, დასაქმების პრობლემა და მისი გადაჭრის გზები	37
შ. ნათენაძე, ფასები საბაზრო სისტემაში	41
ა. სახვაძე, აბსოლუტური და შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის შესახებ, ანუ ხალხთმოსახლეობის შესახებ თეორიების ხელახალი გააზრებისათვის	48
ტ. სართანია, ილია ჭავჭავაძე საადგილმამულო ბანკისა და კრედიტის შესახებ	55
ე. ხარაიშვილი, აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნიკური ბაზა და მისი სრულყოფა	63
ნ. ღვედაშვილი, ლ. ჩარექიშვილი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	70
ზ. გალდავა, სამრეწველო კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა	76
გ. ერქომაიშვილი, სამრეწველო კომპანიის (ფირმის) ბიზნეს-გეგმის შედგენის ორგანიზაცია	84
ნ. თოდუა, ე. ურუტაძე, მარკეტინგის კონცეფციის თავისებურებანი საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში	93
ე. ბოლოკაძე, გ. ფარაჯევა, გადასდისუნარიანი მოთხოვნილება როგორც ბიზნესის განვითარების აუცილებელი მარკეტინგული პირობა	102
ი, ხუხუა, რეგიონული ბაზრის კვლევის საფუძვლები	110
ნ, ჩივაძე, ხილ-ბოსტნეულის ბაზარი და მისი სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში	116
ნ. კირვალიძე, მოთხოვნის პროგნოზირება მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე	121
მ სეთური, რეკლამა მარკეტინგის სტრატეგიაში და მისი ეფექტიანობა	125
ლ. კოჭლამაზაშვილი, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ხარისხის გაუმჯობესების გზები საქართველოში	131
ლ. ყორღანაშვილი, დ. აბდუშელიშვილი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ლიბერალიზაცია თუ პროტექციონიზმი?	135
თ. გიორგაძე, რეგიონული ინტეგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში: რეალიები და პერსპექტივები	140
გ. წიკლაური, უცხოურ ინვესტიციებზე ორიენტაცია და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება	144
ს. ველაშვილი, იმიტაციური მოდელირების გამოყენება ეკონომიკურ პროგნოზირებაში	149
ი. ანანიაშვილი, კ. აჩელაშვილი, აგრეგირებული სრული დანახარჯების კოეფიციენტების თავისებურებანი და განსაზღვრის მეთოდები დარგთაშორის ბალანსში	155
ქ. ჭიაბრიშვილი, ნ. ჭიაბრიშვილი, ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შინაარსი	162

СОДЕРЖАНИЕ

От редакционной коллегии 5

Г. Шубладзе, К вопросу научной дефиниции, экономической теории: «экономике» политическая экономия или общая экономическая теория? . 12

Э. Меквабишвили, К вопросу создания институционально-правовой инфраструктуры рыночной экономики 18

Д. Дзнеладзе, Социальная защита и страхование в период перехода на рыночную экономику 29

Е. Чохели, Либерализация и социальная ориентация экономики . . . 35

Н. Лацабидзе, Проблема занятости и пути ее решения . . . 40

Ш. Натенадзе, Цены в рыночной системе 46

А. Сахвадзе, Об абсолютном и относительном перенаселении или о переосмыслении теорий о народонаселении 54

Т. Сартания, Илья Чавчавадзе о земельном банке и кредите . . . 62

Э. Хараишвили, Техническая база агропромышленного комплекса и ее совершенствование 68

Н. Гведашвили, Л. Чарекишвили, Основные проблемы системы здравоохранения Грузии и пути их решения . . . 74

З. Галдава, Организационная структура промышленной компании . . 83

Г. Еркомаишвили, Организация составления бизнес-плана промышленной компании (фирмы) 91

Н. Тодуа, Е. Уротадзе, Особенности концепции маркетинга в легкой промышленности Грузии 100

Е. Болокадзе, Г. Фараджева, Платежеспособная потребность, как необходимое маркетинговое условие развития бизнеса . . 109

Ю. Хухуа, Основы исследования регионального рынка 115

Н. Чивадзе, Рынок плодоовощной продукции и его социально-экономическое значение в хозяйственной жизни страны . . . 120

Н. Кирвалидзе, Прогнозирование спроса населения на основе структуры потребления 124

М. Сетури, Реклама в стратегии маркетинга и ее эффективность . . 130

Л. Кочламазашвили, Пути улучшения качества безалкогольных напитков и минеральных вод в Грузии 134

Л. Корганашвили, Д. Абдушелишвили, Внешняя торговля в Грузии: либерализация или протекционизм? . . . 139

Т. Гиоргадзе, Региональная интеграция в постсоветском пространстве: реалии и перспективы 143

Г. Циклаури, Ориентация на иностранные инвестиции и приватизация государственных предприятий 148

С. Гелашвили, Применение имитационного моделирования в экономическом прогнозировании 154

Ю. Ананиашвили, К. Ачелашвили, Особенности коэффициентов агрегированных полных затрат и методы их получения в межотраслевом балансе 160

К. Чиабришвили, Н. Чиабришвили, Содержание экономического образования и воспитания 168

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Summary

G. Shubladze, Towards the Sientific Definition of Economic Theory: "Economics", Political Economy or General Economic Theory 12
E. Mekvabishvili, Towards the Creation of an Institutional-legal Infrastructure of Market Economy 18
D. Dzneladze, Social Security and Ensurance in the Period of Transition to Market Economy 29
E. Chokheli, Liberalization and Social Orientation of Economics . . . 36
N. Latsabidze, The Problem of Employment and Ways of Solving it. . . 40
Sh. Natenadze, Prices in the Market System 47
A. Sakhvadze, On Absolute and Relative Overpopulation or on the Reinterpretation of the Population theory 54
T. Sartania, Ilia Chavchavadze on the land bank and Credit . . . 62
E. Kharaishvili, The Technical Base of the Agroindustrial Complex (ATC) and ITS Perfection 69
N. Gvedashvili, L. Charekishvili, The Main Problems of the Health Care System of Georgia and ways of Solving Them 75
Z. Galdava, The Organizational Structure of an Industrial Company . . 83
G. Erkomaishvili, Organization of the Drawing up of a business plan of an industrial company (firm) 92
N. Todua, E. Urotadze, Peculiarities of the Concept of Marketing in the Light Industry of Georgia 101
E. Bolokadze, G. Farajeva, Solvent Need as a Necessary Marketing Condition of Business Development 109
I. Khukhua, Principles of the study of the Regional Market 115
N. Chivadze, Fruit and Vegetables Market and Its Socio-economic Significance in the Economic Life of the Republic 120
N. Kirvalidze, Prediction of the Populations Demand on the Basis of the Structure of Consumption 124
M. Seturi, Advertisement in the Strategy of Marketing and Its Efficiency . 130
L. Kochlamazashvili, Ways of Improving the Quality of Non-alcoholic Drinks and Mineral Waters in Georgia 134
L. Korghanashvili, D. Abdushelishvili, Georgia's Foreign Trade: Liberalization or Protectionism? 139
T. Giorgadze, Regional Integration in the Post-Soviet Space: Realities and Prospects 143
G. Tsiklauri, Orientation to Foreign Investments and Privatization of State Enterprises 148
S. Gelashvili, Use of Imitation Modelling in Economic Forecasting . . 154
I. Ananiashvili, K. Achelashvili, Specificities of the Coefficients of Aggregated Total Costs and Methods of Obtaining Them in an Interbranch Balance 161
K. Chiabrishvili, N. Chiabrishvili, The Content of Economic Education and Training 168

ი 99/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

ტექრედაქტორი ფ. ბ უ დ ა ღ ა შ ვ ი ლ ი

კორექტორი ც. მ ო ლ ო დ ი ნ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.III.99.
საბეჭდი ქაღალდი $70 \times 108^{1}/_{16}$. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16,66.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,1.

შეკვეთა № 232. ტირაჟი 150.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა